

114
1937/2

114
1937/2



მნათობი

1-2

ს ქ ს ე ლ ბ ე მ ი

ბ ვ ი ლ ი ს ი - 1937

მნათობი



სრულიად საქართველოს საზღვ. შტრუქციის
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სასკოლური და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ქურონალი

წელიწადი მეთოთხმეტი

1-2

114
1937

ს ე ს ე დ გ ე მ ი
ბ ვ ი ლ ი ს ი 1937

პ/მბ. რედაქტორი აკ. თათარაშვილი

პ/მბ. მდივანი ლ. მ. ასათიანი



რედაქციის მისამართი: ტფილისი, შაბაძის ქ. № 13. ტელ. № 3 — 55 — 25.
მწერალთა სასახლე.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, კიროვის ქ. № 7. პერიოდსექტორი.

შთავლ. რწმუნ. № 7001 — ა. შტ. 97. ტირაჟი 7000

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, კორცის ქ. № 5.



მ. ი. ლეონიძე

2066

საქ

პლ. მაიაკოვსკი

პოეზიდან „ლენინი“

ვიცნობდი მუშას.

წერა — კიობვა მან არ იცოდა.

ჯერ არ ვგემა

ანბანის სიტყბო.

მაგრამ ლენინის

მოესმინა მას საუბარი

და აველაფერი

იცოდა მიტომ.

მინახავს მთანი...

გელიანი

ბურჭებიც ვერ ძლებს

ღრუბელი ჰფარავს.

ნაპრალებში

სცივია ქვიშანი.

ერთად — ერთ მთიელს

მიტოვებულს

ასეულ ვერსზე.

ვნახე

ლენინის

უნათებდა ძონძებს

ნიშანი.

ქალიშვილების

სამკაული

ეს არის ვერცხლის,

იტყვიან —

კეკლუცო საარშოცოთ

გულ — მკერდზე აზის.

ეს ნუ გგონიათ

ქინძისთავი,

ეს არის ცეცხლი

რომ დასწვა

მკერდი შეპყრობილი

ილიჩის აზრით.



ყურს

ვინ დაუგდებს

გელესიის საცოდავ კნავეილს.

ლეთის

არ მსმენია:

ჰა, რჩეული,

გაძლევ იარაღს!

ადამიანის ნაბიჯით და

მუშური მკლავით,

საკუთარ ტვინით

ეს თემშარა

გამოიარა.

ზევიდან ერთი

რუსეთს

დახედე,

ზოლებათ,

მისდევს

მდინარის არხი.

თითქოს საროზგათ

დარჩა თევზედებს,

თითქოს დასერეს

იგი მათრაბით.

პირგაზაფხულის

წყალზე ლურჯია

ეს ბატონყმური

რუსეთის ტანი.

გახედავ ზეცას,

ზეცა მუნჯია

და თვალებს ზღუდავს

ლაფეარდი ცანი,

მოსჩანს — კატორლა.

* მთები მალაროს,

მაგრამ კატორლა

სჯობდა კიდევაც

ქარბნის



დაზგების გადაკიდებას.
 იყო ქვეყნები
 უფრო მდიდარი,
 უფრო ლამაზი
 და გონიერი,
 მაგრამ ასეთი
 სევდით, იარით,
 მე არ მინიხავს
 არც ერთი ერი
 ყოველ დარტყმას რომ
 ვერ მოწმინდავ
 გაღაბულ ლოყას
 „თავისუფლება, მიწა“
 ხალხი ჰყვირის
 და ხენების.
 შეამბოხენი — მარტოხელნი
 არ გრძნობენ ყოყმანს
 დატენილ ლივერს
 და ყუმბარას იღებენ ხელში.
 კარგია
 მეფეს
 ხუთეული ტყვია მიარქოქ
 მაგრამ ჭაი თუ
 ააცილე,
 ესროლე ადრე
 მეფის მკვლელობის
 მონაწილეთ
 დაუქერიათ
 „ნაროდოვოლც“
 ულიანოვ — ძმა ალექსანდრე.
 ერთი კვდებოდა,
 მაგიერი
 ჩნდებოდა მყისვე
 დახოცილთ ტანჯვას
 ივიწყებენ,
 არცინ უჯერის.
 ულიანოვი
 ალექსანდრე
 დაახრჩვეს ისე,
 როგორც

მრავალი
 მემამბოხე შლისენბურგელი.
 ჩვიდმეტი წლისა
 ის მივიდა
 სულ აბლოს ხალხთან
 და დასდო ფიცი
 შეპყრობილმა
 ბრძოლების გზებით.
 — საგუ შაგოზე,
 ძმაო, მზათ ვარ
 შეგცვალო ახლა,
 ჩვენ გავიმარჯვებთ,
 მაგრამ წავეალთ
 სხვანაირ გზებით.
 გახედეთ ძეგლებს,
 როგორია
 სახე ღვთიური?
 ერთი გახდება გოგოლი და
 შენ ამკე დაფნით.
 სხვანაირია—
 შავი მუშა
 ყოველდღიური
 ილიჩმა თვითონ
 დაიკისრა
 გმირობა მძაფრი.
 მუშებთან მიდის
 სამკედლოში,
 არ ღვას უბარი
 ითხოვს ხელფასის
 მომატებას, უსმენენ ნათქვამს:
 რა ვქნათ,
 ოსტატი თუ ავია
 და მოჩხუბარი?
 და ცხელ წყალი
 რომ დაგვიდგან
 ამისთვის რა ვქნათ?
 მარტივ მიზნისთვის
 სურვილები არ ვვიგზავნია;
 როს გავიმარჯვებ





საქართველოს
მწიგნობართა კავშირი

ნუ ჩერდები, დამდგარი მტვერი
ნუ შეგაჩერებს ამხანაგო,

ამომშრალ ტბასთან,

სოციალიზმი მზიანია

ბურჟუა — მტერი.

ცოცხი კი არა

იარალი, აიღეთ თოფი
ერთდაიმავეს

იმეორებს ბელადი ასჯერ.

ყურში ჩაგვძახის

და ძახილი

იმისი გვეოფნის

და ზე ამართულს ის აერთებს

ორათ-ორ მარჯვენს.

გუშინ თუ იყო მხოლოდ ოთხი,

დღეს ოთხასია

დღეს ვიმალებით,

ხვალ აწეარად

გამოვალთ გარეთ.

შკვე ოთხასი

ოთხი ათასს

შუკვლის ხასიათს

და მშრომელების

აჯანყება

ატოკებს მხარეს

გუშინ მუნჯები —

ალარ ვსდუმვართ,

ისმის ზღერანი,

მშრომელთა

რისხვა

ლრუბელივით წამოვა ციდან,

და სკრის

ილიჩის წიგნაკების

მძაფრი ელვანი

პროკლამაციის

და ფურცლების

შხაპუნობს წვიმა.

ლენინის ირგვლივ

ტორტმანებდა

ძალა ფარული,

მისგან იღებდა

ნათელ აზრებს

მუშა დევნილი

წასების აზრით

და ძალღონით

შემორკალული

მუშებთან ერთად

იზრდებოდა

ჩვენი ლენინიც.

და უკვე ზღაპრად

გადაიქცა იმისი ფიცი,

ფიცი, რომელიც

ჯერ კაბუკმა

წარმოსთქვა ასე:

— მარტოხელები

ჩვენ არა ვართ;

ბრძოლა ვართ მტკიცე

თავისუფლებზე რომ დავიპყროთ

მუშათა კლასის.

თარგმნა შ. პატარიძემ



ՅԵՐԱՅԵՆԵԱՆ
ՆԻՇԱՆՈՒԹՅԱՆ



Г.К.Орджоникидзе

Գրանցված

51
1937

ՆՅՆԱՆՆԱԾԻ ՆԵՐՈՒՄ ՄԵՋՈՒՆԻՍԻԾԻ
1886—1937



კომუნისტური პარტია

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიზავისაგან

საქ. კ. პ. (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს პარტიას, სსრ კავშირის მუშათა კლასს და ყველა მშრომელს და მთელი მსოფლიოს მშრომელებს, რომ 18 თებერვალს, ხალამოს ა საათსა და 30 წუთზე მოსკოვში უეცრად გარდაიცვალა ჩვენი პარტიის უდიდესი მოღვაწე, მგზნებარე უშიშარი ბოლშევიკი — ლენინელი, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის გამოჩენილი ზღვამღვანელი — საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი ამხანაგი გრიგოლ კონსტანტინევიჩი ორჯონიკიძე.

მთელი პარტიისათვის, სსრ კავშირის მუშათა კლასისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის ძვირფასი, უმწიკვლო, ზბეტაკი და მედგარი პარტიელის, ბოლშევიკის ამხანაგ ორჯონიკიძის გარდაცვალება, რომელმაც თავისი სახელოვანი, გმირული სიცოცხლე მუშათა კლასის საქმეს, კომუნიზმის საქმეს შესწირა, უმძიმეს დანაკლისს წარმოადგენს მთელი პარტიისა და საბჭოთა კავშირისათვის.

ამხანაგ ორჯონიკიძის სახე, მისი თავდადებული ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის, სოციალიზმის მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში აღფრთოვანებს ყველა მშრომელს, ყველა პარტიელს, სამეურნეო ფრონტის ყველა მუშაკს შემდგომი ბრძოლის გასაჩაღებლად სოციალიზმის გამარჯვებისათვის, საბჭოთა მრეწველობის ახალი მონაპოვრებისათვის, მთელი ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტი





ამხანაგ ორჯონიკიძის ხსოვნას

ჩვენმა პარტიამ მძიმე დანაკლისი განიცადა: 18 თებერვალს გულის დამბლიხავან უეცრად გარდაიცვალა ამხანაგი ორჯონიკიძე.

სიკვდილმ: ჩვენს რიგებს გამოსტაცა გამოჩენილი ხელმძღვანელი. პარტიის საქმიანათვის დაუღალავი მებრძოლი, სოციალისტური ინდუსტრიის მებრძოლი ხელმძღვანელი და მის ბრწყინვალე გამარჯვებათა ორგანიზატორი, ჩვენი ახლობელი და საყვარელი ამხანაგი და მეგობარი.

მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე ამხანაგმა ორჯონიკიძემ უკლებლივ შესწირა მუშათა კლასის საქმეს, კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს, კომუნიზმის საქმეს. ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში ამხანაგი ორჯონიკიძე დადგა ლენინის დიადი დროშის ქვეშ და მას შემდეგ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე პათიოსნად და ერთგულად ეკირა ეს დროშა ხელში, იბრძოდა რა ყველაზე მოწინავე პოზიციებზე.

მისი სიცოცხლე განუწყრელად იყო დაკავშირებული მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიულ-მემამულური ჩავგრის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლასთან, სსრ კავშირში დიდი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლასთან, თეთრგვარდიელთ: არმიებისა და უცხოელ ინტერვენტთა განადგურების ორგანიზაციასთან, სოციალიზმის ძლევაში მშენებლობასთან, და ყველგან, სადაც მისი მჩქეფარე რევოლუციური მოღვაწეობა მიმდინარეობდა. ქ გამარჯვება გამარჯვებას მოხდევდა.

ამხანაგი ორჯონიკიძე წარმოადგენდა ისეთი ბოლშევიკის ნიმუშს, რომელმაც არ იცოდა შიში და დაბრკოლებანი პარტიის მიერ დასახული დიადი მიზნების მიღწევაში. მგზნებარე ენერგია, შეუპოვრობა და პირდაპირობა, მახების გამოჩენილი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის ნიჭი მასში შეხამებული იყო აღამიანებთან ურთიერთობისას იმ გულთბილობისა და ამხანაგური უბრალოების განსაცვიფრებელ თვისებებთან, რომლებიც ასე კარგად არის ცნობილი ყველასათვის. ვინც პირადად იცნობდა ამხანაგ ხერგოს და რომლებითაც განირჩევა ნამდვილი ბოლშევიკ-ლენინელი.

უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე ამხ. ორჯონიკიძე სათავეში ედგას სრ კავშირის მძიმე მრეწველობას. მის სახელთან არას დაკავშირებული სოციალისტური ეკონომიკის უდიდესი გამარჯვებანი, მისი დახმარებით პარტიამ გადასჭრა ჩვენს ქვეყანაში მძლავრი მოწინავე მძიმე ინდუსტრიის აშენების უძნელესი ამოცანა, ინდუსტრიისა, რომელმაც ბუნებრივად შეიარაღა სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და თავდაცვა. მძიმე ინდუსტრიის მუშაკთა მრავალმილიონიანი არმიის სათავეში ამხანაგი ორჯონიკიძე ერთი მეორეზე იღებდა იერიშით უძნელეს ციხე-სიმაგრეებს ახალი ტექნიკის აშენებისა და დაუფლებისათვის ბრძოლის ფრონტზე. იგი სიყვარულით ზრდიდა მძიმე ინდუსტრიის ნიქიერ, სოციალიზმის საქმის ბოლომდე ერთგულ. ბოლშევიკური პარტიის გარშემო დარაზმულ მოღვაწეთა კადრებს.

და აი ახლა შენ, ძვირფასო ამხანაგო სერგო, აღარა ხარ ჩვენთან. ამ დანაკლისის სიმძიმე წარულშელია. მას გულისტკივილით განიცდის ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი. შენ დაგკარგეთ იმ მომენტში, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ სოციალიზმის გამარჯვებას მიაღწია. ჩვენს მიერ დიდი ბრძოლით მოპოვებულ ამ გამარჯვებებში დიდი წილი გიდევეს შენი შრომით. შენი ენერჯით, კომუნიზმისადმი შენი უსაზღვრო ერთგულებით.

მშვიდობით ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო სერგო!

- ი. სტალინი
- ვ. მოლოტოვი
- ლ. კაზანოვიჩი
- ქ. ვოროსილოვი
- ✓ ვ. ჩუბარი
- ✓ ა. მიჰოიანი
- ✓ ს. კოსიგოვი
- ✓ მ. პეტროვისკი
- ✓ რ. ვიხე
- ✓ ი. რუმუტაჟი

- მ. კალინინი
- ა. ჭლანოვი
- ✓ პ. კოსტიუშევი
- ა. ანდრეევი
- ✓ ნ. მჟოვი
- ✓ ი. აკულოვი
- ✓ ვ. მემლაუჟი
- ✓ ნ. ანტიპოვი
- მ. შკირიატოვი
- ი. იაკოვლევი



ამხანაგ სერგო სოკოვაძის

ჩვენმა პარტიამ მძიმე დანაკლისი განიცადა.

ულმობელმა სიკვდილმა ჩვენ რიგებს გამოსტაცა ლენინ-სტალინის ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი უდიდესი მშენებელი, სსრ კავშირის სამეურნეო მშენებლობის გამოჩენილი ხელმძღვანელი, მკვნიბარე რევოლუციონერი, უშიშარი, უდრეკი მებრძოლი კომუნიზმის საქმისათვის — ამხანაგი სერგო სოკოვაძე.

უდიდესი მწუხარების გრძობით აღავსებს საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ყველა მშრომელთა გულს იმის ფიქრი, რომ აღარ არის მშობლიური სერგო, რომელიც დაუღალავად სძევდა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას, რომელმაც უდიდესი შრომა და ძალღონე მოახმარა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აღმავლობისა და მძლავრი აყვავების საქმეს.

ამხანაგმა სერგო სოკოვაძემ მთელი თავისი სახელოვანი გმირული სიცოცხლე ბოლომდე შესწირა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის საქმეს, დიდი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის და სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეს.

ამხანაგი სერგო 17 წლის ქაბუკი შედის ბოლშევიკთა რკინის, ლენინურ-სტალინურ რიგებში და მთელი თავისი მჩქეფარე ენერჯითა და ენტუზიაზმით გადაეშვება უშიშარ ბრძოლაში მშრომელთა განთავისუფლებისათვის, ექსპლოატატორული წყობილების დამხობისა და მოსპობისათვის.

მეფის დროის მძიმე არაღვეალობის წლებში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის პერიოდში, სამოქალაქო ომის წლებში და ძღვევამოსილი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში ერთი წუთითაც კი არ ცხრებოდა ამხანაგ სერგოს მჩქეფარე რევოლუციური ენერჯია, თანაბარი დაძაბვით მუშაობდა მისი ნათელი გონება და მისი მძლავრი რკინისებური ნებისყოფა, ერთიმეორეზე მოჰქონდა რა გამარჯვება. მშრომელთა განთავისუფლებისა და სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვის საქმისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმისათვის.

ამხანაგი სერგო ხელმძღვანელობდა თეთრგვანალიელთა არმიების განადგურებას და საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებას ჩრდილო-კავკასიაში.



ასრულებდა რა ლენინისა და სტალინის ბრძოლის მართი თებებს, ამხანაგი სერგო ხელმძღვანელობდა საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას იმპერიალისტური ინტერვენტებისა და მათი დაქირავებული აგენტების-მენშევიკთა, მუსავატელთა და დაშნაკთა კონტრრევოლუციური პარტიების წინააღმდეგ; იგი იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველი ორგანიზატორი ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, მისი ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ იქნა განხორციელებული ლენინურ-სტალინური იდეა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და ამიერკავკასიის ხალხთა ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამეგობრობის განმტკიცების შესახებ.

ამხანაგ სერგოს საამაუო სახელი განუურელად არის დაკავშირებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან. სოციალისტური მძიმე მრეწველობის უდიდეს გამარჯვებათა ორგანიზაციასთან, რომელმაც სსრ კავშირი გადააქცია მსოფლიოში მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად, სოციალიზმის მიუვალ ციხე-სიმაგრედ.

წარმოადგენდა რა ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულებისა და უსაზღვრო თავდადების ნიმუშს, ამხანაგი სერგო მუდამ უღმობედლად იბრძოდა პარტიისა და ხალხის ყველა მტერთა წინააღმდეგ, პარტიული, რიგების ერთიანობისა და სიწმინდისათვის, მარქს-ენგელს ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების სიწმინდისათვის, მწრუნველობითა და სიყვარულით ზრდიდა კომუნისმის საქმის ერთგულ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა მრავალრიცხოვან კადრებს.

სერგო იყო ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის უახლოესი ერთგული და თავდადებული თანამებრძოლი.

სერგომ მთელი თავის ელვარე და სახელოვანი რევოლუციური ბრძოლით აღსავსე სიცოცხლე შესწირა ლენინ-სტალინის პარტიის საქმის გამარჯვებას.

სერგო მთელ თავის ბოლშევიკურ გონებას, ენერჯიასა და ენტუზიაზმს, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, მუდამდღე ანდომებდა ბრძოლას კომუნისმის გამარჯვებისათვის სსრ კავშირში, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის მთელს მსოფლიოში.

ამხანაგ სერგოს ვარდაცვალება წარუშლელი დანაკლისია მთელი ჩვენი პარტიისათვის, მთელი ჩვენი ხალხისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.



ამხანაგ სერგოს გმირული სახე, მისი ნათელი სიცოცხლე უდრეკი პროლეტარულ რევოლუციონერ-ბოლშევიკისა მაგალითი მტრებ მთელს მსოფლიოში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის შებრძოლთა მრავალი თაობის აღსაზრდელად.

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო და დაუფიწყარო ამხანაგო სერგო!

- | | |
|--------------------|------------------|
| ✓ ლ. გერია | ✓ მ. ლევანდოვსკი |
| ✓ მ. დ. ბაბიროვი | ✓ კეტირსონი |
| ✓ მ. მუსაბეკოვი | ✓ ვ. დეკანოზოვი |
| ფ. მახარაძე | ✓ მ. უზულაშვილი |
| ✓ მ. მგალობლიშვილი | ✓ ა. კეკელია |
| ✓ უს. რახმანოვი | მ. ხტურა |
| ✓ ა. გულოიანი | ✓ ვ. დარახველიძე |
| ✓ ა. აზრბა | ✓ შ. მათიკაშვილი |
| ✓ ვ. ბაქრაძე | ✓ ა. გეუკოვი |
| ✓ ა. ამატუნი | ✓ მ. გოგეჩია |
| ✓ სტ. აკოფოვი | ✓ მ. ნიორაძე |
| ზრ. არუთინოვი | ✓ მ. ბეღია |
| ა. აკოფოვი | ✓ ვ. გოგეშვილი |
| ✓ ხ. გოგლიძე | ✓ ს. შარია |





საქართველოს
კომუნისტური პარტია

პროლეტარული მშენებელი კავშირების კავშირი

ამხანაგ სერგო ორჯონიძის ბიოგრაფია

ჩვენს პარტიას და დიდი სოციალისტური სამშობლოს — სსრ კავშირის მუშათა კლასს და მშრომელებს, მთელი მსოფლიოს მშრომელებს თავს დაატყდათ უდიდესი მწუხარება. აღარ გვყავს მგზნებარე, უშიშარი ბოლშევიკ — ლენინელი, ლენინისა და სტალინის თანამებრძოლი, მილიონებისათვის საყვარელი ხელმძღვანელი, სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ძველამოსილი სოციალისტური შეტევის უნიჭიერესი ორგანიზატორი — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი სერგო ორჯონიძე.

ამ კრისტალურად წმინდა, ურყევი რევოლუციონერ-ბოლშევიკის ცხოვრება — ნიმუშა მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის, რომლებიც იბრძვიან სოციალიზმისათვის, თავისი განთავისუფლებისათვის, საბჭოთა ხალხის საყვარელმა სერგო ორჯონიძემ თავისი გული, გონება, ძალღონე, დაუშრეტელი ენერჯია, მთელი თავისი თავი, მთელი თავისი სიცოცხლე ახალგაზრდობიდანვე მუშათა კლასის საქმეს, კომუნიზმის საქმეს შესწირა. მთელმა მისმა სიცოცხლემ განვლო პარტიის თვალწინ. მუშათა კლასის თვალწინ ლენინ-სტალინის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

• • •

გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიძე (პარტიული მეტსახელი სერგო) დაიბადა 1886 წლის 28 ოქტომბერს (ახალი სტილით) დასავლეთ საქართველოს სოფელ ლორეშაში.

სერგოს მამას სულ რამდენიმე დესიატინა მიწა ჰქონდა. დანარჩენს რომ თავი დაეანებოთ, სიმინდი მოს ოჯახს მხოლოდ რამდენიმე თვეს ჰყოფნიდა. მინდვრის სამუშაოებს შორის მამა მისს უხდებოდა ფულის საშოვრად ჭიათურაში წასვლა, სადაც მარგანეცის მადანს უზიდებოდა. მშობიარობის შემდეგ სერგოს დედა მალე გარდაიცვალა. სამი თვის ბავშვი დეიდამ წაიყვანა, იგი ძუძუს აწოვებდა მას და მშობელი დედის მაგიერობას უწევდა.

შვიდი წლის ორჯონიძე მიიბარეს ლორეშის სამრევლო სკოლაში. რომლის დამთავრების შემდეგ შევიდა ხაშურის რკინიგზის სასწავლე-

ბელში. ერთი წლის შემდეგ ოჯახის საღარიბის გამლ იგი მუშაობული გახდა დაეტოვებინა სასწავლებელი და სოფელში დაბრუნებულიყო. მისმა მოგვარემ, სახალხო მასწავლებელმა სიმონ ორჯონიკიძემ წაიყვანა სერგო დაბა ხობში, სადაც თვითონ სკოლის გამგელობაში მისი ისონი გადავიდნენ ლანჩხუთში და, ბოლოს, ხარაგაულში. სერგომ 1898 წლის გაზაფხულზე დაამთავრა ხარაგაულის ორკლასიანი სასწავლებელი.

1900 წლის შემოდგომაზე მისმა ბიძაშვილმა ტარასი ორჯონიკიძემ და ნათესაემა პავლე შაქავარიანმა სერგო თბილისში წაიყვანეს. აქ რგი სწავლობდა ქალაქის (მიხეილის) სააქადემყოფოსთან არსებულ საფერშლო სკოლაში.

საფერშლო სკოლაში უმთავრესად სწავლობდნენ ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსულები. მოსწავლეთა შორის ძლიერი იყო რევოლუციური განწყობილებანი. იქმნებოდა სოციალ-დემოკრატიული წრეები, ერთერთ ასეთ წრეში შევიდა სერგო ორჯონიკიძეც. 1901—1902 წლებში იგი უკვე სკოლის სოციალ-დემოკრატიული წრის მონაწილე იყო.

1903 წელს სერგო შევიდა რსდმპში როგორც ბოლშევიკი. სერგოს მთელმა გმირულმა, ლამაზმა სიცოცხლემ განვლო პარტიის, მუშათა კლასის თვალწინ, ლენინისა და სტალინის, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

საფერშლო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1905 წლის გაზაფხულზე ორჯონიკიძე ბრუნდება დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ბათუმში. უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ლებულობს პარტიულ მუშაობაში. იგი პროპაგანდისტად არის და აგიტატორიც. აწყობს მიტინგებს — დისკუსიებს მენშევიკებთან. თავის ბოლშევიკურ გამოსვლებში სერგო ორჯონიკიძე სარგებლობდა ამხანაგ სტალინის ბროშურით „გაკერით პარტიულ უთანხმოებაზე“, რომელიც დაწერილია 1905 წლის დამდეგს.

1905 წლის სექტემბერს ორჯონიკიძე გადავიდა გუდაუთში (აფხაზეთი). აქ იგი მუშაობს ფერშლად ადგილობრივ სააქადემყოფოში. უკვე ამ პერიოდში იგი პროფესიონალი რევოლუციონერია, მებრძოლი, რბმლისთვისაც ცხოვრების აზრი მხოლოდ რევოლუციაშია. 19 წლის ახალგაზრდა სერგო — გუდაუთის პარტიული ორგანიზაციის უკვე საყოველთაოდ აღიარებული ხელმძღვანელია, პარტიის სოხუმის საოლქო კომიტეტის წევრი, არალეგალური მუშაობის ნიჭიერი ორგანიზატორი და მგზნებარე აგიტატორი.

როდესაც გუდაუთში მოვიდა ცნობა მეფის 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ, სერგო ორჯონიკიძემ ქალაქის ცენტრში მოაწყო სახელდახელო მიტინგი. ამ მიტინგზე იგი განუმარტავდა მსმენელთა მასას, რომ მხოლოდ მეფის დამხობას და თვითმპყრობელობის მოსპობას შეუძლიან მოგვეცეს ნამდვილი თავისუფლებაო. პოლიციამ მაშინ ვერ გაბედა მგზნებარე ახალგაზრდა აგიტატორის დაპატიმრება.

ახალგაზრდა რევოლუციონერის პირველი დაპატიმრება მოხდა სოფელ ბომბარში, გუდაუთის მახლობლად 1906 წ. 5 ივნისს. სერგო ორჯონიკიძე დაპატიმრეს იარაღის გადმოტვირთვის დროს და მრათაესეს სოხუმის ციხეში, სადაც 1906 წლის 7 ივნისამდე დაქვემდებარებული იყო. აქ იგი ბოლშევიკურ გაზეთ „დროს“ რედაქციაში პირველად შეხვდა ამხანაგ სტალინს, რომელიც ამ გაზეთის რედაქტორი იყო.

1906 წლის აგვისტოში ორჯონიკიძე, რომელიც ოხრანკას ემალეობდა, წავიდა საზღვარგარეთ, ბერლინში. იგი მალე დაბრუნდა რუსეთში. 1907 წლის მარტში შეყვანილ იქნა ბაქოს ბოლშევიკურ კომიტეტში, რომელსაც მეთაურობდა ამხანაგი სტალინი და რომელშიაც აგრეთვე შედიოდნენ შაუმიანა, ჯაფარიძე, სპანდარიანი.

ბაქოს პერიოდი უდიდესი მიჯნაა ორჯონიკიძის, როგორც ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი შოლვაწის, ფორმირებაში. ბაქოს წავითის სარეწაოებზე ჩამოსვლის პირველი დღიდანვე მას უდიდესი სიყვარულით ეკიდებოდნენ მუშები, რომელთა შემადგენლობა ძალიან მრავალფეროვანი იყო. აქ იყვნენ თურქები, რუსები, ქართველები, სომხები, ორჯონიკიძემ შესძლო ეპოვნა საერთო ენა ექსპლოატორებულ პროლეტართა მთელ ამ სხვადასხვა ტომის მასასთან. შესძლო დაერაზმა ისინი ბოლშევიზმის ლოზუნგების გარშემო. ბაქოში ბალახანის რაიონის რომანაში პარტიულ ორგანიზატორად ყოფნის დროს იგი უნერგიულად ემზადება 1907 წლის 1 მაისის მუშათა მასობრივი დემონსტრაციისთვის, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მესამე სახელმწიფო-სათათბიროს საარჩევნო კამპანიაში, უნერგიულად ამხელს მენშევიკებს, დაშნაკებს, უსერებს.

1907 წლის ნოემბერს სერგო ორჯონიკიძე დაპატიმრა პოლიციამ და ზაილოვის ციხეში მრათაესა, 1908 წლის 9 აპრილს თბილისის სამოსაპართლო პალატის განსაკუთრებულმა საკრებულომ ორჯონიკიძეს მიუსაჯა ყველა უფლებანი ჩამორთმევა და სამუდამოდ გადასახლება ციმბირში. 27 ოქტომბერს თბილისის იმავე სამოსამართლო პალატის საგანგებო საკრებულომ დამატებით მიუსაჯა მას აფხაზეთში რევოლუციური მუშაობისათვის ერთი წლით პატიმრობა.

1909 წლის გაზაფხულზე ორჯონიკიძე ციმბირში გადასახლეს. გადასახლების ადგილად დაუნიშნეს ენისეის გუბერნიის პინჩუგის ეოლოსტის სოფელი პოტასკუი. გადასახლებაში ჩასვლიდან ორი თვის შემდეგ ორჯონიკიძე ვაიქცა და დაბრუნდა ბაქოში, რათა არალეგალურ პირობებში განეგრძო პარტიული მუშაობა.

1909 წლის შემოდგომაზე ბოლშევიკთა ბაქოს ორგანიზაცია ორჯონიკიძეს გზავნის ირანში (სპარსეთი), გილიანის პროვინციაში, რომელიც მაშინ რევოლუციური მოძრაობის ასპარეზს წარმოადგენდა. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რევოლუციურ ბრძოლაში.

საქართველოს
ბიბლიოთეკა



РЕПРОДУКТ № 21424
ИЗД. № 25000

სა. კვინიტაძე

1910 წლის ნოემბერს სერგო ბრუნდება ბაქოში და აქედან მიემგზავრება პარიზს ლენინთან.

ნ. კ. კრუპსკაია თავის მოგონებებში მოგვითხრობს:

„...ერთხელ მოდის კონსიერჟა და მეუბნება:

„მოვიდა ვილაც კაცი, ფრანგული ერთი სიტყვაც არ იცის, ალბათ, თქვენთან არისო“. მე ჩამოვედი ქვემოთ — ვხედავ დგას კავკასიის ტიპის კაცი და იღიმება. აღმოჩნდა სერგო. მას შემდეგ იგი ერთერთი ყველაზე ახლობელი ამხანაგი გახდა“.

პარიზის მახლობლად, ლონჟიუმოში, ლენინი 1911 წელს ჰქმნის პარტიულ სკოლას, რომლის მსმენელები შერჩეული იყვნენ რუსეთში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიერ. ამ სკოლაში იყო ორჯონიკიძეც.

ორჯონიკიძე იძულებული გახდა მალე შეეწყვიტა სწავლა. იგი კვლავ გაემგზავრა რუსეთში ლენინის უაღრესად პასუხსაგები დავალებით — ჩაატაროს მუშაობა საერთო-რუსეთის პარტიული კონფერენციის მომზადებისა, და მოწვევისათვის. მიუხედავად იმისა, რომ რეაქციის მიერ გათვლილ ქვეყანაში მუშაობის განსაკუთრებით ძნელი პირობები იყო, ორჯონიკიძემ შესძლო ლენინის დავალების ბრწყინვალედ განხორციელება. პრალის კონფერენციაზე ორჯონიკიძე თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის დელეგატი იყო.

პრალის კონფერენციაზე, ორჯონიკიძე არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრად. ცენტრალური კომიტეტის შეიდე წევრიდან ხუთს რუსეთში უნდა ემუშავნა. შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის ბიურო. ამხანაგების სტალინის, ორჯონიკიძისა და სპანდარიანის შემადგენლობით, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია რუსეთში მუშაობისათვის.

ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ორჯონიკიძეს დაევალა გაეკეთებინა მოხსენება პეტერბურგის პარტიულ ორგანიზაციაში კონფერენციის შესახებ. 1912 წლის თებერვალს სერგო ორჯონიკიძე გაემგზავრა პეტერბურგში. შემდეგ წავიდა ვოლოგდის გუბერნიაში ამხანაგ სტალინთან, რომელიც იქ ვადასახლებაში იმყოფებოდა. ვადასახლებიდან გამოქცეულ ამხანაგ სტალინთან ერთად იგი გაემგზავრა ბაქოში, ხოლო შემდეგ — თბილისში. თბილისში სერგომ პარტიულ ორგანიზაციას გაუკეთა მოხსენება პრალის კონფერენციის შესახებ.

1912 წლის აპრილს სერგო ორჯონიკიძე კვლავ მიემგზავრება პეტერბურგში. 1912 წლის 27 აპრილს მას კვლავ აპატიმრებენ. ექვსი თვის წინასწარი პატიმრობის შემდეგ პეტერბურგის საოლქო სასამართლომ ვადასახლებიდან გამოქცევისა და ბოლშევიკური მუშაობისათვის სერგო ორჯონიკიძეს მიუსაჯა სამი წლის კატორღა, რის შემდეგ უნდა გაემგზავნათ სამუდამო ვადასახლების ადგილზე.

1912 წლის ოქტომბერს ორჯონიკიძეს ბორკილები ვაჟუყოს და შლისელბურგის ციხეში გადაიყვანეს.

სამი წლის პატიმრობის მოხდის შემდეგ სერგო ორჯონიკიძე 1915 წლის სექტემბერს ეტაპით გადასახლეს აღმოსავლეთ ციხეში, ალექსანდროვსკის საეტაპო საპატიმროში (ირკუტსკის მახლობლად). აქ იგი დარჩა მდინარე ლენაზე ნავეგაციის ვახსნამდე და 1916 წლის გაზაფხულზე გადასახლებლად გაგზავნეს შორეულ ვილუსკის ოლქში, ნიურბინსკოეს სასოფლო საზოგადოებაში. მაგრამ იაკუტსკიდან საავადმყოფოს ექიმის თხოვნით, რომელსაც მედიცინის მუშაკები უსაჭიროებოდა, სერგო ორჯონიკიძე გაგზავნეს სოფელ პოკროვსკოეში, იაკუტსკიდან 90 კილომეტრის მანძილზე, საავადმყოფოს ფერშლად. გადასახლებაში ყოფნის დროს ორჯონიკიძე უნერგველ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკთა, ესერთა, და ანარქისტთა წინააღმდეგ, ააშკარავებდა რა იმპერიალისტური ომისათვის მხარის დაჭერის მათ გამცემლურ პოლიტიკას.

თებერვლის რევოლუციის გამარჯვების ამბავი სერგო ორჯონიკიძემ ვაიგო შორეულ ულუსებში, სადაც იგი ავადმყოფების სანახადად იყო წაშული, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

თითქმის 8 წელიწადი გაატარა სერგო ორჯონიკიძემ ცარიზმის ტყვეობაში — საპატიმროებში, შლისელბურგის ციხეში, ეტაპებსა და გადასახლებაში. ცარიზმი დამხობილი იყო. ეს გამარჯვება ორჯონიკიძემ, ისე როგორც ყველა ნამდვილმა ლენინელმა, შეაფასა მხოლოდ როგორც იმის პირობა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ გადასვლა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაზე.

იაკუტიაში რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცების საქმეში სერგოს ერთერთი მთავარი როლი ეკუთვნის. ორჯონიკიძე შედიოდა იაკუტის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში, არჩეული იყო იაკუტის ოლქის საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად, ეწეოდა დიდ ორგანიზაციულ და სააგიტაციო მუშაობას.

1917 წლის მაისში სერგო ორჯონიკიძე მიემგზავრება ირკუტსკში, ხოლო იქიდან — პეტროგრადში და სავსებით ეფლობა საბრძოლო პარტიულ მუშაობაში. ლენინის წინადადებით სერგო ორჯონიკიძე შეჰყავთ ბოლშევიკური ორგანიზაციის პეტროგრადის კომიტეტში.

ივლისის დღეებში კონტრრევოლუციამ შემთანხმებულ მენშევიკთა და ესერთა დახმარებით გაილაშქრა მოახლოებული პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ. დაიწყო მასობრივი დაპატიმრება, ბოლშევიკური გაზეთების დარბევა, ბურჟუაზია აშკარად მოითხოვდა ლენინთან ანგარიშის გასწორებას.

იკრიბებოდა ბოლშევიკური პარტიის მე-6 ყრილობა. ყრილობის მომზადებისა და ჩატარების ნამდვილ ლენინურ ხელმძღვანელობას უზრუნ-

ველპოფდა ამხანაგი სტალინი. ლენინი თავისი ქობიდან (მელონიდან) და უფრო გვიან — ჰელსინგფორსიდან წარმართავდა ბოლშევიკთა მუშაობას, იძლეოდა ხელმძღვანელ მითითებებს ყრილობის დღის წესრიგში დასამულ საკითხებზე. ლენინის დირექტივების მისაღებად მისაღწევა იკითხებოდა სტალინის დავალებით ორჯერ იყო ლენინთან ქაზნი.

პარტიის მე-9 ყრილობაზე ამხანაგი-სტალინი თავის პოლიტიკურ მოხსენებაში და მის შემდეგ ორჯონიკიძე სპეციალურ მოხსენებაში სასამართლოში ლენინის გამოცხადების საკითხზე სასტიკად ილაშქრებდნენ გამოცხადების წინააღმდეგ. „მათ უნდათ — განაცხადა სერგო ორჯონიკიძემ — რაც შეიძლება მეტი ბელადები გამოსტაცონ რევოლუციური პარტიის რიგებს. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ ამხანაგი ლენინი“.

1917 წლის სექტემბრის დამდეგს ორჯონიკიძე მოკლე ხნით გაიგზავნა ამიერ-კავკასიაში. 6 ნოემბერს — ორჯონიკიძე ამიერ-კავკასიიდან დაბრუნდა პეტროგრადში და აქტიური მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის სოციალისტურ გადატრიალებაში.

1918 წლის 2 იანვარს ორჯონიკიძე დაინიშნა უკრაინის რაიონის დროებით საგანგებო კომისრად და მას მიეცა მნიშვნელოვანი უფლება-მოსილებანი, რათა პურითა და სხვა პროდუქტებით მოემარაგებინა საბჭოთა რუსეთის ყველა ადგილი, რომლებიც სურსათ-სანოვავს საჭიროებდნენ.

ლენინ-სტალინის პარტიის ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული პირისათვის შესაფერი ენერგიითა და სიმამაცით ეხმარებოდა იგი უკრაინელ მშრომელებს, რათა განემტკიცებინათ საბჭოთა ხელისუფლებამ და შეესრულებინათ ის ძირითადი ამოცანა, რომელიც მაშინ მათს წინაშე იყო დასახული, — ქვეყნის შუაგულში გადაეტანათ სურსათის მარაგი, მატერიალური ფასეულობანი, სამხედრო საქურველი.

1918 წლის აპრილის პირველ რიცხვებში ორჯონიკიძე გადადის დონში. 7 აპრილს იგი უკვე დონის როსტოვშია. აქ იგი განაგრძობს ზომების მიღებას გერმანელებისა და გაიდამაკებისათვის წინააღმდეგობის გაწევის მოსაწყობად, რომლებიც თანდათანობით მიიწვედნენ სამხრეთისაკენ, დონისა და ყუბანისაკენ. 1918 წლის 9 აპრილს გაიხსნა დონის რესპუბლიკის მუშათა, გლეხთა და ყაზახთა დემუტატების საბჭოების პირველი ყრილობა. რომელმაც ორჯონიკიძე აირჩია დონის რესპუბლიკის ცაკის შემადგენლობაში.

გერმანელები მიუახლოვდნენ დონს. 29 აპრილს ორჯონიკიძემ როსტოვში მიიღო დეპუტა ლენინისა და სტალინისაგან. ლენინი და სტალინი წინადადებას აძლევდნენ მას და უკრაინის შეიარაღებული ძალებს სარდალს ანტონოვს შეუჩერებინათ სამხედრო მოქმედება გერმანელებისა და გაიდამაკების ფრონტზე.

2 მაისს ორჯონიკიძე დონის რესპუბლიკის ცაკეს ორ წარმომადგენელთან ერთად მიემგზავრება გერმანიის სარდლობასთან მოსკოლაპარაკებლად სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ უკონკრეტო წინადადებათა პროტესტი გერმანელების მიერ თავანროგის წინააღმდეგ. თავანროგის დაკავება წარმოადგენდა გერმანელების მიერ ბრესტის ზავის პირობების დარღვევას, რადგან თავანროგი რუსეთის სფს რესპუბლიკის ტერიტორია იყო. სტანიცა არმიანსკაიასთან დელეგაცია დააპატიმრა გერმანელების პატრულმა, განაიარაღა და თავანროგში გაგზავნა. თერგო ორჯონიკიძემ მკვეთრი პროტესტი განაცხადა გერმანელების მიერ ბრესტის ზავის პირობების დარღვევისა და დელეგაციის დაპატიმრების წინააღმდეგ. დელეგატებს დაუბრუნეს იარაღი და უზრუნველყვეს მათი დაუბრკოლებლად დაბრუნება რუსეთში.

7 მაისს ავსტრია-გერმანიის ჯარებმა, გაიღამაკებმა და თეთრმა ყაზახებმა აიღეს როსტოვი. ორჯონიკიძემ თავისი ეშელონებით უკანასკნელმა დასტოვა როსტოვი და უკან დაიხია ჯერ ბატაისკში, ხოლო შემდეგ ტიბორეცკაიასაკენ, რათა იქიდან ბრძოლით დაძრულიყო ცარიცინისაკენ.

„მდგომარეობა აქ ვერ არის კარგი, — უდებეშებს ორჯონიკიძე ლენინსა და სტალინს ცარიცინიდან 1918 წ. 23 მაისს, — საჭიროა გადამწყვეტი ზომები, ადგილობრივი ამხანაგები კი ძალზე მოშვებული არიან. დახმარების ყოველგვარ სურვილს უცქერიან როგორც ადგილობრივ საქმეებში ჩარევას. სადგურზე დგას ექვსი სამარშრუტო მატარებელი პურით, რომელიც მოსკოვს უნდა გაიგზავნოს და არ იგზავნება... ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ საჭიროა უაღრესად გადამწყვეტი ზომები — ცარიცინის ირგვლივ კონტრრევოლუცია ბოზოქრობს“.

1918 წ. 25 მაისს თავდაცვის შტაბის საგანგებო სხდომაზე ორჯონიკიძე გამოვიდა იმ კონტრრევოლუციურ ბანდებთან ბრძოლის მოწყობის გეგმით, რომლებიც ცარიცინს უტყევენ. მან წინადადება შეიტანა გაერთიანებულიყო ქალაქში არსებული საბჭოთა ჯარი ერთი სარდლობით. უზრუნველყო რა ქალაქის წამდგელი დაცვა, ორჯონიკიძე ყუბანისკენ გაეშურა.

ყუბანისა და შავიზღვის სანაპიროსაკენ მიიწვედნენ გერმანიის ჯარები. საჭირო იყო ყუბანის დაცვა გერმანელებისაგან, ახალგაზრდა წითელი არმიის ძლიერების განმტკიცება. 28 მაისს ეკატერინოდარში გაიხსნა ყუბანისა და შავიზღვის სანაპიროს საბჭოების საგანგებო მე-3 ყრილობა.

ორჯონიკიძე უშუალოდ ხელმძღვანელობდა ყრილობას, რომდენჯერმე გამოვიდა. მისი წინადადებით ყუბანის საბჭოთა რესპუბლიკა და შავიზღვის სანაპიროს საბჭოთა რესპუბლიკა, რომლებიც ცალ-ცალკე არსებობდნენ, გაერთიანდნენ ყუბან-შავიზღვის სანაპიროს ერთ რესპუბლიკად.

1918 წ. დეკემბერში დენიკინის თეთრი არმია სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა თერგის ოლქის საზღვრებს. ინტერვენტების მიერ წელ-გამაგრებული, იგი შეუერთდა ყუბანის კონტრრევოლუციონერულ ეკვიპაჟს XI წითელ არმიას. XI არმია, მოწყვეტილი საბჭოთა რუსეთის, უკუმბარებოდ და უვაზნოდ დარჩა. რესპუბლიკისათვის ამ მძიმე დროს ორჯონიკიძე ჩრდილო-კავკასიის ერთი კუთხიდან მიდის მეორეში, ფრონტის ერთი სახიფათო უბნიდან — მეორეზე, ორჯონიკიძის დაქინებით მოთხოვნით XI არმიას თავი უნდა მოეყარა კავკავსა და გროზნოში; თერგის რესპუბლიკამ თავი უნდა დაიცვას, კომუნისტები თავის ადგილებზე რჩე-ლიან; მათ წინანდებურად ორჯონიკიძე მეთაურობს. მაგრამ არმია, რომელსაც ტიფი მუსრს ავლებდა, იშლებოდა.

24 იანვარს ორჯონიკიძე დებეშით აცნობებს ლენინს:

„...არ არის ყუბარები და ვაზნები. არ არის ფული... ექვსი თვეა ვაწარმოებთ ომს, ვაზნებს ვყიდულობთ ხუთ-ხუთ მანეთად. ვლადიმერ ილიჩ, ვაცნობებთ რა ამას (დაწვრილებით ფოსტით), სიტყვას გაძლევთ, რომ ჩვენ ყველანი დავიღუპებით უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ ჩვენს ღირსებას არ შევარცხვენთ ვაჭყვევით... გროზნოს და კავკავის მუშებს შორის ურყევი გადაწყვეტილებაა იბრძოლონ და არ დაიშალონ. მთის ხალხთა სიმპატიები ჩვენს მხარეზეა“.

ძვირფასო ვლადიმერ ილიჩ, სასიკვდილო საფრთხის მომენტში გოთვლით საღამს და ველით თქვენს დახმარებას. ორჯონიკიძე.“

იანვრის დამლევს დენიკინის ნაწილები მიუახლოვდნენ კავკავს. ქალაქში სულ რამდენიმე ათასი ჯარისკაცი იყო. დაიწყო სისხლისმღვრელი ბრძოლები. შეიდი დღის განმავლობაში მუშათა ბატალიონები. წითელი არმიის რაზმები მედგრად იცავდნენ ქალაქს 'შეტევაზე' გადმოსულ თეთრ-ვეარდიელთა ბანდებისაგან.

ოთხი დღის განმავლობაში ძლევამოსილად იბრძოდნენ ინგუშები, ორჯონიკიძე თავისი შტაბით გადავიდა ინგუშებთან ბაზორკინოში, რათა უშუალოდ გაეწია ხელმძღვანელობა ბრძოლებისათვის. ფრონტი 150 ნაბიჯით იყო დაშორებული იმ ადგილისაგან, სადაც ორჯონიკიძემ მოათავსა თავისი შტაბი.

მაგრამ ძალა თეთრების მხარეზე იყო, და კავკავის დატოვება გარდუ-ეალი ვახდა. კავკაველ კომუნისტთა ჯგუფმა ორჯონიკიძის მეთაურობით გადასწყვიტა მთებში წასულიყო.

შხოლოდ 1919 წ. ივნისის დასაწყისს ორჯონიკიძე ხევსურეთისა და დუშეთის გზით არალეგალურად ჩავიდა თბილისში.

ეს იყო ერთად-ერთი გზა, რომლითაც ორჯონიკიძეს შეეძლო მოსკოვში მოხვედრილიყო, თუ იგი მოახერხებდა კონტრრევოლუციური ამიერ-კავკასიისა და კასპიის ზღვის გავლას, სადაც ინგლისელები ბატონობდნენ.

სერგო ორჯონიკიძემ თბილისის ბოლშევიკებთან ერთად დასაწესებულ კონტრრევოლუციური შენევისკური მთავრობის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლის გზები. ბაქოში, ორჯონიკიძის ჩასვლასთან დაკავშირებით, დაინიშნა ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მარტიული თათბირი.

თათბირის შემდეგ ორჯონიკიძე გაემართა მოსკოვისაკენ ერთადერთი შესაძლებელი გზით, მაგრამ არაჩვეულებრივი გზით — თევზსაჭერი იალქნიანი ნავით — კასპიის ზღვით. 1919 წ. ივლისში ორჯონიკიძე დაინიშნა დასავლეთის ფრონტის XVI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად.

მტერი ბელორუსიის დედაქალაქ მინსკისაკენ მიიწეოდა. ფრონტის ნაძღვილი მდგომარეობის გამორკვევა მეტად ძნელი იყო, რადგან წითელი არმიის დაფანტული ნაწილების მხვერავები იძლეოდნენ ერთი-მეორის საწინააღმდეგო ცნობებს მტრის განლაგების შესახებ. და აი, ბნელ ღამეში, ბორისოვის სამაშრო რევკომის წევრებთან და რამდენიმე ათეულ წითელ-არმიელებთან ერთად, ორჯონიკიძე შაშვანით ხელში ფეხით მიდის დასავლურად ბორისოვისაკენ. მხვერავები ღრმად შეიჭრენ თეთრ პოლონელთა ზურგში, მიაღწიეს თითქმის ბორისოვის გარეუბრამდე და გამოარკვეეს მტრის ძალების რაოდენობა, მტრის განლაგება. ორი დღის შემდეგ ბორისოვი აიღეს წითელი არმიის ნაწილებმა.

დასავლეთის ფრონტზე ორჯონიკიძემ დაპყრო სამ თვემდე. 1919 წ. ოქტომბერში პარტიამ და მთავრობამ გადაისროლეს იგი ფრონტზე დენიკინის წინააღმდეგ.

იგი დაინიშნა XIV არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად. სამხრეთის ფრონტზე მან, ამხანაგ სტალინის განკარგულებით, დასავლეთის ფრონტიდან წაიყვანა ლატიშთა დივიზია. სპეცოპ იყო გადამწყვეტი გარდატეხის მიღწევა ფრონტზე.

20 ოქტომბერს დამკვერელმა ჯგუფმა (ლატიშთა დივიზიის მე-3 ბრიგადამ, მე-9 და ესტონელთა დივიზიების ნაწილები) ბრძოლით აიღო ორი-ოლი. ამ ნაწილების სათავეში იდგა ორჯონიკიძე.

1920 წ. თებერვლის დასაწყისს რ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით იქმნება პარტიული ბიურო საბჭოთა ხელისუფლების აღსადგენად ჩრდილო-კავკასიაში. ბიუროს თავმჯდომარედ ინიშნება სერგო ორჯონიკიძე.

ღამით, 27 აპრილს, მუსავატელთა მთავრობა აზერბეიჯანში დამხობილ ჩქნა. აზერბეიჯანის რევკომმა მიიწვია წითელი არმია.

28 აპრილს დღის 4 საათზე წითელი ეშელონები შევიდნენ პროლეტარულ ბაქოში. 30 აპრილს ორჯონიკიძე კიროვთან და ლევანდოვსკისთან ერთად მივიდა ამიერ-კავკასიის ბოლშევიზმის განთავისუფლებულ ცენტრალურში. ორჯონიკიძის როლი ამ ბრძოლაში საბჭოთა აზერბეიჯანიხა-

თვის მოკლედ მაგრამ ამომწურავად შეათასა ამხანაგმა სტალინმა აზერბეიჯანის დელეგაციის მიღების დროს კრემლში 1936 წლის 21 იანვარს ამხანაგი სტალინი ორჯონიკიძის გამოჩენას ტრიბუნაზე, მანუაშვილის ტყვეობით მიესალმა:

„სალამი აზერბეიჯანის განმათავისუფლებელს! იგი პირველი შვეიდა აზერბეიჯანში!“.

1921 წ. 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქი საბჭოთა დედაქალაქი გახდა. ორჯონიკიძის მიერ ლენინისა და სტალინისათვის გაგზავნილ დეპეშაში ნათქვამი იყო:

„თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გამარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

იმ დღეებში, როცა ორჯონიკიძე საბოლოოდ ანადგურებდა კონტრრევოლუციას საქართველოში, რ. კ. პ. (ბ) X ყრილობამ, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა, დაუსწრებლად აირჩია იგი რ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად.

1921 წ. 19 მაისის დადგენილებით სრულიად-რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა სერგო ორჯონიკიძე დააჯილდოვა საბრძოლო წითელი დროშის ორდენით.

მეტად რთულ პირობებში მოუხდა სერგო ორჯონიკიძეს საბჭოთა ხელისუფლების მოწყობა, ამიერკავკასიაში, საჭირო იყო საქმის დაწყება პარტიული ორგანიზაციის განმტკიცებით, მისი მუშაობის გაფლენთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულით. საბჭოთა დროშით გაერთიანებულ ამიერკავკასიაში ორჯონიკიძემ გაშალა თავისი ნიჭი, როგორც დიდმა პარტიულმა ორგანიზატორმა და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელმა.

1921 წ. 2 ნოემბერს რ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ, რომლის სხდომებიც მიმდინარეობდა ბაქოში ბაქოს და აზერბეიჯანის ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების წევრებისა და საქართველოსა და სომხეთის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების წევრების მონაწილეობით, მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის საკავშირო საბჭოს მოწყობის შესახებ.

1922 წ. 23 იანვარს გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ლეგალური ყრილობა. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობამ უზრუნველყო ლენინურ-სტალინური ხაზის გამარჯვება ყრილობაზე.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველმა ყრილობამ, რომელიც მალე შესდგა (1922 წ. 18 — 22 თებერვალს) და რომელზედაც ორჯონიკიძე გამოვიდა პოლიტიკური ანგარიშით კავბიუროს მუშაობის შესახებ, ცხადყო ამიერკავკასიის კომპარტიების ძირითადი ბირთვის ნამდვილი ერთიანობა და ბოლშევიკური მონოლიტობა ლენინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ.

მარტ-აპრილში ამხ. ორჯონიკიძე მონაწილეობას ღებულობდა კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობის მუშაობაში, რომელზედაც იგი არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრად. ცენტრალური კომიტეტის წევრად არჩეული იქნა იგი XII, XIII, XIV პარტიულ ყრილობებზეც.

XIV პარტიულ ყრილობაზე სერგო ორჯონიკიძეს გამანადგურებელი იერიშები მიექვს სოციალიზმის მოლაღატეებსა და გამცემლებზე — ზინოვიევისა და კამენევის; მე-XIV ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში იგი დაუნდობლად ააშკარავებს ეგრეთწოდებულ „ახალ ოპოზიციას“, რომელიც არაერთარ საშუალებას არ თაკილობდა პარტიის ლენინურ-სტალინური ხელმძღვანელობის ასაფეთქებლად.

მე-14 ყრილობის შემდეგ ორჯონიკიძე ბრუნდება ამიერკავკასიაში შედარებით ცოტა ხნით. 1926 წ. 20 სექტემბერს იგი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გაგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ერთხანს მუშაობდა საკ. კ. პ. (ბ) ჩრდილოეთ — კავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად.

1926 წ. 3 ნოემბერს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი სერგო ორჯონიკიძეს ირჩევს ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, იგი ინიშნება მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

სერგო ორჯონიკიძე ცენტრალურ საკონტროლო კომისია — მუშგლეხინს სათავეში ჩაუდგა რევოლუციის განვითარების ერთერთ უძნელეს პერიოდში. იმ პერიოდში როდესაც ჩაღდებოდა მზადება სახალხო მეურნეობის აღდგენიდან ახალ ტექნიკურ ბაზაზე მის რეკონსტრუქციაზე გადასასვლელად, იმ პერიოდში როდესაც ჩამოყალიბებული ტროცკისტულ — ზინოვიევიური ბლოკი უკვე გადავიდა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის აშკარა კონტრარევოლუციურ მეთოდებზე.

პარტიის მე-15 ყრილობაზე, გამოდიოდა რა მოხსენებით ცენტრალური საკონტროლო კომისია მუშგლეხინის მუშაობის შესახებ, ორჯონიკიძე ამბობდა:

„ოპოზიციის აზრით, ცენტრალურ საკონტროლო კომისიას არავითარი პოლიტიკური ფიზიონომია არ უნდა პქონოდა და როგორც უღ მაჭანკალს უნდა ერბინა ხან ერთთან, ხან მეორესთან, რათა როგორმე მიეღწია შერიგებისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, უწინარეს ყოვლისა, შენ უნდა იყო ბოლშევიკი, ლენინელი, ხოლო შემდეგ შეგიძლიან იყო ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი, ცენტრალური კომიტეტის წევრი, რაიონული კომიტეტის, უჯრედის წევრი და სხვ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ვიყოთ ბოლშევიკები, ხოლო ოპოზიცია ჩვენგან,

ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრებისაგან, მოითხოვდა თავი დაგვენებებინა ბოლშევიკობისათვის“.

კაპიტალიზმის რესტავრატორთა ტროცკისტულ-მემარჯვენე ბლოკის განადგურების შემდეგ თავი წამოაყობ მემარჯვენე ბლოკს, რომელსაც ბუხარინი, ტოშკი და რიკოვი მეთაურობდნენ.

პარტიის წინააღმდეგ თავიანთ ბრძოლაში მემარჯვენე გარეწრები უკავშირდებოდნენ ტროცკისტებს, უთანხმდებოდნენ მათ, რათა გაეერთიანებინათ მთელი კონტრრევოლუციური ძალები პარტიის წინააღმდეგ. ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ საბრძოლველად.

„ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ ბრძოლა. — ამბობდა ორჯონიკიძე მე-16 პარტიულ ყრილობაზე, — იყო ბრძოლა ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზის წინააღმდეგ.“

პარტია გააყვია თავის ცენტრალურ კომიტეტს. პარტია ამხანაგ სტალინის სახით ხედავს პარტიის გენერალური ხაზის მტკიცე დამცველს და ვლადიმერ ილიას-ძის საუკეთესო მოწაფეს. ამიტომ ჩვენი პარტია და მუშათა კლასი სავსებით სწორად აიგივებენ ამხანაგ სტალინს ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზთან, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერთი გამარჯვებიდან მეორე გამარჯვებისაკენ მიჰყავს“...

მუშათა და ვლახთა ინსტრუქციის სახალხო კომისარიატმა უდიდესი ბრძოლა ჩაატარა ბიუროკრატისმის, უბრაობის, რუტინისა და საქმის გაქიანურების წინააღმდეგ სახელმწიფო აპარატში.

ორჯონიკიძის, როგორც მუშგლეხინის სახალხო კომისრის ერთერთი მთავარი, დამსახურება იყო ამ ორგანოს მობრუნება პირით მეურნეობისაკენ. ორჯონიკიძე თვითონ დაწვრილებით სწავლობდა სამრეწველო მშენებლობის ყველა საკითხს. დაწყებული კაპიტალური მშენებლობით და ახალ ნაგებობათა ათვისებით და გათავებულ წარმოების თვით პროცესის ორგანიზაციით ყველა მის გადამწყვეტ ეტაპზე.

ორჯონიკიძე მუდმივ მოუწოდებდა სამეურნეო მუშაკებს გაეეღნათათ მთელი თავისი მუშაობა ბოლშევიკური პარტიულობით, გაეფართოებინათ თვითორიტიკა, განევითარებინათ მუშების მასობრივი ინიციატივა. მას არაერთხელ განუქმობებია, რომ მხოლოდ ასეთ პირობებში შესძლებდნენ ისინი წარმატებით მუშაობას და გამარჯვებათა მიღწევას.

1930 წლის 10 ნოემბერს ორჯონიკიძე დაინიშნა ხსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. — ისა და ც. ს. კომისიის 17 — 20 დეკემბერს შემდგარი გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებით იგი შეყვანილ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. — ის პოლკტიუროს წევრად. 1929 — 30 — 31 წლები იყო სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის ჩაყრის წლები. შენდებოდა მაგნიტკა და კუზნეცი,

ავტოქარხნები გორკისა და მოსკოვში, ურალმანქანშენი და კრამატორსკი, სატრაქტორო ქარხნები სტალინგრადსა, ხარკოვსა და ლენინსკში, სოციალიზმის ასობით ინდუსტრიული ციხე-სიმაგრენი.

გაჩაღდა დიადი ბრძოლა მძიმე მრეწველობის განვითარების სერგო ორჯონიკიძემ თავისი ჩვეული რევოლუციური აღტყინებითა და ბოლშევიკური ენერგიით მოჰკიდა საქმეს ხელი. საჭირო იყო დაგვემსხერია რუტინა და უძრაობა მრავალი მუშაკისა, რომელნიც შეჩვეული იყვნენ ძველ ტემპებს, მუშაობის ძველ მეთოდებს. საჭირო იყო ბოლშევიკურად შეედგომოდით კადრების ორგანიზაციისა და აღზრდის.

სოციალისტური მრეწველობის არმიის სარდალი მრეწველობას ხელმძღვანელობდა არა მარტო თავისი საბრძოლო საგუშაგოდან, არამედ უშუალოდაც ფრონტის პოზიციებზე — საამქროებში, მშენებლობათა ცალკეულ უბნებზე. სტალინგრადი, გორკი, ლენინგრადი, ხარკოვი, სტალინო, კრამატორსკი, კამენსკოე, დნეპროპეტროვსკი, ზაპოროჟიე, ენაკიევო, მარიუპოლი, ვოროშილოვსკი, მაგნიტოგორსკი, ჩელაბინსკი, სტალინსკი, პროკოპიევსკი, კემეროვო, ნოვოსიბირსკი, სვერდლოვსკი, ნიჟნი-ტაგილი, პერმი, გროზნო, ბაქო, კიჩკასი, ბობრიკი, მაკეევკა, ლუგანსკი, კრივოი როგი, ბერეზნიკი, სოლიკამსკი, — აი არასრული ნუსხა იმ ინდუსტრიული კერებისა, რომლებიც არაერთხელ შემოუღვლია სერგო ორჯონიკიძეს.

1935 წლის იანვარში სერგო ორჯონიკიძე გამოვიდა საანგარიშო მოხსენებით მძიმე მრეწველობის მდგომარეობის შესახებ საბჭოების მე-7 სრულიად-საკავშირო ყრილობაზე. სერგო ორჯონიკიძის მოხსენება ყრილობაზე იყო სოციალიზმის ინდუსტრიის ნამდვილ გამარჯვებათა ასახვა.

საბჭოების მე-7 ყრილობამ მიიღო ღირსშესანიშნავი რეზოლუცია: „მოისმინა და განიხილა რა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. გ. კ. ორჯონიკიძის საანგარიშო მოხსენება, სსრ კავშირის საბჭოების მე-7 ყრილობა ადგენს:

1. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლად იქნას ცნობილი.

2. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს — განიხილოს მძიმე მრეწველობის იმ მუშაეთა დაჯილდოვების შესაძლებლობის საკითხი, რომლებმაც ყველაზე მეტად იზინეს თავი“.

სსრ კავშირის ცაკის 22 მარტის დადგენილებაში ნათქვამია:

„სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 1934 წლის საწარმოო პროგრამის გადაქარბებით შესრულებისა და წარმოების ორგანიზაციის და ტექნიკის დაუფლების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაჯილდოვებულ იქნას ლენინის ორდენით მძიმე შრომისათვის სახალხო კომისარი ანს. გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიძისადმი.

მეორე ხელწოდების წლებში სერგო ორჯონიძემ დაიწყო მუშაობა ახალი ტექნიკის ათვისების, სამეცნიერო — კვლევითი მუშაობის ორგანიზაციის, რენტაბელობის, პროდუქციის ხარისხის, ქარხნების კოოპერირების, წარმოების კულტურის ამაღლებისა და ახალი კადრების აღზრდის პრობლემებზე.

იგი ღრმად გრძნობდა, რომ მსოფლიო ისტორიაში პირველად განთავისუფლებულმა საწარმოო ძალებმა ხალხს უდიდესი სიკეთე უნდა მოუტანონ. თავისი გამჭრიახი გონებით იგი სულ ახალახალ მეთოდებსა და საშუალებებს ეძებდა, თუ უფროდაუფრო როგორ უნდა გადიდებულიყო წარმოება, რათა ჩვენი ქვეყანა უფრო სწრაფად გამდიდრებულიყო, რათა სტალინურად გვეწარმოებინა ბრძოლა ჩვენი სამშობლოს აყვავებისათვის.

ორჯონიძემ ერთბაშად დააფასა სტახანოვის მიერ დაწყებული საქმის უდიდესი მნიშვნელობა. პარტიის ღონეცის ოლქკომის მდივნის სარქისოვის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში იგი სწერდა, რომ დონბასის ქვანახშირის მრეწველობის გვირგვინი — სტახანოვის, დიუკანოვის, კონცედალოვისა და სხვათა რეკორდები ამსხვრევენ ყველა ძველ წარმოდგენას მწვრთვლის, გამომუშავების ნორმებზე და იძლევიან იმის ბრწყინვალე დამამტკიცებელ საბუთს, „თუ რა უდიდესი შესაძლებლობანი მოგვეპოვება და როგორ ჩამორჩებიან ცხოვრებას ის უბადრუკი ხელმძღვანელები, რომელნიც მხოლოდ ეძებენ ობიექტურ მიზეზებს თავისი უხეირო მუშაობის უხეირო ხელმძღვანელობის გასამართლებლად“.

1936 წლის იანვარს სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ანს. ორჯონიძის დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით. „1935 წლის საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, წარმატებებისათვის, ახალი ტექნიკის ათვისების საქმეში და ინიციატივისათვის სტახანოვეური მოძრაობის განვითარებაში“.

სერგო ორჯონიძის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული საბჭოთა სინამდვილის მეორე შესანიშნავი მოვლენა — ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა და სამეურნეო მუშაკთა ცოლების მოძრაობა.

1936 წლის 28 ოქტომბერს სერგო ორჯონიძის შეუსრულდა 50 წელი. მთელმა საბჭოთა ქვეყანამ იდღესასწაულა ეს იუბილე, როგორც საყოველთაო — სახალხო ზეიმი. თავისი დაბადების 50 წლისთავზე საყვარელმა ადამიანმა, საბჭოთა ხალხისა და ბოლშევიკური პარტიის ერთერთმა უდიდესმა ხელმძღვანელმა სერგო ორჯონიძემ მიიღო ათასობით მისალმებანი საბჭოთა კავშირის სულ სხვადასხვა კუთხიდან მუშებისაგან,

მოსამსახურეებისაგან, კოლმეურნეებისაგან, მეცნიერებისა და ტექნიკის ადამიანებისაგან, მოსწავლეებისა და წითელარმიელებისაგან, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკებისაგან.

ერყენული
გინჯლირთხაა

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი დღეს უდიდესი გულისტკივილით ხედებიან ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის გარდაცვალების სამწუხარო ამბავს, რომელი საბჭოთა ადამიანისათვის არ არის ძვირფასი ეს სახელი! ვინ არ იცნობდა ამ დაუცხრომელ რევოლუციონერს, სტალინური გამოწრთობის ადამიანს, მომზიბლავ ამხანაგს და მტკიცე ნაცად ხელმძღვანელს, რომელიც არავითარი სიძნელის წინაშე არ იხრია და ჭედს, რომელსაც მუდამ, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ამაყად აწეული თავით მიჰქონდა ბოლშევიზმის დროშა, მისთვის არაფერი იყო იმაზე უფრო დიდი, ვიდრე მოვალეობა პარტიის წინაშე, მისთვის არაფერი იყო უფრო ძვირფასი, ვიდრე ჩვენი სამშობლოს ინტერესები, პროლეტარული რევოლუციის საქმე, კომუნისმის საქმე.

პარტია ყოველთვის ანდობდა სერგო ორჯონიკიძეს ბრძოლისა და მშენებლობის ყველაზე პასუხსაგებ, გადამწყვეტ უბნებს, ვინაიდან პარტიამ იცოდა, რომ ორჯონიკიძე შესძლებდა მასების ამოქმედებასა და დარწმუნებას, თავის გარშემო ერთგულ მებრძოლთა შემჭიდროვებასა და გამარჯვების მიღწევას. ყველგან, სადაც უნდა გაჩენილიყო სერგო, — არალეგალური ბრძოლის დღეებში, ბრძოლებში სამოქალაქო ომის ფრონტებზე, უალრესად პასუხსაგებ პარტიულ და სახელმწიფო პოსტებზე, სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელის როლში — მას თან მიჰქონდა ბოლშევიკის დაუცხრომელი მგზნებარება, გამოჩენილი ორგანიზატორის შემოქმედებითი ინიციატივა და ბრძოლის ენტუზიაზმი და მძლავრი პათოსი, რომელიც ყველას აღანთებდა. მისი ხელმძღვანელობით თავდადებით მუშაობდნენ არალეგალური რევოლუციონერთა წრეები. მისი წინამძღოლობით იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ მამაკი წითელი არმიის მეომრები. მისი ხელმძღვანელობით მშრომელნი გმირულად ჰქმნიდნენ სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტებს.

ზამოროვიე და შავნიტოვოროსკი, ჟამატოროსკი და კემეროვო, სტალინგრადი და ნოვოსიბირსკი, გროზნო და ბერეზნიკი, სოლიკამსკი და ვოროშილოვსკი, ბაქო და ლენინგრადი, სვრდლოვსკი და მაკეევკა, ჩელაბინსკი და სტალინო, კრივოი როგი და პერმი, მოსკოვი და ხაბაროვსკი, მრავალი და მრავალი ქალაქი და მუშათა უბნები ხედავდნენ და იცოდნენ, თუ როგორ შეეძლო სერგოს, ამ რკინის სახალხო კომისარს, რომელიც ხელმძღვანელობდა თავისი გაქანებითა და ხასიათით მსოფლიოში უმაგალითო მეურნეობას, დაენახა მშენებლობისა და მუშაობის დეტალები, როგორ შეეძლო მას დაენახა და დაეფასებინა მუშაკები — დიდნი და

პატარანი, ყველანი ვინც ჩვენი სამშობლოს სასიკეთოდ მსახურობდა. სერგო ორჯონიკიძე იყო ნიმუში ბოლშევიკ-ხელმძღვანელისა, ბროდიჩეთ წმინდა პარტიელისა და შეურიგებელი მებრძოლისა პარტიის კენჭიანურ-სტალინური პოლიტიკისათვის. პარტიის გენერალური მდიანობის იტყობიანობაში მან მრავალი გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მის მტრებს. ტროცკისტ არამზადებს, ფაშიზმის აგენტებს და მათ დამქაშებსა და ამყოლებს — მემარჯვენე გარეწრებს სძულდათ სერგო ორჯონიკიძე — საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა სახელმწიფოს ერთერთი ბელადი, პარტიისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებისათვის, მისი მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმისათვის, უღმობელოებისათვის ყველა იმით მიმართ, ვინც ცდილობდა საქმით თუ სიტყვით ზიანი მიეყენებინათ სოციალიზმისათვის.

სერგოს თავდადებული, ვმირული თავგანწირული ბრძოლა პარტიის საქმისათვის, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის, სსრ კავშირში სოციალიზმის აშენებისათვის, მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებისათვის, სერგოს სახე აღაფრთოვანებს საბჭოთა ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ყველა მშრომელთა ახალი საგმირო საქმეებისათვის, შემდგომი ბრძოლისათვის კომუნიზმის იდეების გასამარჯვებლად. თავისი საყვარელი მეგობრის, ამხანაგისა და ხელმძღვანელის — სერგო ორჯონიკიძის კუბოსთან სსრ კავშირის მშრომელნი ფიცს დასდებენ, რომ კიდევ უფრო თავგამოდებითა და კიდევ უფრო ერთგულად იბრძოლებენ სოციალიზმის საქმისათვის, რომელსაც მან შესწირა და მოახმარა თავისი მშვენიერი, ვმირული, ვაეკაცური საქმეებითა და სიმამაცით აღსაქვე სიცოცხლე.





საქართველოს
კომუნისტური პარტია

საქართველოს საბჭოთა მნიერების მიმართვა ამხ. ლავრენჯი ბერიასადმი

ძვირფასო ამხანაგო ლავრენჯი!

უსაზღვრო აღშფოთების გრძობამ მოიცვა საქართველოს საბჭოთა მწერლების მთელი კოლექტივი საბჭოთა სასამართლოს წინაშე გაშიშვლებულად წარმდგარი ფაშიზმის სისხლიანი აგენტების, გაცოფებული ბანდიტებისა და დივერსანტების უსაზღვრეს მოღალატურ ბოროტმოქმედებათა გამო.

ჩვენი დიდი სამშობლოს გმირმა ხალხმა, ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით, მთელი მშრომელი კაცობრიობის უსაყვარლესი მასწავლებლისა და გენიალური ბელადის დიდი სტალინის წინამძღოლობით ააგო სოციალიზმის გიგანტური შენობა — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო.

საბჭოთა ქვეყნის თვალუწვდენ მიწა-წყალზე ხორცშესხმულ რეალობად იქცა სოციალისტური დემოკრატიზმი, შრომის სუფევის, პიროვნების თავისუფლებისა და ეროვნებათა თანასწორობის უმაღლესი იდეალები. სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტებში და ვრცელ საკოლმეურნეო მინდერებში გაშლილმა, სახელისა და გმირობის საქმედ ქცეულმა შრომამ საბჭოთა ხალხს საბოლოოდ დაუმკვიდრა ბედნიერი ცხოვრება.

ხალხთა სტალინური მეგობრობის მზის ცხოველყოფელ სხივებზე აყვავდა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ ჩვენს სამშობლოში მცხოვრებ ყველა ხალხთა ნაციონალური კულტურა, მწერლობა, ხელოვნება.

საბჭოთა ხალხმა გამოსქედა სოციალისტური დემოკრატიის უკვდავი ხარტია, დიადი სტალინური კონსტიტუცია, რომლის ყოველ სიტყვაში მთელი სიღრმით არის აღბეჭდილი ჩვენი სამშობლოს ძღვევამოსილება, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება.

უსაზღვრო ბედნიერი და უძღვევლი საბჭოთა ხალხის სიყვარული და ერთგულება დიდ სტალინისადმი, რომელმაც გენიალური ხეროთმოძღვარის ოსტატობით ააშენა სოციალიზმის მიუვალი ციხე-სიმაგრე. მას მტკიცე და შეურყეველი ნაბიჯით მიჰყავს საბჭოეთის დიდი ქვეყანა კომუნისმისაკენ.

სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის ძღვევამოსილებით გაცოფებულნი, იუდა ტროცკის — ხალხისაგან უსაზღვროდ შეზიზღებული კონტრევო-

ლუციური ხროვა, დაადგა სისხლიანი ტერორის, ჯამუსობის, მავნებლობისა და ლალატის უსაზიზღრეს ვზას.

ტროცკი-გესტაპოს ეს ავაზაკური აგენტურა ეჭვგარეშად შეგნებელი ზრახვების განსახორციელებლად არ ერიდება არავითარ მარცხსა და მკვლევებს. ისინი ღეროან მუშებისა და კოლმეურნეთა სისხლს, ისინი მზად არიან მიჰყიდონ ჩვენი ბედნიერი სამშობლოს მიწა-წყალი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს და თავიანთი სისხლიანი ხელები აღმართონ ჩვენი ხალხის უსაყვარლესი ბელადისა და მის თანამებრძოლთა წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხის ერთსულოვანმა რისხვამ გააცამტვერა ზინოვიევი-კამენევის ბანდა, რომელმაც მუხანათურად მოუკლა საბჭოთა ხალხს საუკეთესო შვილი — პროლეტარული რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი სერგეი კიროვი.

დღეს კი საბჭოთა ხალხის სამსჯავროს წინაშე წარმდგარია უვერაგეს ბოროტმოქმედებაზე დაჭერილი სისხლიანი დივერსანტებისა და მავნებლების, კაპიტალიზმის რესტავრატორების ხროვა — პიატაკოვის, რადეკის, სერებრიაკოვის, სოკოლნიკოვისა და სხვათა სახით.

უსაზღვროა მათი დანაშაული საბჭოთა ხალხის, ჩვენი დიდი სამშობლოს წინაშე და ასევე უსაზღვროა ჩვენი ხალხის რისხვა და ზიზღი მათ მიმართ.

პროცესის მასალებიდან ჩვენ გავიგეთ, რომ ხალხის მტრებისა და ჯალათების ამ გარეწართა ხროვაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ ტროცკისტ-ზინოვიეველთა ქართველ ნაძირალებსაც — ხალხის მოსისხლე მტრისა და გაუსწორებელი კონტრრევოლუციონერი ტროცკისტის ბუღუ მდივნის მეთაურობით.

ხალხისადმი მტრობით გაბოროტებულ ადამიანთა ეს ვახრწნილი ბანდა ცდილობდა სასიკვდილო მახვილი აღეშარათა ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემომქმედის — დიდი სტალინის და მის თანამებრძოლთა წინააღმდეგ და მათ შორის ისინი სასიკვდილოდ გომიზნებდნენ თქვენც, ჩვენ ორდენოსანი რესპუბლიკის სახელოვან ხელმძღვანელს, დიდი სტალინის უერთგულეს და გამობრძმედილ მოწაფეს, ქართული საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების დაუღალავ მოამაგეს.

ხუთ წელიწადზე მეტია რაც თქვენ ამხანაგო ლავრენტი სათავეში ჩაუდგით საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლ შტაბს და ეს ხუთი წელი წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის უდიდეს ისტორიულ წარმატებათა და გამარჯვებათა ბრწყინვალე პერიოდს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

დიდი სტალინის მითითებათა ურყევი განხორციელებით, საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საქმიანობაში მუშაობის სტალინური სტილის დანერგვით, ფართო ბოლშევიკური ინიციატივით და

დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერჯით თქვენ კომუნისმისთვის საბრძოლველათ დარაზმეთ საქართველოს პარტიულ და არქიტექტურულ ბოლშევიკთა არმია და ჩვენი რესპუბლიკა გამოიყვანეთ საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა პირველ რიგში.

თქვენ სახელთან, ამხანაგო ლავრენტი, მკიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს მშრომელი ხალხის ყველა ის სამეურნეო და კულტურული წარმატებანი, რომელთა მეოხებითაც ჩვენმა რესპუბლიკამ დაიმსახურა უმაღლესა ჯილდო — ლენინის ორდენი.

თქვენი შეუწელებელი ყურადღებისა და მშრონველობის მეოხებით უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ქართულმა მწერლობამ და ხელოვნებამ უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია.

არასოდეს ქართულ მწერლობას, თეატრს, მხატვრობას და მუსიკალურ ხელოვნებას არა ჰქონია ისეთი ფართო რეზონანსი, არ უსარგებლია ისეთი დიდი პოპულიარობით საბჭოთა კავშირის შრავალ მილიონიან მასებში, როგორც დღეს.

აი, რატომ ამყობს საქართველოს მუშათა კლასი, მისი საკლმეურნეო გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია ჩვენი ორდენოქანი რესპუბლიკის გამობრძმედილი ხელმძღვანელის სახელით აი რატომ არის აღვსილი ყოველი პატიოსანი მშრომელის გული შენდამი მადლობის და სიყვარულის მგზნებარე გრძნობით.

უმწეოა გველური გესლით გაქლენთილი კონტრევოლუციური არამშადების მუნანათური განზრახვა — ხელი აღმართონ თავისუფალი და ბედნიერი საბჭოთა ხალხის უსაყვარლესი ბელადის და მის სახელოვან თანამებრძოლთა წინააღმდეგ, რომელთა რკინის კოვორტაშიც დამსახურებულად დგებართ თქვენ, ამხანაგო ლავრენტი.

საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ხალხთა დიდი ბელადისა და მისი სახელოვანი თანამებრძოლებისადმი არის რკინის კედელი, რომელსაც ვერ გასჭირს ვერავითარი შტრის ტყვია და რომელზედაც განმანადგურებლად დაიმსხვრევა ტროცკი-გესტაპოს სისხლიანი აგენტების შავბნელი ზრახვები.

ჩვენ, საქართველოს საბჭოთა მწერლები, სიტყვას გაძლევთ, ამხანაგო ლავრენტი, რომ კიდევ უფრო გავაძლიერებთ რევოლუციურ სიფხიზლეს, კიდევ უფრო შევმკიდროვდებით ლენინ-სტალინის დიადი დროშის ქვეშ და მთელს ნიქსა და ენერჯიას, მთელს ჩვენს სიცოცხლეს დაუღალავად მოვახმართ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს აყვავების საქმეს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა მართლმსაჯულების მახვილთვალს ვერ დაემალება ხალხის ვერც ერთი მოღალატე-ქვეწარმავალი.

ჩვენ მოვითხოვთ აღიგავოს პირისაგან დედამიწისა ჩვენი საქმობლოს
მოღალატეთა ბანდის ყოველი მონაწილე.

წვევლა და ზიზღი მათს სისხლით შესერილ სახელმწიფოებში
გაუმარჯოს სოციალიზმის ძლევამოსილების ორგანიზატორს, ხალხთა
უსაყვარლეს ბელადს და მასწავლებელს დიად სტალინს!

გაუმარჯოს გამობრძმედილ სტალინელს — ქართველი ხალხის სახე-
ლოვან ხელმძღვანელს ამხ. ლავრენტი ბერეას!

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის კავშიდნიში.





ქართველთა
წიგნების კავშირი

ვერტლავით მიღიონების ქღვევევევევევევე

**შუკალთა მიტინგი კონტრავოლუციური ბროკისტული
ცენტრის საქმეზე განაჩენის გამოტანის გამო**

მთელი საბჭოთა ქვეყანა, მუშები, კომუნისტები, მშრომელი ინტელი-
გენცია სრული კმაყოფილებით მიესალმა უზენაეს სასამართლოს სამხედ-
რო კოლეგიის განაჩენს კონტრავოლუციური ტროცკისტული ცენტრის
საქმის გამო და ერთხმად მოითხოვა მემარჯვენე მოლაპატენტების ბუხა-
რინის, რიკოვის, უგლანოვის ბოროტმოქმედებათა სასწრაფო გამოძიება,
გარეწართა ბუნაგის საბოლოოდ გამომეღვენება და მათი სრული განად-
გურება. საბჭოთა კავშირის ას სამოცდა ათი მილიონი ხალხის ამ ძლე-
ვამოსილ ხმას ერთსულოვნად შეუერთდნენ საბჭოთა საქართველოს
მწერლები. განაჩენის გამოქვეყნებისთანავე 31 იანვარს ნაშუადღევს
ორ საათზე შესდგა საბჭოთა მწერლების სასწრაფო მიტინგი, მიტინგი
გახსნა მწერალთა კავშირის მდივანმა ამხ. დემეტრაძემ.

— სამშობლოს მოლაპატენი და გამცემნი, — ამბობს ამხ. დემეტრა-
ძე, — პიატაკოვი, რადევი, სოკოლნიკოვი, სერებრიაკოვი და სხვ. მკვლე-
ლები, რომლებიც გაასამართლა საბჭოთა სასამართლომ და საკადრის
სასჯელი მიუზღო, მრავალი ათეული წლის განმავლობაში ებრძოდნენ
სოციალიზმის საქმეს, ლენინ-სტალინის პარტიას. თავისი „მოღვაწეობა“
მით დაიწყეს იმით, რომ უარყოფდნენ სოციალიზმის აგებას ერთს ქვეყა-
ნაში და გადაიჭყნენ სამშობლოს გამცემლებად, ჯაშუშებად, მავნებლე-
ბად, ინტერვენციის ორგანიზატორებად, სისხლიან ტერორისტებად, გახ-
დნენ ფაშიზმის უსაზიზღრესი აგენტები.

ბანდიტების ეს ხროვა მზად იყო ჩაედინათ ყოველგვარი სისაზიზღრე
იმისათვის, რომ აღედგინა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმი, შეებნელი წარ-
სული. ხალხი მოითხოვდა მათ უსასტიკეს დასჯას და საბჭოთა სასამართ-
ლომ მათ ღირსეული სასჯელი მიუზღო. ეს განაჩენი მთელი საბჭოთა ას
სამოცდაათი მილიონიანი ხალხის განაჩენია. კონტრავოლუციური ბანდი-
ტური ზროვის მეთაურები განადგურებულნი არიან. მუშათა კლასი, ჩვენ
კომუნისტები გლახობა და მშრომელი ინტელიგენცია მოითხოვს, რომ საბ-
ჭოთა სასამართლო ასეთივე ხედრი განუმზადოს მემარჯვენე გარეწა-
რებს ბუხარინს, რიკოვს, უგლანოვს და სხვებს.

კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ქართველი ნაბოლარენი ბ. მდივანის მეთაურობით ცდილობდნენ აღემაართათ თავისი სისხლიანი ხელი ხალხთა დიდი ბელადის სტალინის და მისი გამობრძმედეფე — მოწაფის, ქართველი ხალხის სახელოვანი ხელმძღვანელის ამხანაგ ლავერენტი ბერიას აღმდეგ.

ჩვენმა საბჭოთა სამწერლო საზოგადოებრიობამ უკვე განდევნა თავის რიგებიდან კონტრრევოლუციური ტროცკიზმის აგენტები პ. ჭიჭოძე და სხვ. მაგრამ ჩვენ გემართებს კიდევ უფრო გავაძლიეროთ ბრძოლა საბჭოთა მწერლობის იდეური სიწმინდისათვის. ჩვენ ძირშივე უნდა ამოვსწვათ გარეწართა მ. ტოროშელიძის, პ. აღნიაშვილის, ლ. ლოლობერიძის, ვ. ჯიქიას, კ. გორდელაძის და სხვ. გავლენის ყოველგვარი კვალი მწერლობაში და ლიტერატურულ ყოფაში.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ მუშათა კლასის დიქტატურის მახვილით აღგვილი იქნენ ქართველი კონტრრევოლუციური ტროცკისტები, ფაშიზმის ეს სისხლიანი ძალები: ბ. მდივანი, ს. ჭავთარაძე, მ. ოკუჯავა, მ. ტოროშელიძე, ვ. ჯიქია, პ. აღნიაშვილი, კ. მოდებაძე, ს. ჩიხლაძე, ლ. ლოლობერიძე, ბ. კვიციანი და სოციალისტური სამშობლოს სხვა მოღალატეები.

— უსაზღვროა მთელი ქართველი ხალხის კმაყოფილება ამ ერთადერთი სამართლიანი განაჩენის გამო, — ამბობს ამხ. პავლე იაშვილი. განასხვავებოთ სასჯელი შეიძლება არსებობდეს კაპიტალიზმის რესტაურატორებისათვის, რომლებიც გერმანიისა და იაპონიის ფაშისტებთან ხელიხელჩაკიდებულნი ახგრევენ საბჭოთა ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნებს, რკინიგზებს, მადაროებს, ხოცავდნენ მუშებსა და წითელარმიელებს და ამხადებდნენ ქვეყნის საყვარელ ბელადთა მკვლელობას და ომის გააღლებით ლამობდნენ დიდი საბჭოთა ხალხისათვის მოესპოთ ის უდიდესი მონაპოვარი, რომელზედაც ოცნებობდნენ სრუკეთესო ადამიანები. ჩვენი ქვეყნის მოსისხლე მტრები: ბ. მდივანი, მ. ტოროშელიძე, მ. ოკუჯავა, ვ. ჯიქია, პ. აღნიაშვილი და სხვები მონაწილეობდნენ დიდი ბელადის სტალინის და მისი გამობრძმედილი ერთგული მოწაფის ამხანაგ ლავერენტი ბერიას საწინააღმდეგო ტერორის ორგანიზაციაში. ჩვენ ისღა დავგრჩენია, რომ მთელ ქართველ ხალხთან ერთად ზიზლი და კრულვა შეუთვალოთ მათ და მოვითხოვთ მათი დასჯა ისე, როგორც ხალხის დაუძინებელ მტრებს და სამშობლოს მოღალატეს შეეფერება.

— როცა ტროცკისტული ტერორისტული ცენტრის პროცესი მიმდინარეობდა, — ამბობს პოეტი ილო მოსაშვილი — მე მომიხდა კახეთის ზოფლებში მოგზაურობა. კოლმეურნეთა გულისწყრომა და აღმფოთება აუწერელია. საქართველოს საბჭოთა მწერლობა იზიარებს მთელი მშრომელი ხალხის ამ გამოუთქმელ გულისწყრომას და თუ იგი სრული კმაყოფილებაშია, —

ფილებით შეხვდა მოლაღატეთა დასჯას, იგი ასეთივე ~~კონტრრევოლუციური~~ ^{კონტრრევოლუციური} შეხვედბა სოციალისტური სამშობლოს ქართველ მოლაღატეთა მიმართ გამოტანილ ასეთსავე სამართლიან განაჩენს.

— საბჭოთა სასამართლომ, — აცხადებს ამხ. ტყეფანიძე, — გამოუტანა სამართლიანი განაჩენი მავნებლების, ჯაშუშების და კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ბანდას. სასამართლოს განაჩენი — განაჩენია ხალხისა, რომელიც დაუნდობელია თავისი მოსისხლე მტრების სოციალისტური სამშობლოს გამცემლებისა და გამყიდველების მიმართ. ასეთივე სისასტიკით უნდა დაისაჯონ კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ქართველი ნაბოლარები, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიუღიათ გასამართლებულ კონტრრევოლუციონერთა ბნელ საქმეებში.

— ტროცკისტები, — ამბობს ამხ. ვალერიან გაფრინდაშვილი, — ლამობდნენ მოესპოთ საბჭოთა კავშირის მშრომელთა ყველა მონაბოვარი, რომელიც ოქროს ასოებით აღბეჭდილია სტალინის კონსტიტუციაში. ისინი ცდილობდნენ მოესპოთ საბჭოთა ადამიანის დიდი უფლება შრომაზე, განათლებაზე, დასვენებაზე, ცდილობდნენ აღედგინათ კაპიტალიზმი მთელი თავისი საშინელებით.

ხალხის მტრებს, სამშობლოს საზიზღარ მოლაღატეებს, ადამიანთა სიცოცხლით მოვაჭრეებს, ომის გამჩალებლებს, სისხლიანი ფაშიზმის ცოფიან ძაღლებს მხოლოდ სამარე გაასწორებს. აქეთკენ მიდის გზა ქართველი კონტრრევოლუციური ტროცკისტებისაც. — ამბობს ამხანაგი სიმონ ჩიქოვანი.

— ლენინ-სტალინის ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველყო საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის, მათ შორის ქართველი ხალხის სამეურნეო და კულტურული ბრწყინვალე განვითარება — ამბობს ამხ. აღ. აბაშელი, რომელიც წარმოუდგენელია სხვა რომელიმე წყობილების დროს და რომელზედაც ვერ იოცნებებდა ვერც ერთი ქართველი გულწრფელი პატრიოტი. საბჭოთა ხელისფლებამ ქართველ ხალხს მისცა დიდებული აწმყო, მის წინ არის კიდევ უფრო დიდებული მომავალი. დღეს ყველასათვის ნათელია და უდავო კომუნისტური პარტიის ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება. გასაგებია გულისწყრომა და აღშფოთება ქართველი მშრომელი ხალხისა იმ მოლაღატეებისადმი, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენი ქვეყანა წყვეული წარსულისაკენ, ნაციონალური მონობისაკენ შემოებრუნებით.

— საბჭოთა სასამართლომ, — აცხადებს ამხ. ვასო გორგაძე მთელი მსოფლიოს წინაშე გამოამჟღავნა ფაშისტური ტროცკისტული ბანდის უმძიმესი და უსაზიზღრესი ბოროტმოქმედებანი, მათი მავნებლობა, ჯაშუშობა ხალხის, დაუძინებელ მტერთა, სამშობლოს მოლაღატეთა ტერორისტული და დივერსიული მუშაობა. ჩვენ მოველით, რომ ახლო მომავ-

ვალში საბჭოთა სასამართლო ასეთივე სიტხადით დაანახვეს მთელს ქვეყანას, თუ რა ზნეობრივ და პოლიტიკურ გახრწნამდე მივიდნენ კონტრრევოლუციური ტროცკისტული ბანდის ქართველი წაჭრულფრქვი და მიუზღავს მათ საკადრის სასჯელს.

ნიკოლოზიძე •

— ისტორიაში, — ამბობს ამხ. არჩილ ჯაჯანაშვილი ვერ ამოიკითხავთ ასეთ უტიფარ მოლაღატეობას, ასეთ ცინიკურ გამცემლობას. მათ გატყუებულს ყოველგვარ ვერაგობას, რომლის წარმოდგენაც ადამიანის გონებას ძალუძს... საბჭოთა სასამართლოს განაჩენში გამოხატულია ნებისყოფა დიადი საბჭოთა ხალხისა, რომელიც ფხიზლად სდგას სოციალისტური სამშობლოს სადარაჯოზე.

— დეე, იკოდნენ ფაშისტებმა, — აცხადებს ამხ. გიორგი ლეონიძე, დეე კარგად დაიმახსოვრონ ჩვენი ხალხის დაუძინებელმა მტრებმა, ომის გამჩალებლებმა, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელნი შეკავშირებულნი და შედუღებულნი არიან. ერთი ნებისყოფით, ერთი მისწრაფებით განაგრძნონ სოციალიზმის ძღვევამოსილი მშენებლობა და ამ თავის დიად მისწრაფებაში მუდამ დღე მზად არიან გამანადგურებელი რისხვა დაატეონ ყველას, ვინც თავის სისხლიან ხელს აღმართავს საბჭოთა ქვეყნის ხალხთათვის უფლებების და ბედნიერი ცხოვრების წინააღმდეგ. ხალხის რისხვას ვერ გაექცევიან ქართველი ხალხის მოსისხლე მტრები ბუღუ მდივნის მეთაურობით.

— ჩვენ ქართველ მწერლებს არ შეგვიძლია არ ავღნიშნოთ უდიდესი დეაწლი ჩვენი ქვეყნის ფხიზელი დარაჯის — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, რომელმაც ამჟამაგ ეყოვის მეთაურობით ნილაბი ჩამოგლიჯა ხალხის მოლაღატეთა საზიზარ ბანდას.

მთელი კრება ერთსულოვანი ტაშით ლებულობს ამხ. მთვარაძის წინადადებას გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ევოვს.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში — ამბობს ამხ. ს. წვერავე — იყო ფაქტები, როცა კონტრრევოლუციონერი ტროცკისტების შეწინააღმდეგებელი აგენტები იბრძოდნენ პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის წინააღმდეგ და ცდილობდნენ შეეფერხებიათ პროლეტარული ლიტერატურის განვითარება. ჩვენ გვახსოვს ბ. ლომინაძის, ლ. ლოლობერიძის, კ. გორდელაძის და პ. ჭიჭიძის იერიშები პროლეტარული მწერლობის წინააღმდეგ. ჩვენ ვაღიარებულნი ვართ კიდევ უფრო გავამახვილოთ რევოლუციური სიფხიზლე და თანმიმდევრულად ვიბრძოლოთ საბჭოთა ლიტერატურის იდეური პოზიციების სიმტკიცისათვის.

დაასაჩუქრლ სიტყვით გამოვიდა მწერალთა კავშირის მდივანი ამხ. ბესო ელენტი.

• არ არის და არც შეიძლება იყოს მსოფლიოში ძალა — ამბობს იგი, — რომელსაც შეეძლოს შეაფერხოს ჩვენი წინსვლა კომუნიზმისაკენ.

ჩვენი დიადი სამშობლოს მონაპოვართა სადარაჯოზე, პედრონი ცხოვრების სადარაჯოზე დგას მთელი ჩვენი ხალხი, რომელიც ფრანკლის კედლად შემორტყმულია მთელი ქვეყნის მშრომელთა, განსაკუთრებით ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო. კიდევ უფრო მჭიდროდ შეკრებილი ვართ ჩვენი რიგები ლენინ-სტალინის პარტიის უძღვეველი დროშის ქვეშ, პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

კონტრრევოლუციური ტროცკიზმის უბადრუკი აგენტები ცდილობდნენ ნილილისტურად გაეზიარებინათ ჩვენი ლიტერატურის კლასიკური მემკვიდრეობა და საბჭოთა მწერლობის მიღწევები ისინი უმწეოდ ლაშობდნენ საბჭოთა მწერლობის პროლეტარული ავანგარდი გამოეთიშათ და დაეპირისპირებინათ საბჭოთა ლიტერატურის მთელი შემოქმედებითი კოლექტივისათვის. კონტრრევოლუციური ტროცკიზმის არსენალიდან მომდინარე „მემარცხენეთა“ ეულგარიზატორული ლოზუნგები „მოკავშირე ან მტერი“ და სხვა, ქართული მწერლობის განვითარებაშიც ლებულობდნენ თავისებურ გამოხმაურებას.

დღეს უკვე გამოძვლავებული კონტრრევოლუციონერები—მაკარიევი, სელიანოვსკი, გრუდსკაია, მაზნინი და სხვები ერთ დროს ატყურად ებლაუტებოდნენ ლიტერატურული ფრონტის ხელმძღვანელ სიმალეებს.

საჭიროა რევოლუციური სიფხიზლის მთელი სიმამხილით გამოვამჯავნოთ და აღმოვფხრათ ქართული მწერლობის სინამდვილიდან ამ მახინჯ და მანებლურ მოვლენათა უკანასკნელი ნაშთები.



ა. კუპკინის ღაქსაბი

წინასწარმეტყველი

მძაფრის წყურვილით მეწიოთა სული,
ოდეს ვიდოდი უდაბნოს შინა,
და ექვსფრთიანი ბრწყინვალე სული
ჯეარედინა გზაზე აღმიჩნდა წინა.
თითონი მსუბუქნი, ვითარცა ძილი,
იმან ორთავეს შეახო ჩემ თვალს,
გამიფართოვდნენ თვალეზი ხსნილი,
ვით დედა-არწიეს უეცრად შემერთალს.
და ჩემთა ყურთა შეეხო ისა —
მომესმა ბგერა მრავალგვარ ხმისა.
შაშინ შევიცან ცათა გრიალი,
ანგელოზების გაფრენა ჩქარი,
ქვეწარმავალთა წყალში სრიალი
და ველზე ვაზის წამოზრდა წყნარი.
ბაგეს მიეკრა იგი, ძლიერი,
და აღმომგლიჯა მან ბიერი,
უქმადმეტყველი, ცოდვილი ენა,
და საქენჯნელი ბრძენი გველისა,
ენად შთაძიდგა, ნაცვლად ძველისა,
იელსისხლიანმა არსებამ ზენამ.
მკერდი განმიპო მახვილოთ მჭრელით,
გული წარმგლიჯა მასში მღებარე
და ნაღვერდალი წითლად მგზნებარე
შიგ მომითავეს მსახურალის ხელით.
მწიორ უდაბნოში მკვდარივით ვეგდემ,

და ხმა უფლისა მომესმა შემდეგ:

„წინასწარმეტყველო! დასცხრა წყლულები,

აღსდევ, აღიესე ჩემის ნებითა,

ზღვა და ხმელეთი მოვლე სრულებით

და ამოშანთე კაცთა გულები

ცეცხლად ანთებულ მეტყველებითა.



თარგმანი კონსტ. კიკინაძისა.



კომბს

ხალხის სიყვარულს ნუ აფასებ, პოეტო, ძვირად:
წამებრ გაივლის-ალტაცების ხმაური დიდი,
მსჯავრს უგნურისას და ბრბოს სიცილს მოისმენ ხშირად,
მაგრამ დარჩი შენ მოღღშული, მტკიცე და მშვიდი.
შენ ხომ მეფე ხარ: განმარტოვდი, დასთმე ყოველი —
გაპყვე შენს გრძნობებს, თავისუფალ გზის დამსახვეთა,
ამშვენიერე შენ ნაყოფი ძვირფას ზრახვეათა,
და დიდ ღვაწლთათვის ნუ იქნები ჯილდოს მებოველი,
ის თვით შენშია. ხარ მაღალი სამსჯავრო თვისი:
შენსაზე მკაცრი არ იქნება მსჯავრდება სხვისი, —
მხატვარო დინჯო, შრომა შენი მოგწონს, თუ არა?
მოგწონს? დაე, მაშ, ბრბომ აგინოს მჭირდავის ენით,
შენს საკურთხეველს შეფურთხებით ირგვლივ უაროს,
ბაღღურ სიცილეჭით აქანაოს სამფეხი შენი.

თარგმანი კონსტ. კიკინაძისა.



მონასტერი მყინვარზე

მყინვარო, მთების ოჯახთა ზევით,
სანარადისო სხივების ფრქვევით
ბრწყინავს მეფური შენი კარავი.
ღრუბლების მიღმა თავშემფარავი,
ცივ სიმაღლეში ოდნაეის ჩენით;
იქ მონასტერი ირკვევა შენი.
ღით კიდობანი ცად აზიდული.
ო, სანუკვარი შორი კიდური!
ნეტამც შემეძლოს დაეავდო ზევი,
თხემი ვინილო თვალუწვედნ მთისა
და ყრუ სენაკში, ღრუბელთა ზევით,
გადავიმალო მეზობლად ლეთისა!

თარგმანი კონსტ. ჭიჭინაძისა.



რათა მშობელი გეხილა მზარე,
შენ გამგზავრებას შორს აპირობდი.
დაუვიწყარი საათი მწარე! —
მე შენს წინაშე დიდხანს ვტიროდი.
მსურდა შეყინულ ხელების მოხრით
მე გული შენი ჩემთან დამება;
არ შეგეწყვიტა, გვედრიდი ოხვრით,
შენ საშინელი გაყრის წამება.
მაინც წამართვი ბაგეთა არე,
ლაწვი დამწვარი ცრემლთა ბანაში,
მთხოვედი დამეთმო ტყვეობის მხარე
და მოვსულიყავ სხვა ქვეყანაში.
მეუბნებოდი: იქ სადაც ხენი
ჩრდილებს აფენენ ზეთისხილისა,
ჩვენ შევეერთოთ ბაგენი ლხენით
ნაცვლად კოცნისა გაწყვეტილისა.
მაგრამ იქ, სადაც კლდეთა ქვეშ მუნჯად
გარინდებულან მთვლემარნი წყალნი,
სადაც ცა მუდამ ანათებს ლურჯად, —
შენ სამუდამოდ დახუკე თვალნი.
შენი სიტუროფე, ნალველი შენი,
შეემა სამარემ შთანთქა ყოველი.
მაგრამ შესდგება შეხვედრა ჩვენი,
და დაპირებულ კოცნას მოველი.

თარგმანი კონსტ. კიკინაძისა.



დავეხეტები ქუჩის ხმაურში,
თუ შევალ ხალხით ვავსებულ ტაძრად,
ქირში, თუ ლხინის აურზაურში, —
ყველგან და მუდამ ერთი მაქვს აზრად —
მე ვაზნობ გულში: ეს წლებიც წავა,
და ყველა. ვისაც უცქერის თვალი,
მარადისობის თაღებქვეშ ჩავა
და წარიშლება იმათი კვალს.
შევეხედავ მუხას, მდგომარეს ცაღად,
და უკვე ვფიქრობ: მეუფე ტყეთა,
ასე დარჩება ჩემს შემდეგ კვალად
იგი, მნახველი მამების დღეთა.
მივეჯალერებ თუ არა ყმაწვილს,
ერთი მაქვს აზრი და გულის ტყენა:
აჰა — მშვიდობით! — დაგიტობ ადგილს,
მე უნდა დავქანე, ჰყვოდნე შენა.
თითოეულის დღისა და წლისა
ფიქრით გაყოლა დამჩემდა, რადგან
მინდა ჩემივე მე ჯარდაცვლისა
გამოვარჩიო წლისთავი მათგან,
სად დამეწევა სიკვდილის ცელი?
ოჰში, ან ეგებ მგზავრობის გავსა?
მთები თუ აქვე მდებარე ველი
ჩემს გაცივებულს მიიღებს გავსა?
თუმც სად დაღობება, ეს სულ ერთია,
გვაში უსულო და უგრძობელი,

განსასვენებლად შაინც მერჩია
 მე სანუკვარი კუთხე მშობელი.
 დაე ისმოდეს სამარის კარად
 ნორჩი ცხოვრების აგუგუნება,
 და ვარს კვლევად ბრწყინავდეს მარად
 ცივ გულგრილობით საესე ბუნება.



თარგმანი კონსტ. ჭიჭინაძისა.



აღმარებისა

აქ ბარბაროსი — მხატვარი ფუნჯით
შლის გენიოსის დიდებულ სურათს;
თაის ნახაზი უმსგავსო, ფუჭი,
მასზედ დახატა მან უსუსურად.

მაგრამ წელთ სვლაში ცრუ ფერადებ*
სცეივა ტილოდან, ვით ქერცლი ძველ,
ნიკის კმნილება მზიურ ნათებით
პრწყინვალეზს, როგორც პირველად მწველი.

ჩემი სულიდან ასე ქრებიან
ყველა მტანჯავი ცდომილებანი,
და მასში ისევ აღიძვრებიან
პირველ უმანკო დღეთა გზნებანი.

თარგმანი ვალ. გაფრინდაშვილისა.



ა. კუშინი

სიღვრა გრძელ ოლფხა

ახლა ოლფგი ეშადება ლაშქრობისათვის,
რომ გადუხადოს უგნურ ხაზარებს.
მათი სოფლები და ყანები თვედასხმისათვის
უნდა შესწიროს ხმლებს და ხანძარებს.
მჯდარი ტაიქზე მობრძანდება თავადი ჯარით,
დამშვიდებული ცარეგდაროს მძიმე აბჯარით

დაბურულ ტყიდან გამოვიდა მძლე ჯადოსანი;
მოშავალ წლების იცის მზილება.
არის აღესილი შთავგონებით ქალაროსანი,
და მხოლოდ პერუნს ემორჩილება.
მან მისნობაში გაატარა თავისი დღენი,
და მის წინაშე შეაჩერა თავადმა ცხენი.

დიდო მისანო! შენ ღმერთების ქურუმი გქვიან.
სთქვი, რას მიჭადის ბედი მფლობელი?
გასახარელად მტრებისათვის — ადრე თუ გვიან
დამფარავს მიწა დაუნდობელი?
ნუ გეშინია და მითხარი სიმართლე ნაღდი
ცხენი საჩუქრად აირჩიე თავისი რახტი.

ჩვენ ძლევამოსილ შეფეების არ ვართ მონები,
და საჩუქარი მათი არ გვინდა,
სიტყვას ჭეშმარიტს ვლაპარაკობთ ზეშთავგონებით,
და ჩვენთან არის განგება წმინდა.
დაფარულია მოშავალი შავბნელი ღრუბლით,
მაგრამ შენ იღბალს მიკარნახებს შენივე შუბლი.
დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა მოურიდები:
მუდამ იმარჯვებ ვით მეომარი,

შენი სახელი შემოსილი არის დიდებით,
 ცარგრადის ბჭეზე დაკიდე ფარი.

ზღვა და ხმელეთი დაიჭრე შენ ბრწყინვალეებით,
 მტერი გიცქერის სისხლიანი შურის თვალებით.

თავს ტალღებით არ გღალატობს ზღვა კადნიერი,
 როცა იმსხვრევა ზეცა მეხებად;

მკვეთრი შურდული და ხანჯალი მუდამ ცბიერი
 შენ არასოდეს არ შეგეხება.

შენ, ჯავშნიანი, იარებით არ ითანგები,
 თითქოს გინახავს უხილავი ძალა განგებით.

ვერ შეაჩერებს შენს გაფრენილ მერანს ვერავინ,
 თუ დააკავებს შენი ბრძანება,

ვერ შეაჩერებს მას ისარი მკერდგამსერავი,
 და ბრძოლის ველზე მიექანება.

ნისთვის ერთია ნიავი და ბრძოლის ხმაური,
 მაგრამ დაგლუპავს სამუდამოდ ეს ბედაური.

ოლღვის სახე დაიჩრდილა თითქოს სიბნელით,
 რა გამოიყვანს გულს ამ გლოვიდან?

დადუმებული ის დაეყრდნო უნაგირს ხელით —
 ცხენიდან დაძლა ის ვადმოვიდა.

უკანასკნელად ეთხოვება თავის ამზანავს.
 მისი მერანი ველარ ნახავს სამხედრო ბანაკს!

— ჩემო ღვინარდო მეგობარო, მებრძოლო ჩემებრ,
 დღეს განშორების დაგვიდგა ვამი,

შენს ოქროს უზანგს ვეჭასოდეს ველარ ვიგემებ,
 ო, დაისვენე ახლა სიამით!

აწ კი მშვიდობით და ვახსოვდეს პატრონი შენი,
 თქვენ, კაბუკებო, წაიყვანეთ ერთგული ცხენი.

შემოსეთ იგი ძვირფას ნოხით და ბეწვეულით,
 ის აბალაბეთ მინდერებში შარად.

დაბანეთ ხშირად, მიაწოდეთ ჭერი რჩეულო
 და წყაროს წყალი ასვით ანკარა.

სწრაფ კაბუკებმა წაიყვანეს ცხენი ვერანი,
 და სხვა მიპვეარეს იმ წუთშივე თავადს მერანი.

4. „შათობი“. № 1.—2.

ნადიმობს რაზმით ფალავანი და მოწინავე
 ხმაურობს კიკა, ხალისით საცხე.
 დილის თოვლივით მათი თმები ახლა ბრწყინებულნი
 იქ, სახელოვან გორაკის თავზე. გიგლიძისა
 ისინი წარსულს იგონებენ დღეს ათრთოლებით,
 და ამყობენ ვარდახდილი ძველი ბრძოლებით.

«სად არის ჩემი ამხანაგი; ამბობს თავადი,
 სად არის ცხენი — ცეცხლის მფრქვეველი?
 ხომ არ დადუმდა ფრთაშესხმული პისი ნაგარდი —
 დიდ სივრცეებზე დაუბნეველი?»
 იმის პასუხი: ერთ მაღლობზე ახლა ის არი,
 და მარად ძილით განისვენებს — გაუღვიძარი.
 უძლეველ ოლეგს სევდიანი შეიპყრობს გრძნობა,
 და იგი ფიქრობს მწველ დანაწებით:
 „გიჟო ბებერო! არ გამართლდა შენი მისნობა,
 გამოწვეული ყალბი ზმანებით.
 ცხენი აქამდე იჭებოდა ჩემი თანმხლები“.
 და თავადს უნდა ინახულოს მეგობრის ძელები.

აი ოლეგი გამობრძანდა დიდ სასახლიდან,
 მასთან იგორი, სტუმართ კრებულში.
 იქ სადაც ბორცვი იხედება დნებარში მაღლიდან,
 აწყვია ძელები გაყვითლებული.
 მათ წვიმა რეცხავს და ჩურჩულით ეკვრის ბალახი,
 მათ ფარავს ქვიშა და უცქერის ცის იალაღი.

მეგობრის ნაშთებს აკვირდება თავადი წელა.
 მან ცხენის ქალას დაადგა ფეხი.
 „შენი პატრონი ჯერ სიკვდილშია ვერ მოინელა,
 *მაგრამ ახლა ჩემი ქელები.
 თავმოკვეთილი არ გაპყვები შენ თავის მხედარს,
 და ცხელი სისხლით არ გააძლებ შენ ჩემსა ცხედარს.

აი სად არის დამარხული ისარი მკვლელი,
 სიკვდილით ძვალი მემუჭრებოდა!“
 ცხენის თავიდან საზიზღარი საფლავის გველი
 ამ დროს სისინით, გრეხით ძვრებოდა.
 როგორც არწია მოეხვია ფეხებს მღუმარეთ,
 და დაიკვილა მოშხამულმა თავადმა მწარეთ.

დადიან ირგვლივ სასმისები აქაფებული —

გლოვობენ თავადს ქელეხით, ლხინით.

სხედან გორაკზე იგორი და ილგა კრებულით, მარკუნული

ლხინობს ლაშქარი აღრინდელ ჟინით. მისჯილქოთქა

ისინი წარსულს იგონებენ დღეს ათრთოლებით.
და ამაყობენ გარდახდილი ძველი ბრძოლებით.

თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილისა.



ლექსი, დაწერილი უძილოების დროს

ვერ ვიძინებ. ღამე არი,
ყველგან ბნელა, ყველას სძინავს,
საათი კი აბეზარი
ჩემს მახლობლად ისევ გმინავს.
ბედის თრთოლვა და შრიალი,
მძინარ ღამის ბრმა ტრიალი,
თავვისებური სირბილი...
რად მაშფოთებ! არ შექვს ძილი.
რაა, შენი ზმა ფარული,
ეგ ყვედრება დრტვინვა, რული.
დღე თუ შეიცხავს დაკარგული?
მითხარ, ჩემგან შენ რა გინდა,
რას მიქადი, შავო ბინდო?
მსურს გაგება აზრის შენის,
იდუმალი ბნელი ენის.

თარგმანი ვალ. გაფრინდაშვილისა.



ალგოგოი

რა არის შენთვის ჩემი სახელი.
როგორც ნაპირთან ტალღის ხმაური.
ვით ტყეში ღამის ხმა უცნაური,
ვაჭრება მისი გამოძახილი.

შოვნის ფურცელზე დარჩება იგი,
მგავსი წარწერის საფლავის ქვაზე,
გზმოუცნობელ, უცხო ენაზე,
ვით მკვდარ ნიშნების უსულო რიგი.

ცხოვრება — ყოვლის დამვიწყებელი —
ჩემს სახელს წაშლის თავისი ჩრდილით,
ის ვერ იქნება შენი მხლებელი,
ვით მოგონება ნაზი და ტკბილი.

როცა გაგწირავს იღბალი მტრული,
მაშინ მახსენე შენ მწუხარებით,
თქვი: — ქვეყანაზე არსებობს გული,
ზადაც მაქვს ბინა შეუღარები.

თარგმანი ვალ. გაფრინდაშვილისა.



ზამთრის საღამო

ქარიშხალი ცას ჰფენს წველიადს.
 ნამქრის ბუქი ყალბზედ სდგება.
 ხან მხეცივით ჰვმინავს, ჰლმუნს,
 ხან ბაეშვივით ატირდება,
 ხან სახლის ბანს არ უსვენებს,
 ისლს და ჩალას ახმაურებს,
 ხან ვით მგზავრი გზას ამცდარჯ
 ამ ჩვენს სარკმელს ურახუნებს.
 ეს ხუბულა ჩვენი ქოხი
 ბნელია და მოწყენილი
 რად ხარ, ჩემო ბებრუცუნავ,
 სარკმელთან ხმა გაკმენდილი?
 ან იჭნება ქართ ზრიალმა
 დაგქანცა და მოგაწყინა.
 ან თითისტრის ზუზუნის ხმამ
 გაგაბრუა, მივაძინა.
 შეესვათ, ჩემის ბედშავ ყრმობის
 გულკეთილო მეგობარო,
 შეესვათ, სადა გაქვს ფილა,
 გული ამით გაეიხაროთ.
 კვლავ მიმღერე ვით წიწყანამ*)
 ზღვის გადაღმა დაჰყო მშვიდად,
 ან ვოგონა ვით წაეიდა
 დილით წყალის მოსაზიდად.
 ქარიშხალი ცას ჰფენს წველიადს
 ნამქრის ბუქით ყალბზედ სდგება.

*) წიწყანა — ფრინველიც, რუსულად синица ეწოდება.

ხან მზეცივით ჰგმინავს, ჰღმუნს.
ხან ბავშვივით ატირდება:
შევსვით, ჩემის ბედშავ ყრმობის
გულკეთილო მეგობარო,
შევსვით, სადა გაქვს ფიალა,
გული ამით გავიხაროთ!?



თარგმანი ა. ახნაზაროვისა.



ა. კუზკინი

მოსაზრება და საღიანი

სცენა პირველი

ოთახი

ხალიერი -- ასე ამბობენ: არ არსებობს ქვეყნად სიშორთლე.
მაგრამ ზეცაშიც იგი თურმე არა ყოფილა.
ეს აშკარაა ისევე, ვით უბრალო გამმა.
მე დავიბადე ხელოვნების ტრფიალით გულში;
ჯერ კიდევ ბავშვი, ოდეს ჩვენ ძველ ეკლესიაში
მალლიდან მწყობრად იშლებოდნენ ორღანოს ხმანი,
გადვიქცეოდი უმალ სმენად და ჩემნი თვალნი
ცრემლებს აფრქვევდნენ უნებლიეს და უნეტარეს.
მტკიცედ უარვყავ თავიდანვე ცრუ გართობანი
და მოძღვრებანი, ხელოვნებას დაშორებულნი,
არ მალეღვებდნენ. ზვიადობით და შეუპოვრად.
მათ ჩამოვშორდი და შევწირე მუსიკას თავი
მე, მარტოოდენ. ნაბიჯია პირველი ძნელი
და გზა პირველი ჩვენთვის მუდამ მოსაწყენია.
დავიმორჩილე ადრეული ბედკრულებანი
და ხელოვნებას მე კვარცხლბეკად ხელობა მივეცი;
გადავიქეცი ხელოსნადა და ჩემსა თითებს
მივეცი სიმკვირცხლე მორჩილი და მასთანვე მშრალი,
სმენას სისწორე. მოვაკვდინე ბგერები უმალ
და თვით მუსიკა, ვით ცხეღარი ისე დავშალე.
მე შევამოწმე პარმონია ალგებრის ხერხით.
მაშინ გავბედე მოძღვრებებში გამობრძმედილმა
შემოქმედების სათუთობას მივცემულიყავ.
თხზვას შევუღდექი, ხოლო ჩუმად და საიდუმლოდ
და დიდებაზე ჯერ ოცნებას არ ვიკარებდი.
ხშირად სენაკში ჩაკეტილი ორი, სამი დღე
გადვივიწყებდი მოსვენებას, წყურვილს და შიმშილს,
აღტაცებაში შთავარდნილი ზეგარდმო ნიჭის

ცრემლებს ვაფრქვევდი, და ჩემს შრომას ვწვავდი
 მე თვითონ.
 და შევსცქეროდი ცივად კოცონს, სადაც იწვავდას
 და მხატვ ბოლად ინთქებოდა ჩემი აზრები
 და ის ბგერები, სასიცოცხლოდ რომ გამოვიხმე.
 რას ვლაპარაკობ? ოდეს გაჩნდა დიადი გლახუკი
 და ჩვენთვის ცხადპყო ხეაშიადნი (ისე წარმატანი!) —
 განა მე თვითონ არ უარყევ ჩემი ცოდნანი,
 რაც კი მჯეროდა, რასაც ასე წრფელად ვეტრფოდნი
 და არ ვავეყვი მას ზალისით, დრტვინვის გარეშე,
 ისე ვით შემცდარს მუდამ ჰმართებს, ოდეს შემხვედრი
 მას მიუთითებს მართებულ გზას? ბეჯითი შრომით
 და მოუდრეკელ, დაძაბული გულმოდგინებით
 ხელოვნებაში მივალწიე უმადლეს ხარისხს.
 მაშინ დიდებამ გამილიმა; და ხალხის გულში
 ჩემს კმნილებათა დავინახე თანხმონენება.
 ბედნიერ ვიყავ: ჩემი შრომით და წარმატებით,
 ჩემის სახელით ვნეტარებდი წყნარად და მშვიდად;
 აგრეთვე ჩემთა მეგობართა წარმატებებით,
 ვინც ჩემთან ღვწოდა ამ საოცარ ხელოვნებაში.
 არა! არასდროს შურისგრძნობას არ ვანვიცდიდი!
 არცაღა მაშინ, როს პიჩინიმ სასწაულებრივ
 მრავადოვა პარიზელთა ველური სმენა,
 არცაღა მაშინ, როს პირველად მე მოვისმინე
 იფიგენიის ტკბილი ხმანი. აბა, ვინ იტყვის
 რომ ტედმაღალი სალიერი როდისმე იყო
 სხვისი მოშურნე, სამარცხვინოდ გაწბილებული.
 ვითა ქვემძრომი, გასრესილი გამელელის ტერფით,
 შთამნთქავი მტერისა და ქვიშისა სასოწარკვეთით?
 არავინ!.. დღეს კი — თვით ვაცხადებ — დღეს მოშურნე ვარ.
 ჰო, სად ვეძიო სიმართლენი, როს წმინდა ნიჭი
 ეძლევა წილად არა გრძნობას თავის შემწირველს,
 ნაღვაწს და შრომას, თავდადებას, განწირულებას,
 არამედ ფუჭად განანათლებს ვაგლახს უგუნურს.
 უსაქმოდ მავალს?.. ჰოი, მოცარტი! (შემოდის მოცარტი)
 დაგინახივარ!

მოცარტი —

მე კი მინდოდა მოულოდნელ ხუმრობით შენი
 გაართობა: მაგრამ...

სალიერი —

შენ აქა ხარ! დიდი ხანია?

მოცარტი — ესაა, შენთან მოვდიოდი და თან მომჭონდა

საჩვენებელად ერთი რამე; მაგრამ ერთ დღეჯანს
რომ ვაუსწორდი, გავიგონე ხმა ვიოლონის...
ოჰ, სალიერი, ჩემო ძმაო! დაბადებიდან ვერცხუნული
ამაზე უფრო სასაცილო შენ არ გსმენია!... გიგლიძისა
ბრმა ხელოსანი იმ დღეჯანში voi che sapete-ს*)
უკრავდა თურმე. ვერ გავძელი და უსინათლო
აქ მოვიყვანე, რომ დაგატყბო მის ხელოვნებით.
შემოდი (შემოდის ბრმა მოხუცი ვიოლონით ხელში).

შენ ჰე, დაუჯარი რამე მოცარტის!

(მოხუცი უკრავს არიას ღონ-ყუანიდან: მოცარტი ხარ-
ხარებს).

სალიერი — და შენ სიცილი შეგიძლია?

მოცარტი — ოჰ, სალიერი!

ნუ თუ შენ თვითონ არ იციანი?

სალიერი — არ შეცინება.

ოდეს მღებავი რაფაელის მადონას სთითხნის,
არ შეცინება, როს ალიგერს დიდ სახელს უტეხს
იად პაროდით ოინბაზი ვინმე უღირსი.
გასწი, მოხუცო!

მოცარტი — მოიცადე: აი, მიიღე.

დალიე ჩემი სადღევრძელო (მოხუცი გადის).

შენ სალიერი,

არა ყოფილხარ გუნებაზე. მე მოვალ შენთან
სხვა დროს როგორმე.

სალიერი — აბა ვნახოთ რა მოიტანე.

მოცარტი — უბრალო რამე. წუხელ ღამით არ დამეძინა.

მჭენჯინდა ავი უძილობა. მოულოდნელად

ორი თუ სამი დამეზადა ახალი ფიჭრი.

დღეს ჩავიწერე. შენი აზრის გაცება მსურდა.

მაგრამ ვერცხობა ჩემთვის შენ დღეს არა გცალია.

სალიერი — ოჰ, მოცარტ, მოცარტ! ეგ სიტყვები რამ გათქმევინა?

დაჯექ. ყურს გივლებ.

მოცარტი (ფორტეპიანოსთან) — ერთი წუთით წარმოიდგინე...

ვინმე? თუნდაც მე, არა ცოტა უფრო ყმაწვილი;

შეყვარებული არა ფიცხელ, ისე ოდნავათ —

თავის სატრფოსთან ან, ძმობილთან — თუ გინდა შენთან. —

მზიარული ვარ... უცაბედათ სამარის ჩრდილი.

მოულოდნელი სიწყვდიადე ან სხვა ამგვარი...

ჯბა-მისმინე (უკრავს).

*) თქვენ, რომელთაც იცით.

სალიერი —

შენ მოგკონდა ჩემთან რაღაცები
და მოახერხე გაჩერება სამიკიტნოს წინ
და ყურს უგდებდი იმ ბრმა გლახას! ოჰ, ღმერთი!
ლირსი არა ხარ შენი თავის, მოცარტი, მერწმუნე!

მოცარტი — მაშ მოგეწონა?

სალიერი —

რა სიღრმეა! რა სიმხვეილე!
მოცარტი, ღმერთი ხარ და შენ თვითონ ამას არ უწყვი;
მე ვიცი, მე, მე!

მოცარტი —

შესაძლოა? მაგრამ აშკარად
ჩემს ღვთაებობას შიმშილობა თან დაჰყოლია.

სალიერი — ყური დამიგდევ: ვისადილოთ დღეს ოქროს ლომის
სამიკიტნოში.

მოცარტი —

თანახმა ვარ; სიამოვნებიდ.
მაგრამ ჯერ სახლში დაებრუნდები, — ვუთხრა მეუღლეს
ნუ შელოდება. (მიდის).

სალიერი —

მაშ მოგელი; ძალიან კარგი —
არა! არ, ძალმიძს ჩემ სეგებდთან კვლავ შებრძოლებია:
სჩანს რჩეული ვარ შევაჩერო — თორემ აშკარად
დაღუბვა ელის ყოველ ჩვენგანს, მუსიკის მსახურთ
და მის ქურუმებს. განსაცდელში შარტო არა ვარ
ჩემ ყრუ სახელით... ოჰ, რას ვაქნევთ თუ ის იცოცხლებს
და ახალ შწვერვალს კვლავ მიიღწევს? მას განა ძალუძს
დიდ ხელოვნების აყვავება და ამიღლება?

არა, არას დროს! ის შთაინთქმის მასთანვე ერთად:
თავის მემკვიდრეს ვერ დასტოვებს იგი ჩვენ შორის.
რაში გეჭირია? რისთვის გვინდა? ვით ქერუბიშმა
უცხო ქვეყნიდან მოგვიტანა სამოთხის ხმანი,
რომ საუკუნოთ აგვიჯანყოს უფროთ ლტოლვანი
ჩვენ — მიწის შეილებს და გაფრინდეს! მაშ ნუ აყოვნებ.
გაფრინდი, წადი! და რაც სწრაფად, მით უკეთესი.
ჰა, საწამლაღვი საჩუქარი ჩემი იზორას!

თერამეტი წელი თან ვატარებ — და დროთა სვლაში
წუთისოფელი ჩემთვის ხშირად გამწარებულა.
ხშირად ვყოფილვარ ერთ სუფრაზე უზრუნველ მტერთან,
ცდუნების ჩურჩოლს თავმორჩილად არ მივცემივარ,
თუმცა სიმხდალე მე არა მაქვს თანდაყოლილი,
თუმცა ღრმად განვიციდი თავზე მომდგარ შეურაცყოფას
და აშ სიცოცხლეს არ ვაფასებ. არ ვისწრაფოდი.
როგორ მქენჯნიდა მე წყურვილი აგი სიკვდილის —
სიკვდილი, მერმე? მე ვფიქრობდი: იქნებ ოდესმე

სიკაცხლემ კიდევ უცაბედად დამაჯილდოვოს;
 იქნებ კვლავ შეშხვდეს ალტაცება და აღმადრენა
 შემოკმედების ღამეები; იქნებ აღდესმე
 ახალი ჰაიდან კიდევ შეჰქმნის რამე დიდებულს —
 და მე დავსტკბები... ქეიფის დროს ჩემს მოძულესთან
 ვფიქრობდი იქნებ აღმომიჩნდეს სადმე სხვა მტერი
 უფრო სასტიკი; შეიძლება ოდესმე თავზე
 მე დამატყდება უფრო მწარე შეურაცყოფა —
 მაშინ იზორას საჩუქარო, გამომადგები.
 მართალიც ვიყავ! ჩემი მტერი აღმოვაჩინე,
 ახალ ჰაიდანმა ალტაცებით უხვად დამატკბო!
 ტრფობის აღთქმული საჩუქარი, ეხლა დრო დადგა,
 დღეს შეგობრობეს ფიალაში უნდა გადავიდეს.

სცენა მეორე

(ცალკე ოთახი სასადილოში; ფორტეპიანო).

მოცარტი და სალიერი (უსხედან სუფრას).

სალიერი — დღეს შენ რალაცა დაღვრემილხარ?

მოცარტი — მე! არა, არა!

სალიერი — გეტყობა, მოცარტ, შეგაწუხა რამემ სასტიკად?
 კარგი სადილი, მშვენიერი ლეინო და შენ კი
 მოღუშული ხარ, ხმას არ იღებ.

მოცარტი — გამოგიტყდები.

ჩემ Requiem'მა შემაწუხა.

სალიერი — ეგ არ ვიცოდი!

დიდი ხანია სწერ Requiem'ს?

მოცარტი — სამი კვირაა.

მაგრამ შემთხვევა უცნაური... არ მითქვამს შენთვის?

სალიერი — არა.

მოცარტი — მაშ კარგი; მომისმინე: სამი კვირის წინ დაგვიანებით სახლ-
 ში მიველ. მითხრეს, რომ ჩემთან ვილაც უცნობი შემოსულა; არ
 ვიცი რატომ, მაგრამ დილაშდუ ფიქრებს თავი ვერ დაეღწიე: ნეტა
 ვინ იყო? ჩემთან ნეტავ რა საქმე ჰქონდა? მეორე დღესაც ვერ და-
 ვუხვდი. ხოლო მესამეს, როცა ჩემს ბავშვთან ვთამაშობდი, მე და-
 მიძახეს, გავედი უშალ. ვინმე უცხომ შავად მოსილმა სალაში მომცა
 მორიდებით და შემიკვეთა Requiem და მსწრაფლ ჩამომშორდა.
 დაუყოვნებლივ წერას შევუდექ — მაგრამ დღიდან ჩვენი შეხვედ-
 რის აღარ მოსულა ჩემი შავი აღამიანი.

მეც მიხარია: არ მინდოდა განეშორებოდი
ჩემს ახალ ნაშრომს, შხად კი მჭრნდა იგი ბოლომდე.
სათქმელად არ ღირს... მერიდება, მაგრამ...



ერკონესული
ნიკოლოსოვი

სალიერი —

არ შესმის?

მოცარტი — უნდა გამოვეტყდე...

სალიერი —

მერმე რაში?

მოცარტი —

არც დღით, არც ღამით

ალარ მასვენებს ჩემი შავი ადამიანი.
თან მსდევს ვით ჩრდილი. აი ეხლაც, ასე მგონია,
ჩვენთან შესამე სუფრას უხის.

სალიერი —

შენც მოგიცლია.

ყმაწვილის შიშებს აჰყოლიხარ. თავი ანებე.
ბომარშეს ჩემთვის ხშირად უთქვამს: „შენ, სალიერი,
როს შავნი ფიქრნი გეწვევიან — შეეპეც ღვინოს
ან და „ფიგაროს ქორწინება“ გადაიკითხე“

მოცარტი —

მართლა! ბომარშე მეგობარი ყოფილა შენი;
მისთვის ტარარა შეგიქმნია, კარგი რამეა.
ერთი პანგია მასში... როცა ბედნიერი ვარ,
მას ვიმეორებ განუწყვეტლივ. მართლა, რას იტყვი,
ამბობენ, ვილაც მოუწამლავს ბომარშეს უწინ?

სალიერი —

არა მგონია: აშნაირი ზელობისათვის
ის იყო შეტად სასაცილო და უფარვისი.

მოცარტი —

ის გენიოსი ისევეა, როგორც მე და შენ.
ბოროტებას კი გენიოსი ვერ ეგუება.
ხომ მართალია, სალიერი?

სალიერი —

შენ ავრე ფიქრობ?

(ჩაყრის საწამლავს მოცარტის ქიქაში).

მაშ შესვი ღვინო.

მოცარტი —

ამ ქიქით ესვამ შენს სადღევრძელოს,
იმ დიდ კავშირის, პარმონიის შვილთა შემყვრელის
სალიერისა და მოცარტის (სვამს).

სალიერი. —

ოჰ, დაიცადე.

დაიცა, რა ჰქენ?... შენ დალიე!... უჩემოდ, რატომ?

მოცარტი —

ემარა, გაეძეხი. (მოდის ფორტეპიანოსაკენ).

მოისმინე ჩემი Requiem (უკრავს).

შენ სტირი?

სალიერი —

კრემლებს პირველად ვღვრი: ოჰ რა ძნელია,
და ამასთანვე რა შეებას ვგრძნობ, თითქოს ეს არის
მე მძიმე ვალი გარდებიანადე, თითქოს მოჰყვითა

ჩემს სხეულს დანამ ავადმყოფი რამე ნაწილი!

ოჰ, ძმაო მოცარტ, ეს ცრემლები... მათ ნუ შეამჩნევ.

ნუ დააყოვნებ და აღმივსე ბგერებით სული... *ფრ. კ. უ. შ. კ. ი. ნ. ი.*

მოცარტი — ოჰ: რომ შეეძლოდ ჰარმონიის შეგრძნობას *ფრ. კ. უ. შ. კ. ი. ნ. ი.*

მაგრამ რას ვამბობ: ხომ ქვეყანა მოისპობოდა;

ეინ იზრუნაედა ქვეყნის მდაბალ გაჭირვებებზე;

მიეცემოდნენ ხელოვნებას და აღტაცებას.

ჩვენ ცოტანი ვართ რჩეულები და ბედნიერნი,

მშვენიერების ქურუმები. ხომ მართალია?

მაგრამ რატომღაც თავს ცუდად ვგრძნობ, არა ვარ კარგად;

წავალ, დავწვები, დავიძინებ! მშვიდობით იყავ.

სალიერი — ხანგრძლივად, მოცარტ, დაიძინებ. მაგრამ თუ მართლა

ის მართალია და არა ვარ მე გენიოსი?

ბოროტსა საქმეს გენიოსი ვერ ეგუება-

ოჰ სიცრუეეა; ბონაროტი? იქნებ მოჩმახა

ბრბომ უგრძნობელმა და უგნურმა და არ ყოფილა

მკვლელი შემჭნელი ვატიკანის?

თარგმანი შალვა ქართველიშვილისა.



შალვა დადიანი.

პუშკინი საქართველოში

დრამატული სილუატი 5 მოკმედეხად
წინასწარი

შატერულ ნაწარმოებს წინასიტყვაობა არ უნდა სჭირდებოდეს.

მან თვით უნდა სიტყვას თავისი სათქმელი.

მაგრამ ამახელად ისეთ მასალასთან შეკონდა საქმე, რომ ცოტა რამ განმარტება მაინც დაევიწყება.

პუშკინის საქართველოში ყოფნის ამბავი, ერთის შეხედვით, თითქო შეტად ძუნწი მასალით არის წარმოდგენილი. უმთავრესი ისევ მისი „არზრუმს გამგზავრება“ - და...

ბევრს ისე ჰგონია, თითქო პუშკინს საქართველოში სხვა არა უნახავსრა, ვარდა ტფილისის აბანოებში საბანაოდ მოსულ მოხუც „აღჯაუებისა“.

და არამც თუ არ უნახავს, არც მოუწოდებია სხვისა რისამე დანახვა.

მაგრამ რომ დააკვირდებით, თვით ამ თხზულებაში („არზრუმს გამგზავრება“) არის შთელი პროგრამა საქართველოს აღწერილობისა, რასაც, ცხადია მოსდევდა თვით ეს აღწერილობაც.

და რომ ეს ასე ყოფილა, რომ არსებულა შთელი თავი საქართველოს აღწერილობისა, ეს უკვე შეღავნდება სხვადასხვა მკვლევარისაგან. ისიც არის ახსნილი, თუ რატომ ზრ იყო დაბეჭდილი ეს თავიეც პუშკინის თხზულებისა.

მიხედვით, რომ მე, როგორც დრამატურგს, ეს ხელთასაკიდეც შეყოფოდა.

მაგრამ აღმოჩნდა სხვა მასალაც, ნაამბობი მომსწრეთა და დამსწრეთაგან პუშკინის საქართველოში ყოფნისა. ეს მასალა შემოწმებულია ცნობილი პუშკინისტების მიერ.

• ცნობილია და გამოკვლეული აგრეთვე, თუ რა სულიერი განწყობილებისა იყო 1829 წელს დიდი პოეტი. რა სახელი ჰქონდა საზოგადოებაში, რა დამოკიდებულება მთავრობასთან.

ამ დროინდელ საქართველოს მდგომარეობაც ცნობილია ისტორიული დოკუმენტებით. ვინაობა მაშინდელი მოწინააღმდეგებისა საქართველოში. ეკონომიურ-სოციალური გარემოება ქვეყნისა, პოლიტიკური ვითარება და კულტურული ავლა-დიდება.

ასე რომ ჩემი ფანტაზიისა ძალიან ნაცლები რამე ახლავს წინამდებარე ნაწარმოებს.

ის კი არა, თვით სიტყვებიც მოქმედ პირთა (პუშკინის ხომ) უმეტესად ამოკრფილია სხვადასხვა ისტორიულ წყაროდან.

ამ პიესაში მე თვით ფარაჩოღელ ლოპიანსაც თითქმის ჩემი სიტყვებით არ ვაღაპარავებ, არამედ ვრ. ორბელიანის ლექსები და ნათქვამები მიეცი წარმონათქმე-

ლად, და თვით ბაზრის ხალხის წარმოდგენის დროს მათ საუკეთესო მხატვარს, არტემ ახნაზაროვს ეხმარებოდა თავისი ცნობილი სკენები.

უზველ არის მოტანილი თვით პუშკინისა და სხვთა ლექსებიც, რადგან, ჩემის დიქტიო, შეუძლებელი იყო პუშკინის ჩვენს მიერ სკენებზე დაწერა ასეთი ჩქვერომიანი ჩარჩო არა პქონოდა.

და, მე მგონი, ეს ჩქვეროთმა თუ მუროდახილი უმართებულად და უაღრესად ალაგან, „მოპიზეზებით“ არ არის ჩაზხირული.

მოთავარი: რა მინდოდა შეთქვა ამ პიესით, რადგან ეს არ არის მარტო საზეიმოდ დაწერილი, — მაინცდამაინც მე ასე მგონია.

ეს მკითხველმა გაიგოს და მკურებელმა განსაჯოს.

აი მკურებელი!

მისთვის პიესა დიდი გამოვიდა. „ერთ ღამეს არ დაიდგმებაო,“ — მეზუმრებიან მეგობრები და სამართლანად.

მაგრამ სკენას ზომ თავისი კანონები აქვს.

პიესა წასაკითხავად კი არ იწერება, უფრო სკენაზე წარმოსადგენადო.

გაგრცელებულია ასეთი მოსაზრება.

ამას აქ არ გამოუდგები, მხოლოდ...

მოშეტვოს, რომ წერის დროს გენიოს კაცთან უკუენამ მომხაბლა და კოტა მეტი დაეყოფნე.

ლიტერატურულად კი ვერ ვეღვი სრულად არ წარმოვადგინო ის, რაც შეეკმენი მოვიგონოთ ლათინური: გაგაკეთე ის, რისი გაკეთებაც შეეძლო, სხვებმა ინიზონ და უკეთ გააკეთონ.

მოკმედი

პუშკინი

დარია ბეგთაბეგოვისა.

დიდი კნეინა, მისი დედამთილი.

პეტო ბეგთაბეგოვი, მისივე მახლი, გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელე.

გამდელი ამათი ოჯახისა.

პირიშწისა, ამაცე ოჯახის მოახლე.

თულუხნიევი, სოედაგარი.

ცოლი

ქალი თულუხნიევისა.

ბეროზაშვილი, ამათი ოჯახის შოკეთე.

იოსება-დალაქი, თულუხნიევის სიმაზრი.

სტრეკალოვი, ტფილისის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი.

ზავილეისკი, ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორი.

შესლინგი, კანცელარიის მმართველი.

ვალხოვსკი, სამხედრო ტოფოგრაფი.

სანკოვსკი, საგანგებო საქმეთა მოხელე და რუსული გაზეთის რედაქტორი.

გაგრილოვი, უმკროსი საგანგებო საქმეთა მოხელე.
 იაგულოვი, დუშეთის „გოროდნიჩი“.
 სასამართლოს ბოქაული.
 ალექსანდრე ჭავჭავაძე.
 ელიზბარ ერისთავი.
 სოლომონ დოდაშვილი.
 ყაფლან ორბელიანი.
 აგამემონ გურიელი.



დადიანი. }
 აბაკოვი } ოფიცრები.
 კარაიანი }
 ხანფონკოვი. }

დუროვი.
 გრაფი კარვიცი, დასჯილი, გაჯარისკაცებული.
 ვილაც ინტელიგენტი.

მედუქნე.
 ლოპიანა, ყარაჩოხელი.

ხოფიო }
 ბაბუცო } ახალგაზრდა ქალები.

მოხუცი მსახური, ინვალიდი.

მესტირე.

ლიანგში: სამი კნენა, ორი გოგონა, პატარა ბიჭები, ბაზრის ხალხი, ჯარისკაცები, პოლიციელები, ორივე სქესის მოქალაქენი და სხვანი.
 მოქმედება სწარმოებს 1829 წლის ზაფხულში (მაისის 27-დან ივნისის 10-მდე, აგვისტოს 1-დან 6-მდე).

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

ტფილისის სამხედრო გუბერნატორის გენერალ სტრეკალოვის კაბინეტი. კაბინეტში იმყოფებიან: სტრეკალოვი, ზაფილეისკი, ვალხოვსკი, ჰესლინგი და „კორდინარეტი“ კარებთან.

სტრეკალოვი. გამიჭირეს საქმე ამ დეკაბრისტებმა. საკვირველია, რას ფიქრობს პეტერბურგი, როდესაც კავკასიაში ამდენს ჰგზავნის.

ზაფილეისკი. მერე რა დაშავდა, თქვენო აღმატებულეზე? დეკაბრისტებმა დიდად ისახელეს თავი: არა თუ აფიცრებმა, არამედ თვით უბრალო ჯარისკაცებმაც კი. ხომ გახსოვთ, მოსკოვისა და ვრუნაღერის პოლკებიდან შედგენილმა ორმა ბატალიონმა როგორ გაიმარჯვა.

აილო ერევანი, შემდეგ გაემართა დიღომისა და თავერის და მხოლოდ თურქმენჩაის ზავის გამო შარშან თელისნა დაბრუნდა უმაღლესის ნებართვით ისევ პეტერბურგში.

სტრეკალოვი. ეს სრული სიმართლეა, დიდად გვასახებენ, ვეგ ჯარი იყო მაინცდამაინც დისციპლინას მიჩვეული და ომის დროს მას როგორ მოიქცეოდა... მხოლოდ საზიფათოა, როდესაც ნასწავლ, ყოფილ აფიცრებს, საშინაო რწმენით გატლენთილებს გვიგზავნიან...
ვალხოვსკი. რომელ რწმენაზე ბრძანებთ? განა მათ არ დაიმსახურეს სრული ნდობა თავისი საქციელით?

სტრეკალოვი. თქვენ, ბატონო ჩემო, მეტად ღმობიერი კაცი ბრძანდებით...

ვალხოვსკი. ჩემი ღმობიერება რა შუაშია! აიღეთ თუნდაც ბურცევი...

სტრეკალოვი. ოო, ეგ შთლად დეკაბრისტი, არ არის, თანამგრძნობია მხოლოდ.

ზავილეისკი. ჩვენ ამ თანამგრძნობებსაც ექვის თვალით ვუყურებთ...

ვალხოვსკი. ჰო და მეც სწორედ იმას მოვახსენებ გენერალ-გუბერნატორს, დროა დეკაბრისტებზე და მით უფრო თანამგრძნობებზე აზრი შევიცვალოთ, გული გაულოთ, რადგან მათ არა ერთხელ დაამტკიცეს ხელმწიფისა და სამშობლოს ერთგულება.

სტრეკალოვი. მართალი ბრძანებაა... და განა ჩვენ ასეთებს ცუდად ვეპყრობით? სწორედ ეგ ბურცევი ამ ომში პოლკის უფროსია და გენერლის ჩინი აქვს. კაპიტანი ისერიცკი შტაბის აღიუტანტია...

შესლინგი. ღირსნიც არიან, რადგან გმირობას იჩენენ. აი ეხლაც, ახალციხესთან ფოკი სამჯერ დაქრილა, პუშჩინს მკერდში ტყვია აქვს მოხვედრილი.

ზავილეისკი. მე მგონი, თამამად უნდა ითქვას, რომ დეკაბრისტებმა ნდობა უკვე დაიმსახურეს და თუ რამ გმირული გაკეთდა ამ ომებში სპარსეთთან და თურქეთთან, ეს მეტწილად დეკაბრისტების საქმეა.

სტრეკალოვი. ფაქტებს არ უარცყოფ, მაგრამ სიფრთხილე... მაინც, მგონი, მუდამ კარგი მრჩეველია და აი აგერ წინ მიძევს ქალაქი... კიდევ გვიგზავნიან მეტად თვალსაჩინო დეკაბრისტებს: გრაფ ჩერნიშევს, ბრწყინვალე კავალერგრადაის პოლკის როტმისტრს...

ვალხოვსკი. ოჰ, ეს ის უნდა იყოს, დიდი მამულისა და მიწა-წყლის პატრონი.

სტრეკალოვი. (კითხულობს). „თავადი გოლიცინი, კამერ-იუნკერი; ბერსტელი, არტილერიის მეცხრე ბრიგადის მეორე ბატარეის მეთაური; ტოლსტოი, მოსკოვის ქვეითა პოლკის აფიცერი და იმავე პოლკის აფიცერი ალ. ალ. ბესტუჟევი, რომელიც დანიშნულია ქართული რეგულიარული მეთე პოლკის უბრალო ჯარისკაცად.“



წავიღებისკი. ეგ რომელი ბესტუეეია, მწერალი ხომ არა?

მესლინგი. დიად, მარინსკის ფსევდონიმით რომ სწერს.

ვალხოვსკი. ბესტუეეების ხუთმთავანი, ხუთივე დასჯერა მესამე კარგად. ალექსანდრ ალექსანდროვიჩ... ეს ერთ დროს მხატვარი და მომხიბლავი ადიუტანტი ვინტენ-ბერგის ჰერცოგისა და კანონმდებელი ჩვენი მხატვრული ლიტერატურისა და კრიტიკისა.

სტრეკალოვი. მეც ეგ მაწუხებს, რომ იცნობთ და — მომიტევეთ... მაგრამ არ გირჩევდით ამ ნაცნობობის განახლებას.

ვალხოვსკი (იფეთქებს). თქვენო აღმატებულებაე! სააწუხნაროდ, თქვენ ჩემი ისეთი მახლობელი მეგობარი არ ბრძანდებით, რომ თქვენგან რჩევა მივიღო, ჩემი პირდაპირი და უშუალო უფროსი კი ამიურკავკასიის მთავარმმართველია, ამჟამად გრაფი პასკევიჩი.

სტრეკალოვი. მე თქვენთვის საწყენად არ მომიხსენებია, მხოლოდ, როგორც ტფილისის სამხედრო გუბერნატორს, მგონი, მაქვს უფლება...

ვალხოვსკი. მე თქვენ უფლებას არ ვებები... (წავიღვისკი ვალხოვსკის ანიშნებს დამშვიდებას) მხოლოდ ჩემს საქციელში თვით ვაგებ პასუხს.

წავიღვისკი. არა ღირს ამ საკითხის გამწვავება...

სტრეკალოვი. მე არ ვამწვავებ, მხოლოდ აი გენერალ-მაიორ რაევსკის შუამდგომლობა აღუძრავს მთავარმართველის წინაშე ერთი ასეთი შენიშნული პიროვნების შესახებ. ის დეკაბრისტი არ არის მაგრამ უფრო უარესი: დასჯილია, როგორც პოლონეთის საიდუმლო საზოგადოების წევრი — გრაფი სტანისლავ სტანისლავის ძე კარვიცი.

წავიღვისკი. ოჰ, სამოცი წლის მოხუცი...

სტრეკალოვი. თქვენ საიდან იცნობთ?

წავიღვისკი. რაევსკის პოლკში მსახურებს ჯარისკაცად, მაგრამ, როგორც მეტად თვალსაჩინო პიროვნება, მიღებულია ჩვენს საზოგადოებაში.

სტრეკალოვი. და აი სწორედ ეგ მაწუხებს: თქვენ, რუსის არმიის აფიცერი განათლებული ტოპოგრაფი და თქვენც, ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორი ხელს ართმევთ, ნაცნობობას არ თაკილობთ უბრალო ჯარისკაცისას, რა ვუყოთ, რომ გრაფის წოდებისაა, ის ხომ დასჯილია, გაჯარისკაცებული! არა, ბატონებო, ვერ მოვიწონებთ ესეთ საქციელს, ეს რომ უმაღლესმა მთავრობამ შეიტყოს...

ვალხოვსკი. უმაღლესმა მთავრობამ იცის, როგორც ცხოვრობენ ზოგიერთი დეკაბრისტი მაინც და არას ამბობს. იცის, რომ ისინი საზოგადოებაში მიღებულნი არიან, რომ თავს იყრიან ხან ერთგან, ხან მეორეგან, ამხანაგებში ხომ სულ ერთად ატარებენ დროს. ჰადრაკი, ქალაქის თამაში, ანეგდოტები, ზოგჯერ ლიტერატურული საღა-

მოებიც, აი მათი გართობა. ყველაფერი ეს იცის უმაღლესმა მთავრობამ...

სტრეკალ. პო და თქვენ კიდევ იყვედრებით, უნდა მოხსრობითო. ხომ ხედავთ, უმაღლესი მთავრობა ღმობიერად უსწავლიდა, არ უშლის ასეთ თავისუფალ ცხოვრებასაც. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მეტის-მეტი არაფერი არ ვარგა! ერთი მეორეში, თუნდა კარგი, თავი მოიყარონ და გაერთონ, მხოლოდ ოჯახებში რომ დადიან და თქვენისთანა მაღალი მდგომარეობის პირებთანაც რომ ნაცნობობა და ურთიერთობა აქვთ, ეს აუცილებლად შესაწყენარებელი არ არის. მე შითხრეს, რომ ქართველი არისტოკრატია დიდად ეტანება მათ ნაცნობობას და აი ნაყოფი თქვენის ღმობიერის მოპყრობისა, ბატონებო!... განა შეიძლება განაპირა ქვეყანაში, ისიც საქართველოში, რომელიც ჯერ კიდევ ხეირიანად დაპყრობილი არ არის და თვით წარმოადგენს ასაფეთქებელ მასალას ესეთი საეჭვო ხალხი დაუახლოვოთ?! აქ კი გენერალ-მაიორ რაევსკის თქვენის მოხსენებით შუამდგომლობა აღუძრავს, რომ გრაფი კარვიცკი კახეთიდან ტფილისში ჩამოვიდეს?..

ვალხოვ. დიაღ, შუამდგომლობა აღიძრა, რადგან კარვიცკი დაავადმყოფდა. ალაზნის პირად დგას მათი ნაწილი და მაღარიამ სულერთიან ხელი ჩასჭიდა... იქ არ გაეძღვებინება... ამიტომ ვშუამდგომლობთ — ტფილისს იქნას გადმოყვანილი.

სტრეკ. მერე, გრაფ პასკევიჩმა რა გიპასუხათ?

ვალხოვ. აი რა გვიპასუხა (ქალაღმდგმადს გადასცემს), ნება დაგვართო და მეც უკვე ჩამოვაყვანინე. ეხლა თქვენთან სწორედ იმისთვის გიახელით, რომ...

სტრეკ. საკვირველია სწორედ!.. მე სულ სხვა განკარგულებანი მომძის გრაფისაგან და... თქვენ კი ამეების ნებართვას გაძღვეთ...

ადიუტანტი

ადიუტანტი. თავადი ალექსანდრე ქავეკავაძე თხოულობს თქვენს ნახვას.

წავილ. აჰა, დიდი ხანია არ მინახავს... უთუოდ დიდად შეწუხებული იქნება, რა დიდი უბედურება დაატყდა თავს...

ვალხოვ. ამბობენ, მაგისი ქალი ამ უბედურებას ვერ გადაურჩებო.

წავილ. დიდი დანაკარგია, დიდი...

სტრეკალ. და არა მარტო მაგის ოჯახისთვის, ჩვენთვის, მთელი რუსეთისათვის.

შესლინგი. გრიბოედოვის სახით დიდი მწერალი მოაკლდა ჩვენს სინამდვილეს.

სტრეკალ. მწერალი?.. პო, მგონი აქვს რალაც კომედია, მაგრამ, გრიბოედოვი ამიტომ კი არ არის ჩვენთვის დიდი: ის იყო დიდი პოლიტიკური მოღვაწე, დიდი დიპლომატი და რომ დასცლოდა, სრუ-

ლად შესცვლიდა ირანთან და საერთოდ აღმოსავლეთთან ჩვენს დამოკიდებულებას...

ვალხოვ. (ღიმილით). გრიბოედოვიც ხომ ერთ დროს, დეკაბრისტე იყო...
სტრეკალ. (არ მოელოდა. თავს შეიკავებს. აღიუტანდა). ჩვენთვის თავდას...

ალექსანდრე ვაეკვაძე (ჩოხით, გენერალ-მაიორის ჩინით)

სტრეკალ. მომიტევეთ, თავადო, რომ ამდენ ხანს გალოდინეთ, მაგრამ ცოტა რამ თათბირი გეჭონდა. გთხოვთ დაბრძანდეთ.

ალექსანდრე (ჯდება). მხოლოდ დღეს დავბრუნდი ჩემი სოფლიდან, ვერ ვაძებელ იქ, რადგან დანამდვილებით ვერაფერი გავიგე — გამოასვენეს ჩვენი ელჩი ირანიდან, არ გამოასვენეს... ჩემს ოჯახში დიდი უბედურებაა: სიძის სიკვდილი ვერ მომინებია. ეხლა, როგორც ვატყობ, ნამდვილად დამელუბება საცოდავი ნინაც...

ზავილ. ჯერ არ უნდა გაგემზილათ, თავადო...

ალექსანდრე. სადამდის... თუმცა მართლა არ უშხელდნენ, რადგან ფეხმძიმედ არის და ძალიან ვუფრთხილდებოდით, მაგრამ ამ დღეებში ჩვენთან შემოსულა პასკევიჩის მეუღლე...

ვალხოვ. უკაცრავად, პასკევიჩის მეუღლე განსვენებული გრიბოედოვის ბიძაშვილი არ არის?

ალექსანდრე. დიახ... დიდი მეგობარია ჩვენი... მოსულა, იქითური, აქეთური, ჩამოვარდნილა ლაპარაკი ალექსანდრ სერგეიჩზე და წამოსცდენია რა უბედურებაც დაგვემართა.

შესლინგი. დიდი უტაქტობა მოსვლია გრაფის მეუღლეს...

ალექსანდრე. შემდეგ თვითონაც შეჩერებულა, მაგრამ რაღა დროს... ახლა სწორედ იმისთვის გვახელის, როგორმე გავიგო, სად იმყოფება ახლა ცხედარი, აქ როდის უნდა მოველოდეთ, მთავრობა როგორ ფიქრობს მის შეხვედრას... და თუ ჯერ არაფერი ზომებია მიღებული, მაშინ ნება მომეცეს, რომ მე, როგორც უახლოესმა კირის-უფალმა, ვიზრუნო მიცვალებულზე.

სტრეკალ. გასაგებია თქვენი აღუღლები, თავადო, მაგრამ ძალიან კარგია, რომ უკვე აქ იმყოფებით, რადგანაც სწორედ მეორე დღეა, წერილი მივიღე სწორეთ ამ საგანზე გრაფ პასკევიჩისა... (**შესლინგს**) გთხოვთ უბრძანოთ, რომ გრაფის მომართვა ამა წლის მაისის 21-ის თარიღით განსვენებული გრიბოედოვის შესახებ მომიტანონ. (**შესლინგი ვადის**). რომ არ მოსულიყავით, ცხადია, მაინც გაცნობებდით ამბის ვარემოებას თქვენცა და თქვენს ოჯახსაც, მაგრამ რაკი აქ ბრძანდებით, ეს უმჯობესია. საქმე კი ესე გახლავთ: ირანიდან, ეს თქვენც უკვე იცით, ცხედარი გამოსვენებულია...

ალექს. დანამდვილებით არა...

სტრეკ. დიახ, ეს დადასტურდა, ჯერ კიდევ თებერვლის თვეში მკვლელობა იანვრის 30-ს მოხდა, ორი კვირის შემდეგ კი ცნობილი მანუჩარ-ხანის ინიციატივით ცხედარი გამოასვენეს ცენტრშიდან. აპრილში უკვე თავიზამდე მოულწევიით და დასაწყისისთვის უკვე ჩვენს საზღვრებზე იყვნენ გადმოსულნი. ამაზე ჩვენი გენერალური კონსული ირანში ბ-ნი პამპურგერი იწერებოდა, რომ მაისის 1-ლი, რომელსაც მუდამ მოაქვს სიხარული და მზიარულეობა, ჩვენთვის იყო დღე მწუხარებისა და სევდისა; ამ დღეს, როგორც იქნა, ცხედარი ჩვენი რწმუნებული მინისტრისა ირანში გადმოსვენებულ იქნა არაქსის გადმოღმავ, ე. ი. უკვე ჩვენს საზღვრებში. ამჟამად ცხედარს, მოასვენებენ ერმიადინით გუმბრში და შემდეგ წამოვლენ ტფილისისაკენ. ცხედარს თან ახლავს, სულ ტფილისამდე, ტფილისის ქვეითა პოლკის პრაპორშჩიკი მაკაროვი და ჯალალოღლამდე ჩვენი ჯარის ერთი კომანდა. (შესლინვა ქალაქი მოუტანა). აჰა... გუმბრში, ცხადია, კარგახანს გააჩერებენ, კარანტინია... გეკოდინებათ, რომ იმ არემატეში ეხლა შავი ჭირი მძვინვარებს.

ალექს. როგორა ფიქრობთ, აქ საროდისოთ უნდა ველოდოთ?

სტრეკ. ძნელი სათქმელია... დღეს ხომ მაისის 27-ია?

ალექს. დიად.

სტრეკ. არ ვიცი, კარანტინი რამდენს დაავგიანებს.

ზავილ. ასე, ერთ თვემდე.

სტრეკ. დიად, მე მგონია... არა უგვიანეს ივლისის თვისა... გრაფი პასკევიჩი კი აი რასა მწერს (კითხულობს): „ეანდობ თქვენს აღმატებულებას, მოახდინოს განკარგულება, რომ, როგორც კი ტფილისს ჩამოასვენებენ რწმუნებულ მინისტრის სტატსკი სოვეტნიკის გრიბოედოვის ცხედარს, ქალაქში შემოსვლისთანავე მოუწყოთ ისეთი შეხვედრა, როგორც შეეფერება განსვენებულის ხარისხსა და თანამდებობას და აგრეთვე შესაფერისის პატივისცემით დამარხოთ ტფილისშივე წმ. დავითის ეკლესიაში, რადგანაც განსვენებულს არა ერთხელ გამოუთქვამს სურვილი, რომ იქ დამარხულიყო“...

ალექს. ოჰ, ამ უებღურების ეამს უს დიდი ნუგეშია. ჩემი ქალიც სულ მთაწმინდაზე გაჰკვივის: დამარხვით მაინც იქ დაემარხოთო.

სტრეკ. (კითხ.) „მთაწმინდაზე დამარხვის ნებართვისათვის კი ამასთანავე ვწერ წერილს საქართველოს ეგზარხოსს, მიტროპოლიტ იონას“...

ალექს. გმადლობთ, დიდად გმადლობთ. ეხლა ყოველივე გამორკვეულია. მაშ მიცვალებულს უკვე მოასვენებენ და ივლისის თვეში უნდა მოველოდეთ კიდევ მის ტფილისში მოსვენებას. ამან შეიძლება ცოტაოდნად მაინც დაამშვიდოს სასოწარკვეთილი ჩემი ნინა...

სტრეც. გადაეცით, თქვენო ბრწყინვალეებაე, თქვენ ჭაღბ, რომ მისი მწუხარება არ არის მართო მისი მწუხარება. ამას იზიარებს მთელი შეგნებული რუსეთი, დაწყებული მისი უდიდებულად და გათავებული უბრალო ინტელიგენტით. რომ მანქანა და მათი მთელი კმარი და მეგობარი, ჩვენ კი ყველამ, მთელმა სახელმწიფომ, დაეკარგეთ უდიდესად მაღალ-ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე.

ალექს. განა არა იცის, თქვენო აღმატებულებაე! უგუნური არ არის ჩემი ჭალი მაგრამ გამეხებულ გულს რა ნუგეში მოაღბობს... გმადლობთ, დიდად გმადლობთ! (დგება).

სტრეც. უკაცრავად, თავადო, ცოტა ხანს უნდა დამიცადოთ. მინდა ვისარგებლო თქვენის აქ ყოფნით და რჩევა გკითხოთ ურთ საგანზე (ალექსანდრე ჯდება) საქმე სწორედ თქვენი სიძის მიერ არის დაწყებული და აქამდე კიდევ ვერ დასრულდა. ეს გახლავთ ირანიდან კავკასიაში 40,000 სომხის ოჯახის გადმოსახლების საკითხი.

ალექს. როდესაც მე სომხეთის გამგებელი ვიყავი, მათი ნაწილი დავსახლე კიდევ ურევანსა და საერთოდ სასომხეთში?

სტრეც. დიად. მაგრამ შემდეგ თქვენ მოგესხენებათ როგორ გაჭიანურდა ეს საქმე. ჯერ კიდევ 1827 წ. დაიწყო ამაზე სპარსეთთან მოლაპარაკება. პროექტი პასკევიჩის ინიციატივით თვით გრიბოედოვმა შეადგინა, მაგრამ პირუელ ხანებში სპარსეთის მთავრობა მეტად ჯანჯლობდა. შემდეგ, როგორც იყო, დავითანხმეთ, მაგრამ დიდძალი სომხობა მაინც ჯერ კიდევ განიცდის დიდ გაჭირვებას, ჯერ ერთი, არ არის ნამდვილად გამოორკვეული ადგილი მათი სამუდამო მოსახლეობისა. იქ კი, სადაც ამჟამად იმყოფებიან, დიდ შიმშილს და შევიწროვებას განიცდიან.

ალექს. მაშ ეხლა რას ფიქრობთ?

სტრეც. ვგონებ ურიგო არ იქნება, რომ ეხლახან აღებულ ახალციხისა და ახალქალაქის მიდამოებში მიუერთნოთ მათ მუდმივი სამოსახლო ადგილი. აგრეც მოეახსენე ჩვენს მთავარმარეთებელს.

ალექს. მერმე ხელს რა ვიშლით?

სტრეც. არა, ხელს არაფერი, მხოლოდ... საქართველოს თავად-აზნაურობაში გაისპის ბუზლუნი და საყვედური, რომ ახალციხე და მისი მიდამო, ეს ძველი საქართველოა, ქართველთა საბინადრო, სამეცვედრო და... აჲ თავადმა ალექსანდრე ორბელიანმა, თქვენი მეფის, ერეკლეს შვილი-შვილმა, იმ დღეს ურთი ამბავი დაბაწია: რა უნდათ სომხებს საქართველოში, დაასახლეთ სომხეთშიო.

ალექს. მერმე რა?

სტრეც. მერმე ის, რომ საერთოდ საქართველოს თავად-აზნაურობა სიტუაცილით ეპყრობა სომხეთის ხალხს.

ალექს. არა, თქვენო აღმატებულებავ! სომხეთის ხალხი სრულყოფილი, ეს მოკოროილი ამბავია. სომხეთის ხალხი, მშრომელი, მოქირანაულე, აბა რათ უნდა გვძულდეს ჩვენი?! ეს შთაბეჭდილება უთუოდ იმან შექმნა, რომ ზოგიერთი ჩვენი თავადი მტვერს აქაურო სომეხ-ვაკრებისა: სესხულობენ ფულს, დალოცვილები, და რომ ვერ იხდიან, მათი მამა-პაპეული სომხების ხელში გადადის. ამაზე არიან გაჯავრებული, და, მე რომ მკითხოთ, უსამართლოდაც ჯავრობენ... მათივე ბრალია, ჩვენი თავადებისა: იყარათონ, კარგა მოუარონ მამულს, ყმებს და აღარც სესხისა და ვალის აღება დასჭირდებათ... ეს არის პირადი გაჯავრება ზოგიერთ სომეხზე, თორემ ხალხი რა შეაშია, რას ბრძანებთ!

სტრეც. თქვენმა ბრწყინვალეობამ მეტად შეარბილა მწვავე საკითხი. ა, რას იტყვი ბატონებო?

ალექს. არა, მე სრულიად გულწრფელად...

სტრეც. მაინც ახალციხეში გადმოსახლებაზე. რას ბრძანებთ?

ალექს. (პაუზის შემდეგ) გადმოსახლებაზე... მე მგონი, ურიგო არ იქნებოდა — მოგეწეიათ ფართო თათბირი. ყოფილიყენენ სომხების წარმომადგენლებიც, აი, მაგალითად არლუთაშვილი-მხარგრძელი...

სტრეც. ეს ჩვენი გმირი გენერალი?

ალექს. დიალ... გენერალივე, მადათოვი, სოვდაგარი თამამშევი და სხვანი. მოგეწეიათ ახალციხიდანაც, ესრეთ წოდებული „ქუის საკითხავი კაცები“, ჩვენებიც ქართველობიდან და აქედან გამოიტანდით ერთგვარ საბოლოო აზრს.

სტრეც. გამაღობთ, ეგ ქუაზე ახლოა. მივწერ მთავარმართებელს — მაგრამ, უკაცრავად, ჯერ კიდევ არ გაგიშვებთ, უხლა გამახსენდა და მინდა გაგიზიაროთ. (ვალხოვსკის). ეს *იქვენც უნდა იცოდეთ. ბატონ ზავეილისკის კი თითონ მართებს ზომების მიღება... (შესლინგს) გეთაყვა, მომიტანეთ ქალაქი ამა წლის მაისის 12-ის თარიღით, ვეც ვრაფ პასკევიჩის გამოგზავნილია... ჩვენს განთქმულ პოეტს პუშკინს შეეხება. (შესლინგი გავიდა. ორდინარეცს) მართლა, დამიძახეთ აქ ჩემს საგანგებო საქმეთა მოხელეებს, გავკრილოვს და თავად ბეგთაბეგოვს. (ორდინარეცი გადის).

ვალხოვ. პუშკინს? რაო, მოხდა რამე?

სტრეც. (შეაჩერდება, პაუზა). რა უნდა მომხდარიყო? მოდის.

ალექს. მოდის? აქ, ჩვენში, საქართველოში? დიდად გასახარელია... ჩემი პირადი მეგობარია... თუ არ დავავიწყდი...

ზავილ. ეს უთუოდ პეტერბურგიდან...

ალექს. დიალ... ის ლიცეიში სწავლობდა, მე ლეიბ-გუსართა პოლკში ვმსახურებდი, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, დავმეგობრდით კიდევ... ცოტათი მეც მიყვარს პოეზია და...

ზავილ. ცოტათი კი არა, მახსოვს, განსვენებული გრიბოდორი ამბობდა, რომ ჩემი სიშამრი საქართველოს საუკეთესო პოეტი იყო.

ალექს. (ამოიხრება). ვუყვარდი განსვენებულს... **ერკენული**
ვალხოვ. მაშ პუშკინი მოდის? ნამდვილია? **ნიგლინიძე**

ზავილ. აკი ჩვენი სანკოვსკი თავის „Тифлисские ведомости“-ში სწერდა ამას წინათ, რომ გულის ფანჯალით მოველოდით ჩვენს საუკეთესო პოეტს საქართველოში, მაგრამ რუსეთიდან უკანასკნელად მიღებული მაწიწებმა წერბრებმა იმედი გავვიცრუაო.

სტრეც. დიაღ, ეგრე იყო. პეტერბურგიდან გენერალ ბენკენდორფის დაუკითხავად არ უნდა დაძრულიყო, მაგრამ წამოსულა და ეხლა ნებადაურთველად მოდის.

გავრილოვი ქალაღლით და ორდინარეცი.

აჰა, ის ქალაღლია? თავადი ბეგთაბეგოვი?

გავრილოვი. აქ არ გახლდათ. კაცი გავგზავნე სასწრაფოდ მრნახოს.

სტრეც. ძალიან კარგდ. და აი, ბატონებო, მე ამ საიდუმლო მოწერილობას საიდუმლოდ ვიკითხავთ თქვენ: ჯერ ერთი, სამოქალაქო გუბერნატორს ეს პირდაპირ შეეხება, თქვენ კი (ვალხოვსკის), როგორც პუშკინის პირადმა მეგობარმა და ახლო ნაცნობმა, უნდა იცოდეთ ამ მოწერილობის შინაარსი. თქვენა, თავადო, განდობთ ამ საიდუმლოებას, როგორც საქართველოს წარჩინებული ოჯახის პატრონს, მოწინავე კაცს და მთავრობის სრული ნდობით აღჭურვილ პიროვნებას. აი რას მწერს პასკევიჩი: „ცნობილი მოღელქსე, სამსახურ-გარეშე მყოფი, მეათე კლასის ჩინოვნიკი ალექსანდრე პუშკინი მარტის თვეში გამოემგზავრა სანკტპეტერბურგიდან ტფილისს და რაკი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებით მას უნდა საიდუმლოდ თვალყური ედევნოს, ამისათვის ვთხოვთ, საქართველოში ჩამოსვლისას განკარგულემა მოაზღინოთ, რომ ესე ვითარი შესრულდეს.“

ალექს. სამწუხარო ამბავია, მხოლოდ ეს ხელს არ შეუშლის, რომ ტფილისის მოწინავე საზოგადოება მას ღირსეულად შეხვდეს...

ვალხოვ. რას ამბობთ, პუშკინი? ეს ხომ ჩვენი სიამაყეა, ჩვენი ღიღება!

ალექს. მე იმს ვწუხვარ, რომ ჩემი ოჯახის უბედურება ხელს შემიშლის ჩემს ოჯახში მივიღო, როგორც შეეფერება, თორემ პუშკინის მოსვლა ყველა ჩვენთვის დილაღ საზეიმოა.

სტრეც. არა, მე არ ვამბობ არ მიიღოთ და პატივი არა სცეთ, მხოლოდ გადამეტებული არა უნდა იქნას რა... საცაა გაჩნდება უთუოდ...

ვალხოვ. პო, მარტში გამოსულა, მაისში მაინც აქ უნდა იყოს...

სტრეც. დიაღ, მე მხოლოდ გაგაფრთხილეთ, რადგან თქვენ ყველანი დიდის ნდობით ბრძანდებით აღჭურვილნი.

აბამიმონი ბშირელი, თან მოსდევს ადიშტანში. შემოდის
ლაპარაკით, ჩაქუჩით, მორთული, შეიარაღებული. კარი ღია რჩება.

აგამემ. ღმერთო მომკალი, გურიის მთავარს გუბერნატორს არ მი-
შეებენ?

ნიკოლოზი

სტრეკ. (წამოიჭრება). რა ამბავია? რა იყო?

აგამემ. მე გახლავარ, გუბერნატორი, ჩამომავალი მთავრის გურიის, ჩაქე-
აქარისა! ვვავარ მას, მარა არვინ მამთავრა...

სტრეკ. რა იყო? რა გნებავთ? რამ ავალღვით?

აგამემ. მოდი და ნუ აღელდები! სამართალი ვერ ვიპოვე, ბიძია!

სტრეკ. დამშვიდდით, დაბრძანდით! უკაცრავად, თქვენი სახელი?

აგამემ. აგამემონი გურიელი, ბატონო!

სტრეკ. რისთვის გარჯილხართ, რა გნებავთ?

აგამემ. სამართალი ვერ ვნახე-მეთქი ვერც გურიასა და ვერც იმერეთში.
ვიყავი იქ, ქუთაისის სულა ი რასპრავაში, მაგრამ ვერაფერი გამო-
ვიტანე.

სტრეკ. რაზედ ჩიოდით?

აგამემ. მამული, ბატონო... მამულს შედავება ვილაცხ თქვენი ჩინოვნი-
კი, სახელმწიფო მამულია, სახაზინო გლეხების არიო... გლეხები,
ბატონო, ჩვენში ჩემი იყო, ვინ მისცა ხაზინას... ოცდაჩვიდმეტი
ათასი ქვევა მაქვს, ბატონო, გურიაში... ათასი სული მყავს... (ზა-
ვილიესკის) გესმის, რუსო?

სტრეკ. (აღექსანდრეს) ორიგინალი ვინმე კი უნდა იყოს...

აღექს. ოო, გურიელები უცნაური ხალხია...

აგამემ. მე მამა ჩემს ვემღუროდი, ბატონო, მამული გამინიავა, ყმები
გამითავისუფლა, სამემკვიდრეო აღარ შემარჩინა... ერთ დღეს გავ-
კუჭდი და მოვკალი...

აღექს. ვინა? მამა?

აგამემ. აბა, ყმაწვილო... შემომაკლა თავი... მეტად მაწყენინა...

ამასობაში ღია კარებიდან შემრძვრება თულუხჩიევი და შეჩერდება.

აღექს. კარგი, მაგრამ... მამის მოკვლა!..

აგამემ. მამის მკვლეელი შეჩვენებულია, მაგრამ იგი რა მამა იყო.. მეტი
უკადრებოდა ჩემგან.

აღექს. მეტი რა? მოგიკლავს. შე წყეულო, და სხვა რაღას უზამდი?! მა-
მის მოკვლას ვინ გაპატიებს.

აგამემ. პატიება რათ მინდა? სამართალს ვეძებ, ბატონო!.. ახლა მამულს
ვილაცხ თქვენი ჩინოვნიკი შედავება... სახაზინოაო... მოკვლავ ყა-
ზილარს!

სტრეკ. (დაინახა თულუხჩიევი) ოჰ. შენ აქ რა გინდა? საიდან გაჩნდი?
(წამოღვება, მიდის მასთან. ადიუტანტს) რა ამბავია? როგორ უწყ-
სოდ შემოდის ხალხი, დაკეტეთ კარები!

თულუხჩიევი: ეა, საიდან გაეჩნდი რომელია? მე კაცი არ ვარ, ვაშე პრეფოსხოდიტელსტეო! აკი შენი არ დამრთე ნება: ეო, კაიკოე ვრე-
მია დნია ი ნოჩი მოდი ზოლმეო. მეც უხლა ისევე ვეცხვარ, ვა-
შე პრეფოსხოდიტელსტეო. მაგრამ შენ ხანიატმამაქცეცეცეც მხე-
ცი შემოგიშვია?

სტრეკ. დასწყევლოს ეშმაკმა! დამთხვეულია ვილაცა... მამა მოუკლავს
და ჩემთან მოდის... (განაგრძობს თულუხჩიევთან ლაპარაკს).

ალექს. (აგამეშნონს) მემრე და მამის მოკელისათვის არ დავსაჯეს?

აგამემ. ვინც დასასჯელი იყო, იგი დაისაჯა და მე რას მერჩოდნენ?..

ალექს. მაინც არ დაგიჭირეს?

აგამემ. არა, შევატყე, იმერეთის უფროსს კი უნდოდა ჩემი დაჭერა. პირ-
ველ დღეს არაფერი მითხრა და მეორე დღეს დამიბარა... მივხე-
დი სასიკეთოდ არ დამიბარებდა და აბდალი კი არა ვარ... ესდურ-
თე აქეთ... სამართალს ვეძებ, ბატონო...

სტრეკ. (თულუხჩიევს) უა, თუ ისიც ისე გაგვიმართლე, როგორც ციე-
გომბორის პადრიადი?

თულუხ. განა არ მიცნობ?

სტრეკ. ჰო და რომ გიცნობ, მიტომ მეშინია...

თულუხჩ. შენ წრეულის ზაფხულზე სად მიბრძანდები?

სტრეკ. რა ვიცი, ექიმები მიჩრევენ... საზღვარგარეთ წყლებზე წადიო...
მგონი, ნეკრესის ქარები დამჩემდა...

თულუხჩ. ოო, დიდძალი თანხა დაგჭირდება... დალოცვილო, აბასთუმან-
ში წადი, რა სჯობია!

სტრეკ. საშიშია. ომი ჯერ კიდევ არ დაწყებულა იქით. მერმე კიდევ
ცოლშვილით სიარული! მეტად ცუდი გზებია ახალციხისკენ.

თულუხჩ. ჰო და მე არ უნდა გავაკეთო ეხლა?... ციეგომბორის ცას რას
უწუნებ? თვეში ერთი დილიტანი თუ გადავარდება, ე რა ჩემი
ბრალია! ხალხი კი ისე მიდი-მოდის, რომ... მთელი კახეთი ჩემს
მხესა ჰფიცავს.

აგამემ. (თავის ჯგუფში, ხმამაღლა) სამართალს ვეძებ, ბატონო!

ზავილ. (სტრეკალოვთან მიდის). თქვენო აღმატებულებავ! ეს კაცი პირ-
დაპირ დამნაშავეა, მამის მკვლელი... რა უნდა ვუყოთ?

სტრეკ. ჰოო... ეგ ჯერჯერობით თქვენ უნდა იკისროთ... წაიყვანეთ აქე-
დან. დრომდე ლმობიერად მოეპყარით, მოუალერესით... ზომ ხე-
დავთ, რა მხეციც არის... არ ვააჯავროთ, თორემ ყველას დაგე-
ხანჯლავს... წაიყვანეთ, დაამშვიდეთ და... შემდეგ მე ვიცი, რო-
გორც შევარჩენ მამის მკვლელობას... პასკევიჩსაც მიეწერ, რომ სას-
ტიკი საყვედური მოახვედროს იმერეთის მმართველს...

ზავილ. ეეა, იმერეთი ჯერ კიდევ...

სტრეც. პო, სპმწუხარო ეგ არის... ჯერ კიდევ დაპყრობილი არ არის... ჩვენ კანონებს ხალხი ჯერ კიდევ, არ უმორჩილებია... ესე, მეგობარო, ესე, წაიყვანეთ.

ზავილესკი. გადავა გურიელისკენ.

თულუხი. (სტრეცალოვს) მოვიფიქრე, გენერალო, მოვიფიქრე... წაბრძანდები საზღვარგარეთ...

სტრეც. ჩუშ... ჩუმით!

თულუხი. ოლონდ... ახალციხის გზა ჩემია, ვაშე პრევესხოდიტელსტეო! აგამემ. (ვალხოვსკის). რა? მოგეწონა აგი სატევარი? აგი, ბატონო, ჩემი წინაპრის, კახაბერის ნაქონია... კახაბრის, „სხვა კაცის“...

სტრეც. (თულუხის.) კარგი, კარგი... ეხლა დაიკარგე აქედან...

თულუხი. კიდევ მაქვს ერთი სათხოვარი: მალე ქორწილში უნდა დაგპატიერო...

სტრეც. როგორ? ვისი ქორწილი გაქვს?

თულუხი. ჩემ ქალს ვათხოვებ. ერთი კუტრი კნიაზია, მაგრამ მაინც კნიაზიაა!

სტრეც. ეს მეზიანები რომ სულ ტიტულისა და ხარისხისაყენ მიიწვეთ...

თულუხი. ჩვენი კნიაზია, შენი კნიაზი... ბევთაბეგოვი...

სტრეც. ბევთაბეგოვი? ოპ, მართლა რა იქნა? არ მოვიდა კიდევ? (თულუხიევს) ეხლა წადი. კარგი შემრე მოვილაპარაკოთ ცალკე.

აგამემ. რაო? გენერალს არ ცალია ჩემთვის?

ზავილ. ეხლავ. ეხლავ... (ეძახის) თქვენო აღმატებულებავ!

(**სტრეცალოვი** მოდის გურიელთან. **თულუხი** ევს უნდა შეუმჩნევლად გავიდეს, მაგრამ აღექსანდრე დაინახავს)

აღექს. ოპ, გამარჯვება შენი, რომანოზა!

თულუხი. ბატონის თავი მიცოცხლა ღმერთმა.

აღექს. უკაცრავად, რომ რომანოზას გეძახი... ვერ დავეჩვიე შენს „რომან იაკოველევიჩს“...

თულუხი. აბა რას ბრძანებთ! თქვენს ხელში არ გახლავართ გაზრდილი? თქვენთვის მუდამ რომანოზა ვიქნები.

(**გურიელი** ჯერ ცხარობდა **სტრეცალოვთან**, მაგრამ თანდათან მშვიდდება. **ვალხოვსკი** იცინის)

აღექს. (თულუხიევს) რა ვიჭირს, შეილონისა, თანდათან სუქდება და სუქდება... ეს კი ვერაფერი შეილია, რომ იმ ბევთაბეგოს ყმებს უყადი თურმე...

თულუხი. (ჩაიციანებს). არაფერია კნიაზო, მოერიგდებით (**გადის**).

აღექს. შენ იცი.

სტრეც. (გურიელს). ასე, ასე, თავადო... როგორც მოგახსენეთ, ეს აჭაღრი სამოქალაქო გუბერნატორია და ყოველივეს დაწერილებით გამოგკითხავთ... შემდეგში ჩვენ მივიღებთ ზომებს...

ავამეშ. ძალიან კარგი, გენერალო... მგონია, მივაგნებ ხამორი... (წავილვისკის) შენი სახე მომეწონა, რუსო... კეთილ კაცს ჰგავხარ... აბა წავეიდეთ წამიძელ... (სხვებს) არ გეთხოვებოდათ, რომ წავსულიყავით? (ვალხოვსკის) ძალიან მოგწონს ჩემი ყამა? (ხანჯალს) ჩემი უდადებს, სიუყარულით გადაავლებს) კახაბერის ნაქონია, თვარა ფეშქაშს გეტყობდი.

(სიცილი. გურიელი და წავილვისკი გავლენ. იმ წამსვე შემოდის ახალგაზრდა ოფიცერი ბეგთაბეგოვი და სტრეკალოვს მხედრულად წარუდგება. შემოდის აგრეთვე შესლინგი).

სტრეკ. სად იყავით, თავადო? ძებნა დაგჭირდათ...

ბეგთაბეგოვი. მაქვს პატივი მოგახსენოთ, თქვენო აღმატებულება, რომ მეზუთე ესკადრონიდან გაქცეულა ვახშისტრი და 20 ჯარისკაცი.

სტრეკ. რაო? როგორაო?

ბეგთაბ. ვახშისტრი და ოცი ჯარისკაცი, თქვენო აღმატებულება...

სტრეკ. ვინ არის კომანდირი?

ბეგთაბ. შტაბს-კაპიტანი ალექსანდრ ივანოვიჩ გორიშნევი, თქვენო აღმატებულება!

სტრეკ. (ვალხოვსკის და ალექსანდრეს). იცნობთ თქვენა?

ალექს. ვიცნობ. კარგი განათლებული კაცია...

ვალხოვ. მართალია, მაგრამ მეტად ჯიუტი და მიუყარებელიც.

სტრეკ. უთხაროთ ჭლაქის კომენდანტს: პაუპტვაბტში ეხლავ ალექვეთოს კომანდრობა.

(ბეგთაბეგოვი მხედრულად მიბრუნდება და გადის. იმავე დროს შემოდის ხანკოვსკი).

ხანკოვსკი. თქვენო აღმატებულება, თქვენო აღმატებულება! რა გახაროთ: ჩვენი სიამაყე, ჩვენი სახაყვანო პოეტი პუშკინი ჩამოვიდა.

სტრეკ. (ცივად). ჩამოვიდა? სად არის?

ხანკ. აქ ვახლავთ, მეორე ოთახში იცდის. თქვენი ნახვა სურს...

სტრეკ. ძალიან კარგი. ბეგთაბეგოვი! სად არის? წავიდა? დაუძახეთ. (ორდინარეცი გაფარდება) სთხოვეთ პუშკინა.

ხანკ. (გახსძახებს) ალექსანდრ სერგეიჩ! მობრძანდით!

პუშკინი

სტრეკ. (ფეხზე მდგომი). დიდად სასიამოვნოა თქვენი ჩამოსვლა, ალექსანდრ სერგეიჩ, ამ ტურფა ქვეყანაში... ცხადია, თქვენი დიდი ტალანტი საუცხოვო რასმეს გვაჩუქებს საქართველოს ცხოვრებიდანაც. (ხელის ჩამორთმევა) გაიცანით, თუ იცნობთ კიდევაც...

შესლინგი. (აღფრთოვანებული). ალექსანდრ სერგეიჩ!

პუშკინი ნიკ!-ნიკ!

სტრეკ. თავად ქაეკავაძესაც იცნობთ, მგონია.

პუშკინი. (დაუყვირდება ალექსანდრეს, ალექსანდრე შესტინებს) მეგობარო! (ხელგაშლით მიდის მასთან და ჰკოცნის. აგრეთვე გადახეხვება ვალხოვსკის).

სტრეკ. მთავარმართებლისათვისაც სასიამოვნოა თქვენს მსახურსა, მომწერა, ღირსეულად მივიღოთ.

ბეგთაბეგოვი და ორდინარეცი.

მე კი გადავწყვიტე, რომ თქვენ არასდერზე არ შეწუხდეთ — ქალაქის დათვალეირება გნებავთ, თუ სადმე გასეირნება, ბინის შოვნა, ყვების საქმე თუ სხვა რამ მომსახურება — ეს ორი ახალგაზრდა იყვეს თქვენს განკარგულებაში. გაიცანით: გავრილოვი, ჩემი საგანგებო საქმეთა-მოხელე, დიდი მოტრფიალე თქვენი შემოქმედებისა და საზოგადოდ ლიტერატურისა, და ადგილობრივი თავადი ბეგთაბეგოვი, მშვენიერი მცოდნე აჭაურობისა.

(შორიდან ოფიციალური თავის დაკვრა. ჰესლინგმა პუშკინს ხელი ჩამოჰკრა).

პუშკინი. (ჰესლინგს ჩუმად). ვიცი. ყველაფერი ვიცი.

სტრეკ. ხვალ სადილად კი, გთხოვთ, ალექსანდრე სერგეიჩ, გამიწიეთ თავიანობა, და ჩემსას მესტუმრეთ. (პუშკინი თავს დაუკრავს) თქვენცა გთხოვთ, ბატონებო! თავადო ალექსანდრე!

ადიუტანტი და დარია ბეგთაბეგოვისა

დარია (ადიუტანტს კარებში). ნუ მიშლით-მეთქი ხელს... როგორ შეიძლება, რომ გენერალი არ ვინახულო...

სტრეკ. ეს კიდევ რაღაა? დღეს რა უწესობაა?

დარია. მე თქვენთან მოველ, თქვენო აღმატებულებავე, საჩივლელად... აა, კნიაზ ალექსანდრე! ბონეურ, შერ ონკლ!

ალექს. ოო, ლამაზ-დარო, გამარჯვება!

დარია. ეეჰ, სადღაა ჩემი სილამაზე! ლამაზი მაშინ ვიყავ, გიორგი ერის თავი ლექსებს რომ მიწერდა...

ალექს. მაშინ სულ პაწია იყავ, მხოლოდ... სად იყავ, ქალო, აჭამდის? ბეგთაბეგოვი (სტრეკალოვს) ჩემს რძალი გახლავთ, თქვენო აღმატებულებავე, დარია ივანოვნა ბეგთაბეგოვა.

დარია (ალექსანდრეს). პარიზში ვიყავ, პარიზში, გენაცვალოს ლამაზ-დარო...

ვალხოვ. ლამაზ-დარო?

ალექს. დიად, ასე ვეძახით, ლამაზად მიგვანია.

დარია (მიდის დასაჯდომად). პარიზში გახლდით, გენერალო, და... უკაცრავად თქვენთვის ხელი არ ჩამომირთმევია: კნენა ბეგთაბეგოვა (ხელის ჩამორთმევა. ჯდება). ოჰ, რა კარგი ქალაქია პარიზი... ძალიან მიყვარს... საერთოდ საფრანგეთი და თვით ფრანგები... ყოველ ზამთარს პარიზში ვარ... ვერ ვძლებ უიმისოდ... მხოლოდ სა-

შინელება! საფრანგეთში მუდამ ვულკანზე ზიხარ... რევოლუციაზე, რევოლუცია რევოლუციაზე... ძალიან მეწინიან... ეხლანდელი მათი მეფე, კარლოს მეათე, დიდხანს ვერ ვისძლებს თავის ტახტზე...

სტრეკ. უკაცრავად, კნენია, მაგრამ, მგონი, ჩემთან საფრანგეთის პოლიტიკაზე სასაუბროდ არ მობრძანებულხართ...

დარია. ოო, პოლიტიკაში მე ძალიან სუსტი ვარ... თითქმის არაფერი გამეგება... პოეზიისა კი (ლორენტით გადახედვას მოხდენილ ვალხოვსკის), პო, ცოტა რამ მესმის... მაგრამ თქვენ სრულიად მართალი ბრძანდებით, გენერალო! მე იმისთვის მოველ, რომ მთავრობა მამულს მიყიდის... (თითქოს ვაცხარდა). არა, თქვენ წარმოიდგინეთ...

სტრეკ. რომელ მამულზე ბრძანებთ, რა მთავრობა?

დარია. აი პრიკაზი... ხელმწიფე იმპერატორმა პრიკაზი იმიტომ კი არ დაგვიარსა, რომ მამულები ვაგვიყიდოთ, არამედ იმისთვის, რომ საქართველოს თავადაზნაურობამ ხელი მოინაცვლოს...

სტრეკ. ვალს გადახდა, უნდა, კნენია...

დარია. ოპ, თქვენც იმას მეუბნებით, რასაც ჩემი მოურავი... ვწუხარ, რომ პასკევიჩი აქ არ არის... მაგრამ, აი, თქვენ მოგმართეთ... განა შეიძლება მე მამული მთავრობამ გამიყიდოს? ამაზე დაფიქრდით კარგა... (ზეგთაბეგოვზე) სულ კი ამ ჩემი ახალგაზრდა მაზლის ბრალია... მართლა, დიდად ვმადლობთ თქვენ, გენერალო, სამსახურში რომ მიგიღიათ... კარგი ყმაწვილია, თქვენს ნდობას გამართლებს უთუოდ... მხოლოდ პრაქტიკულ ცხოვრებაში? სამეურნეო საქმეებში სულ უმწეოა... აი ახლა მაგასაც თავისი დაუდევრობით ვილაც ვაჭარი თულუხჩიევი ყმებს უყიდის... ვაგიგონიათ ამისთანა! ვილაც ვაჭარი და თავადის ყმების შექმნა...

ალექს. უკაცრავად, თქვენო აღმატებულებავ, მგონი, აღარ გკირდებით, ნება მიბოძეთ გაიხლოთ (თავის დაკვრა. პუშკინს) ჩვენ ერთი მეორეს, რასაკვირველია, ენახავთ... (გადის).

დარია (ლორენტით მოიხედავ, თვალი ეხლა მოჰკრა პუშკინს) ეს ყმაწვილი კაცი ვილა?... სახე ძალიან მეცნაურება!

ხანკოვსკი. ეს ჩვენი განთქმული პოეტი გახლავთ, პუშკინი.

დარია (წამოვარდება). ააპ, პუშკინი! ძვირფასო ალექსანდრ სერგეიჩ! (ხელი ჩამოართვა) მე აღტაცებული ვარ თქვენის ნიჭით... დიდი თავყანის-შეკმელი... თქვენი „კავკასიის ტყვე“ მზიბლავს და მატყვევებს, მატყვევებს და მზიბლავს... როგორ არის?

„აბ, ჩემი სიყრმე გამოუცდელი,
ტყვევც კრუ ალერსით ნეტა გაგერთო,
თუნდ მარტოოდენ სიბრაღულისთვის...
ეს საიდუმლო კი არ გაგენდო!

მაშინ რა ნაზად, რა მზრუნველობით
დაგიტყობდლი ხვედრს, გაკრულს ხუნდებში.
გიდარაგებდლი ტანჯულ მეგობარს
მოსვენების და ძილის წუთებში;
ეს არ ისურვე, მითხარი მაინც,
ვინ არის შენი ლამაზი სატრფო?
რუსო, შენ გიყვარს? ჩემთვის გაყინულს,
შენს გულს შორიდან სხვა სახე ათბობს“¹⁾



ერყენშლი
გიგლიქოთქა

მშვენიერება! თქვენ „ბაღჩისარაის შადრევანს“ კი ჯერ ვერ
ვიცნობ... აბა საიდან? პარიზს ვიყავ... მხოლოდ თქვენი ლექსი
„ანდრე შენი“, მიღ პარღონ, არ მომწონს... უყაცრავად, გენე-
რალო! რა ვუყოთ, რომ ეს ლექსი რუსეთში აკრძალულია... მე მე-
ინც ვახსენებ და ვთქვი, რომ არ მომწონს... ოო, ამ სახელოვან ავ-
ტორთან პირდაპირ გამოვეთქვი ჩემი აზრი... შე მეტად პირდაპირი
ქალი ვარ... როცა მართალი ვარ, გენიოსებსაც არ დავზოგავ... ოო,
რა სასიხარულოა! თქვენ? პუშკინი საქართველოში? რასაკვირვე-
ელია ჩემთან უნდა მოხედეთ... შე არა მაქვს ისეთი საღონი, რო-
გორსაც თქვენ შეხვდებით პარიზში, პეტერბურგში, მაგრამ საზოგა-
დობას მაინც კარგს გაჩვენებთ და... ბანზე გაგიყვანთ, ეს ჯერ თქვენ
არ გინახავთ... არა უშავს რა... გენერალსაც დიდათა ვთხოვე... მხო-
ლოდ, თქვენო აღმატებულებავ, მამული არ უნდა გამეყიდოს...
(სტრეკალოვი მხრებს აიწევს). არა, თქვენ შეაჩერეთ მხოლოდ და...
შე ვთხოვე პასკევიჩს... თვით იმპერატორამდე მივალ... მაშ ასე: გა-
დადება რა საჭიროა, დღეს საღამოთი ჩემთან... ყველანი, ყველანი
აქ დამსწრენი... უყაცრავად თქვენ ვერ გიცნობთ, მაგრამ...

ვალხოვ, ვალხოვსკი.

ღარია, ძალიან სასიამოვნოა, დიდათა ვთხოვთ...

ხანკ, არა, არა მჯერა: ეს გენიოსი, დიდება და სიამაყე რუსეთისა, ავერა
დგას, ჩემ წინ...

ღარია, თქვენ ეგა თქვით და... მაგრამ მაინც უნდა მოქაბსენო, რომ
(პუშკინს) ვიზიტები ჩემთან საჭირო არ არის. პირდაპირ ამ საღა-
მოთი... მობრძანდებით აი ჩემი მაზლი მოგაგნებინებთ. მაშ მიე-
დივარ სრული დარწმუნებული, რომ ამ საღამოთი ყველანი უკ-
ლებლივ ჩემთან მობრძანდებით და ყველას მშვენიება იქნება გენია-
ლური პუშკინი... ორწეუარ, მესიე! (გაღის).

სტრეკ, როგორ მოგწონთ? პირველადვე ლამაზ საქართველოში...
პუშკინი, ლამაზ-ღარო, არა?

¹⁾ ვარლ. რუხაძის თარგმანი.

მეორე სურათი

I



გარეთუბანი, მტკვრის პირას აივანი და ბანიანი სახლები. ერთი სახლის გვერდით ვაზის ტალავერი. ერთგან კიდევ დალაქის კუთხე, საცა შეკრებილან იმ უბნის მოლაუბეები. საღამო ხანია, ღამდება. შორიდან მოისმის ტკბილი დუღუკა.

თულუხნივეი. (თავის აივანზე მოშლილფებული, კრიალოხნით ხელში. ბეროზაშვილს) ეს იცოდე, არავეითარ დათმობაზე არ წავალ... ეხლა ტოკლიკაშვილმაც იწუნოს, როგორია გაკოტრება. ერთი მაგის ოჯახის ტირილ-წუწუნიც გავიგონო... ეგ ჩემთვის უფრო კარგი მოსასმენი იქნება, ვიდრე აი, ეს ტკბილი დუღუკი... ვინ ჭეიფობს?

ბეროზაშვილი. ვინ იქნება თუ არა თავადი ყაფლანი.

თულუხ. პომე, თუ მოვესწარ მაგის სიკვდილს!.. მაგრამ რო არ იქნა? რა ჯანიანი კაცია!

ბეროზ. ღვარძლიანი კაცი ბრძანდები, რამან იაკოვლევიჩ, რაც უნდა იყო, თქვენი ბატონი არ იყო? იმის სახლში გაიზარდე.

თულუხი. წავედეს, მაგის სული! რა გავიზარდე! შეხბორედ ვიყავ მაგასთან და ქიგოს ცემით სულ სული ამომართვა... ბატონი რომ იყო, სწორედ იმიტომაც არის, რომ მაგისგან კარგი ათა ძახსოვს რა... ან განა იმას კი დავივიწყებ, ეგ წუწუკი ერთხელ ჭკრივ დედაჩემს კინალამ რომ მიუძვრა?..

ბეროზ. აბა რას ბრძანებ!

თულუხი. არ იკადრებდა აი, მაგისმან მზემ... დედა ჩემი ახალი დაქვრივებული იყო და ისეთი შესახედი, ავ თვალს არ დაენახებოდა... აკი თურმე თვალში ამაილო მაგ შეჩვენებულმა. დედაჩემი ერთა კერბი დედაკაცი იყო და ეგრე ახირებულად ვერას შეპბედავდი... მაინც-მაინც ერთ ღამეს, მე არ ვიყავი შინა, და აკი, კარ-გაღებულიში შეესწრო დედაჩემისთვისა... დედა ჩემს კი იცოცხლე, სულ დაეწიწუნა ყაფლანის სქელი უღვაშები... ჰაი, ყვირილი, წივილი, ერთი რამე... მეზობლებიც გამოშლილან და იმ წუწუკს, შესვლისას კარები არ ჩაურაზავს!... დიდის ვაი-ვაგლახით, როგორც იყო, კარები შეუმტვრევიათ და სირცხვილ-ნაქამი, კულამოძუებული ხანჩალაბულა შენი კნიაზ ყაფლანი... პომე, ეს დამავეწდება! მერმე, რო გავიგე, რა მექნა, ბატონი აყო და ვერაფერი გავუბედე, თორემ ეხლაც კი ყოველ მის დანახვაზე ბრაზი მახრჩობს...

ბეროზ. მგონი, ეხლა ბევრი უნდა ემართოს თქვენი, ყაფლანი, კნიაზსა...

თულუხი. ეგ არის ჩემი შურისძიება, გიგოჯანი! ბოლოს მეც მივხვდი, რომ ამითი თუ გადავუხდიდი სამაგიეროს ჩემი ბავშობის გიწამებრსა და დედი ჩემის გაღანძღვისათვის... იცი, შემდეგში რა ხმე-

ბი დავარდა მეზობლებში: ყაფლან-კნიაზი თუ...
 ჰყვარობსო! ის კი არა თქვეს თუ როგორ იყო საქმე...

ბეროზ. შიში, შიში, რამან იაკოვლევიჩი! ყაფლანი...
 ნიანი... ახლა ისიც ჩააგონებდა, ესე თქვითო...

თულუჩი. ჰო და ეგ არის. შენ მეზობლების დაუნდობლობა თქვი და...
 მართალი ყოფილა: ქვრივ-ოსური ყველასათვის დაბალი ღობეა, აქი
 აი იმ ტოკლიკაშვილმაც დაიბრიყვა დედა ჩემი: მაქანკლებს უგზავ-
 ნიდა, საყვარლად დამიჯექიო. არც ერთს არ შევარჩენ, არა, დედი
 ჩემის შევიწროვებას. მალე მაგ კნიაზის ხოდაბუნებიც ჩემს ხელ-
 ში გადმოვა. იცი რას ჩადის? ერთი სულელი, ხეპრე ვინმეა, აქაო
 და დიდი კაცია, დიდი თავადი, ჰქვიანი კი არ გეგონოს: ყოველ-
 წლივ, ჩემგან აღებული ვალის გამო, ვექსილს მიცვლის: რაო და,
 „რომანოზ!“ — ჯერ კიდევ რომანოზას მეძახის ეგ პირძალი, ეგა,
 მაგრამ ეს იქით იყოს! — „რომანოზა, შენმა მზემ, ეხლა ფული არა
 მაქვს და ვექსილი გამოვცვალოთო... მეც მეტი რა ჩარაა! თავნს
 სარგებელს ზედ შევაკეცავ, ახალ ვექსილს დაეწერამ. თანხა იზრ-
 დება და იზრდება! არ დაგიმალავ, ჩემმა სიყრმემ, არ... ეხლა ერთი
 სამიათასსტუთას თუმანზე მეტი იქნება... ეს თანხა კი იცი? ყაფლა-
 ნის ხოდაბუნებს კი არა, ალექსანდრე ჰავკავაძის წინანდალსაც წა-
 აქცევს.

ბეროზ. ეხლა მაინც ეს მიბრძანე: ტოკლიკაშვილისას რას მეტყვი: კაც-
 მა მოციქულად გამამგზავნა: გაწმილებულს ნუ ვამიშვებ. „ცოტაც
 დამაცალოს, მტერი მყავს, მოკეთე, რასმე გავაწყობ და ნელ-ნელა
 ვალს გადავიხდიო“.

თულუჩი. ვიცი ეგ ლათაიები! რამდენჯერ გამაგონა! შენ დიდათ პატივ-
 სა გცემ, ბეროზაშვილო, პატიოსანი კაცი ხარ, ალაღ-მართალი,
 შეილებსაც მინათლავ, მაგრამ... ჩაჯდეს ნაობახტში ტოკლიკაშვი-
 ლი, ჩაჯდეს! მე შევინახამ... შეე პურს ვაქმევე, აი რუსების არგა-
 ნოი პურსა... ზედაც წყალი დააყოლოს... არა უშავს რა... არა, მე
 რომ ვამეტოლა ვაჭრობაში? მეტოქეობა დამიწყო? არ იცოდა,
 რომ გავსრესდი?! ან ეგონა, ძველ ამბებსაც არ გაუფხსენებდი? იჯ-
 დეს ეხლა...

II

მეხუთე დალაქთან.

1 მოქალაქე. კაცო, ე რა გავიგე, ჩვენი პასკევიჩი ერევანცკი გამხდარა,
 გრაფია, ეხლა ებზე სიატელსტეო უნდა უძახოთ...

2 მოქ: შენ ეი, ყრუჩუნ! ეგ ძველი ამბავია, ამ სიგრძე წვერი აქვს...
 დალაქი (დუქნის გარეთ ვილასაც თავსა მზანს). ერევანცკობა პასკევიჩმა



მარშანწინ მიიღო, შენ ეხლა გაიგე?

1-ლი მოქალ. შენ შენი სიძის ამბავი ვერ გაგიგია კარგად, რა გიკვირს, მე ასაკვეთის ამბავი არ ეიცოდე.

მე-2 მოქალ. (დალაქს). იოსებ, შენს მზესე, მართალია, რომ შენი სიძე, აი ბატონი თულუხჩიევი სახლში არ გიშვებს?

1-ლი მოქალ. რაო? მართლა არ გკადრულობს რამან იაკოველევი? ეს როდის აქეთია?

დალაქი. დასწვევლოს მაგის თავი და ტანი! ჩემით უდგია სული, თუ კაცი გახდა, ჩემით გახდა... ეხლა კი ყოყლოჩინობა დაიწყო...

მე-3 მოქალ. (თავს რომ იხანს). შენით უდგია სული! შენმა მზემ! შენ რომ ქალი მოტყუებით მიათხოვე...

დალაქი. ეეჰ, კარგია ერთი, შენს გაზრდას... ეგ სულ მისი დარხეული ქორებია.

1-ლი მოქალ. არა, დიდი ხნის საქმეა, იოსებ, შენმა მზემ... გამოტყდი, როგორც იყო...

დალაქი. რა როგორ იყო, კაცო... ჩემი ქალი მოეწონა, დანიშნა და წაიყვანა კიდევ... სხვა რა იქნებოდა...

მე-3 მოქალ. რა დანიშნაო, რას ამბობ. მე ვითხრათ: თულუხჩიევი რომ მაგასთან მოვიდა, მაგან სხვა ერთი კობტა გოგო უჩვენა...

დალაქი. ჰო, მეზობლიანთ გოგო იყო მაშინ ჩვენსა, მემრე რა!

მე-3 მოქალ. დაიცა! თულუხჩიევსაც... არა, უკაცრავად, მაშინ თულუხჩიევი არ იყო, ჩვენებურად თულუხჩიშვილი ერქვა... არც სახელი ჰქონდა რამან იაკოველევიჩი... რომანოზა იყო რაღა...

დალაქი. აი ეგ კი მართალია, მედაჩემმა ღმერთმა... მაგრამ ეგ ამბავი ამათ ხომ ათასჯერ გაუგონიათ...

1-ლი მოქალ. არა, არა... მე დამავიწყდა კიდევ, სიყმესა ვფიცოე...

მე-2 მოქალ. თქვი, თქვი, კაცო!

მე-3 მოქალ. ჰო და ჩვენ რომანოზას იმ გოგოზე დაუბრიცდა თვალები... თაქისი მზეთუნახავი კი მაშინ რომანოზასათვის არ უჩვენებია ამ წვერძალსა, ამას.

დალაქი. შენ ნუ იგინები და ტყუილებს ნუ ჰბერავ აქა, თორენა მაგ თვალებს სუ საპნით ამოგწვავე...

მე-3 მოქალ. დაიცა, კაცო! მართალმა პური სქამოს! შენი რომანოზა დაითრო იმ გოგოს ეშხით და ღვინითაც კარგა გამაიბრუვა... ეკლესიაში კი თავშეხვეული პატარძლისათვის, ღამის სიხარულის მოლოდინში, არც კი შეუხედნია...

დალაქი. ყურებს არ ამოგიწმენდავ, აი, იცოდე... სწორა ილაპარაკე...

მე-3 მოქალ. ღამით კი რას ნახამს სიძე-ბატონი! აი, იოსებას ზოკერა თავი... ეგ არ უკვდია ლოგინში!

1-ლი მოქალ. როგორ თუ იოსებას თავი?

მე-3 მოქალ. კაცო, ქალი ზედგამოჭრილი ქოსა-იოსებაა და ევეთი გამხმარი თავიც აბია. ერთი ამას კაბა ჩააცვო, კატეგორიულად არ იქნება! (ხიცლილი).



დალაქი. ისემც შენ რა გითხრა! (მე-3 მოქალაქის თავზე წყალს დაუშვებს)

მე-3 მოქალ. ოჰ, დავიწვი, დავიწვი, შე ღვინძალო!

1-ლი მოქალ. მერმე და მართლა სახლში არ გიშვებს?

დალაქი. არა, ვინა სთქვა?

მე-2 მოქალ. კარგია ერთი. მე დანამდვილებით გავიგე, რომ არც სახლში უშვებს და ამ დუქნიდანაც ავდებს... დუქანიც ხომ მისია...

1-ლი მოქალ. ეჰ, როგორ გამაიცვალა დროება! მეხბორე რომანოზა იოსება — დალაქს ისიც თავის ღვიძლ სიმამრს არ კადრულობს?!

III

პუშკინი, ვალხოვსკი, სანკოვსკი, ჰუსლინგი

ქუჩის ერთ კუთხეში შეჩერდებიან.

პუშკინი. დიად, უნებართვით ჩამოველ; მეგობრებო, ეს მართალია.

ვალხოვ. (იხედება). ისინი რა იქნენ?

სანკ. ბევრთაბევრი ერთ ლამაზ გოგოსთან შეჩერდა, გავრილოვი კი არ ვიცი, სად დაგვებნა.

პუშკინი. არაფერია, გაიგონონ თუნდა, ეს, ცხადია, იმათაც ეცოდინებათ.

ჰუსლინგი. (უნდა და არც უნდა სთქვას). ჰო... იციან...

პუშკინი. თქვენ უთუოდ გეცოდინებათ, რომ ჩემზე მზრუნველობა თვითონ ნიკოლოზმა იკისრა და ჩემი უშუალო ცენზორი და კრიტიკოსი ის არის...

სანკ. ოქროს ვალია ვერ იშვინით...

პუშკ. აღარა... ზოგიერთ ჩინოვნიკს ესეც უნდა, მაგრამ იმპერატორმა ჩამომაშორა, მხოლოდ პირადად ჩემზე თვალყური კი ბენკენდორფს მიანდო... მის „თავაზიანობას“ კი, მართალი გითხრათ, ვერ გაუძელი...

სანკ. ოქროს ვალია ვერ იშვინით...

პუშკინი. ასე რომ პეტერბურგში არ შედგომებოდა... მხოლოდ ძალიან ვწუხნავარ, რომ ჩემი მეგობარი, გენერალ-მაიორი რაევსკი აქ არ დამიხვდა... ფრონტზე ყოფილა... დღეს მივწერე წერილი, რომ პასკევიჩისაგან ნებართვა გამომიტანოს ფრონტზე მისვლისა.

სანკოვ. ოო, ეგ შესანიშნავი რამ იქნება... ფრონტზე! თქვენ თვითონ იქნებით ჩვენი ძღვევამოსილი ჯარის გმირულ საქმეთა მოწმე და ცხადია, ნახულ სურათებს გააუყვებლებო.

პესლინგი. ეს მიბრძანეთ, მართალია, რომ განსვენებული გრიბოედოვი საქართველოში გეპატიეობდათ?

პუშკინი. დიად, მართალია... ჰქონდა მოსაზრებანი დაეჭვებულნი ამეკვიტა... განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აბიშოვსკის მკვლელობაში მონაწილეობის მიღებისა და არც პარიზში გამგზავრებისა... გრიბოედოვი მწერდა, რომ...

ბევთაბეგოვი

მაგრამ რაღა დროს... ის უდროვოდ დაილუპა და მე ვერ მოვეუსწარი...

ბევთაბეგ. დიდი ბოდიში, ალექსანდრ სერგეევჩი, მაგრამ ნაცნობი კნიჟნა შემხვდა და, რომ გაიგო ვინც ბრძანდებით, სიხარულისაგან ცას უწია... მალე ისიც მოვა ჩვენთან...

პუშკინი. დიდათ თავაზიანი ბრძანდებით, თავადო, მაგრამ ეს მიბრძანეთ... ეს ხომ სადალაქოა. მაშ აქ...

ბევთაბეგ. აქ იკრიბებიან...

პუშკინი. უკვე ვიცო, არ მინდა თქმა. აქ უთუოდ ერთგვარი კლუბია, სადაც ახალ-ახალ, ცხელ-ცხელ ამბებს გადასცემენ ერთი მეორეს, ძველ ამბებს და ანგდოტებსაც მოიგონებენ, ჭორიკანობენ, ლაყბობენ, პოლიტიკაზედაც ლაპარაკობენ და სხვა.

ბევთაბეგ. რა არის ნიჭიერი კაცი!

პუშკინი. ეჰ. ჩემო კარგო, რაც დალაქი ჰვეყნად გაჩნდა. მას შემდეგ ვერც ყველგან. აი ფიგარო გაიხსენეთ!

IV

დალაქთან.

1-ლი მოქალ. რას შემოგვაშტერდნენ ეგ ვილაკეებია? ვერ ვიცანი.

დალაქი. მე ვიცნობ: ის ერთი რუსის აფიცერია...

მე-2 მოქალ. ჰა, ჰა! შენ კი გაიხარე! მე კი ვერ ვიცნობდი აი!

დალაქი. მეორე... მეორეს ვიცნობ: ხშირად ბაზარ-ბაზარ დადის, უბიდან ქალაქს ამიღებს და რაღასაც ჩაიწერს ხოლმე... ამბობენ გავითა აქვსო...

1-ლი მოქალ. გავითა? მაშ დიდი ვინმე ყოფილა!.. მაგრამ, იოსებჯან! ი მესამე ვინლა? რა რჯულზე აცვია, მე მაგისთანა ჩაცმულობა არ მინახავს... ე წვერები რაღა მართო ლოყებზე შეურჩენია?

მე-3 მოქალ. მოდი ერთი ვგენი გავაპამპულაოთ: იოსებჯან! შტო ბუდით?

1-ლი მოქალ. მიჩ ბუდით?

დალაქი. ნე ბუდით.

მე-3 მოქალ. ვა! მაშ ვაინა ბუდით და ბუდით?

დალაქი. ნე ბუდით.

მე-2 მოქალ. ბუნტ ბუდით?

დალაქი. ნე ბუდით.

მე-მ მოქალ. ვა! მა შტო ბუდით?

დალაქი. ტილიგრამა ბუდით.



V

პუშკინი. ეს რაღაც განსაკუთრებული ოხუნჯობაა და მე ვერა ვაფიგე რა!

ღამდება. ბავრილოვი.

გავრილოვი. მომიტყევეთ, ალექსანდრ სერგეეჩ! ძალიან დავიგვიანე. მე-გონა, კნეინასთან უკვე შებრძანდით... აგერ კარებთანა ვდგავართ.

პუშკინი. არა, არ დავიგვიანიათ. კარგ დროს მოხველით. (უეცრად დიმილით გავრილოვს) ტილიგრამა ბუდით! (გადაიხარხარებს და შეხავალ კარებისკენ გასწევს. მასვე მიჰყვებიან ვალხოვსკი და სანკოვსკი. გავრილოვი გაოცებული შეაჩერდება ბეგთაბეგოვს).

ბეგთაბეგ. (გავრილოვს). პუსტიაკია! (დალაქისაკენ გაუშვერს ხელს) იმათი ნითქვამია! (ესტნიც შეჰყვებიან).

VI

ბანუა.

მოხუცი გამძელი. (მოსდევს ახალგაზრდა მტირალა გავოვს). კარგია, კარგია ახლა, პირიმზისა, გეყოფა ტირილი... უეჰ, შვილო, ვინ იცის რამდენი მაგისტანა ცხელი ცრემლი დანთხეულა ამ ქვეყნად, მაგრამ უსამართლობა კიდევ ვერ გადაურეცხია...

პირიმზისა. არა, რა დავაშავე რომ მყიდიან, რა? სუ ბავშვობიდან მაგათ ვეშსახურები, ხეირიანი მოსვენება არც კი ვიცი, რა არის და ეს ლა ეს ამის სამაგიეროა?

გამძელი. უი, შენ კი ვაიხარე! ბატონებისაგან ხეირიანი სამაგიერო ვიუნახავს ჩვენისთანებს, რომ შენ ნახო, მაგრამ უნდა დაუმშვიდდუნდა შეურვიგდე ბედსა!

პირიმზ. აბა რას მეუბნები, გამძელი! მეტი შერიგება რა იქნება! რა მე დიდი კნეინისაგან ჭიმუნჯები მახსოვს, ტანი სულ დალურჯებული მქონდა... მხოლოდ ტყუილს ვერ ვიტყვი, ისე კი მუღა მფარველად მევლინებოდა ხოლმე...

გამძ. აი, შე უმადურო, მე რომ არ ვყოფილიყავ, ვინ იცის, გამოუტყდე ვოგონას ეს ტოტლოკინა კნიაზები რამდენჯერ ვაგთელავდნენ...

პირიმზ. უწინამც დღე გაპქრობიათ! მაგრამ! გამძელი, შენ კი ნუ მიწყენ. განა არ ვიცი, რა ამავიც მიგიძღვის ჩემზედა... დედის მა-

ვივრობას სწორედ შენ მიწვედი... რამდენი ჰკუა დავიკრებია ჩემ-
თვის... შენ გამზარდე...

გამდ. პო, კარგი, განა არ ვიცი, რომ ჩემი საყვარელი ვიყავი ხარ... გე-
ხუმრე, ქალო...

პირიმუ. არა, მე იმას ვამბობ, რომ დიდ კნენას მაინცადამაინც ვერ და-
ვემდურები-მეთქი... მხოლოდ აი ეხლა რომ ჩამოშავდა, მაგათი
რძალი კნენია დარია... უუჰ, რა ყოფილა! არაფერი არ მოსწონს
ჩემი, ვერაფრით ვერ ვასიამოვნე... მაინც იმდენი რამ ჩამოიტანა
ზაგრანიციდან, ჩასაცმელი, შესამოსი, წასაცხები, შესაღებავი, რომ
თავი და ბოლო ვერ გავუტევი... სულ მაგინებს და მლანძღავს: ხებრე
ყოფილხარ, მელორე გლეხის გაუთლელი გომბიოვო... ეხლა კიდევ
ის ფრანცუცის ქალია, ვინაა, მაგას რომ ახლავს, იმან კიდევ თა-
ვის მზრევე საქმე ვამიჭირა! სულ კი მაგ კნენის ბრალი უნდა
იყოს, რომ მყიდვიან...

გამდელი. მაგისი კი არა, აი პატარა კნიაზის ვალში გყიდვიან, საცოდავო!
აი იმ თულუხნთევის ვალი დაედო და იმაში შენცა გყიდის...

პირიმუ. უიმე! ღმერთმა დამიფაროს... იმათ ხელში ჩავარდნასა...

გამდ. ეგ კიდევ ვინ იცის, შეილო, ვის ხელში ჩავარდები...

პირიმუ. რომე! თუ მართლა გამყიდეს! თავს არ ვიცოცხლებ, აი!

გამდ. დაიცა, შეილო... აბა ეგრე როგო იქნება...

პირიმუ. ეეჰ, იმ უხეირო ლოპიანამ მაინც მიშველოს!..

გამდ. ლოპიანამ რა ქნას, შეილო! ისიც ყმა და შენც ყმა ხარ...

პირიმუ. მა რა ვქნა, გამდელი, რა?

VII

დალაქთან.

1-ლი მოქალ. აგერ ჩვენნი ლოპიანა მოდის... დაუძახოთ ერთი, გაგვარ-
თობს.

ეჭაბიან. ლოპიანა, ლოპიანა... აქეთ აქეთ, კაცო, სად გადაუხვიე!

ლოპიანა.

არავისთვის მე დღეს არა მცალიან!
თქვენს თხოვნაზე შეცინება ძალიან!
საცა მივალ თან მიმაქვს სიზარული.
ყველა კარი ჩემთვის არს გაღებული.
მარამა დღეს თქვენთვის არა მცალიან!
ფერა ხელდავთ, იქ ვახშმათ შეძახიან.¹⁾

¹⁾ გრ. ორბელიანის ლექსი.

VIII

ბანზე.



ერკონულნი
გიგლიძისნი

გამდ. ესე, შეილო, მე ერთ ძაღლის ლეკვში ვარ გაყიდული და ვინ იცის, რამდენი უსამართლობა, დამცილება და ჩაგვრა გამოშვილია ჩემს სიცოცხლეში... მაგრამ ადამიანი უბედურო ყოფილა, გავძელ და გადავლილ ქირს ეხლა იოლათ ვიგონებ...

პირიმე. მერმე ყველა ჩვენგანს ეგეთი ბედი უნდა ხვდეს?

გამდ. შენ ღმერთმა დაგიფაროს, შეილო... მე მგონი, გეშველება რამე... დიდ კნენინას არაფერი აქვს, თორემ შენ თავს არავის დაანებებდა... ღმერთი დიდია, შეილოსა, გული ნუ შეგიშინდება!

პირიმე. ეეჰ, ღმერთი, ღმერთი! მერმე სად იყო ღმერთი შენ რომ ბატონმა ძაღლში გაგყიდა? სად იყო ღმერთი, როდესაც როგორც შენ ამბობ, შენ ქმარს ორთავ თვალი ამოწვეს? სად არის ღმერთი, როდესაც უდანაშაულოს მყიდიან და კაცი მშველელი არ არის?

IX

ღარია (გამოჰყავს აივანზე პუშკინი და ერისთავი). აქაც კარგია ჯერ-ჯერობით. მე კი ეხლავ ბანზე გავიყვან დანარჩენ სტუმრებს და პატარა სიურპრიზსაც მოგიწყობთ.

პუშკინი. თქვენ სიურპრიზი უკვე მომიწყვეთ: დიდძალი საზოგადოება შეგიყრიათ. არ მეგონა, თუ საქართველოში ასე მიცნობდნენ...

ღარია. აბა რას ბრძანებთ? ეხლავ, ეხლავ! (გადის).

ელიზბარი. საქართველოში თქვენი ცნობა საკვირველი არ არის: რუსულად ბევრი გკითხულობთ და დიდად გაფასებენ... ქართულადაც ხართ ნათარგმნი: აი ალექსანდრე ქავჭავაძეს აქვს თქვენი „შხამის ხე“ ვადათარგმნილი, ხელნაწერი უშოვნია. აქ ერთი პოეტი გვყავს კიდეც, გიორგი ერისთავი, იმასაც აქვს ნათარგმნი ერთი თქვენი ლექსი, გრიგოლ ორბელიანს — „მიბაძვა“, გიორგი ანდრონიკაშვილს — „სურვილი“ და ასე.

პუშკინი. რას ბრძანებთ! საინტერესოა, როგორა ბგერს ქართულად ჩემი ლექსი... მე ხომ თქვენს ენას სრულიად არ ვიცნობ, მაგრამ, რაც მესმის, ძარღვიანი კი უნდა იყოს...

ელიზბ. გაგაცნობთ თარგმანებსაც. მხოლოდ თქვენს პოპულიარობას საქართველოში დიდათ ხელი შეუწყო განსვენებულმა გრიბოედოვმა.

პუშკინი. საკოდავი ალექსანდრ სერგეიჩი! თავისი საუკეთესო ცხოვრების დღენი ნებაყოფილობითს ტყვეობაში გაატარა... გარდაიხვეწა. ვადაიკარგა რუსეთიდან..

(ამოიხზრა). ეს არის ჩემი ხვედრიც.

ელიზბ. „აი რა არის შენ შეილთა ბედი.

ო, დიდო რომო, მკაცრო მპყრობელო!“

პუშკინი. დიალ. მეგობარო, დიალ, იქ ტყვეობაა, იქ **ერაყენული** თავე-
სუფლად... ყოველ თავესუფალ აზრს სდევნიან, სთრგუნავენ... იქ
ურცხვად ვაქრობენ თავესუფლებით. კერპის წინაშე ყველას თავე
დაუხრია და სამაგიეროდ ღებულობენ ფულს და ხარისხს ან ბორ-
კილებს... (უეცრად).

მე არ დავტოვე? ღალატის შფოთი
და განაჩენი წინასწარ თხზული;
ბრბოს სულელური დენა, განგაში
და ბრწყინვალემა თავესლაფდასხმული!..

ელიზბ. და მათ მგმობელმა და გამკიცხავემა
მშობლიურ საზღვრებს მოსწყვეტეთ თვალი...
ეხლა მოფრინდით უცხო მხარეში
თავესუფლების ოცნებით მთვრალი!

პუშკინი (სხვა კილო, ღიმილი).

ვიმღერ ბედნიერ საქართველოზე
და მალალ მთებზე აღმაფრენითა!..¹⁾

ელიზბ. ჰმ... საქართველო ბედნიერია?!

X

ბანზე.

ვამდელი. აქეთ მოდიან... თვალები შეიმშრალე... არ შეგამჩნდონ...
აი ვინ მიხსნის...

ვამდ. ვინ არის, შეილო?

პირიმზ. ჩვენი ბაბუცი...

ვამდ. პო, ბაბუცი კეთილი ანგელოზია...

პირიმზ. მაშ ჩავიბრუნ, მიფუგებები და სანამ აქ გაერთობოდეს. ყოველი-
ვეს ვეტყვი... დამიხსნას როგორმე, ნუ თუ ვერ მიშველის?.. (გარ-
ბის).

ვამდ. უბედურის ნუგეში ერთად-ერთი იმედიაო... ჰმ!.. იმედიათი, შიმში-
ლიც კარგაო... ვის უთქვამს ნეტა?.. და რამდენი მოგვითმენია ამის
გამრ...

¹⁾ ვარლ. რუხაძის თარგმ.

გამოვარდება ორი პატარა გოგონა.



1-ლი გოგონა. გამძლეო, გამძლეო შენი ქირიმე, გვიშველე, დაგვიფარე!

მე-2 გოგონა. გვიშველე, გამძლეო, გვიშველე! **მარქუნულნი**

გამძ. რა იყო, რა მოგსვლიათ, გენაცვალეთ ჩემი **მეგობრები**

1-ლი გოგ. არ გვაყენებენ, გადია, სტუმრები მოვიდნენო და უკან ოთახში წადითო, ხელს გვიშლითო...

მე-2 გოგ. უკანა ოთახში კიდენა ძალუა დარიის ფრანცუცმა გოგომ არ დაგვაყენა...

მე-2 გოგ. აქ დაგვძალე სადმე, გადია, გენაცვალე... ბევრი სტუმარი იკრიბება, მხიარულება იქნება, ცეკვა-თამაში, ჩვეც გვინდა ვუყუროთ...

გამძ. არა აქ სად უნდა დაგვძალეთ, თქვე გიყვებო, თქვენა, ამ ბანზე აბა დასამალი ადგილი სად არის?

1-ლი გოგ. შენი ქირიმე, გადია, შენი...

მე-2 გოგ. მერმე კიდენა, გადია, რუსეთიდან ერთი დიდი კაცი ჩამოსული: პუშკინი. იმის ნახვა გვინდა...

გამძ. პო და სად დაგვძალეთ-მეთქი, ჩემო გვრიტებო! აქ ხელის გულივით მოფოლორკებულა არე-მარე... ისევ ბაღში ჩაქუდიყავით... იქიდახ ყველფერი მოსჩანს...

1-ლი გოგ. უიმე, უიმე, მოდიან!

მე-2 გოგ. უჰ, ოა კარგია! (გადიას ზურგს უკან ეხურხლებიან) ეხლა აქედან ვერსად წავალთ...

1-ლი გოგ. აგერ კუთხეში ჭიშხე ჩამოჯდები და ჩვენც შენს კალთას ამოვეფარებით...

(გამძელი აღერხიანი ბუზღუნით ასრულებს და ისინიც აქეთ-იქით მის კალთებს ამოეფარებიან. ბანზე გამოდიან: მანდილოსნები, კნენები, ახალგაზრდა ქალები, ვაჟები: ყურთმაჯიანები, ჩოხიანები, ბებთაბებოვი, გავრილოვი, სოლომონ დოდაშვილი, სანაოვსკი, ვალსოვსკი, ჰესლინგი, კარვინსკი და სხვ. სიცილი, ხრიალი, შრიამული).

1-ლი კნენა. პო, ესე ამბობენ, გენაცვალე, ძალიან დიდი კაცი არისო, საწყაღ გრობაედს არ ჩამოუვარდებაო, ესეც მინისტარი კაცი იქნებაო...

მე-2 კნენა. ისიც გაიგეთ, უცოლო ყოფილა...

მე-3 კნენა. პო და რა... ეგეც ხელს წაავლებს ერთ ვინმე ჩვენ კნიაჟნას და თვალებს მოსთხრის მთელ საქართველოსა...

1-ლი კნ. რათა კნიაჟნას? ჩვენი დარიკო არ ვარგა თუ... მე შენ გეტყვი ფრანცუცკი არ იცის ... ტანცი-მანცი... სუ ისე გააბზოოს, რო...

მე-3 კნ. მაინც რა მარჯვე ქალია! მე ვიცი ეხლა, სუ მა ფუშკინია ვინ არის, მაგი გულინათვის გამართა ამალამძელი წვეულობა...

მე-2 კნ. მერმე საიდან, ქალო? აკი პრიკაში მძმულს უყიდის... ეხლა ყმე-ბსაც კვიდიანო...

მე-8 კნ. რა ვიცი, ქა! ყველაზე უკეთ მუდამ კი ცხოვრობს და... საფრანგეთს ვე არ იკლებს და რუსეთს... ამას წინათ, იცით, თვით რუს-ხემწიფეტთან წამდგარა... ამბობენ, სასახლის მკაცრს მთავრებ ტარაბუა დაახვია იქაურ იარანალებსაო... *განმარტოვება*

1-ლი კნ. იცი ეხლა რეები ჩამოუტანია ფრანციიდანა... რა კაბები, რა ძვირფასი ნივთები... თვალი ზედ დაგრჩება!

მე-2 კნ. ერთი ეს მითხარ, ერთი რაღაც წამალი ჩამოუტანია, მართალია, ფერკამელას აქრობსო?

1-ლი კნ. ფერკამელა რა ვიცი და ერთი რაღაც წასაცხები მამკა: ავუ-რეჩნი მალაკოს ეძახის... ისე არბილებს პირის კანსა, რო...

დოდაშვილი (სანკოვსკის). არა, აუცილებლად ტუნდა დამართოთ ნება, თორემ აბა რასა ჰგავს ჩემი გაზეთი? მარტო მთავრობის განკარგულებებსა და „ტორგის“ განცხადებებსა ვბეჭდავ... გაზეთში როგორ არ უნდა იყოს ერთი პატარა ლექსი, ერთი პატარა ანეგდოტი, მოთხრობა? *სანკოვსკი*. აკი პროგრამა ნებას გაძლევთ...

დოდაშვ. რას ნიშნავს პროგრამა? ტყუილ-უბრალოთ მალაპარაკებთ... თითქო თქვენ არ იყოთ ჩვენი მთავარი რედაქტორი: ქართულ-თათრულისა და რუსულისაც... პროგრამაზე კი არ არის საქმე... საქმე მასალის გაშეებაა... ამაში უნდა დამუხმაროთ... კიდევ კარგი, აქ ჩივიდეთ ხელში... მეც მასწავლებლობამ სულ ჩამყლაპა.

სანკ. მასალის შესახებ, ხომ იცით, კოლეგა, მეც როგორი გაჭირვებული ვარ... ჩემი „Тифлиские ведомости“-ც...

დოდაშვ. დალოცვილო! თქვენ აბა რა საყვედური გეთქმით: თვითონ გრიბოედოვიც გეხმარებოდათ და ისეთი თანამშრომლებიც კი გყავთ, როგორც ისტორიკოსი ბრონეესკი... და კიდევ ბევრი სხვები... ეხლა პუშკინიც მოგემატათ და... დაგასახლებთ.

სანკ. თქვენც გაიჩინეთ თანამშრომლები...

დოდაშვ. თანამშრომლები განა არ იშოვება... მხოლოდ თქვენ არ უშვებთ ჩვენ მასალას... უფროხით რაღასაც...

სანკ.მე, ჩემო მეგობარო, ენა არ ვიცი... თქვენ გენდობით, მაგრამ... მაინც-დამაინც მოელაპარაკეთ ჩვენს გუბერნატორს ზავილეისკის...

დოდაშვ. ზავილეისკის, არ დაგიფარავთ... ვერიდები... არ მინდა მაინც-დამაინც დავაწვე... თვითონ მოგვხსენებათ, რა ფართო პორიზონტის ადამიანია და როგორ, თითქმის შშკარად, არ ავიწროებს თავისუფალ მოაზროვნეებს.

ვრად კარვიცკი. (მოხუცი ჯარისკაცის ტანისამოსში. ვალხოვსკის) როგორ სულზე მომიწერო გენერალ-მაიორის რაეესკის ნებაართემ... კინაღამ დავლპი ალაზნის პირას... ორი დღეა ჩამოვედი და... ვამოვეთოდრ კაცი... ვერასოდეს ვერ გადავიხდი მის დავალებას... ეხლა კიდევ თქვენ! რა სიურპრიზი მომიწყვეთ...

ვალხოვ. რაუესკის მეგობარი ადამიანი ჩემი მეგობაროც არის... მწერდა, რომ იქვე აქ არ მოგწყენოდათ...

კარგიც. რას ბრძანებთ! თქვენის მეოხებით ვიმყოფებოდი საქართველოში წარჩინებულ ოჯახში და ვეცნობი გენიოს პოეტს... პუშკინის მე მუდამ დიდ თაყვანისმცემელი ვიყავი და არ ვიცი პოლონელმა, რომელი გამოვარჩიო: ჩვენი ადამ მიცყევიჩი თუ თქვენი პუშკინი.

XI

ქვევით კარებთან. კარგა ხანია ჩამოვიდა პირიმუზისა და ბაბუცის ცხარედ ელაპარაკებოდა.

ლოპიანა (ღალაქთან.)

ეს რა ცეცხლში ჩავარდნილვარ, სადა ვარ?
გული მეწვის, სასიკვდილოთ მზადა ვარ!
ძალღსავეითა ვგდივარ აგერ ქუჩაში,
ვყარაულობ ერთის ვისმეს კარებსა...
ვინც გაივლის მკითხავს: აქ რას აკეთებ?
—შენ რას ნაღვლობ, მე რას ვიშლი, რა გინდა?
მითილი ხარ, თორემ არა მკითხავდი.
მოდი ამ ვირს ეშხზე ულაპარაკე!
ჩემი დარდი, თვალის ჩინი მანდ არის,
ერთი მითხარ მე სად უნდა წავიდე?)

XII

აივანზე: პუშკინი, ელიზბარ

პუშკინი. მე არ ვიციდი, თუ... საქართველოს ასეთი მდიდარი წარსული ჰქონდა... პოეტი რუსთველი ხომ ჩემთვის სრულიად ახალი ამბავია! არა, უსათუოდ უნდა შემიდგინოთ, თავადო ელიზბარ მოკლე მიმოხილვა საქართველოს ისტორიისა... ამას მე მოუთმენლად მოველი... ღმერთო ჩემო! რა სიმდიდრე, რა განძი გქონიათ!

ელიზბ. სიამოვნებით შევასრულებ თქვენს თხოვნას მხოლოდ მე კი არა, ვთხოვ ალექსანდრე ჭავჭავაძეს და ის შეადგენს ან გამოგიგზავნით ფრანგ მეცნიერ მარი ბროსეხ, მან კარგა შეისწავლა ჩვენი წარსული. ან კიდევ ჩვენს ახალგაზრდა ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს. იმან ბევრი რამ იცის და დაწერილიცა აქვს რუსულ ენაზე ზოგი რამ. ერთგან ის ამბობს: საქართველოს ისტორია არის მთელი პოემა ტანჯული ხალხის კირ-ვადახდილობისა და ღვაწლმოსილებისა...

1) ვრ. ორბელიანისა.

გავრილოვი



გავრ. ალექსანდრ სერგეიჩ! რათ დასტოვეთ ჩვენი საზოგადოება/ და განმარტოვდით.. პოეტს შვენიის განმარტოება, მაგრამ ესევე თაიგულის უგულუბეღყოფა, როგორც აქ შეკრებილნი ვართ რა ვად, ეხლა მივხვდი, თავადი ერისთავი აქ ბრძანდება და... თავადი ისეთი მოსაუბრეა, რომ...

ელიზბ. თავადი ერისთავი უხლავ გავშორდებათ. ცოტახნით, (პუშკინს) ხვალ კი მე თვითონ მოვალ და შესანიშნავ ადგილებს დაგათვალიერებინებთ...

გავრ. თქვენ რათ სწუხდებით, თავადო... მე და ბევრთაბევგოვი რისი მოხელეები ვართ, რომ ძვირფას სტუმარს არ ვუჩვენოთ ტფილისის შესანიშნავი ძეგლები...

ელიზბარ. ეგ, რასაკვირველია, თქვენი უწმინდესი მოვალეობაა, მხოლოდ მეც მინდოდა ეხლებოდი... მაინცდამაინც, ალექსანდრ სერგეიჩ, არ დაივიწყოთ მთაწმინდის ნახვა, იმ ადგილისა, საცა ჩვენ მალე მიუვჩნებოდა ადამიანს საუკეთესო განსაყვენებელს... მხოლოდ გირჩევთ. ხუთშაბათ დღეს ახვიდეთ...

პუშკინი. ხუთშაბათს რატომ?

ელიზბარ. ხუთშაბათობით იქაურ ეკლესიაზე აღის ყველა გათხოვებას მოწყურებული და გათხოვილიც, უშვილო ქალი... საგულისხმო სანახავია... ავიხსნიან, რათაც ხდება ეს ამბავი...

პუშკინი. საინტერესოა!

დარია

დარია. აბა, ეხლა კი დროა მომძანდეთ... უკვე ბანზე ვალავდა ხალხი... (გადიან).

XIII

ქვევით, კარებთან: პირიმზისა, ბაბუცი.

პირიმზ. შენა ხარ ყველას ანგელოზი, გენაცვა, შენ მოგანდე ჩემი თავი და ეხლა შენ იცი.

ბაბუცი. როგორც ვითხარ, პირიმზისა, ჯერ ძალო დარიას მოველაპარაკებო, რომ მან, როგორც განათლებულმა ქალმა, ამ საშინელი ვზით არ მოგიშოროს თავიდან და, თუ ეს არ მოხერხდა, მამასა ვთხოვ და ვეცდები ჩემ სახელზე დაგიხსნა...

პირიმზ. პო, შენთან, შენთან, შენი მუხლების ჭირიზე! (მოხვევა უნდა).

ბაბუცი. არა, ეგ არ არის საჭირო! თავის დამცირება რა საკადრისია? შენც ისეთი ადამიანი ხარ, როგორც მე...

პირიმზ. უიშე, აბა რას მიბრძანებ!.. შენი სადარი ვინ არის? მაგრამ ტყუილად კი არ გეძახიან ანგელოზს...

ბაბუცი, კარგი, კარგი, პიროშისა!

პირიმშ. უკაცრავად, გენაცვა, რომ ამდენ ხანს გაგაჩერე... მკობა? ცაცხლ-
მოკიდებულ გულს რას ეტყვი? მიბრძანდი, გენაცვენე, კინობრძანდი...
რამდენი ხენი დაგაბანდე მე უბედურმა! (ბაბუცი — შედგის პირიმში-
სახაც წასვლა უნდა, მაგრამ ამ დროს უკანიდან მიეპარება ლოპი-
ანა და კაბაში ხელს წაავლებს) უიმე! ვინ არის?

ლოპიანა. ვინ იქნება, თუ არა შენი ლანდი, შენი ფეხთა მტკერი ბედას-
ლი ლოპიანა...

პირიმშ. უჰ, ლოპიანა... მე სხვა მეგონა!

ლოპ. სხვა? აბა ვინმემ გაბედოს შენი თითის დაკარება და მზეს არ
დაუბნელებ?

პირიმშ. მზეს მე თვითონ მიბნელებენ...

ლოპ. ვინა, ვინა? აბა დამისახელე! „აბა ურთი მუშტი-კრივეში მნახოს ვი-
ნა ვარ! ჯამით ტოლუმბაში მნახოს ვინა, ვარ!“

პირიმშ. ეეჰ, ლოპიანა, შენ მუდამ მოხუნჯობის გუნებაზე ხარ, მე კი ეხ-
ლა შენი თავი არა მაქვს... დამეხსენ!

ლოპ. ვა! როგორ დაგეხსნა, ქალო? „ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მო-
დის, ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის“... დაგეხსნა რომელია?

XIV

ბანყე

დიდი კნინა (პუშკინს). დიად, დიად... კარანაციაზე რომ ვიყავ, მაშინ ვნახე
პირველად... შაინც რა კაცია ჩვენი სათაყვანო, ლეთაებრივი იმპე-
რატორი! მე შესახედლობასა და მის ახოვანებაზე არას ვამბობ... ეს
მთელს ქვეყანაზე განთქმულია. მე ვამბობ როგორც კაცი: რა მიმ-
ლებიანი, თავაზიანი, რა ჰკვიანი, რა მომხიბლავი...

ბმეზი. ამას რაღა თქმა უნდა! ჩვენი ხელმწიფე გენიოსია!

გავრ. თქვენ, მგონი, შუბლი შეიქმუნეთ, ალექსანდრ სერგეიჩ?

პუშკ. შუბლი? რა თავაზიანი ბრძანდებით! მე ვატყობ, რომ თქვენ ჩემი
უბრალო თმის შერხევასაც კი შეამჩნევთ.

ბეგთაბ. დიად, ჩვენ გვინდა, რომ ცივი ნიავიც არ მოგაკაროთ...

პუშკ. ეს არ იქნება მთლად კარგი: თუ ნიავი არ მომხვდა, ტფილისში სიცი-
ხით დავიწვები.

გავრ. ჩვენ გვინდა, რომ აქ ყოფნის დროს ფრჩხილიც არ წამოგტკივდეთ.

პუშკ. ჩემი ფრჩხილი? „შეიძლება რომ ჰკვიანიც იყო და თან იზრუნო
ფრჩხილთ მშვეენებაზე“.

გავრ. ოჰ, ეს გენიალურია!

პუშკ. მხოლოდ ნამეტანი გრძელი ფრჩხილი ხომ არა მაქვს? შეიძლება ეს
აქ მიღებული არ არის?

გავრ. რას ბრძანებთ? ზოგიერთი აქაური მაგ თქვენ ურჩობლივად არა ღირს!

ბეგთ. აი კიდევ შეიქმუხნეთ შუბლი...

პუშკ. ჩემ შუბლზე თქვენ ძალიანა ზრუნავთ... მაგინა... ჩემი ზრუნვას ეს არა სჯობია? შეხედეთ!

(გამოფრინდებიან ლეჩაქიანი და ურთმავეებიანი და დაირის ხმაზე დინჯ დავლურს უფლიან).

გავრ. (ბეგთაბეგოვს) აბა როგორ უტაქტო ხართ? რას ჩააცივდით მაგის შუბლს?

ბეგთ. თქვენ თვითონ პირველად შუბლზე არ უთხარიო?

გავრ. ეგ ერთჯერ შეიძლება და ისიც მოხერხებულ დროს... უცებ, მოულოდნელად, რომ კაცი დააბნია, თქვენ კი... თუთიყუშებით ჩემს სიტყვებს იმეორებთ... უნდა იცოდეთ, ვისთანა გააქეთ საქმე... ეგ ჩემო ძმაო, პუშკინია, პუშკინია!...

ბეგთაბ. აა, კნიაენა ბაბუცი მოსულა... (მიდის მისკემ).

სანკოვსკი. (დოდაშვილს). ვნებავთ, მე თვით მოველაპარაკები ზავილესისს.

დოდაშვ. ოო, დიდათა გთხოვთ, დიდათ დამავალებთ.

ელიზბ. (უყვე ბანზეა) სოლომონ! მოდი აქ, კაცო, ვის ელაპარაკები?

დოდაშ. ჩემს მტანჯველს, ჩემს გამწამებელს...

ელიზბ. მერმე ეგრე გულახდილად? როგორი მიაშიტი კაცი ხარ, ყველას ენდობი.

დოდაშვ. ვინ ლაპარაკობს ვინ?

ელიზბ. მე არა ვმალავ... მე ენტუზიასტი ვარ და იქ, სადაც ოდნავ შეიძლება, პირდაპირ მოვარტყამ ხოლმე, მაგრამ ეგ კაცი ჯაშუშია...

დოდაშვ. ოპ, აბა რას ბრძანებთ, ელიზბარ! კაცი რედაქტორი, ლიტერატორი, ზავილესისს მარჯვენა ხელი...

ელიზბ. მე კი ესე გავიგე — ერთ დროს პოლიციის სამინისტროში მსახურობდა თურმე და დანამდვილებით ვერ გეტყვით...

დოდაშვ. ეპ, შეიძლება მართალიც იყოს... რამდენი სიფრთხილე გმართებს კაცს...

ელიზბ. ეგ ეხლა იქით იყოს, იცი, რა გახარო, სოლომონ?

დოდაშვ. რა იყო?

ელიზბ. (დიდის საიდუმლოებით) ერისთავიანთ ხელი მოვაწერეთ.

დოდაშ. აქტ-გონიურზე?

ელიზბ. იგივეა. კანტრახტი დავწერეთ, ასე რო რაც ჩვენი სარგებლობისათვის იყოს და რაც ჩვენ გვიფიქრია, ვინც უმტყუნოს ამ ამხანაგობაში და ან საერთო სარგებლობისათვის, იყოს შეჩვენებული ღვთისაგან.

დოდაშ. მაშ გვემატებიან, ა, ელიზბარ!?

ელიზბ. მალე მალე, სოლომონ!

დოდაშ. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი...

ელიზბ. ოქროპირ ბატონიშვილთან მოსვლა არ დაგვიწყნარებია.

დოდაშ. სხვა რაღა უნდა მახსოვდეს; ხვალ, შუადღისას. (მოდის ვალხოვსკი და კარვიცკი.)

ვალხოვ. გაიცანით, ბატონებო! გრაფი კარვიცკი, პოლონელი პატრიოტი...

ესენიც ქართველი პატრიოტები: თავადი ელიზბარ ერისთავი და სოლომონ დოდაევი. (ხელის ჩამორთმევა).

ელიზბ. დაიტინებით?

ვალხ. არა, სრულუბრთაა არა, მხოლოდ ეს ერთა შეთქმულებაში და თქვენ კი... ღმერთმა დაგიცვათ.

კარვიცკი. ამიტომ ჩემი ტანისამოსი არ გაგაკვირვებთ, მე შევეჩვიე.

დოდაშ. ჩვენს დროში ეგ ტანისამოსი თქვენისთანასთვის ურთგვარი მშვენებაა...

გავრილ. (ბეგთაბეგოვს) ვან არის ეგ მოხუცი ჯარისკაცი, საიდან გაჩნდა?

ბეგთაბ. ეტყობა, ვალხოვსკის ახლავს... იმან თუ შემოგვაპარა ვინმე დეკაბრისტი...

გავრ. მაგისტრის მადლობას არავენ ეტყვის... გაიგეთ ვინაობა.

XV

თულუხჩიევთან

ქალი. უი, შენ კი გენაცვალე! დუშკა, დუშკა! (ხელით ვიღასაც კოცნას უგზავნის) პაპა, პაპოჩკა! დაინახე როგორა ცეკვავენ!

თულუხჩ. შენ ცეკვას უფრო უყურებ, თუ იმ შენ კუტრ კნიაზსა, ქიპასავეთ რომ იკიშება?

ქალი. რა არის, პაპა?! აბა ეგ რა სათქმელია! (მოშორდება).

ცოლი. შენ კუტრი კნიაზი უძახე და ნახე თუ მშრალზე არ დაგვსას...

თულუხჩ. ვინა? ბეგთაბეგოვმა? ამ წრიბამ?

ცოლი. წრიბაა თუ რაღაც, ასე უთქვამს თურმე — ერთი ნიშნობა კი გადავიხადო, მზითვეიც ჩამოვართვა თულუხჩიევსა — სანამ ქრთამს არ მაძეკმს, მანამ ნიშნობასაც არ მოვაწყობო — და მერმე მე ვიცი, ვისაც შევირთამო.

თულუხჩ. ვინ მოგახსენა?

ცოლი. აი ოსიკამიანთ თეკლემა.

თულუხჩ. ოჰ, ბევრი იცის შენმა თეკლემამ! სად თეკლე სად ერეკლეო, აი მაგაზეა სწორედ ნათქვამი

ცოლი. შენ ეგრე თქვი და... ოსიკამიანთ თეკლე ისეთი შესული ყმაა მავათ ოჯახში, რომ...

XVI

ბანზე



ქართული
ენების
სამეცნიერო
ცენტრი

ბეგთაბ. ეხლა კი მე მგონია, ბატონებო, კარგი იქნებოდა ქაღალ-
სა ვთხოვთ, რომ ერთი მირზაია გვაჩუქოს...

დარია. ოპ, ოპ, ნეტ, დუშკა, საიდან? სულ დამავიწყდა...

ხმები. უსათუოდ, უსათუოდ, (ზაერთო ხრიალი).

გავრ. ძვირფასის სტუმრის პატივისცემისათვის...

პუშკინი. დიდათ ვთხოვთ...

დარია. (კეკლუცად) დავიწყებული რომ მაქვს...

ყველანი. ვთხოვთ, ვთხოვთ!

პუშკინი. კიდევ ვთხოვთ.

დარია. კიდევ? თქვენ უარს ვერ გეტყვით.
(მირზაიას ცეცვის დროს რომ ჩამოუვლის პუშკინს).

„იყავი ჩენი და შეეჩვიე
ჩენს ხვედრს, ადათს, წესს, თავისუფლებას“,
და შეეჩვიე ჩენს ხვედრს, ადათს, წესს, თავისუფლებას.“

პუშკინი. დავრჩები!

დარია. (გაქროლდება) „აჰა, ჩემი იქნება!
ვის შეუძლია წარმტაცოს იგი“

ვალბ. (კარგიცის). „ყველა ეს არის რალაც ველური,
პირველყოფილი და შორეული“.

კარგიც. არა, თქვენ გადახედეთ მთელს კრებულს, მათ ჩაცმულობას, მათ
საქციელს. ეგროპა და აზია! თავზე ჭართული თავსაკრავი და ხა-
ბარდა, ქოშები და კწიკსენი, ყურთმაჯები და ანტრასა... ჰა, ჰა!
იცვლება ეს ქვეყანაც... ასეა ჩვენშიც, პოლონეთშიც, მხოლოდ
ძალით, ძალით შეგობარო...

XVII

თულუხჩიევთან.

თულუხჩ. მაშ მართლა თუ ეგრეა და დამაცადოს მართლა მაგ ჩინჩხერის
კაცმა, მაგან... ხვალვე ისე ავაწრიპინო ეგეცა და მთი ოფოთა რძა-
ლიც. ეგერ მწყერ-ჩიტასავით რომ დახტის... რო სუ თავის გაჩე-
ნის დღეს იწყველიდეს... როგორ, ჩემი ნაზუა გოგო ხელში უნდა
შემატოვოს? მისმა მზემ, ვერ გამითხოვებია აი! მაგის ყმა და მა-
მულსაც რომ აქეთ წაშოვილებ, იმასაც ჩემ ნაზუას გავატან მზითევში...

ქალი. (ეხლა მოჰკრა ყური) რას ამბობ, მამი! როგორ, განა არ მირთავს?

ცოლი. ვინ ვითხრა, შეილო? შეგირთავს, მამა შენს მაგას როგორ გაუ-
ბედავს?

ქალი. (აღრიალდება) არ შემირთავს, არა, მე ვიცი...

თულუხჩ. დაიცა, შეილო, მათქმევეინე...

ქალი. (ღრიალებს). არ შემიერთავს არა, არ შემიერთავს...

XVIII

ბანზე.

ერყენული

პუშკინი. მაშ, ქართულ ენაზედაც გამოდის გახეთქვა ვალხვ. როგორ არა! აი მისი რედაქტორი დოდაშვილი. ნუ თუ არ გაგიცენიათ? აქ მობრძანდით, ბატონო სოლომონ! გაიცანით. დოდაშ. დოდავე.

ღარია. (ვალხვების) უკაცრავად... ცოტა ხანს აქ მობრძანდით... (ვალხვები გაშვება).

პუშკინი, როგორც ეტყობა, გვარი გაგირუსულეებით.

დოდაშ. გვიცვლიან გვარებს... გვცვლიან, გვცვლიან... თქვენც რუსი ბრძანდებით, მაგრამ როგორც მალალ აღმაფრენის პოეტს, ისე გეუბნებით... რასაკვირველია, რუსობა აქ არაფერ შუაშია, არამედ აღმინისტრაცია, თვითმპყრობელობის წარმომადგენლები. კარგი რუსები ჩვენში არ მოდიან... თქვენისთანები ასე შემთხვევით თუ ჩამოვლენ, ან გავლით სადმე, ზერელეთ გავგიცნობენ და ზერელეთვე მოგვიხსენიებენ „თავის ლოცვებში“. მხოლოდ თუ რამ დასწერეს, დასწერენ: ამოტელა ქვევრი ენაზე შიგ ორი კაცი ჩამხვრჩვალყო ღვინის მეტის-მეტი სიყვარულისაგანო.

პუშკინი. ეგ, წარმოიდგინეთ, მეც მიამბეს ვხაში: ერთ დრაგუნს მალულად ერთი ასეთი ქვევრი მოუხდია, ჩაეარდნილა შიგა და ჩამლრჩვალა კახურ ღვინოში ისე, როგორც საცოდავი კლარენსი მალავით სავსე კასრში.

დოდაშ. აი ხომ ხედავთ. ან იმას იტყვიან: ერთი ესეთი ხანჯალი ენაზე, ერთ ვილაც ვირგლას ეკიდა, სატენი სივრძე ჰქონდა, ოთხი მტკაველი სიფართე. მერმე მიაყოლებენ: ქუჩაში კაცს ისე ჰკლავენ იმ საენიან ხანჯლით, ისე გამოფატრავენ, უკანაც არ მოიხედავენო. ამას გარდა აბანოებზეაც იტყვიან რასმე: აბანოები ენაზე და ბუნებრივი წყალი ძალზე ცხელიაო...

პუშკინი. აბანოებზე მე უსათუოდ დავწერ... ვიყავი უკვე და...

დოდაშ. თქვენ იციით... მაგრამ ესეთ სტუმრებს კიდევ მიეტყვებათ, მხოლოდ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აქ ისეთი რუსობა მოდის — თავზე ხელალებულები, ბედისაგან განწირულები, ან პოლიტიკური თუ სხვა გვარი დამნაშავენი, რომელთაც უნდათ თავიანთი დანაშაული მეტის-მეტი ერთგულებით გამოისყიდონ, და ამისათვის არავითარ საშუალებას არ ერიდებიან. არ უწევენ ანგარიშს ადგილობრივ ზნეჩვეულებას, არც ჩვენი ხალხის სულიერ ავლა-დიდებას და ამიტომაც არიან განუკითხავნი, მჭკრთამენი, მრუსნი და გალოთებულნი... არა, არ მოდიან ჩვენში საცხოვრებლად და ჩვენდა სასიკეთოდ კარგი რუსები...

პუშკინი. თქვენი სიტყვები დამაფიქრებელია...
ბავრილოზი გაჩნდა.

ვაკრ. რა არის დამაფიქრებელი?
პუშკ. ზოგიერთის საქციელი, ჩემო კარგო!



XIX

თულუზნიევთან.

თულუზნი. (ქალს ეფერება, ქალი უკვე კარგ გუნებაზეა). პო და აი ეს ყველაფერი შენი იქნება, შვილო... ეხლა კიდენა პასკევიჩი მეხვეწება ერთი ქარფანსარაია ააშენო... ავაშენებ კიდეცა... მერმე იცი, ეტ რა იქნება, შვილო? ქალაქის მთელი საეაქრო ესე შექნება ხელში, აი! მაგრამ რას ვამბობ? რისი ქალაქი? მთელი ლუბერნია, მთელი კავკასიის აღებ-მიცემობა ჩემზე იქნება დამოკიდებული და მაშინ ბეგთაბეგოვი ვინა გლია... ასეთ კაცს შევგროთ, რომა... შენს ოჯახში სულ ლერენლები და მინისტრები იტრიალებენ... ეგ რა არი, მანდ რომ ხედავ?! პუშკინი-მუშკინი სულ გარს გეყოლება, შენზე ლეჭებებს დასწერავენ... შენ დაგხატამენ... რუსეთიდან ხემწიფე რომ ჩამოვა, პირველ ეიზიტს შენ გაგიკეთებს, თავის ხელია, ლენტს ჩამოგკიდებს, აი მანდ რო დიდკენინას ორდენი აქვს, იმაზე უკეთესს ჩამოგკიდებს... მერე შენ წახვალ ზაგრანიცაში...

ქალი. უპ, რა კარგია!

თულუზნი. მაშა! წახვალ ზაგრანიცაში... იქ კიდენა ფრანკუციკი ხემწიფესთან იტანცავენ, ანგლიციკი კაროდი საჩუქრებს გამაგიგზავნი...

ქალი. პაპა, პაპა! რას მუღბნები?

თულუზნი. მაშა, მაშა! შენ კიდენა ღრიალებ: არ შემირთავს, არ შემირთავს! ვინა გლია შენი კუტრი ბეგთაბეგოვი?!

XX

ბანზე.

დიდი კნეინა. არა, ბაბუცი, მე ვთხოვ წაუკითხე.

ბაბუცი. რა წაქითხვა უნდა, თავისი ლექსი თვითონ არ იცის?!

სანკ. მგონი, თქვენს ლექსს კითხულობს ახალგაზრდა ქალი...

პუშკ. ძალიან სასიამოვნო იქნება, ვისმენ...

(ყველანი ყურადღებით არიან. ბაბუცა ემზადება წახაკითხავად. ამ დროს გადიასთან მიფარებული ბავშვები, რომლებიც აქამდისაც ტოკავდნენ და პუშკინისაკენ იწევდნენ, მაგრამ კარგა ვერ უხლოვდებოდნენ, მოიბრუნენ იქით-აქეთ და გაუბედავად, მაგრამ ხმამაღლა შესძახებენ:

პუშკინ! პუშკინ!

და იხვევ გაიქცევია. პუშკინი ილიმება, ჩამოვარდება სიჩუმე).
ბაბუცი. (ზეპირად კითხულობს).

ერკინული
გონიერება

«Слышали-ли вы за рощей глас ночной

Певца любви, певца своей печали?

Когда поля в час утренний молчали.

* Свирели звук унывный и простой —

Слышали-ль вы?

Встречались-ль вы пустынной тьме лесной

Певца любви, певца своей печали?

Прискорбную-ль улыбку замечали,

Или тихий взор исполненный тоской —

Встречали вы?

Вздохнули-ль вы внимая тихий глас

Певца любви, певца своей печали?

Когда в лесах вы юношу видали,

Встречал взор его потухших глаз —

Вздохнули-ль вы?

პუშკ. ყოჩაღ! მაგრამ საიდან გამოძებნეთ ეს ბავშვობის ლექსი? თუმცა თქვენც ჯერ ბავშვი ხართ, ჩემო კარგო! ეს რა წიგნს კითხულობთ? (გამოართმევს, ბაბუცი გაწითლდება) ოჰო! (კითხულობს). „Conspiciam par l, egalite dit de Baleut“. ეს კი ბავშვური აღარ არის! ნუთუ თქვენ საზოგადოებრივი საკითხები გაინტერესებთ? მომიტევეთ და რა გამოიტანეთ ბაბუცის მოძღვრებიდან?

ბაბუცი. ეგ ხამენი? კარგი. მე მზიბლავს მისი აზრი, რომ „ბუნებას ყველას თანასწორი უფლება მიანიჭა ისარგებლოს ცხოვრების ყოველგვარი სიკეთით“, რომ „შრომაცა და განცხრომაც საერთო და თანაბარი უნდა იყოს“, რომ „უნდა დამყარდეს საერთო ქონება, ან ქონებათა გაერთიანება“.

პუშკინ. ბრავო! ბრავო! მაგრამ, როგორც ვატყობ, უცნაური ქვეყანა კი უნდა იყოს საქართველო...

ბაბუცი. მე მინდოდა თქვენი „ხანჯალი“ წამეკითხა, მაგრამ...

პუშკინი. ოო, ეგ აკრძალულია! თქვენი აზროვნება ეტობა, რომ სულს ზნე ვხვით მიემართება!

დარია. (პუშკინს) აჰ, რა მშვენიერი რამ იყო ეგ თქვენი „მომღერალი“, ეგ მე არ მახსოვდა (გაიტაცებს პუშკინს)

დიდი ენ. (ბაბუცის) რა იყო, რა წიგნი უჩვენე? ხომ არ შეგვარცხვინე? (დახედავ) უიმე! ღვთისა და ხელმწიფის წინააღმდეგი წიგნები-

ჩემს სახლში მოგაქვს? ამას შენგან არ მოველოდი, ბაბუცი! აქი ქვეიანი გოგოა, ასეთია, ისეთიაო... წადი, წადი, გადის... ჩემმა ვაჟმა არ გინახოს... ისე გეპრანკება, მგონი, ცოლად უნდობარ და... ბაბუცი. აბა რასა ბრძანებთ — დიდიდედო? (მოშორებას) ~~ქნება!~~
 ხანჯ. ვხლა კი, ბატონებო! ეთხოვით ჩვენ ძვირფასს სტუმარს, ჩვენს მნათობს, თვითონ წაგვიკითხოს რამე...

ყველანი. ოი, უსათუოდ, უსათუოდ... ეთხოვით!

დარია. (არაფერს ამბობს, მაგრამ შეფრფინვით შესცქერის).

ვაჟ. დიდი დავალება იქნება!

პუშკ. (დაცინვით) აბა, თქვენც გნებავთ? სიამოვნებით! წაგიკითხავთ ჩემს ახალ ლექსს.

დიდი კნ. ძალიან უბრალო კაცი ყოფილა: თავპატაჟი არ გაიღვა.

პუშკინი. „საქართველოს მთებს ღამის ბინდი შემოჰყენია,

ხმაურობს ხევი არაგვის ხმაზე,

ჩემი მოწყენაც იოლია — ის ნათელია,

შენის მშვენებით და შუქით საესე.

აღსაქუე შენით, მხოლოდ შენით. სიჩუმე დაღვა

და აღარაეინ მიღვიძებს დარდებს,

და ისე იწვის ჩემი გული და უყვარს, რადგან

არ შეუძლია, რომ არ უყვარდეს.

დარია. ვიზე დასწერეთ? ნეტა მე ყოფილიყავ მაგ ლექსის მიზეზი... მაგრამ არაფერია, მე ხომ უკეთესს დამიწერთ...

(გოგონები მოვარდებიან: „პუშკინ! პუშკინ“)

პუშკ. (ერთ ერთს დაიჭერს და აკოცებს). ვოტ ვამ ი პუშკინ!

დიდი კნ. უი ქა! ესენი აქ ეინ გამოუშვა? აქი ეუბრძანე, რომ... საღ არის გამდელი?

გამდელი. აქ გახლავარ, ქალბატონო!

პუშკ. ოო, გაღია, გაღია! მიხაილოვსკოეში მგონია ჩემი თავი... ჩემი არინა! ოო, ამას რამდენი ზღაპრები ეკოღინება, რამდენი ლექსები!

დარია. ბეერი ბეერი. მართლა, გამდელი, მოდი ერთი რამე მოკლე უთხარი...

გამდ. იი, შენ კი გაიხარე! ჩემსას რას გაიგებს, შვილო?

დიდი კნ. (ფრანგულად) აბა რა საკადროსია გამდლის ზღაპრები...

პუშკინი (ფრანგულადვე). რატომ თუ კი თქვენ დართავთ ნებას თვითაც დათანხმდება, მე სიამოვნებით მოვისმენ...

დიდი კნ. აბა, გამდელი, ხედავ შენც დაგიღვა დრო: სტუმარსა სურს, რომ უთხრა რამე, მხოლოდ მართლა ზღაპარი კი არ მოყვე... რაიმე პატარა ლექსი უთხარი და ის იქნება...

გამდ. იი, აბა, ქალბატონო, რა დროს ჩემი ლექსის თქმაა?

ბაბუცი. (მოიბრუნს). არა, გამდელი. გენაცვალე, აი ეს ლექსი... (ყურში ჩასჩურჩულებს. გამდელს უხარია, ცოტას ინაზნება).
 დიდი კნ. ჰო, თქვი, ნუ გააჭირე საქმე...
 გამდ. კარგი, ბატონო. (გამოვა წინ, წელში გაიმართება და ლექსს კითხულობს მოულოდნელის ექსპრესიით. პუშკინს დოდაშვილი ჩუმად უხსნის ლექსის შინაარსს).

„ვეფხვი და მოყმე შაიბნენ — დრონ იყვნენ შუალამისანი, —
 კლდეები ჩამანგრინეს, შტონი დაღეწეს ტყისანი...
 ვეფხვი რომ წამაფრინდა, თვალნი არისხნა ხთვისანი!
 დრო აღარ დარჩა მოყმესა, ხანი რო ჰქონდეს ცდისანი!
 ფარსა უფარებს, ვერ ჰფარავს, ვეფხვი ჩქარია კლდისანი:
 გაზით გაართვა კალთანი ჯაჭვისა ჯავშანისანი.
 მოყმემაც ხელში იყარა ვადანი თვისი ხმლისანი:
 მაშინ გაუჭრა ფრანგულმა... დრონ იყვნენ წაქცევისანი!
 ორთავ კლდეთ გადაეკიდნენ, ლოგინი დახვდათ ქვისანი!
 იქით ვეფხვია, აქ მოყმე, ორთავ სულ-ამამდინარი,
 ქვისას მიპლებავს წითლადა სისხლი ზედ-ჩამამდინარი!
 დედამ გაიგო, წამოჯდა ტირილით, თვალ-ცრემლიანი:
 „ჩემს შეილს გზად ვეფხვი შეპყრია, გაჯავრებული, ტიალი!
 „შეილო, შენ მოკვდი? შენ გძინავ, დაქანცული ხარ ჯაფითა!
 „ეს შენი ჯაჭვის კალთები ტიალმა როგორ დაფლითა?!
 „შენც იმის საფერ ყოფილხარ, ხმალი ქნევაში გაგიცვდა,
 „არც იმან მოგცა მეტი დრო, აღარც შენ დააცალია,
 „ველარც შენ დაიფარიე შენ ხელთ ნაქერი ფარია.
 „მაგის მეტს აღარ გიტირებ, შენ არ ხარ სატირალია:
 „ერთი შეილ მაინც გაგზარდე ვეფხვებთან მეომარია!
 „მაგრამ მას ვფიქრობ — უდედოდ გაზდა ვინა თქვა შეილისა?
 „ოქება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა...
 „წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა.

„ისიც მიამბობს თვის შეილზე, მეც უთხრა ჩემი შეილისა!“ *)
 პუშ. (აღტაცებით ტაშს უკრავს) გასაოცარია! ხალხზე უფრო გენიოსი ვინ იქნება! (დარიას) თქვენ მართლა რომ მშვენიერი სურპრიზი მომიწყვეთ...
 1-ლი კნენა. უი, გეთაყვანე, მთქნარებისაგან ლამის ყბები ამომივარდეს...
 მე-2 კნ. შენ ჩემი თქვი-და!
 მე-3 კნ. ერთი ლოტო მაინც გვეთამაშნა, თორემ რა არის, გამდლის რალაც ზღაპრებს გეასმენინებენ... ზღაპრები მე ჩემი თითოკასიც მომბეზრდა:
 1-ლი კნ. დიდმა კნენამ სთქვა, რომ ლოტო ამაღამ არ იქნებაო... ეგ თულუხჩიანთ ოჯახის საქმეა, ამგვარ სტუმართან თავს აბა როგორ შევირცხვენთო...

*) ხალხური.

მე-2 კნ. უი ჭა! ვახშამი მაინც დროით გვაჭამონ, თორემ საცაა შუალამე გახდება.

მე-3 კნ. ვახშამს კიდენა, ალბათ, ყაფლანს უცდიან, უკვე წყურუნდა იყოს სუფრაზე? ჩვენი სუფრა არ უნდა უკვე წყურუნდა ანუ როგორ იქნება?

ბაბუცი. ძალუა დარო, ძალუა! ერთ წუთს აქ მობრძანდით! დარია. რა იყო, ბაბუცი?

ბაბუცი. მართალია, რომ პირიმზისა და მამა მისს ჰყვიდიან? დარია. ვინა სთქვა?

ბაბ. პირიმზისამ მითხრა, ტორლი უკვე დანიშნულია.

დარია. მერმე შენ რა? მაგრამ პო... შენ ხომ მოწინავე ქალი ხარ! მადამდე სტალ! ან შარლოტა კორდე! ფრანცულ რაღაც აკრძალულ წიგნებს კითხულობ...

ბაბ. გეყოფათ ჩემი დაცინვა, ძალუა! საქმე ადამიანებს შეეხება და... ნუ თუ არა გრცხვენიათ, რომ ასე მოძველებული ნივთივით ელვეით მათ? მაინცდამაინც რა დაუშეებიათ თქვენთვის?

დარია. ძალიან ბევრი... ერთი, რომ პირიმზისას მამა მეტად აბეზარი და ჭედ-დაუდრეკელი გლეხია, მეორე კიდევ ის, რომ პირიმზისა ლამაზია...

ბაბ. კმ... სილანაზეც კი ხელის შემშლელია?

დარია. ნამდვილად. შენ არ იცი, რა მსუნავი რამ არის ჩემი პატარა მაზლი... აი შენ რომ გეკურკურება...

ბაბ. ძალუა, გთხოვთ!

დარია. ეგეც არ იყოს, თულუხჩივეის ვალი მართებს ჩემს მაზლს და აბა რითი გადაიხადოს?! მაინცდამაინც მე მინდა ჩემს ოჯახს ავაცილო სქანდალი... ისედაც ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ეზლანდელი აბლად-მოვლენილი რუსეთუმეები ბატონების მისასტიკესა და გარყვნილებაზე...

ბაბ. მერე ამისთვის ადამიანი უნდა გაჰყიდოთ? ნუთუ სხვა საშუალება არ არის?

დარია. მე არ მინდა ჩვენს ოჯახს ჩირქი მოეცხოს...

ბაბ. და ის კი ჩირქი არ არის, რომ ცოცხალ ადამიანებს ჰყვიდით?

დარია. ო, ჩემო კარგო, ტორგით ყმის გაყიდვა დაკანონებულია და ამიტომ არაფერი სირცხვილიც არ არის.

შესლ. (პუშკინს) ალ. სერგეიჩ! აგერ შეხედეთ, აგერ... იდილია! (გადაახედებს ხანზე. ქვევით ლოპიანა თარს უკრავს და პირიმზისა კედელზე მისვენებული ყურს უგდებს. ორივეს მთვარე დანათის).

პუშკ. თავისებური ვენეციაა? ბედნიერი ხალხი!

ვალს. გრაფ კარვიციკი კი... ხომ გაგაცანით წელან... სულ სხვა აზრისაა...

პუშკინი, რომ აბსოლუტური ბედნიერება არ არსებობს; არა? ეს დიდი ხანია ვიცით ყველამ.

კარვაც. კი მაგრამ შესაძლებლობის მიღწევა კი შეგვიძლია... ნი აქაც... ზევით ასეთი აღფრთოვანება, მზიარულება... ვეფხვეთ სივერულის გვირგვინსა სწნავენ ახალგაზრდები, მაგრამ... ვინ იცის, რა მოვლით? შეიძლება ბატონების უხეშმა ნებამ ერთი ვაჰყიდოს სათათრეთში ან სპარსეთში... მეორეს კი თავი გადაჰპაროს და ჯარისკაცად უკრას თავი...

დოდაშ. გრაფი კარვიციკი.. მართალია... ვინ იცის, როგორ ჩაწამდეთ მათ ეს ტრფობის წამი!

მესლინგ. ეს ორივენი პესიმისტები არიან...

პუშკ. (მოღრუბლული) ჰო... ბატონყმობა მეტად სასტიკი რამ ინსტიტუტია...

დოდაშ. ესე არ იყო საქართველოში...

კარვიციკ. როგორ არ იყო? იყო და არის. მე თვით ვნახე... კახეთში არ ვიყავი? თვითონ ალექსანდრე ჭავჭავაძე, კაცი მოწინავე, თქვენში დიდ პოეტად აღიარებული, ერთი უსასტიკესი მებატონეთაგანია, ტყავს აძრობს გლეხებს...

ვალს. კარ-გაღებული ოჯახი აქვს, დიდი ხარჯი... მიხ ცხოვრებას ბევრი სჭირდება.

პუშკ. ჰო, ფული რომ დაგჭირდება... მეცა მყავს ყმები, აზნაური ვარ, და ლმობიერი მებატონეც ვარ, მაგრამ თუ რომ დამჭირდა... ვახდევინებ უკან მოუხედვით... (ვალსოვსკის გათამაშებით) თუმცა ეხლა ჩემი „ვეგენი ონეგინი“ მაცხოვრებს... კარგა ძალს მაძლევს და აქაც უხვად წამოვიღე... მართლა, აქ ვისტს არავენ ეწყობა?

დოდაშ. (კარვიციკის ედავებოდა) დიალ, ესეთი სასტიკი სახე არ მიუღია ჩვენში ბატონყმობას. ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში რუსთველი გვასწავლიდა: „მეც გლახაკთა სატურქლე, ათაეისუფლე მონებო.“

პუშკ. (ყურს მოჰკრავს) როგორ? როგორ (დიდი კნენია მოვიდა). მე მიბრძანებთ რასმე?

დიდი კნ. ჰო, მინდოდა მეკითხნა, ქალაღს ხომ არ ითამაშებდით, იარალაშსა?

პუშკ. იარალაშსა? ჰო, მახსოვს ცოტათი...

(ამ დროს ქუჩაში გამოჩნდება ზურნით მომავალი ყაფლანი და მისი თანამოინახენი. ღრიალი, ტრიამული).

ზანზე ხმაური:

— უიმე! ყაფლანი გამოჩნდა!

— ის სარსარაკი, ისა!

— ოო, ეხლა კი ველირსებით ვახშამს.

— ყაფლანი! ყაფლანი!

XXI



ყაფლან. (ქვევით ჩამოუვლის ლოპიანას და პირიმზისას) ბებო, რა გონა ჩავიგდია ხელში! ბელ-ვიუ! პირველი ლამაზი მამა... ლმერთი არ გაგიწყრეს... (მისიანებში სიცილი). ჩაუვლიან შედიან დარიასას).

პირიმზ. აი, ლოპიანა, ხედავ რეებს ამბობს... რომ წამოგყვე და მაგან თავისი აისრულოს?

ლოპ. მაშ არ აისრულებს! ლაზლანდარობს, ყურს ნუ უგდებ!

პირიმზ. არა, გამყიდონ, ისა სჯობიან მაკას ხელში ჩაეარდნასა!

ლოპ. რის ჩაეარდნასაო? აქ არა ვარ...

პირიმზ. შენ ვინა გეითხავს, ლეთისნიერო... ორბელიანების ყმა არა ხარ?

ლოპ. ორბელიანების რომ ვარ, მაგისი კი არა... ჩემი ბატონი გრიგოლია... ჩემი ძმა-კაცია... შენ რეებს ამბობ?

პირიმზ. ეგ, რა ვიცი: საითაც გავიქეციო, იქით წავეიქეციო! ან გამყიდიან, ან რომელიმე მაგისტანა ვეშაპს ჩაუეარდები ხელში!

XXII

ბანზე

ყაფლან. (წინ მოუძღვის თავისიანებს. შუაზე შედგება, მოავლებს ყველას თვალს) ბელ-ვიუ! (განგებ ვლებურად) გამარჯვება აქა მბრძანებელთა!..

დიდი კნ. კარგი, შე გიყო შენა! მოდი აქ, გაიცანი ძვირფასი სტუმარი.

ყაფლ. (მიდის ჯიქურ პუშკინთან) აზნაური ხარ? (პუშკინი ღიმილით თავს დაუქნევს. ყაფლან ხელს ართმევს) ერთი კარგი აზნაური მივიღეთ ჩვენს ოჯახებში გრიბოდოვი, აცხონოს ლმერთმა, კარგი კაცი იყო... შენ უკეთესი უნდა გამოხვიდე... ეს ვინ არის? (კარგიც-კიწე) გრაფი? ოო, ესე სჯობია... თუ ლმერთი ვწამთ, სემენარისტებს და კოკობზიკა ქუდიან ხალხს გვერდით ნუ მომისევამთ... (ლოდაშვილს) აჰ, უკაცრაოდ, სოლომონჯან! შენ კი არა გეწყინოს-რა... ბელ-ვიუ! აბა, გაიცანით, ყმაწვილებო! (უფრო პუშკინს აცნობს მასთან მოსულებს) თავადი მუხრან-ბატონი, თავადი ორბელიანი... ჩემი ძმის წულაია, თუმცა ვერა მაგას, მაგრამ... რას იხამ! დავკინდით, პოეტო, დავკინდით... მიედივართ. მივექანებით... ეგ, ბელ-ვიუ! თავადი ანდრონიკაშვილი, თავადი ჯორჯაძე, თავადი ჯანდიერი...

ვალბ. (პუშკინს) ადგილობრივი ბრწყინვალე საზოგადოება.

ყაფლ. დიად... მხოლოდ სოფისტები არიან ეგ მამაძაღლები... ლამის მეც გაეხდებ სოფისტი...

პუშკინი. სოფისტი? როგორ?

უფლ. აი ახვალ მთაწმინდაზე და ნახამ... (თითებს იკოცნის) ბელ-ვიუ? (მოშორდება, გადადის კენინებისკენ. ეხლა იქ კატეფეზა სიკილ-ბარ-ბარი).

სიკილ-ბარ-ბარი

შესლ. (პუშკინს) მთაწმინდაზე იქ არის ერთი ახალგაზრდა ქალი, იშვიათი სილამაზის, ცხოვრობს ერთ მოხუც მონაზონთან და ამბობენ, თვითაც მონაზონობას ეპირებაო... ამაზეა გადარეული აქაური ყმაწვილ-კაცობა. სახელად მას სოფიო ჰქვია და ესენიც იმიტომ არიან სოფისტები.

დარია. (ახლად მოსულ კავალრებს). არა, არა, მე სოფისტებს არ ვიკარებ. არა... (გამოუსხლტება) აგურ, ალექსანდრ სერგეიჩს მინდა ეთხოვო ალბომში ჩამიწეროს რამე...

ვალხ. მართალია, პუშკინი აქ იყოს და ალბომში არ ჩააწერინოთ?

პუშკ. (ცოტა შეიკმუხნა) ალბომში?

დარია. ო, ვიცი, როგორ გაჰკალეთ თქვენ „ევგენი ონეგინში“. ალბომში წერა:

„აუცილებლად თქვენ იქვე ნახავთ:
ორ გულს, ყვავილებს, ლამპარს ანთებულს,
თქვენ უთუოდ იქ ფიცს წაიკითხავთ,
რომ ჰპირდებიან სიყვარულს ერთგულს.
ვიღაც არმიის მელეჰის თქმული,
სტროფებში სიტყვა ჩანს გადაკრული“...

პუშკ. მაგრამ ესეცა ვთქვი, ქალბატონო:

„ასეთ ალბომში მე მიყვარს წერა
სულით და გულით, რადგანაც მჯერა:
გულმოდგინებით თქმული მიქარვა,
თვალებს მიიპყრობს, ვითარცა ქარვა“.

დარია. „მაშინ ნეტარებს შეყვარებული,
როცა უკითხავთ ოცნების ნაყოფს
სასურველ სატრფოს, თავის გვერდით მყოფს
და კეკლუცი სდუმს მინაზებული!“

პუშკ. „ბედნიერია... თუმც ქალი იმ დროს
შესაძლო არის სულ სხვაზე ფიქრობს“... (გადიან).

XXIII

ქვევით კარებთან.

პირიმუ. ეხლა კი წადი, გენაცვალოს ჩემი თავი... უკვე გვიანაა... ზევით მომიკითხავენ...

ლოპ. რომელი გვიანია... მე საათს კი არ დავყურებ... ისინი ექვსი წევით განცხრობიან, ჩვენთან რა დავა აქვთ?

პირიმზ. ექვსი წევით უდარდელი კაცი ხარ და... ჩემს მსახურს რა გინდა?

ლოპ. შენი საქმე მე ვიცი-მეთქი... რით დავარწმუნოთ... არ მინდა აეტეხო... აი გრიგოლს მოველი... და, ბიჭია და, არ შე-მისრულებს... თუ არა და ვერ გაგიტაცე? თუ კი არსენამ ბარათა შეიღოს ქალი მოსტაცა, მე რა ნაკლები ბიჭი მნახე!.. „დარდი-მანდის ლხინში მნახე ვინა ვარ!“

პირიმზ. გეყოფა ტრაბახი... მაგრამ რა ვუყო ამ გულს, რო მამაც შენი იმედიოთა ვარ.

ლოპ. ეს გული დამიწდეს, თავი მამიკედეს, ჩემი სიყმე წახდეს, თუ ლოპიანამ მაგათ კლანჭებიდან არ დაგხსნას... ვაიმე, რო აქამდე არ ვიციოდი...

პირიმზ. ჰო, წადი, წადი ეხლა! (თვითონ აპირებს წახვლას).

ლოპ. გოგნი!

პირიმზ. რა იყო?

ლოპ. ეგრე მისტუმრებ?

პირიმზ. ჯა, რა გინდა?

ლოპ. ექვსი! აი რა მინდა... (უცრად გადაეხვევა).

პირიმზ. უიმე!

დარია და პუშკინი ვაზის ტალავერში გამოდიან. ამათ და-ნახვანზე გაფრთხილებიან პირიმზისა და ლოპიანა.

დარია. მოულოდნელად ხანდახან მეცა მწვევია წამი განცხრომით საესე; კეკა-ქუხილსაც გრგინვით, გრიალით გადურბენია ხშირად ჩემ თავზე.

პუშკინი. ქართველო ქალო, ცხოვრების სიტკბო და აღტაცება იცან ფარული და მაგ მშვენიერ ცეცხლ-მფრქვევ თვალეში აინთო ტრფობა და სიხარული.

დარია. მწამდა, რომ ჩემი სულით ნათესავს აღრე თუ გვიან შევეყრებოდი, რომ მოველოდი სატრფოს ყოველ წამს და უნუგეშოთ ვიტანჯებოდი.

პუშკინი. ო, არასოდეს ჩემს ცხოვრებაში, მე ჩემს მჩქეფარე ყმაწვილობაში არ მსურვებია ამ რიგად მწვავედ ლამაზ ქალისთვის მეყოცნა პირი... ან წამწამები, დანავი ხშირი

და ლალ-ლაწვები, ვარდს რომ ხდის მდარეს!

არა, არ მახსოვს მე ჩემი სული

ასეთი ვნებით შეშფოთებული..



ერკინული

(უნდა მოეხვიოს, ამ დროს ტალავერში ჩამოვინჯო)

ყაფლან. (დანახვაზე) ბელ-ვიუ!

დარია. (წამოვარდება, მიდის ყაფლანთან და მკერდზე, გაბუტული
ბავშვივით თავით მიეყრდნობა) ძია!

პუშკინი. (ხარხარებს).

ფ ა რ დ ა

(პირველი მოქმედების დასასრული)



ფ. მახარაძე

დიდი ხალხის დიდი მწეარალი

ამხანაგებო, პუშკინის დაღუპვიდან ასი წლის შესრულებას მთელი საბჭოთა კავშირი ხვდება იმ დროს, როდესაც მშრომელები ზეიმობენ ახალ სტალინურ კონსტიტუციას, რომელიც გამოხატავს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებას.

აღექსანდრე სერგეისძე პუშკინის მოღვაწეობა, მისი ლიტერატურული დამსახურება და ის უდიდესი ღვაწლი, რომელიც მან დასდო რუსეთის ხალხს მთელი თავისი სიღიადით სწორედ ახლა გადაიშალა საბჭოთა კავშირის გათავისუფლებულ ხალხთა წინაშე.

დიდმა რუსის ხალხმა თავის წარსულ ცხოვრებაში წარმოშვა მრავალი უდიდესი და უნიჭიერესი მოღვაწეები, — მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურის ყველა დარგში, რომელთაც უდიდესი ამაგი დასდევს რუსის ხალხის ისტორიაში და რომელთა სახელებს იცნობს მთელი კაცობრიობა.

ჩვენ აქ დავასახელებთ ზოგიერთ იმათგანს, რომლებიც რუსის ხალხის სიამაყე არიან. ასეფებია მეცნიერები: ლომონოსოვი და მენდელეევი, პოეტები: ლერმონტოვი და ნეკრასოვი, კრიტიკოსები და პუბლიცისტები: ბელინსკი, გჭრკენი, ჩერნიშევსკი, მწერლები: გოგოლი, ლ. ტოლსტოი, გორკი, შჩედრინი და სხვები.

რუსის ხალხმა წარმოშვა თავისი წიაღიდან აზროვნების ისეთი გიგანტი, ისეთი გენიალური ბელადი მშრომელთა კლასისა, რომელიც სამართლიანად სდგას კაცობრიობის უდიდეს მოაზროვნეების და სოციალიზმის მამამთავრების მარქსის და ენგელსის გვერდით, — როგორც არის ვლადიმერ ილიჩძე ლენინი-უღიანოვი.

*) მოხსენება წაკითხული პუშკინის საღამოზე 1937 წლის 17 თებერვალს პუშკინის დაღუპვიდან ასი წლის აღსანიშნავად.

რუსის ხალხმა თავის წარსულში წარმოშვა ისეთი მასიური ხალხური მოძრაობანი, როგორიც იყო სტენკა რაზინის, ემელიან პუგაჩოვის და სხვა აჯანყებები, რომლებიც მიმართული იყვნენ მონათმშობელ ხელისუფლების წინააღმდეგ. მან წარმოშვა დეკაბრისტების მოძრაობა, გასული საუკუნის მესამოცდაათიანე წლების რევოლუციური ნაროდნიკული მოძრაობა მიმართული თვითმპყრობელური და მემამულური წესწყობილების წინააღმდეგ.

მან თავის მუშათა კლასის ხელმძღვანელობით აღმართა უძლიერესი მთელ მსოფლიოში რევოლუციონური მოძრაობა, ლენინის ~~პარტიის~~ პარტიის მეთაურობით, რომელსაც შედეგად მოჰყვა დამხობა, როგორც მეფის თვითმპყრობელობისა მთელი მებატონურ მემამულურ მუქთა-ხორცებით, ისე მთელი ბიუროკრატიულ-ბურჟუაზიულ წესწყობილების საშუალოდ მოსპობა-განადგურება. მან შექმნა და განამტკიცა პირველად მთელ მსოფლიოში საბჭოთა ხელისუფლება, მუშების და გლეხების სახელმწიფო. რუსის ხალხის ერთერთი უდიდესი შვილი და მისი სიამაყე იყო და არის ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი.

პუშკინი, რომელმაც მოახდინა ნამდვილი გარდატეხა რუსეთის ლიტერატურაში, რომელიც შეიქმნა რუსეთის ახალი ნამდვილი ხალხური ლიტერატურის ფუძემდებელი, რომლიდანაც იწყება რუსი ხალხის ახალი ლიტერატურა, რომლიდანაც იწყება ახალი ეპოქა რუსის ხალხის მწერლობის ისტორიაში.

პუშკინამდე არსებული ლიტერატურა რუსეთისა მიმდინარეობდა ხალხისაგან მოწყვეტილად, რომელსაც ხალხურ შემოქმედებასთან არავითარი კავშირი არ ქონებია.

პუშკინამდე არსებული მწერლები მხატვრულ ლიტერატურისა თაკილობდნენ უბრალო ხალხის მდაბიურ ენაზე წერას, რაც მათ მიჰინდათ უდიდეს ცოდვად და მხატვრულ ღირსების შელახვად.

პუშკინის პირველი და უდიდესი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან თავისი შემოქმედება, თავისი პოეტური ნაწარმოებნი, ლექსები, პოემები დაუკავშირა იმ ცოცხალ სამეტყველო ენას, რომელიც ამოდებულ იყო უბრალო ხალხურ უმდიდრეს შემოქმედებიდან.

ეს იყო სრულიად ახალი და უცხო რამ რუსულ ლიტერატურაში; ამიტომაც იყო, რომ პუშკინის წინააღმდეგ მაშინვე დიდი ალიაქოთი ასტეხეს კლასიციზმისა და ცრუ კლასიციზმის წარმომადგენელებმა.

პუშკინი არ შედრკა თავის მოწინააღმდეგეების წინაშე და მან უფრო მეტი ძლიერებით და თავდადებით განაგრძო ხალხური სიტყვის, ხალხური სულის მხატვრულ ფერებში ასახვა.

ამაირად მან შექმნა თავისი უკვდავი ნაწარმოებნი და გაამდიდრა ხალხური თქმებით რუსული ენა.

მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი არის ის, რომ პუშკინმა შეიქმნა თავისუფლების იდეების უდიდესი მომღერალი — პოეტი და იმავე დროს მგმობელი მონობის, ბატონყმობის და მეფის თვითმპყრობელობისა.

პუშკინის ლიტერატურული მოღვაწეობა და პოსტუმი მუშაობა დაიწყო მე-19 საუკუნის პირველ მესამედში. ეს იყო ხანა, რომელიც უშუალოდ მისდევდა საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციის მიერ გამოწვეულ უდიდეს ცვლილებებს ევროპის ხალხთა ცხოვრებაში. ეს იყო ხანა, როცა რუსეთში მძვინვარებდა ბატონყმობა, როცა რუსეთის ხალხს მართავდნენ თვითმპყრობელი მეფეები — ხალხის სისხლის მსმელი ჯალათები, მებატონე-მემამულეებთან ერთად. ეს იყო ხანა თავად-აზნაურობის ბატონობისა, როდესაც თავად-აზნაურობა მაგლაჯუნასავით აჯდა კისერზე რუსის გლეხობას და შეუბრალებლად სწოვდა მისგან სისხლს და უსაზღვროდ და განუკითხავად სტანჯავდა მას.

პუშკინი სწორედ ამ სასტიკი ეპოქის დროს აღიზარდა; იგი წარმოშობით ეკუთვნოდა რუსეთის თავად-აზნაურობა ბრწყინვალე წოდებას და იმავე დროს თავად-აზნაურობის იმ ვიწრო წრეს, რომელიც საკმაოდ ახლოს იდგა მეფის სასახლესთან. პუშკინისათვის მხოლოდ ერთი მხრით შეიქმნა ხელსაყრელი ეს გარემოება, სახელდობრ მით, რომ იმ დროის კვალობაზე მას შეძლება მიეცა მიეღო საკმარისად ფართო განათლება.

პუშკინის პატარაობიდანვე საშუალება ჰქონდა გასცნობოდა ლიტერატურის ისტორიას და განსაკუთრებით პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს როგორც რუსულს, ისე უცხო ენებზე.

თერთმეტი წლის პუშკინი მიიბარეს ახლად დაარსებულ პრივილეგიურ ცარსკოსელსკის ლიცეიში, სადაც ღებულობდნენ მხოლოდ უმაღლესი წოდების შვილებს, და რომელიც უზრუნველყოფილი იყო თავისუფლების მოყვარულ პირთა გავლენისაგან, სადაც ყველაფერს და ყოველივე ისაზღვრებოდა ოფიციალური რეჟიმით; მიუხედავად ამისა ცარსკოსელსკის ლიცეის კედლებში მაინც შეიჭრა რევოლუციონური იდეების სუნთქვა, და პუშკინიც მოხვდა სწორედ ტოლამხანაგების ისეთ წრეში, რომლის წევრებმა შემდეგში მონაწილეობა მიიღეს დეკაბრისტების აჯანყებაში (პუშკინი, კიუხელბეკერი და სხვები). პუშკინი მთელი თავისი ახალგაზრდული ვატაცებით, მთელი თავისი ახალგაზრდული ცეცხლით, ითვისებს თავისუფლების იდეებს და იგი იყვინთება ხალხის მტარვალების წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილით.

პუშკინმა სულ ადრე, თითქმის ბავშობიდანვე, იწყო ლექსების წერა და ლიცეიში ყოფნის დროს მან უკვე სამართლიანად მოიპოვა ნიჭიერი პოეტის სახელი, და ლიცეის დამთავრების შემდეგ იგი უკვე ცნობილი პოეტი გახდა. ამ დროს მას უკვე საკმაოდ მდიდარი ცოდნა ჰქონდა შეძენილი. ის ეწაფებოდა ყველაფერს, რაც კი ლიტერატურას შეეხებოდა: ლიტერატურის ისტორიას, ლიტერატურულ ნარკვევებს, ლიტერატურის

კრიტიკას და ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობდა ხალხულ შემოქმედებას.

პუშკინი თავის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში თავიდანვე გარკვეულ პოზიციას დაადგა.

პუშკინმა თავიდავე შეიყვარა და დაუახლოვდა მწერლების და საზოგადოებრივ მოღვაწეების იმ ვიწრო ჯგუფს, რომლებიც ოპოზიციაში უდგნენ მეფეს, თავად-ახნაურობას, ბიუროკრატიულ მოხელეებს და საერთოდ ყველა გაბატონებულ კლასებს. პუშკინი არ ზოგავდა ოფიციალური რუსეთის მახინჯ მხარეების და ყველა იმ უმსგავსოებათა მხილებას და გმობას, რომლითაც საესე იყო მეფის თვითმპყრობელური რუსეთი. მისი აღშფოთება ამ მხრივ იმ ზომამდე მიდიოდა, რომ მან იწყო ქადაგება ამ წესწყობილების უაზრობა, მის სიღამპლე-ბედოვლათობა. პუშკინი ერთერთ საშუალებას არსებულ წესწყობილების დასამხობად ხედავდა ტერორში (ლექსი „ხანჯალი“).

პუშკინი მალე დაუახლოვდა იმ თაობას, რომელიც დეკაბრისტების სახელით არიან ცნობილი, და რომელიც განსაკუთრებით აფასებდა პუშკინს.

პუშკინი თავისი ლექსებით შეიქმნა საუკეთესო პროპაგანდისტი და ავტობიოგრაფიული დეკაბრისტების იდეებისა (პუშკინის ლექსები: „თავისუფლება“, „სოფელი“, „ჩაადაევს“, „ხანჯალი“ და სხვა მრავალი), რომლებიც ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა მოწინავე ინტელიგენციის წრეებში.

პუშკინი, მართლაც, უშუალოდ არ შედიოდა შეთქმულთა საზოგადოებაში, რასაც თვით დეკაბრისტები ეწინააღმდეგებოდნენ, რადგანაც ისინი ამით სკდილობდნენ მისთვის ხიფათა აეცდნათ მიუხედავად ამისა პუშკინი მთელი თავისი არსებით და მისწრაფებებით თანაუგრძნობდა დეკაბრისტებს, რაც ჩანს სხვათა შორის პუშკინის და მეფის ერთი ბაასიდან დეკაბრისტების დასჯის შემდეგ. მოვიყვანოთ აქ ცნობილი დიალოგი ნიკოლოზ პირველსა და პუშკინს შორის. მეფე ეკითხება პუშკინს:

„პუშკინ, მიიღებდი თუ არა, მონაწილეობას 14 დეკემბრის აჯანყებაში, პეტერბურგში რომ ყოფილიყავი?“

— უთუოდ — უპასუხებს პუშკინი, — ყველა ჩემი მეგობრები შეთქმულნი იყვნენ, და მე არ შემეძლო არ მიმელო მონაწილეობა შეთქმულებაში, მხოლოდ პეტერბურგში არ ყოფნამ მიხსნა მე“.

პუშკინის ლექსები, რომლებიც თავისუფლების იდეებით იყო გამსჭვალული, ფართოდ იყო გავრცელებული ხელნაწერების სახით. ეს ლექსები აღმოაჩნდა ყველა იმთ, ვინც კი დეკაბრისტების აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდნენ.

პოეტი ვლადისლავ — ერთერთი პატრემცემელთაგანი პუშკინისა — სწერდა მას დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ, რომ „საიდუმლო საზოგადოების დატუსაღებულ წევრებს უხვად აღმოაჩნდათ პუშკინის თავისუფლე-

ბის მჭადაგებელი ლექსები, რომლებიც კვებავდნენ მთელი მოზარდი თაობის მშფოთვარე სულსა“.

და მართლაც პუშკინის ლექსები, უაღრესად მომხიბლავ და მომჯადოებელი, ბრძოლის სულით იყვნენ გამსჭვალულნი.

პუშკინის ლექსები იმ დროის რუსეთში სრულიად უჩვეულოდ უმაგალითო რამ იყო. აი ერთი ადგილი მისი ლექსიდან „თავისუფლება“: („Вольность“), რომელიც დაწერილია პოეტის მიერ, როცა იგი 18 წლის არც კი იყო, და რომელშიაც პოეტი ასე მიმართავდა ხალხის მტარვლებს (მეფეებს):

„Любимцы ветренной судьбы,
Тираны мира, трепещите,
А вы — мужайтесь и внимайте:
Восстаньте, падшие рабы.“

და იქვე ქვემოთ:

„Владыки, вам венец и трон
Дает закон, а не природа,
Стоите выше вы народа,
Но вечный выше вас закон“.

ლექსი „სოფელი“, რომელიც დაწერილია, როცა პოეტი მხოლოდ 20 წლის იყო. ალექსანდრე რადიშჩევის შემდეგ, პუშკინი პირველად საჯაროდ და სასტიკად ვმობდა და მთელი თავისი ალგზნებით ამართახებდა ბატონყმობას და მებატონეებს. პოეტი სხვათა შორის იქ სწერდა:

Не видя слез, не внемля столам,
На пагубу людей избранное судьбой
Здесь барство дикое, без чувства, без закона,
Присвоило себе насильственной лозой
И труд, и собственность, и время земледельца;
Здесь тягостный ярем до гроба все влекут,
Надежды склонностей в душе питать не смея.
Здесь девы юные цветут
Для прихоти развратного злодея.
Опора милая стареющих отцов
Младые сыновья, товарищи трудов,
Из хижины родной идут собой иножить
Дворовые толпы измученных рабов“.

ეს იყო დაუზოგველი მხილება მთელი მაშინდელი ოფიციალური საზოგადოებისა, მეფის მეთაურობით.

გენიალური წინასწარმეტყველებით სუნთქავენ პუშკინის სიტყვებში
 ლექსში, რომელიც მიძღვნილი იყო მისი უფროსი და — ვახლოვს მეგობ-
 რის — ცნობილ ჩადაევის მიმართ:

„Товарищ, верь: взойдет она,
 Заря пленительного счастья,
 Россия воспрянет ото сна,
 И на обломках самовластья,
 Напишет наши имена“.

ერყენულნი
 გიგზლირთხუა

როცა გვოგვინოსანი თვალთმაქცი და მატყუარა ალექსანდრე პირვე-
 ლი გაეცნო პუშკინის რევოლუციონური შინაარსის ლექსებს, გადაწყვე-
 ტილ იქნა პუშკინის თავიდან მოშორება და მისი გაგზავნა ციმბირში, ან
 ცნობილ სოლოვეცკის მონასტერში. ამ სასჯელს, რომელიც უდრიდა
 პუშკინისათვის სიკვდილს, ვადაარჩინა იგი პოეტმა ჟუკოვსკიმ; ეს სას-
 ჯელი პუშკინს შეეცვალა გადასახლებით ჯერ სამხრეთ რუსეთში და შემ-
 დგ სოფ. მიხაილოვსკში — პსკოვის გუბერნიაში.

ამ ზომებმა პუშკინის სული ვერ შეარყიეს. პუშკინი გადასახლების
 დროს კიდევ უფრო დაუახლოვდა სამხრეთ-რუსეთში მყოფ დეკაბრისტ-
 ტებს, რომლებიც აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. პუშკინი მონაწილეო-
 ბასაც კი ღებულობდა შეთქმულთა სხდომებზე, ხოლო სოფელ მიხაი-
 ლოვსკში გაგზავნის შემდეგ, პუშკინი თითქმის სრულებით მოწყვეტილ
 იქნა თავის მეგობრებთან ყოველივე ურთიერთობას.

როგორც ვიცით, დეკაბრისტების აჯანყების დროს პუშკინი არ იმყო-
 ვებოდა პეტერბურგში, მაგრამ მან იცოდა, რომ აჯანყება მეფის თვით-
 მპყრობელობის დასამხობად მზადდებოდა, და, *ის ადრე თუ გვიან,
 უთუოდ უნდა მომხდარიყო.

როცა პუშკინმა ამ აჯანყების ამბავი გაიგო, და გაიგო იმის მეთაურე-
 ბის ბედიც. პოეტი მოიცვა საშინელმა მწუხარებამ, რომ იგი თავის სი-
 ცოცხლეს თითქო უმოქმედობაში ლევდა, და ამავე დროს იგი ყოველ
 წუთს ელოდა დატუსაღებას.

პუშკინი დატუსაღებულ არ იქნა. ნიკოლოზ პალკინის განკარგულე-
 ზით პუშკინი გაწვეულ იქნა სოფ. მიხაილოვსკიდან პირდაპირ მოსკოვში
 ნიკოლოზ პალკინთან. აი სწორედ აქ მოხდა ის დიალოგი, რომელიც
 ჩვენ ზემოდ მოვიყვანეთ.

ნიკოლოზ პალკინმა მოინდომა პუშკინის თავის „კაცად“ გახდომა.
 რისთვისაც იგი განსაკუთრებით თბილად და ალერსით შეხვდა გარეგნუ-
 ლად დიდ პოეტს და დაპირდა მას „ძველი ცოდვების“ პატიებას და სრუ-
 ლი თავისუფლების მინიჭებასაც, მაგრამ იმავე დროს ნიკოლოზ პირველ-
 მა, თავისი თავი გამოაცხადა პოეტის ყველა ნაწერების ცენზორად.

რასაკვირველია, ნიკოლოზ პირველს უნდოდა, რომ დიდი პოეტი, სა-
 ელოვანი პუშკინი, გამხდარიყო მის ტრუბადურად, რომ ამ უკანასკნელს

ხელი აეღო რევოლუციონური ლექსების და ეპიგრამების წერაზე, ესე იგი, მას სურდა პოეტი დაემორჩილებინა.

ყოველივე ეს მხოლოდ უხეირო კომედია იყო. დაპირებულ თავისუფლების მაგიერ პუშკინი პოლიტიკური ჩვეყმბედველობის ქვეშ მოექცა და საიდუმლო პოლიციის ნებადაურთველად მას ფეხის გადადგმაც კი არ შეეძლო პეტერბურგიდან.

მასთან ნიკოლოზ პალკინის ცენზორად გამოცხადება მძიმე ლოდვიით დააწვა პუშკინის შემოქმედებას. რომლიდგანაც თავის დაღწევა პოეტისათვის შეუძლებელი შეიქნა.

ამბობდნენ, რომ პუშკინი თითქოს გამოეთხოვა იმ რევოლუციონურ სულსკვეთებას, რომლითაც გაელენთილი იყო მისი წინანდელი ლექსები დეკარისტების დამარცხებამდე; ამბობდნენ, რომ თითქოს პუშკინმა ხელი აიღო იმ ლექსებზე, რომლებიც მიმართული იყვნენ მეფის რუსეთისა და თავად-აზნაურობის წინააღმდეგ; თითქოს ამიერიდან იგი აღარ ააფლერებდა თავის ჩანვს თავისუფლებისათვის და დაჩაგრულ ხალხისათვის, რომ პუშკინი თავის დანიშნულებად აღარ სთვლიდა, რომ იგი თითქოს ანგარიშს აღარ უწევდა დაბეჭადებულ და ტანჯულ ხალხს, რომ ახლა იგი სწერდა მხოლოდ „ხელოვნებისათვის“, და არა ცხოვრებისათვის. ამის საბაბს იძლეოდა თითქოს პოეტის სიტყვები ლექსში „პოეტი და ხალხი“, სადაც პოეტი ამბობს:

„Подите прочь, — какое дело
Поэту мирному до вас.
В разврате каменейте смело,
Не оживит вас лиры глас.
Душе противны вы, как гробы,
Для вашей глупости и злобы
Имели вы до сей поры
Бичи, темницы, топоры.
Довольно с вас рабов безумных“.

მაგრამ ეს ასე არ იყო. ამ სიტყვებით პოეტი მიმართავდა არა ნამდვილ ხალხს, არამედ იმავე ოფიციალურ საზოგადოებას, რომლის სათავეში იდგნენ ყველა ძლიერნი მდგომარეობით, ყველა მჩაგვრელები, ყველა უსულგულო გამოფიტული მტარვალეები, ფლიდი და ბილწი თავადები, გრაფები, ბარონები, გენერლები, მინისტრები და სხვადასხვა, რომლებიც მოითხოვდნენ პოეტისაგან მათ მიმართ ხოტბის შესხმას.

აი სწორედ ეს „ხალხი“ ჰყავდა მხედველობაში პუშკინს, როცა ის სწერდა ზემოლმოყვანილ სიტყვებს: „მომშორდით, თავი დამანებეთო!“

გარდა ამისა ჩვენ გვაქვს სხვა საბუთებიც, რომლებიც ნათლად მოწმობენ, რომ პოეტი დარჩა წინანდებურად იმავე განწყობილებით, როგორც ოფიციალურ რუსეთისადმი, ისე პროვრესიულ-რევოლუციურ იდე-

ებისადმი. ასე, მაგალითად, ერთ ლექსში, რომელიც დაწერილია 1827 წელს და მიძღვნილი იყო დეკაბრისტების მიმართ, — რომლებიც ციმბირის საკატორლო ციხეში იტანჯებოდნენ, აშკარად ჩვენს პუშკინის რევოლუციონური სულისკვეთება:

„Любовь и дружество до вас
Дойдут сквозь мрачные затворы,
Как в ваши которжные норы
Доходит мой свободный глас:
Оковы тяжкие падут,
Темницы рухнут—и свобода
Вас примет радостно у входа,
И братья меч вам отдадут“.

შეეძებელია, რომ ასეთი ბრწყინვალე იმედით და თავისუფლები-სათვის ბრძოლით აღსავსე სიტყვები დაეწერა იმედდაკარგულ პოეტს. ასეთივე ღრმა რწმენით გამსჭვალულია პუშკინის მეორე ლექსი „მეგობრებს“, რომელიც დაწერილია იმავე 1827 წელს და რომელიც მიძღვნილია იმავე კატორღელ-დეკაბრისტებისადმი:

„Бог помочь вам, друзья мои,
И в бурях, и в житейском море,
В краю чужом, в пустынном море,
И в мрачных пропастях земли“.

დეკაბრისტებმა თავის მხრივ პუშკინს ამ მიმართვაზე უპასუხეს პოეტ ოლოვესკის პირით შემდეგი ალგუნებული დაუეიწყარო ლექსით:

„Струн вещей пламенные звуки
До слуха нашего дошли
К мечам рванулись наши руки,
Но лишь оковы обрели.
Но будь спокоен, бард, цепями,
Своей судьбой, гордимся мы,
И за затворами тюрьмы
В душе смеемся над царями.
Наш скорбный труд не пропадет,
Из искры возгорится пламя,
И посвященный наш народ
Сберется под святое знамя.
Мечи скуем мы из цепей
И вновь зажжем огонь свободы,
И с нею грядем на царей—
И радостно вздохнут народы“.

1826 წლიდან დაწყებული პუშკინის მდგომარეობა კიდევ უფრო გა-
თულდა და ის თანდათან აუტანელი ხდებოდა. პუშკინი გრძნობდა თავის

თავზე დამოკლევოსის მახვილს, რომელიც ის-ის იყო ~~ფხვდა~~ დასკვებოდა მას თავზე. მით უფრო მძიმე იყო პუშკინის მდგომარეობა, რომ მას უხედებოდა ტრიალი სწორედ იმ საზოგადოებაში, რომელმაც ~~პუშკინს~~ ეზიზღებოდა.

ეს არაეისათვის საიდუმლოება არ იყო. ამიტომ გასაკვირალი არ იყო, რომ მეფის სასახლემ და მთელ არისტოკრტიულ საზოგადოებამ იგი აითვალისწუნა, ამცირებდა და უსიამოვნებას აყენებდა უდიდეს პოეტს.

ასეთ აუტანელ პირობებში უხდებოდა ცხოვრება პუშკინს და მას არ ჭანდა არაეითარი შესაძლებლობა გაეწყვიტა კავშირი და მოშორებოდა ამ საზოგადოებას.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ პირველი დარწმუნდა პუშკინის შეურიგებლობაში, იგი მაინც უხერხულად სთვლიდა მის აშკარა დევნას.

აი, ასეთ პირობებში პუშკინი მაინც ჭმნიდა თავის უკვდავ ნაწარმოებებს, როგორც არის: „ევეგენი ონეგინი“, „ბორის გოდუნოვი“, „სპილენძის მხედარი“, „პოლტავა“ და სხვა მრავალი.

პოემა „ევეგენი ონეგინს“ პუშკინმა მოანდომა თითქმის 10 წელზე მეტი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ის დაუმთავრებელი დარჩა.

პუშკინი ამ პოემაში ხატავს თავის ეპოქას.

პოემა „ევეგენი ონეგინში“ პუშკინი გეიხატავს მალალ წოდებას: გაფუქსაეატებულ და გაკოტრებულ გზაზე დამდგარ თავად-აზნაურობას, მინისტრებს, იმ საშინელი სინამდვილის გაშიშვლებით, რომელშიაც მეფის მაშინდელი რუსეთი იბრჩობოდა.

ამ პოემაში პუშკინმა უნაკლოდ, მთელი თავისი რაობით გააშიშვლა თავისი ეპოქა და ნილაბჩამოცლილი გადაუშალა ის წინ რუსეთის საზოგადოებას.

პოემის მე-10 თავი პოეტმა დასწვა. ამ თავის დასახასიათებლად მოყავს აქ მისი დაწყება:

„Властитель слабый и лукавый,
Плешивый щеголь, враг труда,
Нечаянно пригретый славой,
Над нами властвовал тогда“.

ამ სიტყვებით ახასიათებდა პუშკინი რუსეთის მეფეს ალექსანდრე პირველს.

ამავე მე-10 თავში არის აგრეთვე სტრიქონები, რომლებიც მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იქნა გახსნილი, და სადაც უმთავრესად დეკაბრისტების მეთაურები არიან გამოყვანილი: ლუნიჩი, იაკუშკინი, ტურგენევი, პესტელი, მურავიოვი და თვით პუშკინიც, რომელიც თავის ნოველებს კითხულობდა დეკაბრისტების კრებებზე: დეკაბრისტების საზოგადოებაში შეყავდა პოეტს ონეგინიც.

გარდა იმისა, რომ პოემა „ვევენი ონეგინი“ შეიცავს რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა ფენების შესანიშნავ დახასიათებას, ეს იმავე დროს წარმოადგენს რუსეთის ბუნების, ქალაქის და ზღაპრულ მხატვრობის შეუღლებელ აღწერას.

ეს პოემა თავიდანვე შეიქმნა ყველაზე საყვარელ წიგნად.

ამავე პოემის გვერდით დგას მისი ისტორიული დრამა „ბორის გოდუნოვი“, რომელიც ასახავს რუსეთის ხალხის ისტორიის მეტად საყურადღებო ხანას.

ეს დრამა არის ნამდვილი შექსპირისებური ნაწარმოები, სადაც გამოყვანილი და დახასიათებული არიან, მეტად მოკლედ, მაგრამ უდიდესი მხატვრობით, მეფეები, თავადები, გლეხები, მოხელეები, პატრიარქები, ბერები, მათხოვრები და სხვა.

რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა ამ დრამაში — ეს რუსის ხალხის ფსიქოლოგიის, მისი უდიდესი პოტენციალური დაფარული ძალის მოცემა, — იმ ძალის, რომელიც მომავალში მთელი თავისი გაქანებით და შესაძლებლობით გამოაშკარავდა რუსეთის რევოლუციებში.

ამ მხრით საყურადღებოა განსაკუთრებით დასასრული დრამისა, რომელიც იშვიათი მხატვრული ხერხებით არის მოცემული, სადაც პუშკინი — ეს უდიდესი მხატვარი და ამავე დროს მდაბიო ხალხის სულისკეთებისა და მისწრაფებების მესაიდუმლე — იძლევა ამას უდიდესი მხატვრული ოსტატობით შემდეგ ორ სიტყვაში: „ხალხი სდუმს“...

აქ პუშკინმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი გენიალობა, როგორც დიდმა მხატვარმა.

იმ უღრმეს აზრებთან ერთად, რომელიც პუშკინს გატარებული აქვს ყველა თავის ნაწარმოებებში ჰარმონიულად — შემმატებლურულია ლექსის მუსიკალობა და რითმი. პუშკინის ნაწარმოებთა კითხვის დროს მკითხველი განიცდის უდიდეს ესთეტიურ კმაყოფილებას, და ეს სრულიად ბუნებრივიც არის, რადგანაც პუშკინის ლექსებს ახასიათებს სიმსუბუქე ხალხური სასაუბრო ენისა, რომელიც განსაკუთრებული ხელოვნებით არის აკონიშნული და ამავე დროს მუსიკალობით სავსეა, — რომელიც ხიბლავს და რომელიც იმდენად მიმზიდველ-მომჯადოებელია, რომ დაუსრულებლად გინდათ იკითხოთ და კიდევ იკითხოთ.

1828 — 29 წლებში პუშკინის გარშემო ისევ შავი ღრუბლები იკრებებინან, რის გამო იგი ფიქრობდა სადმე გარდაბეჭეწას, სატატო ქალაქიდან, პეტერბურგიდან, რუსეთიდან გაქცევას; ფიქრობდა მოშორებოდა იმ საზოგადოებას, რომელიც ფუქსაფატობაში და გარყვნილებაში იხრჩობოდა, რომელიც ამცირებდა და დასცინოდა ხალხის უმაღლეს გრძობებს.

მაგრამ პოეტმა ეს ვერ შიახერხა.

ამ აუტანელ მდგომარეობაში მყოფმა პოეტმა გადახსნილ ტანებარ-
თვოდ კავკასიაში გამგზავრება. ეს იყო 1829 წელს.

კავკასიაში მას იზიდავდა სხვადასხვა მიზეზი. პირველ რიგში მას
სურდა გასცნობოდა კავკასიას და იმ ამბებს, რომლებიც ჩხმსტრახს კავ-
კასიაში ხდებოდა, რაც დაკავშირებული იყო კავკასიის ხალხთა რუსე-
თის იმპერიის მიერ დაპყრობასთან და ამის გამო გამოწვეულ შეუწყვე-
ტელ ომებთან.

პუშკინს სურდა თავისი თვალით ენახა კავკასიის ხალხნი იმათ უბე-
დურებაში და მწუხარებაში.

მას უნდოდა აგრეთვე თავისი თვალით ენახა თურქეთთან წარმოებულ
ომის სურათები.

გარდა ამისა, მას უნდოდა თავის ძველი მეგობრების — ყოფილ დე-
კაბრისტების ნახეც, რომლებიც თურქეთთან იბრძოდნენ.

ეს მდგომარეობა პუშკინმა ასწერა თავის წიგნში „მოგზაურობა არ-
ზრუმში“.

როცა კითხულობ ამ წიგნს, ნათლად ხედავ, რომ პუშკინი არაფრად
აფასებდა თავის სიცოცხლეს. იგი ხშირად ვიღოდა ცხენით მარტოდ-მარ-
ტო ისეთ ადგილებში, რომლებიც ყოველ წამს საფრთხეს უშზადებდენ
მგზავრს არამც თუ ღამე, დღეც კი. და აი ასეთ გზებზე პუშკინი ხშირად
ცხენით ღამითაც დადიოდა და თავისი სიცოცხლის ვადარჩენას ოდნავ
ანგარიშსაც არ უწყევდა.

პუშკინი მართლაც დაესწრო ბრძოლებს თურქეთის ჯარებთან და
თვითონაც მიიღო მონაწილეობა ერთ შეტაკებაში არზრუმის მახ-
ლობლად.

არზრუმი აღებულ იქნა რუსის ჯარების მიერ პასკევიჩის მეთაურო-
ბით პუშკინის იქ ყოფნის დროს.

პასკევიჩი, რომელიც იმ დროს შეტისმეტად განებივრებული იყო დი-
დი გამარჯვებებით ომებში და თავის თავს ალექსანდრე მაკედონელზე და
ნაპოლეონზედაც კი მაღლა აყენებდა, მართალია, გარეგნულად აღერისით
შებვდა პუშკინს, დარწმუნებული იმაში, რომ პოეტი მას ქებთა-ქებას
შეასხამდა და განადიდებდა. ხოლო როდესაც იგი დარწმუნდა, რომ პუშ-
კინს არ ჭონდა ასეთი განზრახვა, რაც განებივრებულ პასკევიჩს ელანდუ-
ბოდა. ისარგებლა ფრონტებზე გაჩენილ ჟამით და პუშკინს ურჩია, რომ
ჩქარა დაბრუნებულიყო უკან.

პუშკინმა მოულოდნელად დასტოვა არზრუმი და აჩქარებით გაემგზავ-
რა თბილისში; საიდანაც შემდეგ ჩქარა დაბრუნდა რუსეთში. ძველს, ქა-
ლარა თბილისს, 34 წლის შემდეგ ალამახმადის მიერ აოხრებისა, ბედნიე-
რება ჭონდა ეხილა თავის კედლებში რუსის უდიდესი და სახელოვანი
პოეტი პუშკინი. პოეტმა თავისი აქ ყოფნის დროს ბევრი რამ ნახა საყუ-
რადლებო თავისი შემოქმედებისათვის. ამ მოგზაურობის დროს პუშკინმა

ვინელო 7 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი, და ისიც მეტად მოკლე ვადის განმავლობაში.

ასეთი სისწრაფე აიხსნებოდა მით, რომ როგორც კონსტიტუციონი გამოემგზავრა პეტერბურგიდან კავკასიაში, მას უკან დაბრუნების საბრძოლო მიწერილობები შთაერობის აგენტების მიმართ, რომელთაც აცნობებდნენ, რომ „მოემგზავრება პოლიციის საიდუმლოების მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი მელექსე, მეთვალყურეობის კლასის სამსახურს გარეშე მყოფი მოხელე პუშკინი და ამიტომ გვევალებათ მას სასტიკად ადევნოთ თვალი“.

პუშკინმა ეს კარგად იცოდა, და ამიტომ იგი უხერხულად თვლიდა დიდხანს ერთ ადგილზე გაჩერებას.

თავისთავად იგულისხმება, რომ მაშინდელი რუსეთის საზოგადოება დიდი ინტერესით მოელოდა პუშკინიდან, კავკასიიდან დაბრუნების შემდეგ, რომ იგი ააქვრებდა თავის ჩანგს და ქებათა ქებას შეასხამდა რუსეთის იარაღს და რუსეთის მამაც ღენერლებს, რომლებიც რუსეთის თვითმპყრობელობის და ქრისტეს ჯვრის სახელით იპყრობდნენ ახალ-ახალ ქვეყნებს კავკასიაში.

მაგრამ ისინი მოსტყუდნენ ამაში; მართალია, პუშკინმა დასწერა რამდენიმე შესანიშნავი ლექსი, კავკასიაში მიღებულ შთაბეჭდილებების გავლენით, მაგრამ ამ ლექსებში ჩვენ ვერ ვხედავთ იმას, რასაც მისგან მოელოდა ოფიციალური რუსეთი.

მხოლოდ 1835 წელს პუშკინმა გამოაქვეყნა თავისი „მოგზაურობა არზრუმში“, სადაც იგი ასწერს ამ მოგზაურობას და იმ შთაბეჭდილებებს, რომლებიც მან აქ მიიღო.

გზადაგზა იგი იძლევა შენიშვნებს სხვადასხვა საყურადღებო საკითხებზე.

მეტად საინტერესო და საყურადღებოა პუშკინის მიდგომა რუსეთის იმპერიალისტური და კოლონიალური პოლიტიკის მიმართ კავკასიაში. თუმცა თავის შთაბეჭდილებებისა და შენიშვნების გადმოცემაში პუშკინი მეტად დიდ სიძუნწეს იჩენს.

პუშკინი ხედავდა კავკასიის ხალხების ეკონომიურად და კულტურულად მეტისმეტ ჩამოჩენას და განუვითარებლობას, და ამიტომ იგი ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა იმათი გამოყვანა ამ მდგომარეობიდან. მაგრამ იგი უარყოფდა ამ მიზნის შისაღწევად ცეცხლისა და მახვილის პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდა მაშინ რუსეთის შთაერობა კავკასიაში.

პუშკინი ამბობდა, რომ ამ მიზნის, ე. ი. რუსეთის ხალხის დაახლოება კავკასიის ხალხებთან შეიძლებოდა სხვა საშუალებებითაც. ასე, მაგალითად, იგი უთითებდა აღებმიცემობის განვითარებაზე, ფუფუნების ზოგიერთ სავნების შეტანაზე იქ, სამოვარსაც კი შეეძლო, მისი შეხედულებით, ამ სამსახურის გაწევა.

და ბოლოს იგი ამბობს, რომ სახარების ჭადაგებასაც შეუძლია უდიდესი გავლენის მოხდენა ჩრდილო-კავკასიის ხალხებზე მათთან შვიდობიანი ურთიერთობის დასამყარებლად. მაგრამ, მწუხარებისა და სწავლისაგან პუშკინი თავის წიგნში, — ჩვენ ჯერ არ გვიფიქრია მათთან დახვედრისკენ. ამგვარად პუშკინი არა თუ არ ამართლებდა და არ იზიარებდა რუსეთის მთავრობის კავკასიაში წარმოებულ პოლიტიკას — ცეცხლის და მახვილის პოლიტიკას, არამედ პირდაპირ გმობდა მას.

ამ მხრით მეტად საინტერესოა პუშკინის ლექსი „კავკასია“ („Кавказ“), რომელიც დასწერა მან 1829 წელს კავკასიიდან დაბრუნების შემდეგ.

ეს მშვენიერი ლექსი, რომელსაც ყველა კარგად იცნობს, მხატვრულად გადმოგვცემს კავკასიის შატრ და გრანდიოზულ ბუნებას.

ამ ლექსის ბოლო უკანასკნელ დრომდე არ იყო ცნობილი. ეს ბოლო ამკლავნებს პუშკინის მიდგომას იმ სიხშილიანი პოლიტიკის მიმართ, რომელსაც თვითმპყრობელობა აწარმოებდა კავკასიის ხალხთა მიმართ.

ეს დაბოლოება დაწერილი პუშკინის ხელით, დღემდე ინახებოდა არქივებში, და მან მხოლოდ დღეს იხილა დღის სინათლე.

როგორც იცით ეს ლექსი თავდება შემდეგი სიტყვებით:

„Вотще, нет ни пищи ему, ни отрады.
Теснят его грозно немые громады“.

მაგრამ აქ რაღაც აკლდა: სინამდვილეში პუშკინს დაუბოლოებია ეს ლექსი შემდეგი ტაქტით:

„Так буйную вольность законы теснят,
Так дикое племя под Властью тоскует,
Так ныне бозвольный Кавказ негодует,
Так чуждые силы его тяготят“.

აქ პუშკინი გმობს მეფის პოლიტიკას, რომელიც ავიწროებდა კავკასიის ხალხთა თავდაუქცერელ თავისუფლებას, რომლის გამო ეს ხალხები შფოთავდნენ, რადგანაც უცხო ძალები მათ ვასაქანს არ აძლევდნენ. ესაა დასკვნა იმ შთაბეჭდილებების და დაკვირვებების, რომლებიც პუშკინმა მიიღო კავკასიაში ყოფნის დროს.

პოეტმა მოგვცა აქ თავისი დაკვირვებები შეუდარებელ მხატვრულ სახეებით.

ზევით მოყვანილ სიტყვებში გამოხატულია პუშკინის შეხედულება იმ დროის ამბებზე, რომლამდისაც ვერ მიეღწია მანამდე ვერც ერთ პოეტს და ვერც ერთ საზოგადოებრივ მოღვაწეს. შეიძლება ითქვას, რომ მართო ამ ოთხსტრიქონიან ტაქტს უმაღლეს კვირცხლბეკზე აყავს პუშკინი, როგორც დიდი გენიალური მხატვარი.

აქ ამ ტაეპში პუშკინმა მოგვცა კავკასიის ხალხთა მწიგნობელი, რომლებიც მოქცეული იყვნენ და იტანჯებოდნენ თვითმპყრობელობის მარწმუნებში.

ასეთი იყო პუშკინი. — ეს რუსის ხალხის უდიდესი პოეტი, რომელიც თავისი ნაწერებით მუდამ აღვიძებდა საზოგადოებას, როგორც თავის თანამედროვეთ, ისე მომავალ თაობებსაც.

დეკაბრისტების ზარბაზნებმა რამდენადმე გამოაღვიძეს რუსეთის საზოგადოება, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი მომენტი; ხოლო პუშკინის პოეზია შეიქმნა რუსეთის ხალხის გამომავებზღებელი იარაღი, რომელიც მუდმივად აღვიძებდა ხალხს და აგონებდა მას ბრძოლას არსებული წესწყობილების წინააღმდეგ.

პუშკინი არ შეურიგდა არც მეფის მთავრობას, არც მის დამქაშებს — უმაღლეს არისტოკრატიულ წრეებს. მათ შორის განუწყვეტელი შინაგანი ბრძოლა სწარმოებდა და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც პუშკინი მთელი თავისი პოეტური შემოქმედებით ძირს უთხრიდა თვითმპყრობელობას და ბატონყმობას და ქადაგებდა ხალხთა თავისუფლებას.

ეს ურთიერთ განწყობილება თანდათან მშვედებოდა და აახლოებდა კატასტროფას.

პუშკინის ირველივ ქმნიდნენ აუტანელ ატმოსფერას, ავრცელებდნენ ქორებს პუშკინის თავმოყვარეობის შესაღახავად და მის დასამცირებლად, და პოეტი იძულებული შეიქნა პასუხი გაეცა ამ ყოველად უსინდისო თავდასხმებზე.

მისმა მტრებმა, რომელშიც პირველ როლს თამაშობდა თვით ნიკოლოზ პალკინი, ამოიჩიეს, ვინმე დიპლომატი, ბილწი და ყოველად გათახსირებული დანტესი. საქმე უკიდურესად გამწვავდა, რამაც გამოიწვია დუელი პუშკინსა და დანტეს შორის.

პუშკინი მძიმედ იქნა დაჭრილი, მაგრამ მისი გადარჩენა მაინც შეიძლებოდა, ხოლო ეს გადარჩენა კი არ შედიოდა პოეტის მოსისხლე მტრების გეგმაში.

პუშკინი გარდაიცვალა 1837 წელს თებერვლის 11-ს ახალი სტილით. პუშკინი მოკლეს ფიზიკურად, მაგრამ ვერ მოკლეს მისი შემოქმედება, მისი გენია, რომელიც მარად და მარად უკვდავი დარჩება. პოეტის მკვლელები კი ისტორიამ სამარცხვინო ბოძზე გააკრა.

პუშკინის სიკვდილმა თავზარი დასცა მის მეგობრებს და მის თავანისმკემელთ.

პუშკინის სიკვდილს მაშინვე გამოეხმაურა ახალგაზრდა, უნივერესი პოეტი ლერმონტოვი, თავისი მამზილებელი ლექსით „პოეტის სიკვდილი“, სადაც პოეტი უძლიერესი აღშფოთებით მიმართავდა პუშკინის მკვლელებს:

„А вы, надменные потомки.
Известной подлостью прославленных отцов.
Пятою рабскою поправшие обломки
Игрою счастья обиженных родов.
Вы, жадною толпой стоящие у трона,
Свободы, гения и славы палачи.



და შემდეგ.

И вы не смаете всей нашей черной кровью:
Поэта праведную кровь”.

ეს იყო უშიშარი გამოწვევა, მიმართული პოეტის მტრებზე — უმაღლესი არისტოკრატის მიმართ, რისთვისაც ლერმონტოვი დატუსაღებულ იქნა ნიკოლოზ პალკინის ბრძანებით.

ჯერ კიდევ პუშკინი ისევ სიკვდილს ებრძოდა, როცა ნიკოლოზ პალკინმა მისწერა მას მუჭარის წერილი, რომ იგი მომკვდარიყო ქრისტიანული წესით, და ამ შემთხვევაში ნიკოლოზი კისრულობდა პუშკინის ოჯახის უზრუნველყოფას; გარდა ამისა მან მიიღო ზომები, რომ მომავლად პოეტს არაფერი გამოემყვანებია იმათი ურთიერთობის შესახებ.

პეტერბურგის მცხოვრებლებმა, გაიგეს თუ არა საყვარელი პოეტის გარდაცვალების ამბავი, მაშინვე იწყეს დენა მისი ბინისაკენ, და როგორც ამბობენ, პუშკინის ბინას აუარებელი ხალხი მიაწყდა; ყოველგვარ დემონსტრაციის თავიდან ასაცილებლად ნიკოლოზ პალკინმა გასცა განკარგულება, რათა პუშკინის გვამი დუყოვნებლივ ქურდულად გადაეყვანებინათ ასკოვის გუბერნიაში დასაკრძალავად; ამავე დროს აკრძალული იყო ყოველგვარი შეკრება და პანაშვიდის ნებაც კი არ დართეს.

პოეტის კაბინეტი დაბეჭდილი იქნა და რამდენიმე დღის შემდეგ ის გაჩხრიკეს ეანდარმებმა.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბევრი რამ ამ გაჩხრიკის დროს ეანდარმებმა მოსპეს.

პუშკინის ცხედარი ისე დაკრძალეს, რომ საზოგადოებამ მხოლოდ 10 წლის შემდეგ, ე. ი. 1847 წელს გაიგო მიზეზი, თუ რისგან გარდაიცვალა პოეტი.

მეფის მთავრობამ, ნიკოლოზ პალკინმა, ეანდარმებმა, ბეკენდორფმა და დუბელტმა, ყოველგვარი ზომები მიიღეს, რომ პუშკინის შრავალი ნაწერი სრულიად განედევნათ პოეტის ნაწარმოებთა გამოცემებიდან. დანარჩენ ნაწარმოებიდანაც შლიდენ ისეთ ადგილებს, რომლებიც რუსეთის მაშინდელ ბატონ-პატრონთათვის მიუღებელი იყო.

ამ სამარცხვინო საქმეში უდიდეს როლს თამაშობდა აგრეთვე უმაღლესი სამღვდელოებაც.

ასეთი ზომების გამო პუშკინი დამახინჯებული და გაყიდვებული იქნა და ნამდვილი პუშკინი ხალხისათვის უცნობი შეიქნა. უნდა იქნებოდა, რომ პუშკინი ყოფილიყო ხალხის თვალში მეფის და ტახტის მადიდებელი და ქრისტიანობის მლალადებული.

სიგელი იქნა

ასე იქცეოდნენ რუსეთში, ასევე იქცეოდნენ ჩვენშიაც.

ასი წლის შესრულების გამო პუშკინის დაბადებიდან 1899 წელს თბილისში გამოცემულ იქნა კრებული, რომელშიაც მოთავსებული იყო წერილები გარყვნილი და გაათახსირებული ხუცეს ვოსტროვოვისა და შავრაშმელ და შოვინისტ ველიჩკოსი.

ვოსტროვოვს პუშკინი გამოყავდა ღვთის მორწმუნედ და კეთილ მართლმადიდებელ ქრისტიანად, ხოლო შავრაშმელ პოეტს ველიჩკოს მეფის თვითმპყრობელობის მომხრედ და მათაყვანებლად, რაც იყო პოეტის სოციალისტური შეურაცყოფა.

ასეთ ჭირისუფლობას უწევდნენ უდიდეს პოეტს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები და დამცველები. იმათ არ შეეძლოთ სრულიად დავიწყებისათვის მიეცათ პუშკინი, რადგანაც ეს ყოვლად შეუძლებელი იყო, და ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ გაეყალბებინათ პუშკინი.

ამ მოვლენას ბოლო მოუღო ოქტომბრის რევოლუციამ, და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შესაძლებელი შეიქნა ნამდვილი პუშკინის აღდგენა.

ლენინი ამბობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, კულტურის ყველა მონაპოვარი გახდება საერთო სახალხო კუთვნილებათ.

საბჭოთა ხელისუფლებამ საესებით განახორციელა ეს რუსეთის ყველა ხალხთა ძველი კულტურის მონაპოვართა გამოყენებით.

საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო სათანადო ზომები, რათა პუშკინის ნაწარმოები ხელმისაწვდომი გამხდარიყო ფართო მასებისათვის.

პუშკინის პოეზია მით არის საყვარელი ხალხის ფართო მასებისათვის, რომ ისინი გამსჭვალულია უმაღლესი ცხოველმყოფელური გრძნობებით. სიყვარულით და სიხალისით.

პუშკინის პოეზია გამოხატავს რუსეთის ხალხთა სულიერ მისწრაფებებს, იმათ ინტერესებს და იმათ მოთხოვნებს, განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში; მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მის პოეზიას დღეს დაეკარგოს თავისი ცხოველყოფილობა; რომ ეს ასე არ არის, ამას ამტკიცებს, თუ ვნებავთ ის აღფრთოვანება, ის უდიდესი სიხარული, რომლითაც საბჭოთა ქვეყნის ხალხები ხედებიან პუშკინის იუბილეს.

პუშკინი არ მომკვდარა, ის ცოცხალია, ის თითქოს თავის საფლავიდან ესალმება დღევანდელ მკითხველებს. ერთერთ მის ძეგლზე ასეთ წარწერას ვხვდებით: „გამარჯვება შენ, უცნობო ახალგაზრდობა!“ ეს არის გამოხატვა იმისა, რომ პუშკინი დღესაც, როგორც ცოცხალი, ისე დგას მთამომავლობის წინაშე. პუშკინის პოეზია ყველა ასაკისათვის ერთნა-

რად საყვარელია: მოხუცებულები სათვისაც და ახალგაზრდობისთვისაც, ღიღობისთვისაც და პატარაებისთვისაც, განსაკუთრებით კი ბავშვებისათვის.

პუშკინის ნაწარმოები დაბეჭდილია და იბეჭდება ყველა მხრით, კაბჭოთა-კავშირის ხალხთა ენებზე, არამედ ევროპის და ამერიკის ენებზედაც.

თვით მარქსი პუშკინის შემწეობით ეცნობოდა რუსეთის მღვდმარობას.

აღსრულდა პოეტის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ მას მოიხსენიებენ ყველა ხალხნი და მათ შორის ისინიც კი, ვინც მის დროს სრულიად დაჩაგრული და მიწასთან გასწორებული იყვნენ.

პოეტი თავის ლექსში „ძველი“ წინასწარმეტყველებდა:

„რუსეთს დიადსა მოედება ჩემი სახელი

მომიხსენიებს ყველა, ენა იქ არსებული,

სლავთა ამაყი შემკვიდრე და თვით ფინელი,

ხამი ტუნგუსი და ყალმუხი — ველთ მოყვარული“.

დიად პუშკინს იხსენიებს დღეს, როგორც უკვე ვთქვით ყველა ის ხალხნი, რომლებიც მის დროს უკიდურეს ჩაგვრას და მონობას განიცდიდნენ და რომლებსაც თავის დედაენაზე არამც თუ ლიტერატურა არ გააჩნდათ, არამედ ანბანიც არ ქონდათ.

საგულისხმეოა ის, რომ ზემოდ მოყვანილ სიტყვებში პუშკინი თანასწორად იხსენიებს ამ ჩამორჩენილ და დამონებულ ხალხთ რუსის ხალხთან ერთად.

ამრიგად პუშკინს სწამდა, რომ მის დროს დაჩაგრული ხალხები, მომავალში ფეხზე დადგებიან და გაუთანასწორდებიან რუსის ხალხს, როგორც კულტურულად, ისე ნივთიერად, და დადგება ისეთი დრო, როდესაც ეს ჩამორჩენილი ხალხები პუშკინს წაიკითხავენ თავის საკუთარ ენაზე.

ამაში ჩანს პუშკინის გენიოსური შორსმჭვრეტელობა.

პუშკინი ლებულობდა თემებს და სიუფეტებს არა მარტო რუსეთის ხალხის ცხოვრებიდან, არამედ უცხო ხალხთა ცხოვრებიდანაც და მისი უდიდესი ნიჭი სჩანს იმაშიც, რომ იგი აქაც ოდნავადაც არ ლალატობდა სინამდვილის ასახვას.

პუშკინმა შეასრულა უდიდესი საქმე; როგორც დიდი კრიტიკოსი ბელინსკი ამბობდა, თანამედროვე რუსული ლიტერატურა იწყება მისგან. პუშკინმა ჩაბერა სიმართლის და თავისუფლების ჩაუჭობელი სული მომავალ პოეტებს და მწერლებს; ისეთი დიდი მწერლები, როგორიც იყვნენ ლერმონტოვი, გოგოლი, ლევ. ტოლსტოი, ნეკრასოვი, გორკი და სხვები, პუშკინს თელიან ისეთ პოეტად, რომელმაც მათ თავის შემოქმედებით გაუნათა გზა მხატვრულ შემოქმედებაში.

პუშკინის ჩანგი მღეროდა მუდამ ჩაგრულთათვის, მას მთელი თავისი არსებით სძაგდა და ეზიზღებოდა არისტოკრატიული რუსეთი, მას სძაგდა წარჩინებული მეჭთა-ხორები ერთდა იმავე დროს უნეტყუნე ველსესტიკნი. ასეთ პოეტს ხალხი ვერ დაივიწყებს. ამას გრძობდა: ჩვენი პოეტოცი იგი ამბობდა თავის თავზე:

„დიდხანს ვიქნები საყვარელი მე ხალხისთვის,
რადგან ხალხს ჩანგით კეთილს გრძნობას მე ვუღვიძებდი.
შეატრ, უემურ დროს ვადიდებდი თავისუფლებას
დავრდომილთ მიმართ ღრმა სიბრალულს ვუქადავებდი“.

პოეტი აქ საფასებით სიმართლეს ამბობდა, რომ მან მის „სასტიკ საუკუნეში“ თავისუფლება აღიდა, ამით მან გადალახა თავისი საუკუნე და მომავალ საუკუნეებშიაც შეიჭრა როგორც უდიდესი პოეტი, მლაღადებული ხალხთა თავისუფლებისა.

პუშკინი არ ეკუთვნის ერთ რომელიმე განსაზღვრულ ხალხს, მისი შემოქმედება საკუთრებაა ყველა ხალხებისათვის განურჩევლად ეროვნებისა და რასისა.

არც ერთი მწერალი, არც ერთი პოეტი, ისე მრავალმხრივად, ისე რეალისტურად არ ახასიათებს თავის ეპოქას — თავის საუკუნეს, როგორც პუშკინი.

ასი წლის შემდეგ მისი დაღუპვიდან პუშკინს არა თუ არ დაუკარგავს თავისი დიდების, თავისი უკვდავების, რაიმე ნიშანი, არამედ დღეს იგი საბჭოთა ქვეყნის წინაშე, განთავისუფლებულ ხალხთა წინაშე, სდგას მთელი თავისი სიდიადით და მთელი თავისი უნივერსალური გენიოსობით.

და ეს ფაქტი იმავე დროს ღაღადებს საბჭოთა ხელისუფლების სიდიადეზე, რომელმაც პუშკინი აღადგინა და მისი უკვდავი ქმნილებანი სრული სახით შიაწოდა ხალხის ფართო მასებს, როგორც საუკეთესო ვანძი ხელოვნებისა.

ესევე შეიძლება ითქვას ქართული ლიტერატურის უშესანიშნავეს ნაწარმოებზე „ვეფხისტყაოსანზედაც“, რომელიც დაწერილია გენიალურად და უკვდავი პოეტის — შოთა რუსთაველის მიერ, მე-12 საუკუნის ბოლოს, და რომელსაც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ელირსა სათანადო დაფასება, რაც გამოიხატება, სხვათა შორის იმაშიაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის საბჭოთა ხელისუფლება უხდის 750 წლის იუბილეს მისი დაბადებიდან.

როგორც ვიცით პუშკინი მის სიცოცხლეშივე გაიცინო ქართველ საზოგადოებამ; ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა მისი ლექსები ქართულ ენაზე პუშკინის დროსვე, და რაც უმთავრესია, — ეს ის, რომ უდიდესმა პოეტმა პირადად ინახულა საქართველო და ქართველი ხალხი. პუშკინი პირველი რუსი მწერალი-პოეტია, რომელმაც უძლიერესი ვაღენა მო-

ახდინა ქართულ პოეზიაზე და საერთოდ მთელ ქართულ მწერლობაზე. ასე რომ რუსის ხალხის ნამდვილი კულტურული გაცდენა ქართველ ხალხზე იწყება მხოლოდ პუშკინიდან.

დღეს საბჭოთა ქვეყნებში ჩვენ ვხედავთ კულტურის მწვერულების, ლიტერატურის და ხელოვნების უდიდეს აღორძინებას. უკვე მანამდე ხალხს აყვავებას.

დღეს ჩვენში მწერლებს, პოეტებს და მეცნიერებს თავისი შემოქმედებისათვის შექმნილი აქვთ ყოველგვარი პირობები მათი მუშაობის თავისუფალი გაშლისა და განვითარებისათვის.

ბურჟუაზულ ქვეყნებში კი ჩვენ სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას ვხედავთ. — შემოქმედების თავისუფალ განვითარებას იქ გზა სრულიად შეკრული აქვს.

მაშინ, როცა ჩვენში უდიდეს აღმავლობას აქვს ადგილი მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ყველა დარგში, იქ, ბურჟუაზიულ ქვეყნებში, ამ მხრივ დაქვეითებას, დაკნინებას, დაცემას და დაშლას ვხედავთ.

ამით აიხსნება ის ვარაუდობა, რომ თვით ბურჟუაზიული მწერლებიც, მეცნიერებაც და საერთოდ პროგრესიული ინტელიგენცია შემონატრიან საბჭოთა კავშირს, სადაც ისინი ხედავენ მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების განვითარებისათვის საუკეთესო პირობებს.

ხოლო რაც შეეხება ფაშისტურ ქვეყნებს: გერმანიას, იტალიას, იქ ყოველივე გამოვლინება შემოქმედებით მუშაობისა ჩამკვდარია და კვდება საბოლოოდ.

ფაშიზმი მტერია არა მარტო ხალხთა თავისუფლებისა, არამედ ყოველივე შემოქმედებისა და წინსვლისა კულტურის და ხელოვნების საქმეში.

გერმანიის ფაშიზმმა, რომელმაც შექმნა ბარბაროსული რასიული თეორია, არა თუ სდევნის თავის მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიებს, არამედ სდევნის პირველხარისხოვან მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერებს, მხატვრებს და მწერლებს, რომლებიც იძულებული არიან დასტრონ ლესინგის და გიოტეს, შარჟის და ენგელსის საშობლო და სხვაგან ეძიონ თავშესაფარი.

ამგვარად, აქ, ჩვენში, ვაუგონარი წინსვლა, შემოქმედება, ახალი ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფა, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის აყვავება, იქ კი, ბურჟუაზიულ ქვეყნებში, უკან სვლა, დაკნინება და დაცემა, ყოველგვარი პერსპექტივა წინსვლისა ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოსპობილია. ამას მშვენიერად გრძნობს იქაური ბურჟუაზიული ინტელიგენციაც კი.

ის უდიდესი შემოქმედებითი გაქანება, ის უდიდესი ^{ქართუზიაში,} რომელიც ახასიათებს საბჭოთა კავშირის ხალხებს მეტწილად და ხელოვნების ყველა დარგში. შედეგია ლენინის და სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებისა. ყოველივე ^{ქართუზიაში} სოციალიზმის გამარჯვებისა ჩვენს ქვეყანაში.

პუშკინის დაღუპვიდან ასი წლის შესრულების აღნიშვნა არის საბჭოთა გამარჯვებულ და განთავისუფლებულ ხალხთა უდიდესი ზეიმი; ეს არის საბჭოთა კულტურის ნამდვილი ზეიმი. ესაა ნამდვილი ზეიმი ხალხთა სტალინური შეგობრობისა.



ა. პუშკინი

უინც თვალს მოავლევს ალექსანდრე პუშკინის ცხოვრებას, რომელიც ასე უფერად შეწვდა დანტესის მიერ გასროლილ ტყვიისაგან, მას არ შეუძლია შემდეგ დასკვნამდე არ მივიდეს: რუსეთის ამ გენიალურ მწერლის ცხოვრებაში მოცემული იყო უკვე დიდი ტრაგედია. საკითხავია ოღონდ, რა ტრაგედია იყო იგი, როგორ მიმდინარეობდა და რით დასრულდა.

პუშკინის ცხოვრებაში ზოგი ხედავს სიყვარულის ტრაგედიას. ეს არ არის სწორი შეხედულება. პუშკინი არ იყო შექსპირის ოტელო, ისე, როგორც პუშკინის მეუღლე ნატალია ნიკოლოზის ასული გონჩაროვა არ იყო შექსპირის დეზდემონა, თუმცა მას დეზდემონას მსგავსი გარეგნობა ქონდა და შეყვარებული პოეტი თავის ცოლს მადონას უწოდებდა. მართალია, ოტელოსავით ჰიბრაჰიმ ჰანიბალის შთამომავლის პუშკინის ძარღვებშიც აფრიკული სისხლის ნაკადი დედდა, მაგრამ ამ ფაქტს არ გადაუწყვეტია პუშკინის ბედი და, მაშასადამე (წინააღმდეგ რასული თეორიის ახლად მოვლენილ ფაშისტურ ადებტებისა), იგი არ შეადგენს შთაფარ მომენტს პუშკინის ცხოვრების გასაგებად. ვნების დიდი პოტენციით უხვად დაჯილდოვებული პუშკინი თავისი ცხოვრების ძალიან მწარე წუთებშიც კი არ გადაქცეულა ვნებათა მონად. გენიალურ პოეტს ყოველთვის ჰყოფნიდა გონების ძალა, რათა დაპატრონებოდა თავის ვნებათა დელვას და მაღალი ადამიანობის მტკიცე კალაპოტში ჩაეყენებინა იგი. „გაუმარჯოს მუხებს, გაუმარჯოს გონებას“ — აი ის დევიზი, რომლითაც პუშკინი თავის ცხოვრებაში ხელმძღვანელობდა და რომლისათვის მას არასოდეს არ უღალატნია. ამიტომ შეუძლომას არ ჩავიდინოთ თუ ვიტყვი, რომ პუშკინი იყო ადამიანი და მისი ტრაგედიაც დიდი ადამიანის, კულტურის დიდი მესიტყვის ტრაგედია იყო.

ამ დიდ პიროვნებას ცხოვრება მოუხდა თვითმპყრობელურ რუსეთის სულთამხუთაე ატმოსფეროში, რომელიც არ ითმენდა პიროვნებას კულტურის არც ერთ დარგში—განურჩევლად იმისა, პოლიტიკა იყო ეს დარგი თუ მორალი, მეცნიერება თუ ლიტერატურა. თვითმპყრობელური რუსეთი სდევნიდა პიროვნებას პოლიტიკაში, როდესაც ნიკოლოზ მეფემ დეკამ-

რისტული მოძრაობის ხუთი მეთაური ჩამოახრჩო, ხოლო დანარჩენი დეკაბრისტები ნაწილობრივ ცივი ციშბირის საკატორლო ციხეებში დაალოპო, ნაწილობრივ კი კავკასიის დასაპყრობად წარმოებულ რუსეთის მთავრობის თვითმპყრობელური რუსეთი სდევნიდა პიროვნებას, მსგავსად ასპარეზზე, როდესაც უნივერსიტეტები მაგნიციისა და რუნიჩის მსგავს ობსკურანტებს ჩაუგდო ხელში და პროფესორებისაგან უწინარეს ყოვლისა მოითხოვდა არა მეცნიერების ცოდნას, არამედ მონარქისტულ პოლიტიკურ სისტემისადმი ერთგულებას. თვითმპყრობელური რუსეთის მთავრობა სდევნიდა პიროვნებას ლიტერატურაში, როდესაც მან მწერლების ასალაგმავად არ იკმარა ძველი საშუალებები და საჭიროდ დაინახა ბუტურლინის კომიტეტის დაარსება, ხოლო მხატვრული ლიტერატურის ისეთი უკვდავი ქმნილება, როგორც იყო გოგოლის „მკვდარი სულები“, მზად იყო აეკრძალა სხვათა შორის იმ მოსაზრების გამო, რომ ქრისტიანული დოგმატიკით სული უკვდავია და „მკვდარი სული“ არ შეიძლება არსებობდესო.

ვინც გაითვალისწინებს ამ ისტორიულ ფაქტებს და ამის მსგავსს მრავალ სხვა მოვლენას მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის ისტორიიდან, მისთვის გასაკვირი არ იქნება ის გარემოება, რომ რუსეთის თვითმპყრობელურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას აღარ შეეძლო დაენდო პოეზიის ისეთი დიდი პიროვნება, როგორც იყო პუშკინი და ნამდვილი დევნა არ აღემართა ამ გენიალურ ადამიანის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და სინათლის ამ დაუშრეტელ წყაროს წინააღმდეგ. გადაქრბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დაბადების დღიდან თავისი მოკლე სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე პუშკინი იყო რუსეთის თვითმპყრობელური საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის მიერ დევნილი ადამიანი. გაბატონებული სისტემა სდევნიდა მას ცხოვრების ყოველ სფეროში. ოჯახი, სადაც პუშკინმა თავისი ბავშვობა გაატარა, სკოლა, სადაც პუშკინი სწავლობდა, ბიუროკრატიული დაწესებულებები, სადაც პუშკინს რამდენიმე ხანს სამსახური მოუხდა, „ბრწყინვალე“ არისტოკრატიული საზოგადოება, სადაც პუშკინი ძალაუნებურად ტრიალებდა, და, ბოლოს, თვით მეფეები, ალექსანდრე პირველი და მისი მემკვიდრე ნიკოლოზ პირველი, რომელნიც აკვირგვინებდნენ რუსეთის ბატონყმურ-თვითმპყრობელურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას — ყველანი განურჩევლად სდევნიდნენ პუშკინს, ყველასაგან გამოსცადა მწერალმა შევიწროება.

განა პუშკინი არ იყო საკუთარი მშობლების მიერ დევნილი ბავშვი? თუ დევნა არა, მაშ რა შეიძლება ეწოდოს იმ ათვალწუნებას, რომელსაც საკუთარ ოჯახში განიცდიდა პატარა ალექსანდრე, მშობლების მიერ თითქმის სრულიად დაეწყებული და თავის ანაბარად მიგდებული ბავშვი, რომელიც იძულებული იყო ალერსი და სიყვარული თავისი გამდელის,

გლები-ქალის არინა როდიონის ასულის თბილ გულში იმყოფება, რა იყო, თუ არა დევნა, როდესაც მხიარულ დროსტარებაში გროთულა დედ-მამამ ასე ადვილად და ასე უყუყუძნოდ მოიშორა თავიდან თორმეტი წლის შვილი და მისცა იგი როგორც თვითონ ამბობდნენ, „გასასწავლებელად“ პილოტ-კრატიულ ლიცეუმში, რომლის კედლებიდანაც პუშკინი არ გამოსულა მთელი ექვსი წლის განმავლობაში? როდესაც ბავშვს დედა და მამა აკლებენ აღერსს, სიტბოს და სიყვარულს, ყოველ ექვს გარეშე შეიძლება იტყვას, რომ ეს ბავშვი დევნილია თავის ოჯახში, და სწორედ ასეთი დევნილი ბავშვი იყო პუშკინი.

რით იყო შერე ეს საკვირველი დევნა გამოწვეული? მრავალი სხვადასხვა ხასიათის მიზეზით. მაგრამ ამ მიზეზებს შორის საპატიო ადგილი ეჭირა იმ გარემოებას, რომ პუშკინი იყო რაღაც სხვანაირი ბავშვი, რომელიც არც გარეგნობით, არც ქცევით არ ჰგავდა თავის და-ძმას. დაკვირვებული თვალი, «во глубину души вникая строгим взором» (Чаадаеву), უეჭველად შესძლებდა პუშკინის ამ სხვანაირობაში ბევრი რამ კარგის აღმოჩენას. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ინტერესი ბავშვის შინაგანი სულიერი ცხოვრებისადმი, რომელსაც აღვიძებს მხოლოდ სიყვარული და რომელიც აკლდათ პუშკინის მშობლებს, ამ გამოდიტულ აზნაურიშვილებს, რომლებიც სალონურ სიამოვნებაზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე საკუთარი შვილების აღზრდაზე. არც გასაკვირველია ამიტომ, რომ თავისი მემამულური ოჯახისათვის პუშკინი უცხო ბავშვი იყო.

ასეთ უცხო არსებად დარჩა პუშკინი ალექსანდრე მეფის მიერ დაარსებულ ლიცეუმშიც, სადაც პუშკინი მშობლებმა მიიბარეს. ამ სასწავლებელშიც ვერ იპოვა პუშკინმა ნორმალური პედაგოგიური ატმოსფერო. თუ მემამულურ ოჯახში პუშკინი ათვალწუნებული ჰყავდათ იმის გამო, რომ ის რაღაც სხვანაირი ბავშვი იყო, რომელიც თავის და-ძმას არ ჰგავდა, ბიუროკრატიულ სასწავლებლის ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს პუშკინი აკვირებდა იმით, რომ ის იყო რაღაც სხვანაირი, რაღაც „უცნაური“ მოწაფე, რომელიც არ ჰგავდა თავის ამხანაგებს. ნაცვლად იმისა, რომ დანარჩენი მოწაფეების მსგავსად გულმოდგინედ ეზებირნა მათემატიკური ფორმულები, პუშკინი, მისივე სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ

„С утра до вечера в немой тени дубов
Прилежно... внимал урокам девы тайной“ („Муза“).

და გულმოდგინედ კითხულობდა ვოლტერსა და პარნის, რათა ამით ნიადაგი მოემზადებინა მომავალი თავისი სამწერლო მოღვაწეობისათვის, რომლისაკენ მოწოდება პუშკინს ადრე გაეღვიძა. პუშკინის ეს მიდრეკილება პოეზიისაკენ შეამჩნია ლიტერატურის პროფესორმა კო-



შანსკიმ და, სიმაართლე რომ ითქვას, განიზრახა და დაეწინაფისათვის ხელმძღვანელობის გაწევა. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ტრედიაკოვსკისა და ლომონოსოვის პარკენსული პროფესორის პუშკინის ხელმძღვანელობისათვის საჭიროებას აღიქვამდა: კოშანსკიმ მოინდომა პუშკინის პოეტური აღმადგენა დახვეწებული ლიტერატურული ტრადიციის ჩარჩოებში ჩაენწყვილა, და პუშკინმაც სასატილოდ აიგდო თავისი მენტორი, როგორ შეეძლო ამის შემდეგ კოშანსკის არ ეფიქრა, რომ პუშკინი არის რაღაც უცნაური მოწაფე, რომელიც არა ჰგავს სხვა მოწაფეებს და რომელზედაც აღარა ღირს დროს დაჯარგვა? უკეთესი შეხედულება არ ჰქონდათ პუშკინის შესახებ, ლიცეუმის სხვა მასწავლებლებს და თვით პუშკინის ამხანაგების უზრავლესობასაც. მათთვისაც პუშკინი რაღაც სხვანაირი, რაღაც უცნაური ახალგაზრდა იყო. ის დრო, როდესაც პუშკინის ამხანაგები ლიცეუმის დირექტორის ოჯახში ერთობოდნენ მზიარულს ცეკვა-თამაშში, პუშკინს ერჩია გაეტარებინა სერიოზულ საუბარში პეტრე ჩაადაეეთან, რუსეთის ამ გამოჩენილ მოაზროვნესთან, მართლმადიდებლობისა და თვითმპყრობელობის ამ უუსასტიკეს კრიტიკოსთან, რომლისაგან პუშკინი ითვისებდა მონობასა და ძალმომრეობაზე აშენებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემისადმი სიძულვილს, რა უნდა ეფიქრა ლიცეუმის დირექტორს ასეთი მოწაფის შესახებ, რომელიც დანარჩენ თავის ამხანაგებისაგან განსხვავებით ასე დაეინებით გაურბოდა მის ოჯახს? რა თქმა უნდა, მის წარმოდგენაში პუშკინი უცნაური მოწაფე უნდა ყოფილიყო.

დღიდან ლიცეუმში შესვლისა ამ ლიცეუმის ვათავებამდე პუშკინი იყო რაღაც თავისებური, რაღაც სხვანაირი და არა ჩვეულებრივი, არა ტიპური მოწაფე. იგი გამოჩნდის შეადგენდა არისტოკრატიული ლიცეუმის მოწაფეთა შორის, მართალია, თვითონ პუშკინი ყოველთვის ტკბილად იგონებდა ლიცეუმში გატარებულ წლებს, მაგრამ, კომეროსის ნათქვამისა არ იყოს, გავლელი მწუხარებაც კი ტკბილია მოგონებებში, და, შაშასადაძე, პუშკინის ამ მოგონებებზე სელი არ უნდა შეგვიშალოს სწორად შევადგათ ის შიში მორალურ-პედაგოგიური ატმოსფერო, რომელშიაც პუშკინმა თავისი სასწავლო წლები გაატარა. საკუთარი ოჯახისათვის უცხო პუშკინი აღიქმანდრე მეფის ბიუროკრატიული სკოლისათვისაც იყო უცხო მოწაფე, რომელსაც ამ სკოლისაგან ბევრი არა რგებია რა, და თუ მიუხედავად ამისა, პუშკინი მაინც თავისი ებოტის უუგანო-ლექტურესი კაცო იყო, ეს განათლება პუშკინმა საკუთარი თვითგანვითარებით, საკუთარი მეცადინეობით შეიძინა: პუშკინი იყო ავტოდიდაქტი. ღრმად დარწმუნებული იმ ჰერმეტიკებაში, რომ «на поприще ума нельзя нам отступать» („Первое послание к цензору“), პუშკინი

მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში განუწყვეტლად ვერცხვობდა იმი-
სათვის, რათა „в просвещении статья с веком наравле“ (П. П. Плаву).

ეს ათვალისწინება და დევნა, რომლის უშუალო შედეგად პუშკინის სხეულისათვის, მისი „უცნაურობა“ და რომელიმე პოეტის ქვეშევრდომად აღიქმებოდა, კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც პუშკინმა დაასრულა სასწავლებელი და ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოვიდა. ბატონყმურ-თვითმპყრობელურმა სისტემამ აქ უკვე ნათლად დაინახა, რომ ვერც თავისი ოჯახით, ვერც თავისი სკოლით მან ვერ წაართვა პუშკინს თავისებურობა და ორიგინალობა, და ესლა, თითქოს თავისი უძლურებით გაბრაზებულმა, მიმართა უფრო ეფექტურს, უფრო მკაცრად მომჭმედ საშუალებებს და მზად იყო ციმბირიც კი გამოეყენებინა ამ უცნაური ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც ვერ „გაუსწორებიათ“ ვერც მის მშობლებს და ვერც მეფის სასწავლებელს. თვითმპყრობელურ სისტემას სურდა ჩაეკლა პუშკინის თავისებურობა, მოესპო მისი ორიგინალობა, წაეშალა მისი პიროვნება და გადაეკეტა გენიალური პოეტი ბატონყმურ-თვითმპყრობელური სახელმწიფოს ჩვეულებრივ ქვეშევრდომად. ცხადია, ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო ბრძოლა, და თვითმპყრობელური სახელმწიფოც სისტემატურად ებრძოდა ავიწროებდა და ამცირებდა გენიალურ პოეტს.

აქ არ არის საჭირო ჩამოთვლა ყველა იმ უსიამოვნებისა, ყველა იმ შევიწროებისა და დამცირებისა, რომელიც გამოუცდია თავის მოკლე ცხოვრების მანძილზე პუშკინს. აღვნიშნოთ ზოგიერთი ფაქტი.

1820 წელს მთავრობამ განიზრახა გადაესახლებინა პუშკინი ციმბირში. მაგრამ, ალბათ, თვითონვე დაინახა, თუ რამდენად სამარცხვინო იქნებოდა მთავრობისათვის, რომელსაც „განათლებისა და კულტურის ბურჯად“ მოპქონდა თავი ევროპის წინაშე, ასეთი სიმკაცრე რაღაც ოცი წლის კაბუჯის მიმართ, რომელსაც მხოლოდ ის ედებოდა ბრალად, რომ მთავრობისათვის არასასიამოვნო რამდენიმე ლექსი დაუწერია: არც ერთი კულტურული სასამართლო არ გადაუწყვეტდა პუშკინს ციმბირის კატორღას ასეთი „დანაშაულისათვის“. ჩვეულებრივ ამგვარი საქმეები თვითმპყრობელურ რუსეთში სწყდებოდა სასამართლოს გარეშე, და ადმინისტრაციას შეეძლო ის სასჯელი მიესაჯა ყოველი ქვეშევრდომისათვის, რომელიც მოესურვებოდა; აქაც ასე მოხდა. პუშკინი განდევნეს პეტერბურგიდან, მოსწყვეტეს ახალგაზრდა კაცო, ჯერ კიდევ თითქმის ყმაწვილი, თავის ნაცნობებს, თავის ლიტერატურულ წრეს, თავის საყვარელ სამუშაო მაგიდას და გადაისროლეს სამსახურისათვის ჯერ კიდევ ნახევრად დაუსახლებელ უდაბნოში. ესეც არ იკმარეს და მიუყენეს პუშკინს ჯაშუშობი, რომლებსაც უნდა თვალყური ედევნებიათ პოეტის თითოეული ნაბიჯისათვის, თითოეულ სიტყვისათვის და დაუყოვნებლივ მიეწოდებიათ ამის შესახებ ცნობა მთავრობისათვის. დაუმატეთ ამას ისიც, რომ

გულმოსული შშობლები არ აძლევდნენ თავის შვილს მატერიალურ დახმარებას, ხოლო სახელმწიფო ჯამაგირი იმ დროს პატრიარქის პუშკინს კი არ შეეძლო სხვა მოხელეების მსგავსად ქრთამებით დაეხმარებოდა, — და ადვილად წარმოსადგენი იქნება, თუ რა მძიმე პირობებში იმის მთავრობამ ახალგაზრდა პუშკინი, რომელიც ის-ის იყო იწყებდა დამოუკიდებლად არსებობას.

„В неволе, в бедности, в чужих стенах
 Мои утраченные годы“,—

ასე სევდიანად იგონებდა შემდეგ პუშკინი სამხრეთში გატარებულ თავის წლებს („Воспоминание“).

რომ კარგად გავსინჯოთ ეს ფაქტები, არ შეიძლება არ გაგვიკვირდეს, რამდენი ველურობა იყო მაშინდელ სახელმწიფოებრივ სისტემაში დაფარული და რამდენად უმწეო და უუფლებო ყოფილან ალექსანდრე პირველის ქვეშევრდომნი, რომელნიც, როგორც სჩანს, ადამიანებად არც კი ითვლებოდნენ და პირუტყვებით მეფის კერძო საკუთრებას შეადგენდნენ. რომ გლეხები იმ დროს ადამიანებში არ ირიცხებოდნენ, ეს ცნობილი ამბავია. მაგრამ არსებითად არც აზნაურები ირიცხებოდნენ თურმე ადამიანებს შორის, და, გერცენის ერთი მშვენიერი შედარების აზრით, მთელი რუსეთის მრავალმილიონიანი მოსახლეობა მონების ვეებერთელა ჯოგს წარმოადგენდა, სადაც ქეშმარიტი ადამიანი დიოგენის ფანრით იყო საძიებელი, რადგან არავითარ გარანტიას მოქალაქის დამოუკიდებლობისათვის სახელმწიფო არ იძლეოდა.

1823 წლიდან პუშკინი მსახურობდა ოდესის გენერალ-გუბერნატორის მ. ს. ვორონცოვის კანცელარიაში. ქართველი თავად-აზნაურობა მოხიბლული იყო ერთ დროს ამ კაცის თავაზიანობით. მაგრამ ვორონცოვის თავაზიანობა მხოლოდ გარეგნული ხასიათისა იყო. არსებითად კი გრაფი ვორონცოვი რუსეთის ტიპური ბიუროკრატი იყო. ვორონცოვი ხედავდა პუშკინში მხოლოდ თავის ხელქვეითს და მოელოდა, ალბათ, რომ პუშკინი დაუწყებდა მას თავის ლექსებში ქება-დიდებას, ისე, როგორც იქეოდნენ ძველად საბრალო ტრედიაკოვსკი და მისი მსგავსი მწერლები. მაგრამ, როდესაც პუშკინმა არ მოისურვა თავისი პოეტური ნიჭის ასე დამკირება, ვორონცოვმა დევნა დაუწყო პოეტს. ვორონცოვის თვალში პუშკინი იყო რბაც უცნაური მოხელე, იგი არა ჰგავდა თავის კოლეგებს, რომელნიც არა თუ ლექსს, არამედ უფრო ხელსახებ ნივთებსაც არ დაიშურებდნენ, ალბათ, რათა ესია მოეხმებინათ თავისი უფროსისათვის და დაემსახურებინათ მისი კეთილი განწყობილება. რომ პუშკინი თავის ლექსს ყოველ ნივთზე უფრო მეტად აფასებდა, ეს ვორონცოვმა არ იცოდა, და კიდევაც რომ სცოდნოდა, ვერ გაიგებდა. მართლაც, რა არის ლექსი ისეთი მკითხველისათვის,

როგორი უნდა ყოფილიყო ვორონცოვი? უბრალო სიტყვები, ცარიელი ბგერა! რომ ეს სიტყვები ქვეშაირი პოეტისათვის არის მთელი მისი სიცოცხლე, რომელსაც ის ასე ადვილად ვერ შეეღწეოდა: ყოველმხრივ მხოლოდ პოეტი და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი სიტყვები გაუთვალისწინოთ ყველაფერი ეს, და გასაგები იქნება, რომ ვორონცოვმა დევნა დაუწყო პუშკინს, ამ უცნაურ მოხელეს, რომელიც სხვა მოხელეებს სრულიად არა ჰგავდა და ლექსის მიძღვნაც კი ენანებოდა თავისი უფროსისათვის. ეს დევნა გათავდა იმით, რომ 1824 წელს პუშკინი გამოირიბეს სამსახურიდან და გააძვეს ოდესიდან სოფელში.

1826 წელს ნიკოლოზ პირველმა გაიწვია პუშკინი სოფლიდან და მიუყენა მას ზედამხედველად და მოძღვრად ეანდარმების შეფი ბენკენდორფი, რომლისათვის პოეტს უნდა დაწვრილებითი ცნობა მიეწოდებია ყოველი თავისი ნაბიჯის და უეცრად გაეღებულყოფილი ყოველი თავისი აზრის შესახებ. წარმოიდგინეთ ერთი წუთით ტლანჭი ეანდარი გენი-ალური პოეტის მოძღვრად, და თქვენთვის ნათელი გახდება რამდენი ტანჯვა უნდა გამოეცადა პუშკინს მხოლოდ იმის გამო, რომ ის არა ჰგავდა სხვა მწერლებს და თითოეულ მის სიტყვას უუდიდესი რეზონანსი ჰქონდა. აი, მაგალითად, პუშკინი კითხულობს 1826 წელს მოსკოვში თავის ნაწარმოებს ნაცნობ ლიტერატორთა წრეში: ბენკენდორფი აძლევს მას ამისათვის შენიშვნას, თითქოს პუშკინს ჩაედიხოს ისეთი რამ, რაც სხვა მწერლებისათვის აკრძალული იყო. 1829 წელს პუშკინი მოდის კავკასიაში თავისი ძმის სანახავად: ბენკენდორფი აძლევს პუშკინს შენიშვნას, რომ ის ნება დაურთველად გაემგზავრა კავკასიაში, თითქო პოეტი ყოფილიყო ტყვე, რომელსაც აკრძალული აქვს ადგილის გამოცვლა. ასეთი გაკვეთილების შემდეგ პუშკინი 1830 წელს სთხოვს ბენკენდორფს პოლტავაში გამგზავრების ნებართვას. ბენკენდორფმა უარი შემოუთვალა: „თითქო კარცერში ვიყო დამწყვედული“—ო,—ამბობდა პუშკინი. 1830 წელს პუშკინი სტუმრად ეწვია საფრანგეთის ელჩს, ფრაკში გამოწყობილი: ბენკენდორფი შენიშვნას აძლევს პუშკინს, რატომ ფრაკი ეცვა მას და არა რუსი აზნაურის მუნდირი, თითქო პოეტს თავისი ტანისამოსის არჩევის უფლებაც კი წართმეული ჰქონოდა. „La moindre de mes démarches éveille le soupçon et la malveillance“. — მწუხარებით სწერდა პუშკინი.

1830 წელს პუშკინმა განიზრახა გონჩაროვას შერთვა, და აი ასეთი საქმისათვისაც კი, რომელსაც ყოველი კაცი (გარდა ყმებისა) თვითმპყრობელურ რუსეთშიც დამოუკიდებლად აკეთებდა, პუშკინი იძულებული იყო თხოვნით მიემართა ბენკენდორფისათვის, რომლისაგანაც მან ასეთი აღმაშფოთებელი პასუხი მიიღო: „გაეცნო რა ამბავს თქვენი ქორწინების შესახებ, იმპერატორმა ინება ეთქვა ამის შესახებ, რომ მას სჯერა, რომ თქვენ წინასწარ კარგად გასინჯეთ თქვენი თავი, სანამ ასეთს ნაბიჯს გა-



დადგამდით, და რომ თქვენ იპოვნეთ თქვენს თავში ვიღაცა და ხასიათის ისეთი თვისებები, რომლებიც საჭიროა ქალის გასაბუნებოებლად, განსაკუთრებით კი ისეთი საყვარელი და სიინტერესო ქალი, რომელიც არის მადემუაზელ გონაროვა“. აღმასწავლებელი უნდა განსაზღვროს პასუხი, ჯერ ერთი, იმისათვის, რომ ეილაც კანდარში ბედავდა თავისი გასვრილი ხელის ფათურს პოეტის უინტიმეს გრძნობებში. მეორეს მხრივ კი — იმ ორკოფი „კომპლიმენტისათვის“, რომელიც მეფემ უძღვნა პოეტის საცოლეს. პუშკინს უპროტესტოდ უნდა გადაეყვანა ეს შეურაცხყოფაც, რადგან ნიკოლოზ პირველის რუსეთში ცხოვრობდა.

მაგრამ ამაზე უფრო მძიმე შეურაცხყოფა იყო პუშკინისათვის, როდესაც მეფემ და მისმა კანდარმმა განიზრახეს პოეტის შემოქმედებითი მუშაობის კანტროლი.

1826 წელს ნიკოლოზ პირველი სწერს პუშკინის დრამის „მორის გოდუნოვის“ შესახებ, რომელიც პოეტმა მეფეს წარუდგინა დაბეჭდვის ნებართვის მისაღებად: „Щитаю (sic!), что цель г. Пушкина была бы вполне выполнена, если б, с нужным очищением, переделал комедию свою в историческую повесть или роман“. გამოდიოდა, რომ ნიკოლოზ პირველი არ კმაყოფილდებოდა მარტო ცენზორის როლით, რაც უკვე დაწერილის შემოწმებაში გამოიხატებოდა, არამედ ასწავლიდა პუშკინს თვით წერას, თვით პოეტურ შემოქმედებას, და ამას ბედავდა კაცი, რომელსაც პართლწერაც არ ჰქონდა თურმე შეთვისებული და „считаю“-ს ნაცვლად სწერდა „щитаю“-ს. რა თქმა უნდა, ასეთი უპატივცემლობა პოეზიისადმი იყო პუშკინისათვის ყველა სხვა შეურაცხყოფაზე უფრო დიდი და უფრო აუტანელი. „მე რაღაცა მაწევბა, მახრობს“, ეუბნებოდა პუშკინი თავის დას.

1827 წელს მთავრობის აგენტებმა პასუხი აგებინეს პუშკინს 1825 წელს ცენზორის ნებართვით დაბეჭდილი ლექსის („ანდრე შენიე“) ერთი ნაწიყვეტისათვის, რომელსაც რევოლუციურად განწყობილი ელემენტები აზრცვლებდნენ ხალხში, თუმცა სენატმა ვერ მისძლო დაისაჯა პუშკინი. ეინაიდან 1826 წლის მანიფესტით მანამდე დაწერილ თხზულებათა ავტორებს ნაპატიები ჰქონდათ „დანაშაული“.

1828 წელს პუშკინი გამოიწვიეს სპეციალურ კომისიაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერკვია, ვინ იყო ავტორი პუშკინის ერთი ათეისტური პოემისა („გაბრიელიადა“), რომელიც ანონიმურად დადიოდა ხალხში: ვინ იცის, რა სასჯელს მიუსჯიდნენ ამ პოემის დაწერილისათვის პუშკინს, რომ მას არ განეცხადებია კომისიის წინაშე, რომ ეს პოემა არ იყო მის მიერ დაწერილი. ასე ავიწროვებდნენ და სდევნიდნენ პუშკინს მეფე და მისი ადმინისტრაცია.

უკეთესი არ ყოფილა პუშკინისადმი „ბრწყინვალე“ არისტოკრატიული საზოგადოების დამოკიდებულება: მასაც სძულდა მწერალი და ისიც სდევ-

ნიდა პუშკინს. რა იყო მიზეზი ამ სიძულვილისა? მთავარი მიზეზი იყო ის, რომ პუშკინი არ ჰგავდა არისტოკრატიული წრის წევრს, არც ეკონომიური, არც მორალური თვალთახედვით. თუ ამ არისტოკრატიული წრის უმრავლესობა ცხოვრობდა უშრომლად, მდგომარეობის უკუპირი კონებიდან მიღებული შემოსავლით, პუშკინის საცხოვრებელ წყაროს წარმოადგენდა უმთავრესად მისი პირადი შრომა: პუშკინი ცხოვრობდა თავისი კალმით, ის იყო ლიტერატორი პროფესიონალი, და ეს გარემოება თვითონ პუშკინმაც კარგად შეიგნო, განსაკუთრებით თავისი მოღვაწეობის მიწურულში, როდესაც დაიწერა ლექსი „ჩემი გენეალოგია ანუ რუსი მეშინანი“.

როგორც პროფესიონალი მწერალი, პუშკინი მორალურადაც უფრო ახლო იდგა რუსეთის მოწინავე რაზნოჩინულ-დემოკრატიულ ინტელიგენციასთან, ვიდრე არისტოკრატიულ წრესთან, და აქედან გასაგებია, ერთი მხრით, პუშკინის სიმბატია ამ რაზნოჩინულ-დემოკრატიული ინტელიგენციის მეთაურ ბელინსკის მიმართ, რომელიც ამ დროს იწვევდა მხოლოდ თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობას, ხოლო მეორეს მხრით — ის მწვავე ანტიპატია, რომელსაც არისტოკრატიული ხარაბუხეზი გრძნობდნენ პუშკინის წინააღმდეგ. მართალია, მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, პუშკინს მოუხდა თვით შეფის სასახლის უმაღლეს არისტოკრატიულ წრეში ცხოვრება და შეფის კარისკაცის მუნდირის ტარება, მაგრამ ამ არისტოკრატიულ წრესთან პუშკინს არსებითად არაფერი ჰქონდა საერთო: ის იყო გელი შავ ყორნებს შორის. ოდესღაც უცნაური მოწაფე და უცნაური მოხელე, პუშკინი იყო უცნაური კარისკაცი. რა გასაკვირია, რომ ეს უცნაური კარისკაცი არ დაინდეს ნამდვილმა კარისკაცებმა და სასტიკი დევნა დაუწყეს მას.

2

როგორც ზევით დავინახეთ, პუშკინი რუსეთის თვითმპყრობელური სისტემის მიერ დევნილი ადამიანი იყო. მიზეზი ამ დევნისა უნდა ვეძიოთ იმაში, რომ თვითმპყრობელური რუსეთის თითქმის ყოველი წრისათვის, სადაც კი პუშკინს ცხოვრება მოუხდა, ის რაღაც სხვანაირი, რაღაც თავისებური არსება იყო. ეს სხვანაირობა იყო პუშკინის ტრაგედიის მიზეზი, ამ ტრაგედიის დასაწყისი, ეხლა ვეკითხოთ, როგორ მიმდინარეობდა ეს ტრაგედია.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პუშკინი აღმოჩნდა საშინელი ძალის მქონე მებრძოლი. მედამ დევნილმა, მან გამოიმუშავა წინააღმოვლობის გაწვევის განსაკუთრებული უნარი. რა ასაზრდოებდა მერე ამ უნარს, რა შეადგენდა მის საფუძველს? ზოგიერთი ამ საფუძველს პუშკინის ბიოლოგიურ თვისებაში ხედავს და ფიქრობს, რომ პუშკინმა იმის გამო შესძლო აეტანა ამდენი დევნა, ამდენი მტრობა მის გარშემო მყოფ

ადამიანებისა, რომ ის დაბადებიდან დაჯილდოვებულია უკრძნობიარული ხასიათით.



რომ პუშკინი მხიარული ადამიანი იყო, ეს უღმრთოდესად ცემენ, რომ პუშკინს შეეძლო დიდი უსიამოვნების შემდეგ მტკიცედ დატოვებულად დაეწყო პომერისებული სიცილი. „პუშკინის ხარზარისაგან მკედარიც კი გამოცოცხლდება“-ო, ამბობდნენ პუშკინის ძალიან მახლობელი მეგობრები. მაგრამ თქმა იმისა, რომ ეს მხიარულება იყო პუშკინის თანდაყოლილი თვისება, ნიშნავს საკითხის უპასუხოდ დატოვებას. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ პუშკინის მხიარულება მიზეზი კი არ იყო იმისა, რომ პუშკინი ახერხებდა მის გარშემო არსებული დევნის ატანას, არამედ იყო ამის შედეგი. უშუალო მიზეზი კი იმისა, რომ პუშკინმა ამდენ ხანს გაუძლო მტრების დევნას, საძიებელია მის საკვირველ წარმოსახვის უნარში, რომელიც საშუალებას აძლევდა მას გარედან მოცემულ ფაქტებზე ამაღლებულიყო და მათ მონად არ ქცეულიყო. პუშკინს შეეძლო ეცხოვრა თავისი წარმოდგენების სფეროში *ipse suis pollens opibus, nil indigens extra*. ეს თვისება კი განუვითარა პუშკინს მისმა პოეტურმა მოღვაწეობამ. სწორედ პუშკინის პოეტურ მოღვაწეობაში არის ამიტომ საძიებელი მთავარი მიზეზი იმისა, რომ პუშკინი ახერხებდა მის წინააღმდეგ ამხედრებული თვითმპყრობელურ-ბატონყმური რუსეთის დევნის ატანას. შეცდომას არ ჩავიდნეთ, თუ ვიტყვი, რომ პუშკინის მთელი ლიტერატურული შემოქმედება შეიძლება წარმოდგენილი იქნას, როგორც პოეტური პასუხი იმ შთაბეჭდილებებზე, რომლებსაც აძლევდა მას თვითმპყრობელური რუსეთის სინამდვილე, ე. ი. როგორც პოეტის ბრძოლა ამ სინამდვილესთან,—ბრძოლა, რომლის პროცესში თანდათან იწმინდებოდა პუშკინის პოეტური სახე და ირკვეოდა მისი პოეტური „მე“. ამდენად პუშკინის მთელი მხატვრული შემოქმედება იყო პოეტის თავდაცვა იმ თვითმპყრობელურ-ბატონყმურ სინამდვილისაგან, რომელშიც მოუხდა პუშკინს ცხოვრება და რომელიც სდევნიდა ამ „უცნაურ“ ადამიანს. რუსეთის ბატონყმურ-თვითმპყრობელური სინამდვილის ზევით ეს მართლაც „უცნაური“ კაცი აშენებდა თავისი პოეზიის ახალ სამყაროს. რომელშიაც ბატონყმურ-თვითმპყრობელური სინამდვილე შედიოდა, როგორც მოხსნილი ან პოეტურად გაშუქებული მასალა. პუშკინის პოეზია იყო ბრძოლა რუსეთის თვითმპყრობელურ-ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ.

ორი სტადია გაიარა პუშკინის ამ პოეტურმა ბრძოლამ თავის განვითარებაში, საზღვრად ამ სტადიებს შორის შეიძლება პირობით ჩავთვალოთ 1825 წლის 14 დეკემბერი, როდესაც თვითმპყრობელობამ დაამარცხა მის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყება, ხოლო ამ აჯანყების მონაწილენი ვაფანტა. პირველ სტადიაში მცირერიცხოვან თანამოაზრეთა



თანაგრძნობით წათამამებელი ახალგაზრდა პუშკინის ბრძოლს ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ატარებს კულტურულ-სოციალურ ხასიათს: ის წარმოადგენს პუშკინის გაშიშვლებულს ანუ ექვემდებარებულს იმ მთაბეჭდილებებზე, რომლებსაც აძლევდა პოეტს ცხრილში მისი ცხოვრების მთავარი სტადიაში კი, თავის თანამოაზრეებისაგან მოწყვეტილი და მტრების ბანაკით გარშემორტყმული პოეტის ბრძოლამ იმავე სინამდვილესთან მიიღო უფრო გამოცდილი, უფრო გაბრძნებული და ამდენად უფრო მნიშვნელოვანი ხასიათი. თუ პირველ სტადიაში პუშკინი აძლევდა მის წინააღმდეგ ამხედრებულ ბატონყმურ-თვითმპყრობელურ რუსეთს თითქმის უშუალოსა და გაშიშვლებულ პასუხს, მეორე სტადიაში ის აძლევს იმავე რუსეთს პოეტის ლაბორატორიაში კარგად გადამუშავებულ პასუხს. მაგრამ თავისი სოციალ-პოლიტიკური შინაარსით ეს მეორე პასუხიც ისეთივე იყო, როგორც პირველი: 1825 წლის შემდეგაც თავის შემოქმედებაში პუშკინს არ უღალატნია თვითმპყრობელურ-ბატონყმური სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლის იმ პრინციპისათვის, რომელიც ასულდგმულებდა მის პოეტურ შემოქმედებას 1825 წლამდე. თვითონ პუშკინსაც მშვენიერად ესმოდა ეს გარემოება, როგორც ეს კარგად მოსჩანს მისი ლექსიდან „არიონი“, რომელიც 1827 წელს იქნა დაწერილი. პუშკინი ამბობს ამ ლექსში:

ბევრი ვიყავით ჩვენ მძიმე ნავზე.
 ზოგი სჭიმავდა ფრთააშლილ აფრას,
 და კიდევ ზოგი, ძალღონით სავსე,
 წყალზე უსვამდა ნიჩაბს თანაბრად.
 საჭესთან იჯდა წამყვანი ჩვენი,
 იგი მართავდა ნავს-გონიერი.
 მე კი ვუმღერდი მცურავებს რწმენით.
 სწრაფ ამოვარდა ქარი ძლიერი,
 ააბობოქრა ტალღა ხმიერი.
 მცურავს, მესაჭეს ერგო სიკვდილი,
 მე — მომღერალი ღონე მიხდილი —
 ზღვამ გამომაგდო ნაპირზე ობლად.
 იმავ სიმღერებს კვლავ ვავიძახი,
 და სოველ სამოსს ანთებულ სახით
 მე ვაწრობ მზეზე, ტინის მახლობლად.

(თარგმანი ვალ. ვაფრინდაშვილისა).



იშვიათი სინათლით გადმოცემულია აქ პუშკინის თავისუფალი, საპრობა ოღონდ დაეკვირდეთ ზევით ჩვენ მიერ ხაზგასმულ სტრუქტურებს, როგორც ვხედავთ, თვითონ პუშკინი ჰყოფდა თავის პოეტურ შემოქმედებას ორ პერიოდად და ზღვარიდ ამ პერიოდებს შორის მიახლოებით შემოქმედების შუამდგომლობის ხაზით. პირველ პერიოდში პოეტი უგალობდა თავისუფლებას, მაგრამ ეს გალობა იყო შედარებით უდარდელი („беспечной веры план“), ვინაიდან პოეტს ამხნევებდნენ ამ დროს მის ახლო მყოფი თანანობარები („нас было много“). მეორე პერიოდში პოეტი დარჩა განმარტოებული („лишь я“), გარიყული. მაგრამ პოეტს არ შეუცვლია მაინც თავისი აზრები და არ შეუწყვეტია ძველებური სიმღერა („Я гимны прежние пою“), ოღონდ ეს ძველებური სიმღერა არ იყო ძველებურად ღია და აშკარა: გულუბრყვილო მომღერლიდან პოეტი იქცა „საიდუმლო მომღერლად“ („таинственный певец“), რომელიც იმავე ძველს საგანს უმღეროდა, ოღონდ არა ცხადად, არამედ მალულად.

თუ პუშკინის ლექსის ეს ანალიზი სწორია, მაშინ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქო პუშკინი დეკემბერის აჯანყების დამარცხებამდე უფრო მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უწევდა რუსეთის ბატონყმურ-თვითმპყრობელურ სინამდვილეს, ვიდრე ამ აჯანყების დამარცხების შემდეგ. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ პუშკინი დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ თავისი პოეტური შემოქმედებით უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთის თვითმპყრობელურ-ბატონყმურ სინამდვილეს, ვიდრე მანამდე. მთელი განსხვავება იყო აქ არა ამ შემოქმედების სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსში, არამედ მის ფორმაში: როგორც პოეტი, პუშკინი უფრო მომწიფდა, უფრო დასრულდა და მისი სიტყვის ძალაც ამის შესაფერისად უფრო გაიზარდა. არსებითად კი პოეტის ეს მომწიფებული სიტყვა ისევე იმ ბატონყმურ-თვითმპყრობელური სინამდვილის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელსაც ებრძოდა პუშკინის პოეტურად უფრო მოუწიფებელი, უფრო ახალგაზრდულა და ამის გამო პოლიტიკურად უფრო ცხარე (თუმცა არა უფრო ძლიერი) ხასიათის მქონე შემოქმედება. გულუბრყვილო მკითხველებს კი ეჩვენებოდათ, რომ თავის პოეტურ შემოქმედებაში პუშკინმა 1825 წლის შემდეგ უღალატა ახალგაზრდობის იდელებს და შეურიგდა თვითმპყრობელურ-ბატონყმურ სინამდვილეს. შეიძლება, ბრძოლით დაღლილ პუშკინს ზოგჯერ მართლაც სურდა შერიგება ამ სინამდვილესთან, მაგრამ, რა წამსაც პუშკინი განიზრახავდა ასეთ შერიგებას, იმ წამსვე სტოვებდა მას პოეზიის მუზა და მხატვრობის ნაწარმოების ნაცვლად დიდებული პოეტის კალშიდან გამოდიოდა მკრთალი სტრიქონები, რომლებიც თვითონვე პოეტს არ მასწავნა. შეიძლება კი ეს იმიტომ, რომ პუშკინის პოეტურ შემოქმედებას ასულ-

დგუმულებდა ბრძოლა მის გარშემო არსებულ უფერულ სივსავთან, და როდესაც ამ ბრძოლის ენერჯია სუსტდებოდა, პარალილორეულ სუსტდება პოეტური შემოქმედების ძალაც, პუშკინის პოეტური ბურუსში ეხვეოდა.

1817 წლიდან მოყოლებული, როდესაც პუშკინმა დაასრულა სასწავლებელი და გამოვიდა დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებდე პუშკინმა დასწერა თხზულებათა მთელი რიგი, რომლებმაც საგანს შეადგენს ბატონყმურ-თვითმპყრობელურ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა. ერთი ასეთი ნაწარმოებია, მავალითად, ლექსი „თავისუფლება“, სადაც შემდეგ სტროქონებს გვითხულობთ:

„Увы, куда ни брону взор,
Везде бичи, везде железа,
Закован гибельный позор,
Неволи немолчные слезы
Везде неправедная власть
В сгущенной мгле предассуждений
Восстала“.

საუკრადოებდა აქ, რომ პუშკინი ხედავს უსამართლო და უკანონო თვითმპყრობელობის გაბედვის მიზნეს „в сгущенной мгле предассуждений“, — ე. ი. ხალხის უმეცრებაში, მის გაუნათლებლობაში, რა გასაკვირია, რომ თავის მიზნად პოეტს ამის შემდეგ ჩაეთვალა ხალხში განათლების შეტანა და უმეცრების „წყველიადის“ გაფანტვა.

„Тыраям мира, трепещите!
А вы мужайтесь и внимайте:
Восстаньте, падшие рабы!“

აი როგორი თამაში სიტყვებით მოუწოდებს პუშკინი ხალხის დამონებულ მასებს აჯანყებისაკენ.

ლექსში „სოფელი“ (1819 წ.) პუშკინი პირველად იღეკს ანდრე რადიშჩევის შემდეგ შეეხო ბატონყმობას, ასწერა მისი საშინელება და ვაკიცხა იგი შოულტეით მწარე სიტყვებით:

„იდგრება ცრემლი, გაღმის კენცს
განგებამ ხალხს რომ მიუჩინა და მიკლუნა;
მავრამ გულციუ და უსამართლო ბატონებს დღესაც
აჲ ემით ხალხისა, შებატონემ დასაკლობა
შრომა, საბუკარი, დრო და ოდღი მიწის მონისა.
სხვის გულის მისაღეს შორახებით წინ გადებულ
ბრბო მანებთა რომ ყანა ხნას—ვაიმდიდრებული
აუღდახურული შებატონისა.
მძიმე უღლის ქვეშ მშრომელები სიკვდილს ხედებთან

იმედს და სწრაფვას გადაეცემა გული საფლავად
 აქ ქალწულები იფურჩქნებიან
 ვარყენილ ვერაგის ეინმოსაკლავად.
 მოხუც მამების ვაფი შვილები
 სახლის იმედით გამოზდილები
 სტოვებენ კერას და მიდიან ახალ წვალეზად
 სასახლის კართან ჩუმ ბონების გასამრავლებლად
 ნეტავ ხმამ შესძლოს გულთ ანთება, ავრიალება...
 რად არის მკერდში უნაყოფო აღმურის დენა
 რად არ მერგუნა მრისხანებით მტუცველი ენა!..”



(თარგ. პ. იაშვილისა).

გადაქარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს ნაწყვეტი პროკლამაციად გამოდგებოდა ბატონყმობის წინააღმდეგ, რომ მას დაბალი ხალხისათვის უფრო გასაგები სტილი ჰქონოდა.

ლექსში „ჩადაევის მიმართ“ (1818 წ.) პუშკინი გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ ხალხი ოდესმე აჯანყდება და დაამსხვრევს თვითმპყრობელობას:

ო, ამხანაგო! გწამდეს: სასურველს
 შეამკობს დილას მზე მოკამყამე,
 დეელი რუსეთი თვალებს გააბელს
 და თვითმპყრობლობის ნანგრევზე მაშინ
 ყველა ჩვენგანის აღბეჭდვენ სახელს.

(თარგმ. გ. ცეცხლაძისა).

პოეტის ეს იმედი ვამართლდა: ხალხმა დაანგრია თვითმპყრობელობა და განთავისუფლებული მასები დღეს მართლაც იგონებენ დიდი ზეიმიით თავის საყვარელ მწერალს, რომელმაც ასი წლის წინათ იწინასწარმეტყველა ხალხის განთავისუფლება თვითმპყრობელობის მონობისაგან.

მთელი რიგი ძალიან მწარე და სამართებელივით ბასრი ეპიგრამებში მითარა პუშკინმა ალექსანდრე მეფისა და მისი მახლობელი თანამშრომლების წინააღმდეგ. ალექსანდრე პირველის მარჯვენა ხელს, ტლანქს დესპოტს არ აკჩეევს, რომელმაც ხალხის ცრემლით აავსო რუსეთის თვალ-უწვდენელი ველები და რომლის წინაშეც კრთოდა დამონებული ქვეყანა, პუშკინმა უწოდა „фрунтовой солдат“ და ეჭვის ქვეშ დააყენა მისი პირადი პატიოსნება. არქიმანდრიტ ფოტიის, რომელიც ალექსანდრე პირველის მეფობის უკანასკნელ წლებში დიდი გავლენით სარგებლობდა რეაქციულ მისტიციზმში ჩაფლულ სასახლის წრეში, პუშკინმა ერთს თავის ეპიგრამაში დაარქვა „ნახევრად ფანატიკოსი და ნახევრად გაიძვერა“, რომელსაც თანასწორად ეხერხებოდა თავისი ბნელი მიზნებისათვის გამოეყენებია „ჯვარიც, ხმალიც და მათრახიც.“ თავადი გოლიციჩი, გრაფი ვორონცოვი, თავადი დონდუკოვი, გორსაკოვი, გრაფი უვაროვი და ბევრი კიდევ სხვა „დიდებუ-

ლ. გვამი“ თვითმპყრობელურ-ბატონყმური რუსეთისა და მოლოტაგის პუშკინს თავისი ლექსით, რომელიც მით უფრო მწარე იყო, რაც უფრო მსებუქად იყო ის დაწერილი.

ერკენულნი
გინგლირთესა

„О чем, прозанк, ты хлопочешь?
Давай мне мысль, какую хочешь:
Ее с конца я заострю,
Летучей рифмой оперю
Вложу на тетиву тугую,
Послушный лук согну в дугу,
А там пошлю наудалую,
И горе нашему врагу“

ასე ახასიათებდა პუშკინი თავის პოეტურ ნიქს („Прозанк и поэт“). და მართლაც, დიდი მებრძოლი იყო პუშკინი და საშინელი იყო მტრებისათვის მისი შვილდისარი.

მტერი კი პოეტს ბევრი ჰყავდა:

„О, сколько лиц бесстыдно бледных
О, сколько лбов широко — медных
Готовы от меня принять
Неизгладимую печать“,—

ამბობდა თვითონ პუშკინი („О, муза пламенной сатиры“).

პუშკინს არ დაუზოგავს ალექსანდრე მეფეც, რომელმაც თავისი დაპირებებით ჯერ ვააღვიძა საზოგადოებაში ლიბერალური იმედები, რათა შემდეგ არაკჩევევის ტლანჭი ქუსლებით გაესროსა ისინი. როგორც პუშკინი სამართლიანად ამბობდა, ის სტვენით დასდევდა მუდამ ალექსანდრე მეფეს („подсвистывал Александру“). ერთ ლექსში („Noël“) პუშკინმა ალექსანდრე მეფეს „მოხეტიალე დესპოტი“ უწოდა, მეორე ლექსში („Воспитанный под барабаном“) პუშკინმა სასაცილოდ აიგდო ალექსანდრეს როლი ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ შექმნილ „სალმრთო კავშირში“, რომელიც მიზნად ისახავდა რევოლუციური მოძრაობის შემუსვრას მთელ ევროპაში. მესამე ლექსში („К бюсту завоевателя“) პუშკინმა ალექსანდრე მეფეს „არლეკინის“ იარლიკი დააკრა. „ვეგენი ონგენის“ მეთათე თავში, რომელიც დაშიფრული იყო მთავრობის შიშით, პუშკინი ასე ახასიათებდა ალექსანდრე მეფეს:

„ხელმწიფე სუსტი, ცბიერი გულით,
შელოტი ფრანტი, მტერი მშრომელის,
შემოხვევით სახელმოპოვებელი,
ღო იმ დროში ჩენი მპყრობელი

ძალიან წყნარი გვახსოვს ჩვენ ისა,
როს არა ჩვენი მზარეულნი
ბღღუნდნენ კარავთან ბონოპარტისა
თრთავა არწივს, თავგასულები“.



ეროვნული
ბიზლირთუქა

(თარგ. გრ. ცაყხლაძისა)

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული თვისი ლექსებით პუშკინმა ძალიან დიდი სამსახური გაუწია დეკაბრისტების რევოლუციურ მოძრაობას. პუშკინის ლექსებს დეკაბრისტები ავრცელებდნენ ხელნაწერების სახით, ვინაიდან მათი დაბეჭდვა იმ დროს არ შეიძლებოდა. პუშკინი პირადად იცნობდა დეკაბრისტული მოძრაობის მეთაურებს (რილეევს, პესტელს, ბესტუევეს და სხვებს), თუმცა თვითონ ვერ შესძლო დეკაბრისტების ფარულ საზოგადოებაში შესვლა, რადგან კონსპირაციული რევოლუციური საზოგადოებისათვის ძალიან სახიფათო იქნებოდა, რომ მის წევრად მყოფებოდა მთვრობის მიერ შემწინეული მწერალი, რომლის თითოეულ ნაბიჯს თვალყურს ადევნებდა ფარული პოლიცია. აღშფოთებული ალექსანდრე პირველი ამბობდა: „პუშკინი ციმბირში უნდა იქნას გაძევებული. მან გაავსო რუსეთი მემამოხე ლექსებით. მთელი ახალგაზრდობა ზეპირად კითხულობს ამ ლექსებს“. 14 დეკემბრის შემდეგაც პუშკინს არ უქცევია ზურგი დეკაბრისტებისათვის; გაიხსენოთ მისი ლექსი „ციმბირში“.

არ არის მართალი, თითქო პუშკინი გაუბოდა საკიობოროტო საკითხებს, რომ ის არ იცნობდა ცხოვრებას და თავის თხზულებებში არ აუხსახავს სინამდვილე. პუშკინს არც უთქვამს ოდესმე, რომ პოეტი უნდა გაუბოდეს ცხოვრების საკითხებს, და არც თავის პოეტურ პრაქტიკაში აუქცევია მას ზურგი სინამდვილისათვის. პირიქით, პუშკინი ყოველთვის იმას ამბობდა, რომ პოეტი უნდა დიდი ყურადღებით აკვირდებოდეს ცხოვრებას, ეცნობოდეს მის მოთხოვნილებებს და თავისი მხატვრული ნიჭით აძლევდეს პასუხს ამ ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხებზე. პუშკინის მშვენიერი შედარებით, პოეტი უნდა იყოს ცხო. სადაც არა თუ ადამიანის კენესა, არამედ მხეცის კმული და მცენარის გაჭირვებაც კი უნდა პოულობდეს თავის გამოძახილს (ლექსი „ეხო“). თავის პოეტურ პრაქტიკაშიც პუშკინი არ გაუბოდა ცხოვრებას და სინამდვილეს. პირიქით, მან პირველად რუსული ლიტერატურის ისტორიაში ჯერ თვითონ ისწავლა და შემდეგ სხვებსაც ასწავლა ცხოვრებასთან მისვლა, მისი დაკვირვებული შესწავლა და მხატვრული ასახვა: პუშკინი იყო პირველი დიდი რეალისტი რუსულს მხატვრულ ლიტერატურაში. არც ცხოვრების მტკივნეულ საკითხებისათვის აუქცევია პუშკინს ზურგი. თუ სალტიკოვმა გოგოლის კვალად ამხილა რუსეთის ყოფაცხოვრება და ის „მამხილებელი ლიტერატურის“ წამომწყებად ითვლება.



არა უსაფუძვლოდ შეგვეძლო ამ მამხილებელი ლექსის სათავე პუშკინის თხზულებებში გვეპოვნა, ვინაიდან, არსებითად რომ თქვას, პუშკინის თხზულებებიც შეიცავდნენ პოეტურ ფორმულას, რომელიც მხილებას, რა არის, თუ არა იმდროინდელი რუსეთის სინამდვილის მხილება, პუშკინის ასეთი ლექსი:

ჩემო დედაცა მქორდავო, კრიტიკოსო ღიპავრდილო,
 მუდამ ჩვენი საწყალ მუშის საკაცხად გამზადილო.
 ამა ერთი აქეთ მოდი, მომიჯექი გვერდით ზარემ
 გამოსკადვ. შევსძლებთ ვინა არ შეგვიპყროს სცდამ შუარემ.
 რა სურათი გვიდგას თვალწინ: ღატაც კიხმახებებს წყება,
 იმით აქეთ შავი მიწა, გაშლილ ველის დატანება,
 ზემოდან კი დასწოლია რებ ღრუბლების შიველი ჯარი.
 აქ სად ზედავ ნათელ ყანებს? ტყე უღრანი აქ სად არი?
 სად ჩხრიაღებს მარდი დედე? ეზოს შიგნით ვივინდარად.
 ორ საწყალ ხეს ღობის ძირას ვხედავ თვალის გასაბარად.
 შოლოდ ორ ხეს ვხედავთ ჩვენ იქ და მათშააც ერთი სრულად
 შემოდგომის ხმარ წვემისგან საკოდავად გამარცხდა.
 მეორესაც ზომ ფურცლები შეტყნარო აქეს და ვვითვლი
 და რომ ტლამო ამოზოროს შოლოდ ქარის მოსვლას ველის
 სულ ეგაა, ეზოს შიგნით ძაღლიც არ სწის აქ ცოცხალი.
 ეს კი შართოა, შამანს ვღვები და მას მოსდევს ორი ქალი.
 ვღვები თავწამეველა არის; ხელით მიიქვს კეზო ზავშეის
 და შორიდან დედლის ზარმაც ბიჭს აჩქარებით გასახხს ის,
 რომ მან მამას დაუძახოს, გააღვო საყდრის კარი.
 ცოთ სადა გავქვს უფრო აღრე დამეზარბა უნდა მკედარი.
 ნოიწანებ? — არ იქნება ეს ამბები დედავდო
 და სიმღერა მზარული ჩვენ შეგვიბზბა და ვივინდარო?
 სად მივიბარ? — მოსკოვს — მურს აქ მოვხედვ გრადის დღეობაზე.
 დიაცად — კარანტინი? — რაღას იტყვი ნეტა მასზე?
 არ იცი, რომ ჩვენს შარემში, მეფობს შავი კიარი დიდი?
 აქ დაჯები და იცად, როგორც ერთ დროს შე ვიცილილი
 აუკასიის პირტეს ბეკსთან, — შე შორილი თქვენი შონა,
 რა მათ ჯან? აღარ ვეციხებ, ვინა სცდამ დაგაღონა?
 (თარგ. ვ.რ. ცეცხლაძისა)

მე-19 საუკუნის რუსეთის არც ერთ მწერალს (თვით ნეკრასოვს და გლებ უსპენსკის) არ მოუტია აქ აღწერილ სურათზე უფრო „ზნელი“ სურათი.

მართალია პუშკინი იძლევა რუსული სინამდვილის მხიარულ სურათებსაც, და ამაში იყო მისი მრავალმხრივობა, მისი უნივერსალობა. მაგრამ პუშკინის ძალიან მხიარული ნაწარმოებებიც რომ ავიღოთ, კარგი დაკვირვების შემდეგ დავინახავთ რომ პოეტს სრულიადაც არ დაუფარებია ხელი რუსეთის ყოფა-ცხოვრების უარყოფით მოვლენებზე. აი, მაგალითად, პუშკინის სახელგანთქმული რომანი „ევეგენი ონეგინი“, რომელიც 10. „მნათობი“. № 1 — 2

საც ცენტრალური ადგილი უჭირავს პოეტის მდიდარს შექმედებაში. პირველი შეხედვით მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქო პუშკინი მხოლოდ მზიარულად იცინოდეს ამ ნაწარმოებზე, ვინაიდან დაკვირდეთ კარგად, ეს რომანი უფრო ელეგიას ჰგავს, ვიდრე პუშკინი დასტირის აქ რუსეთის თვითმპყრობელურ-ბატონყმურ სინამდვილეს და სრულიადაც არ არის აღტაცებული ამ სინამდვილით, რომელმაც ასე უღმობელად დაამსხვრია ორი ახალგაზრდა ადამიანის, ტატიანა ლარინას და ევგენი ონეგინის, ურთიერთი სიყვარული და შესაძლებელი ბედნიერება. როგორი უნდა იყოს საზოგადოება, სადაც სიყვარულს, ბუნებისაგან ადამიანისათვის მონიჭებულ ამ უდიდეს ძალას, აღარ აქვს გასაქანი და საბოლოო ანგარიშში მის ნაზ კვირტებს გაუშლელდ აქვთობს უღმობელო სიცივე? არა, თავისი რომანით პუშკინი, სიყვარულის ეს დიდი მგოსანი, სრულიადაც არ ფიქრობდა ხოტბა შეესხა რუსეთის ბატონყმურ-თვითმპყრობელური სინამდვილისათვის. პირიქით, ის თავის მკითხველს აწვდიდა ამ სინამდვილის ძალიან დაკვირვებულ, ძალიან ღრმა კრიტიკას, რომელიც მომხიბლავ პოეტურ ფორმაში იყო ოღონდ გამოსახული. მხოლოდ იაფი პოპულარობის მაძიებელ კრიტიკოსს თუ შეეძლო დაეწუნებია ეს რომანი, მისი ავტორი კი ცხოვრების უმეცარ ვერსიფიკატორად გამოეცხადებია. „ევგენი ონეგინი“ იყო და დღესაც რჩება რუსული რომანის კლასიკურ ნიმუშად, რომლის ტოლი იშვიათად თუ შეგვეხვდება მსოფლიო ლიტერატურის მრავალსაუკუნოიან ისტორიაში.

ბელინსკიმ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ამ რომანს „რუსული სინამდვილის ენციკლოპედია“ უწოდა. დღეს ბელინსკის ეს სახელწოდება ზოგიერთს არ აკმაყოფილებს. მაგრამ გავითვალისწინოთ ეპოქა, როდესაც იწერებოდა „ევგენი ონეგინი“, და იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ უფრო სრული ენციკლოპედია იმდროინდელ მხატვრულ ლიტერატურას არ შეეძლო მოეცა. ამ რომანში მოთავსებულია მანამდე არსებული მთელი რუსული ლიტერატურის გამოცდილება, კანტემირი და ნიკიტინი დაწვებული და გრიბოედოვით გათავებული. მართალია, ჩვენთვის სასიამოვნო იქნებოდა, რომ თავის რომანში პუშკინი უფრო ვრცლად შეხებოდა გლეხების დაბეჩავებულ ყოფას. მარტოოდენ რად იშხევის „მოგზაურობის“ მოტივებზე პუშკინის დროს რომანი ვერ დაიწერებოდა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ პუშკინს, თუმცა მას ვრცლად არ აუწყურია გლეხების ყოფა, სრულიადაც არ დაეწეებია თავის რომანში ბატონყმობის მძიმე უღელი, რომელიც ედგათ გლეხებს კისერზე. აი, მაგალითად, ერთი ადგილი ამ რომანიდან:

ბაღში ნოახლე დედაკაცები
 შწიფე ხილს კრეფდენ ვაფაციცხებით,
 და იმღეროდენ ბრძანების გამო.
 (ბრძანება არის გამოგონილი
 მისთვის, რომ ჩემად ბატონის ხილი
 პოროტმა პირმა აღარ შევკამოს;
 სიმღერით იყოს ის დაქვრილი,
 ანაღია მეტად ჭკუამახვილი)
 („ვეგ. ონეგინი“ თავი III 39 სტრ.



თარგ. გრ. ცეცხლაძისა).

მოკლვა ეს ადგილი: სულ რაღაც რვა პწკარია. მაგრამ ამ რვა პწკარში ამოიკითხება მთელი უბედურება დამონებული გლეხებისა, რომლებსაც არა თუ არ ჰქონდათ უფლება ესარგებლნათ საკუთარი შრომის ნაყოფით, არამედ ზევიდან ნაბრძანები ჰქონდათ, ბატონისათვის მუშაობის დროს ემღერათ („ბრძანების გამო“). ყველაფერი შეიძლება აიტანოს კაცმა, მაგრამ ბრძანებით მღერაზე უფრო ძნელი რამ ჰქმნარიტი ადამიანისათვის არაფერია. რუსეთის მრავალმილიონიან გლეხობას კი, თვითმპყრობელურ-ბატონყმურ სისტემის უღელ ქვეშ მოკრუნჩხულს, ნაბრძანები ჰქონდა კენესის ნაცვლად ემღერა. და ის, მართლაც, მღეროდა ძალაუნებურად: ადიდებდა შეფეს და ლოცულობდა მის სადღეგრძელოდ ეკლესიებში, და აი ამ ძალაუნებურ, ამ „ნაბრძანებ სიმღერას“ აკომპანიმენტს აძლევდა იმ დიდი ბორკლის ელარუნი, რომელიც დადებული ჰქონდა ხალხის მასას. პუშკინი რამდენიმე პწკარით, რომელიც ზევით მოვიყვანეთ, ამ ჩაგერის უბედლო სურათს იძლევა.

რომ ამ რვა პწკარის მეტი არაფერი დაეწერა პუშკინს გლეხების სასარგებლოდ, ის მაინც შევიდოდა ხალხის განთავისუფლებისათვის სახელოვან მებრძოლთა სიაში, ვინაიდან გერცენის „ჭურდი კაჭკაჭი“, გრიგოროვიჩის „სოფელი“, ტურგენევის „ბურმისტრი“, ნეკრასოვის მრავალი ლექსი და სალტიკოვის „პოშეხონიე“, არსებითად რომ ითქვას, იმ მოტივზე არიან აშენებული, რომელიც სარჩულად უღვეს პუშკინის ზემოყვანილ რვა პწკარს.

მაგრამ პუშკინი მეტს იძლევა თავის რომანში „ვეგენი ონეგინი“. ამ რომანის ყოველ პწკარში მკითხველი გრძნობს, რომ მთელი ის ყოფა, რომელიც აღწერილია რომანში, დამყარებული იყო გლეხების მუქთა შრომაზე, რომ ყველა ეს ონეგინები, ლარინები და რომანში გამოყვანილი სხვა პირობი შესაძლებელი იყვნენ მხოლოდ ბატონყმობის პირობებში. მათი ცხოვრების უნუგეშო სურათის წარმოდგენით პოეტმა ობიექტურად დაჰგმო ბატონყმობის სისტემა, და ძალიან კარგად მოიქცა ამიტომ დობროლუბოვი, როდესაც მან ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულს თავის წერილში „რა არის ობლომოვობა“ უხვად ისარგებლა პუშკინის რომანში მოცემული მასალით.

პუშკინის „ვევენი ონეგინი“ გზა გაუკაფა გეგმის მიხედვით. „ვენ არის დამნაშავე“, გონჯაროვის რომანს და რუსეთის მრავალი სხვა მწერლის ნაწარმოებს. თუ „ვევენი ონეგინი“ წარმოადგენდა რუსული ლიტერატურის უწინდელი განვითარების მოკლე რეზიუმეს, თავის მხრივ ის გადაიქცა რუსულ ლიტერატურის მერმინდელი ევოლუციის გამოსავალ წერტილად, რადგან იქ მხატვრული კალმის საშვალეებით გაკრიტიკებული იყო ბატონყმური რუსეთი — მისი აღზრდის სისტემა, მისი ხნე-ჩვეულება, მისი ყოფა-ცხოვრება. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ „ვევენი ონეგინი“ არის მთელი რუსული ლიტერატურის ცენტრალური ფოკუსი, სადაც თავმოყრილია ამ ლიტერატურის ყველა თვალსაჩინო მოვლენის მთავარი ძაფები და მოცემულია in nuce მთელი რუსული ლიტერატურა. თუ ამ ლიტერატურის ძირითად ნიშანს ყოველთვის შეადგენდა კრიტიციზმი, ბრძოლა ადამიანის განთავისუფლებასათვის მის დამჩაგრულ და დამამონაგებელი ტრადიციის წინააღმდეგ, რომანით „ვევენი ონეგინი“ პუშკინიც ებრძოდა თავის მდევნელსა და დამჩაგრულს თვითმპყრობელ-ბატონყმურ სინამდვილეს და იცავდა თავს მისი შემოტყვევასგან პოეტური შემოქმედების საშვალეებით.

Mutatis mutandis იგივე შეიძლება ითქვას პუშკინის ყველა სხვა თვალსაჩინო ნაწარმოების შესახებ: აქ არ არის საჭირო იმის ვრცელი დასაბუთება, რომ პუშკინის ისეთ ნაწარმოებებს, როგორც არის „გორუხინოს ისტორია“, „მეკუბოვე“, ან „სადგურის ზედამხედველი“, რევოლუციური ხასიათი ჰქონდათ: „მეკუბოვედან“ გამოდის გოგოლის სატირა, რაც შეეხება „გორუხინოს ისტორიას“, სადაც მოცემულია იმდროინდელი გლეხური რუსეთის ძალიან მძიმე სურათი, მისი რევოლუციური ხასიათი შტაკიდება უკვე იმით, რომ პუშკინს არ დაუმთავრებია ეს ნაწარმოები, რადგან იცოდა, რომ მისი დაბეჭდვის ნებაართვას ნიკოლოზ მეფის ცენზურისაგან იგი ვერ მიიღებდა. მიუხედავად ამისა, „გორუხინოს ისტორიის“ დაწერილი ნაწილიდანაც მშვენივრად სჩანს, თუ რა კარგად ესმოდა პუშკინს ბატონყმობით დამონებული გლეხობის მდგომარეობა და რამდენად ღრმა იყო მისი თანაგრძნობა და სიყვარული ამ გლეხობის მიმართ.

უფრო დაფარულია და ამიტომ უფრო ძნელი დასაძინაზავი გარედან პუშკინის ისეთი ნაწარმოების მებრძოლი ხასიათი, როგორც არის, შავალითად, ტრაგედია „ბორის გოდუნოვი“, ან პოემა „ბრინჯაოს მხედარი“. პირველი მხედრით, ამ თხზულებებში პუშკინი გვევლინება რუსეთის თვითმპყრობელობის ტრუბადურად. მაგრამ საკმარისია მცირეოდენი ანალიზი, რათა დავინახოთ, რომ ამ ნაწერებსაც ჰქონდათ ადამიანის განთავისუფლებელი ხასიათი, ისინიც ებრძოდნენ რუსეთის თვითმპყრობელობას, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ავტორს ასეთი განზრახვა.

„ბორის გოდუნოვი“ აწინებულა იმ აზრზე, რომ მთავარი ძალა სახელმწიფოში არის ხალხის მასა; და უკვე ამით უარყოფდა მეფეების აბსოლუტუზმი. იგივე უარყოფა პოლიტიკის აბსოლუტობისა, და, მაშასადამე, რუსეთის რეალური თვითმპყრობელობისა, თვითმპყრობელობა უარყოფდა, რომ მას სჭირია რაიმე რაციონალური საბუთი და თავისი თავი რელიგიის სანქციით მიიჩნდა გამართლებულად) მოცემულია პუშკინის პოემაში „ბრინჯაოს მხედარი“: ამდენად, ეს პოემაც შეფასებული უნდა იქნას როგორც რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ობიექტურად მიმართული ნაწარმოები. მართალია, თავის პოემაში პუშკინი დიფირამბებს უგალობს იმპერატორს პეტრე პირველს, რომელსაც პუშკინი საზოგადოდ რუსეთის სხვა მეფეებისაგან არჩევდა და ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენიებდა. მაგრამ პუშკინი აქებს აქ პეტრეს არა იმისათვის, რომ ის იყო თვითმპყრობელი მეფე, არამედ იმისათვის, რომ მას ესმოდა რუსი ხალხის ისტორიული მოთხოვნილება და შემოაქონდა რუსეთში ევროპული განათლება, რომელიც ამ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა და რუსის ხალხს მსოფლიო ცივილიზაციის ფართო გზაზე გამოიყვანდა. პეტრე არ ამბობდა ლუი მეოთხემეტის მსგავსად „l'état c'est moi“, არამედ ამბობდა — „მოკვდეს პეტრე, ოღონდ კი იცოცხლოს რუსეთმა“. — აი რა მოსწონს პეტრე პირველში პუშკინს. ეს არა თუ არ იყო რუსეთის რეალური თვითმპყრობელობის განდიდება, არამედ მისი მძაფრი კრიტიკა იყო. თუ თვითმპყრობელი მეფე მხოლოდ მაშინ ყოფილა კარგი, როდესაც ის განათლებასა და კულტურას ემსახურება, რაღა უნდა ეთქვას მაშინ ნიკოლოზ პირველის შესახებ, რომელმაც თავის მთავარ ამოცანად განათლების ჩაქრობა დაი-სახა? პეტრე ძალით გზავნიდა სახელმწიფო ხარჯზე თავის ახალგაზრდა ქვეშევრდომებს დასავლეთ ევროპაში სწავლის მისაღებად, ნიკოლოზ პირველმა კი აუკრძალა პუშკინს თავისი ხარჯით გამგზავრებულ იყო ევროპაში. პეტრე აძალებდა ქვეშევრდომებს ეწერათ წიგნები და ზოგჯერ თვითონ აკეთებდა ამ წიგნების კორექტურას; ნიკოლოზ პირველი კი დაწერილ წიგნების დაბეჭდვის ნებაართვასაც არ იძლეოდა.

როგორც ვხედავთ, თავის პოემაში „ბრინჯაოს მხედარი“ პუშკინი რეალურ თვითმპყრობელობას კი არ ადიდებს, არამედ კულტურას, განათლებას და ამ განათლების მოსამსახურე პეტრე პირველს. რამდენადაც პეტრეს არ ჰგავდა ნიკოლოზ პირველი, იმდენად შეიძლება ითქვას, რომ „ბრინჯაოს მხედარი“ (თუ სუბიექტურად არა, ობიექტურად მაინც) ნიკოლოზ მეფის წინააღმდეგ იყო მიმართული. თავის პოემით პუშკინი აკეთებდა მისთვის ჩვეულებრივ საქმეს: ებრძოდა პოეტურად რუსეთის თვითმპყრობელურ სინამდვილეს, რომელიც ასე დაუნდობლად სდევნიდა მას. თვითმპყრობელობა, ისე როგორც ყოველი პოლიტიკური სის-

ტემა, კარგია მხოლოდ განათლებისა და კულტურის პირველ ქვეშ, და როდესაც პოლიტიკური ძალა ლაღობს განათლებას მაშინ მის ევარგება არსებობის უფლება. — აი აზრი, რომელიც ჩადებულია „ბრინჯაოს მხედარში“. თუ რამდენად საჭირო იყო ამ აზრის ქაღალდზე წიგნის პირველის რუსეთში. — ეს ყველასათვის ცხადია.

პოემაში დაგმობილია რუსეთის თავად-აზნაურობის ნაბოლარა, ინტელიგენტი ევგენი. მაგრამ დაგმობილია არა იმისათვის, რომ ის ინტელიგენტი იყო, არამედ იმისათვის, რომ მას აკლდა ინტელიგენტობა, რომ მან პირადი ვაჭიროებისაგან დაპყრობა კეუა და შეუტია კულტურისა და განათლების მესვეურს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ევგენი პუშკინისათვის დეკაბრისტული მოძრაობის სიმბოლო იყო. მაგრამ, ასედაც რომ იყოს, პუშკინს მაინც არ უღალატნია თავისუფლებისა და განათლების სასარგებლოდ წარმოებული ბრძოლის დროშისათვის, ვინაიდან დეკაბრისტულმა მოძრაობამ მხოლოდ გააძლიერა ცარიზმის დესპოტიზმი, როგორც ეს გარკვეული იყო ყველასათვის 1833 წელს, როდესაც დაიწერა სწორედ „ბრინჯაოს მხედარი“. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მოუწიფებელი და უვარგისი გამოხვლის დაგმობა სრულიადაც არ ნიშნავდა რეალური თვითმპყრობელობის იდეალიზაციას და მის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროების აბსოლუტურ უარყოფას.

პოემა „ბრინჯაოს მხედარი“ არის ლოგიკური ნაწილი იმ ერთი მთლიანობისა, რომლის პირველ ნაწილს შეადგენს პუშკინის ლექსი „სტანსები“ (1826 წ.). ამ ლექსში პოეტი მიმართავდა ნიკოლოზ პირველს, რომელიც ის-ის იყო ავიდა სამეფო ტახტზე, და აძლევდა რჩევას, რომ ის ყველაფერში დამსგავსებოდა პეტრე პირველს, რომელიც „სთვისავედა განათლებას“, „მეცნიერების საშვალეებით აუმჯობესებდა ზნე-ჩვეულებას“. პატივს სცემდა სამშობლო ქვეყანას, იყო სიმართლის სულგრძელი მოსამსახურე და თავის პირად მტრებს აღარ სდევნიდა. მაგრამ ნიკოლოზ პირველის რვა წლის მეფობამ დაუმტკიცა პოეტს, თუ როგორ ტყუილდებოდა იგი, როდესაც ასეთ კეთილშობილ იმედებს ნიკოლოზ პირველზე ამყარებდა. და პოეტი სწერს „ბრინჯაოს მხედარს“, სადაც პეტრე პირველისათვის ხოტბის შესხმით ხაზი გაუსვა ნიკოლოზ პირველის ტლანქსა და უკულტურო დესპოტიზმს. როგორც ლექსი „სტანსები“, ისე პოემა „ბრინჯაოს მხედარი“ წარმოადგენენ თავისუფლებისა და განათლებისთვის მიძღვნილ პიშნებს, და დიდი სიბეცე იქნებოდა ამ ნაწარმოებებში რეალური თვითმპყრობელობის აპოლოგია დაგვეჩაზა. — აი იმ თვითმპყრობელობის, რომელიც ნიკოლოზ პირველის სახით სდევნიდა პოეტს და უმწარებდა მას სიცოცხლეს. პუშკინის დროის პოლიტიკოსები ამაში კარგად ვერ ერკვეოდნენ და რენეგატობასაც კი აბრალებდნენ დიდებულ მწერალს. მაგრამ სცდებოდნენ, რადგან ვერ ამჩნევდნენ, რომ თავის მხატვრულ თხზულებებში პუშკინი თავის დროის თვითმპყრობელურ სი-

ნამდვილეს უდგებოდა პოეტის უფრო ფართო და უფრო მათალი პოეტიკიდან.

თქმა იმისა, რომ პუშკინს მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში არასოდეს არ გადაეხეოს თავისუფლების პრინციპს, რომ მის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში არ მოხერხებულა ერთი ისეთი პანგი, რომელიც ჩვენს დროს არ შეეფერება — უპიკელო გადაჭრება იქნებოდა.

თავის შეცდომები ჰქონდა აქა-იქ დიდ პუშკინსაც. ასეთი შეცდომა იყო, მაგალითად, ლექსი „რუსეთის ცილისმწამებელთ“, რომელიც უცხოეთის პრესის მიერ გამოწვეული ვალიზიანების მომენტში დაიწერა (1831 წ.). ასეთივე შეცდომა იყო დაშვებული პოემებში „კავკასიის ტყვე“, რომელიც დეკაბრისტ ბესტუევეს და რილევეს მოსწონდათ (1821 წ.) და „პოლტავა“, რომელსაც რილევეის პოლიტიკური იდეების გავლენა ეტყობა. მაგრამ საჭირო არ არის, ეს შეცდომები აქ დაწვრილებით განვიხილოთ. საკმარისია აღინიშნოს მხოლოდ, რომ ყოველთვის, როდესაც პუშკინი გადაუხვევდა თავის შემოქმედების მთავარ მაგისტრალს, თავისუფლებისათვის ბრძოლას, მაშინვე სტოვებდა მწერალს მისი მუშა, და მაღალი, უაღრესად პუმანური და სრულიად დამაჯერებელი პოეზიის ნაცვლად მისი კალამი იძლეოდა უფრო მკორე ღირსების ნაწერებს, რომლების რიცხვი პუშკინის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, საბედნიეროდ, ძალიან ცოტაა და რომლების შესახებ მხოლოდ იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ შეურაცხყოფა არ მიეყენოს პოეტის ისტორიულ ხსოვნას ქვეშაობების განზრახული დამალვით. ამას უნდა დაემატოს, რომ თითონ პუშკინსაც, რომელიც ძალიან სასტიკი კრიტიკოსი იყო თავისი შემოქმედებისა, ხშირად არ აკმაყოფილებდა ის ნაწერები, სადაც მან თავისუფლების პრინციპს გადაუხვია: პუშკინმა დაიწუნა, მაგალითად, თავისი „კავკასიის ტყვე“, მანვე დაიწუნა „პოლტავაში“ მოცემული საბე უკრაინის გეტმანის მაზეპასი, როგორც ცალმხრივი და ტენდენტური: „რა საძაგელი სახეა! არც ერთი კეთილი გრძნობა, არც ერთი სანუგეშო ნიშანი!“ — ამბობდა პუშკინი თავისი გვირის შესახებ...

ზევით შევეცადეთ გავვერკვია პუშკინის ტრაგედიის დასაწყისი და ამ ტრაგედიის მსვლელობის მთავარი მომენტები. პუშკინის ტრაგედიის დასაწყისად ჩვენ მივიჩნით ის გარემოება, რომ პუშკინი იყო პიროვნება, რომელიც თავის საზოგადოებრივი წრის ადამიანებს არ ჰგავდა და ამიტომ დევნილი იყო ამ წრის მიერ. რაც შეეხება პუშკინის ტრაგედიის მსვლელობას, იგი ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც პოეტის თავდაცვა თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული საზოგადოებრივი წრის დევნისაგან მხატვრული შემოქმედების საშვალებით. დაგვრჩა ეხლა გამოსარკვევად, რით დასრულდა ეს შებმა იმ საზოგადოებასა და პოეტს შორის.

უნდა ითქვას, რომ ეს შებმა რაღაც თავისებური ლექსითაა. ერთ მხარეს იდგა უზარმაზარი, უძრავი თვითმპყრობელური პოეტის რუსეთი, გაქიმული თვალუწვედნელ სივრცეზე — „ფინეთიდან კოლონიადმდე“. ხოლო მეორე მხარეს — პატარა, მინიატურული, ცენტრალურად სუსტი პუშკინი. ერთს ეჭირა ხელში ვებერთელა მანვილი, რომლის მოქნევას შეეძლო ევროპის უდიდესი სახელმწიფოს განადგურება, ხოლო მეორეს — პატარა კალამი, ერთი თავის მოპირდაპირეს უტევდა უხეში მუშტით, ევრონცოვებისა და ბენკენდორფების ტლანჭი ადმინისტრატული განკარგულებებით, ხოლო მეორე იცავდა თავს უუნაზესი პოეზიით. ერთი აეიწროებდა მეორეს დევნით, უხეში კბენით; ხოლო მეორე ამ კბენით მიყენებულ ჭრილობას სწამლობდა იმით, რომ მას ლექსად, პოეტურ სიტყვად აქცევდა.

„ქუქხს ჩანგია აღარ ისვენებს,
მას მხოლოდ მღერა სწადისა.
იშლება, მღერაში დნება
ბუდე ყველა სხვა დარდისა“, —

ამბობდა საქართველოს დიდი მგოსანი ვაჟა ფშაველა. იგივე შეეძლო ეთქვა თავის თავზე რუსეთის დიდ პოეტს ალექსანდრე პუშკინს.

როდესაც კითხულობთ პუშკინის ლირიკულ ლექსებს, რომლებიც ასეთი სიწრფელითა და გამჭვირვალობით გადმოგვცემენ პუშკინის სულიერ დრამას, არ შეგიძლიათ არ მიაქციოთ ყურადღება, თუ რა მწვავედ გრძნობდა პოეტი ანტაგონიზმს მის გარეშე არსებულ თვითმპყრობელური იეროკრატიულ საზოგადოებრივ წრესთან.

„Злобно мной играет счастье:
Давно без крова я ношусь,
Куда полует самовластье:
Уснув, не знаю, где проснусь.
Всегда гоним, теперь в изгнании
Влачу закованные дни“, —

სწერს პუშკინი სოფელ მიხაილოვსკოედან თავის ნაცნობ პოეტს იაზიკოვს (1824 წ.).

„Настоящее уныло“, —

სწერს ის ლექსში „Если жизнь тебя обманет“ (1825 წ.).

„Мой путь уныл. Сулит мне труд и горе
Грядущего волнуемое море“, —

იმეორებს პოეტი ლექსში „ელეგია“ (1830 წ.)

„Под бурями судьбы жестокой
Увял цветущий мой венец,
Живу печальный, одинокий
И жду, придет ли мой конец“

სწერს პუშკინი ლექსში „Я пережил свои желанья“ (1821 წ.).

„Дар напрасный, дар случайный,
Жизнь, зачем ты мне дана?“ —



ერკინული

ამბობს თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისული პოეტმა „УЗНИК“ ასეთი სიტყვები შეეძლო დაეწერა მხოლოდ ისეთ კაცს, რომელიც ვერ ხედავდა თავის გარშემო სიყვარულსა და თანაგრძნობას.

„Ни единый друг мне в мире не внимал“ („К Овидию“), „Никто не понимает меня“ (პუშკინის წერილი ძმისადმი), „Грех гонителям моим“ (პუშკინის წერილი პოეტ ვიაზეშკისადმი), „До моей пустыни не доходит ни один дружеский голос“ (პუშკინის წერილი ჟურნალისტს გრეხს), „Меня в моем отечестве принимают хуже, чем первого пришлого пошляка из англичан“, „Мне вообще не совсем ясно, что такое мои друзья“ — ასეთი სიტყვები ხშირად გვხვდება პუშკინის ლირიკულ ლექსებში და მის კერძო წერილებში, პოეტი ისე გრძნობდა თავს თვითმპყრობელურ რუსეთში, თითქოს ის ციხეში ყოფილიყო დამწყვდეული.

„Сижу за решеткой, в темнице сырой“, — ამბობს პოეტი ლექსში „Узник“ (1822 წ.). „Чорт догадал меня родиться в России с душою и талантом. Весело нечего сказать“, — მსგავსი სიტყვები არა ერთხელ წამოცდენია დევნილ პოეტს.

ბევრჯერ განუზრახავს მწერალს მოშორებოდა თავის წრეს და გაქცეულიყო სადმე. ლექსში „Пора, мой друг, пора“ (1836 წ.) პუშკინი სწერს:

„На свете счастья нет, но есть, покой и воля.
Давно завидная мечтается мне доля,
Давно, усталый раб, замыслил я побег
В обитель дальнюю трудов и чистых нег“.

ასეთივე აზრია გამოთქმული ლექსში „Узник“.

რამდენჯერმე გააპირა პუშკინმა საზღვარ გარეთ წასვლა, მაგრამ მთავრობამ ამის ნებართვა არ მისცა. ერთხელ პუშკინი მზად იყო არალეგალურად გასულიყო ევროპაში, მაგრამ რუსული ლიტერატურისათვის საბედნიეროდ, მან ვერ მოახერხა თავის განზრახვის შესრულება. ვინც გაითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ პუშკინს ძალიან უყვარდა თავისი ქვეყანა, მისი ბუნება, მისი მდაბიო ხალხი, რომლის შეპირსიტყვაობას აღტაცებაში მოჰყავდა პოეტი, მისთვის ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ რამდენად გამწარებული უნდა ყოფილიყო მწერალი, რომ მოისურვა სამშობლო ქვეყნიდან გაქცევა.

ზოგჯერ პუშკინს ეშინოდა არ შეშლილიყო ამდენი შევიწროებისაგან (ლექსი „Не дай мне Бог сойти с ума“), ან არ დაეკარგა მუდ-

მევ დევნის ატმოსფეროში სულის ის სინაზე და სითბო, რომელიც აუცილებელ პირობას შეადგენს ყოველი გონებრივი მუსიკისათვის, განსაკუთრებით კი პოეტური შემოქმედებისათვის. *„გვერდულ-წინაში“* (თ. ხ., სტრ. 46) ვხვდებით ასეთ სტრიქონებს:

გ ი გ ლ ი მ ი თ ე ა

„შენ კი, ო, ნორჩო ზეშთავონება,
ააღლევარე ჩემი გონება,
გულს გადაყარე თვლემა და ბინდი,
შენ ჩემ კუთხეში ხშირად მოფრინდი,
რომ არ გაციედეს პოეტის სული,
რომ არ გამქსიდეს, რომ არ გაავდეს
და ბოლოს იგი რომ არ ვაქვავდეს
დამღუპველი წრით გარემოცული,
წუმპეში, სადაც დღეცა და ღამეც,
ო, შეგობრებო, ვეყუშებალომ მეც“.

(თარგ. გ. რ. ც ე ე ხ ე ლ ა ძ ი ს ა).

რუსეთის მაღალი საზოგადოება, როგორც ვხვდებით, პუშკინისათვის იყო „წუმპე“, რომელიც მის პოეტურ ნიჭს დაღუპვით ემუქრებოდა. აქედან გასაგებია ისიც, რომ პუშკინს ზოგჯერ იპყრობდა ეჭვი თავისი პოეტური მომავლის შესახებ:

„Уны, среди толпы затерянный певец
Безвестен буду я для новых поколений;
И, жертва темная, умрет мой слабый гений
С печальной жизнью, с минутной молвой“.

(-К Овидию“).

რომ ასეთი ეჭვი განსაკუთრებით აუტანელი იქნებოდა პუშკინისათვის ეს ცხადია ყველასათვის, ვინც იცის, რომ თავისი თავის უღრმეს არსებად პუშკინს პოეტური შემოქმედება მიაჩნდა და საკუთარ „მე“-ს იგი ჩანგში ათავსებდა.

საზოგადოებრივი წრის დევნით შევიწროებულ, მშობლების სიყვარულს მოკლებულ, ცხოვრების კიდილით აფორიაქებულ პუშკინს სრულიად ბუნებრივად უნდა გასჩენოდა აზრი — მოაკიდებოდა საკუთარ ოჯახს. მართლაც, 1828 წლიდან პუშკინი ფიქრობს ცოლის შერთვაზე და ეძებს შესაფერ მეგობარს. ბოლოს მისი არჩევანი მოხვდა ნატალია გონჩაროვას, რომელიც პუშკინმა 1831 წელს შეირთო. სამწუხაროდ, ოჯახის მოკიდებამ არა თუ არ მისცა პოეტს სულის სიმშვიდე, არამედ კიდევ უფრო გაართულა და გაამწვავა მისი მდგომარეობა საზოგადოებაში. თუ უწინ პოეტი დამბალ საზოგადოებას ებრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის, ეხლა იგი იძულებული გახდა ებრძოლა თავისი თავისათვისაც და თავისი უტაქტო ცოლისათვისაც. ცოლი პუშკინისათვის გადაიქცა ახალ მტკივნეულ ადგილად, რომელსაც პოეტის მტრებმა ისრები დაუ-

მიზნებს, რათა ახალი უსიამოვნება მიეყენებინათ მწერლობისათვის. რომ **ნატალია გონჩაროვა** თავისი შესაფერი ქმარი ჰყოლოდა რომელიმე ოფიცერი ან ჩინოვნიკი და არა პუშკინი — შეიძლება ამ ქალის ცეცხლი და გული საკმარისი ყოფილიყო იმისათვის, რომ ის იღუპებოდა ცხენად გამხდარიყო. მაგრამ ისეთი კაცის ცოლს, როგორც ბუნებრივად გარემორტყმული პუშკინი, უეჭველად გონების მეტი განვითარება და გულის მეტი ძალა სჭიროდა. ამრიგად ნატალია გონჩაროვა პუშკინის ნამძალადვე სიკვდილის საბაბად გადაიქცა, თუმცა ნამდვილი მიზეზი ამ სიკვდილისათვის იყო თვითმპყრობელობა და ნიკოლოზ პირველი.

1833 წლის 30 დეკემბერს ნიკოლოზ მეფემ პუშკინი თავისი სასახლის კამერ-იუნკრად დანიშნა, ორი მიზანი ჰქონდა მეფის ამ ვერაგულ აქტს: ჯერ ერთი, მეფეს სურდა დაემკირებია პოეტი (რომელიც სძულდა), ვინაიდან კამერ-იუნკერის წოდებას ატარებდნენ ახალგაზრდა ყმაწვილები. პუშკინი კი ამ დროს 34 წლის კაცი იყო და ეს წოდება არ შეეფერებოდა მის პასაჟს, მეორე მხრით, ნიკოლოზს სურდა გაეადვილებია თავისი თავისთვის შეზღვევის შესაძლებლობა პოეტის ცოლთან, ნეტალია გონჩაროვასთან, რომელმაც თავისი სილამაზით ნიკოლოზის ყურადღება მიიქცია ჯერ კიდევ 1826 წელს, როდესაც ნიკოლოზი მოსკოვში იყო კორონაციის ცერემონიის ჩასატარებლად. ამრიგად პუშკინი, სრულიად მოულოდნელად, ნიკოლოზ პირველის კარისკაცად იქცა და რუსეთის არისტოკრატის უმაღლეს წრეში მოხვდა და აი აქედან დაიწყო სწორედ პოეტისათვის უკანასკნელი ავონია. წარმოიდგინეთ ირემი, მონადირის მიერ დაგეშილი ძაღლების წრეში — ამაზე უფრო მძიმე იყო პუშკინის მდგომარეობა სასახლის არისტოკრატებს შორის. ძაღლები იყენენ პუშკინისათვის „ბრწყინვალე“ კარისკაცები, ხოლო მონადირის როლს თვითონ მეფე ასრულებდა. პუშკინს კბენდნენ ყოველი მხრიდან, და ზოგჯერ პოეტმა არ იცოდა, საიდან შემოუტყვედნენ მას, რათა იქითკენ ებრუნებია პირი თავის დასაცავად.

რა იარაღით ებრძოდა მერე პუშკინს ეს „ბრწყინვალე“ ხროვა? ყველაზე უფრო საზიზღარი იარაღით — დაცინვით, ჭორებით, ფარული ინტრიგებით. ყველაზე საზიზღარი ასეთი იარაღი იმიტომ არის, რომ პატიოსან კაცს საშუალება არა აქვს დაიცვას თავი მის წინააღმდეგ. პუშკინის ყოველ ნაბიჯს, ყოველ სიტყვას, ყოველ შენიშვნას გულმოდგინედ აღევნებდნენ თვალყურს და შემდეგ გესლიანად სისინებდნენ თავის წრეში მწერლის შესახებ.

პუშკინს დასცინოდნენ, რომ ის არ იყო მდიდარი, რომ მას არ ჰქონდა დიდი თანამდებობა, რომ ქალარა-შერეულ მწერალს კამერ-იუნკრის მუნდირი უნდა ეტარებია, რომ ის ლექსებს „ჯღაბნიდა“. პუშკინის შესახებ ავრცელებდნენ ჭორებს, რომ ის ქარაფშუტა და უჭკუოა, რომ ის ავია, რომ მან არ იცის წესიერ საზოგადოებაში თავის დაჭერა, რომ ცოლს სძულს პოეტი და ღალატობს თავის უღირს ქმარს, როდესაც პუშკინის

კოლასა და ავანტიურისტ დანტესის ურთიერთი დამოკიდებულება განხილულა, პუშკინს ყოველდღე მისდიოდა გესლიანი ასობით ბრათები, სადაც მას ლანძღავდნენ და აბრალებდნენ სიმბდალეს ერთი ინგლისელი დიპლომატი, რომელიც იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა: „პოეტს დაეინებით სდევნიან მაღალ საზოგადოებაში, ცდილობენ აიძულონ იგი დუელზე, სურთ მიიყვანონ უკიდურესობამდე და ხელოვნურად გამოიწვიონ მისი სიკვდილი“. და მართლაც, ამ „სულმდაბალი ინტრიგანების, ჯორიკანების, ხარბი არამზადების“ ხროვამ (ასე ეძახდა პუშკინი მეფის კარისკაცებს) მიაღწია თავის მიზანს და ძალიან ადვილად მოახერხა მიეყვანა პოეტი სამარის კარამდე. 1837 წლის 27 იანვარს მოხდა პუშკინის დუელი დანტესთან. რომლის მოხერხებული ხელით მეფემ და მისმა კარისკაცებმა მოკლეს პუშკინი. ასე დასრულდა პუშკინის ტრაგედია...

ჩვენ არ გვაფიწყებდა, რომ თავისი სოციალური წრის გარეშე პუშკინი ვერ გადაიქცეოდა დიდ პოეტად, ვინაიდან ამ სოციალურმა წრემ მისცა მას მასალა პოეზიისათვის. მაგრამ პუშკინი დიდ პოეტად იქცა მხოლოდ იმის გამო, რომ მან უარყო და პოეტურად მოხსნა თავისი სოციალური წრე, რათა მიხსნილი სახით შეენარჩუნებია იგი თავის ქმნილებებში. პუშკინი გაცდა თავისი სოციალური წრის ფარგლებს, ამაღლდა ამ სოციალურ წრეზე, გაარღვია მისი კედლები, რათა გადაქცეულიყო საკაცობრიო კულტურის გმირად, რომლის სახე ერთნაირად საყვარელი უნდა იყოს როგორც რუსისთვის, ისე ინგლისელისთვის, ფრანგისთვის და ქართველისთვის. პუშკინი არის ინტერნაციონალური სოლიდარობის და სიყვარულის ძლიერი ფაქტორი.

სწორედ ამიტომაც, რომ დღეს, პუშკინის დაღუპვის ასი წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი ხალხი ზეიმით იგონებს პუშკინის ცხოვრებას და შემოქმედებას. მრავალი წელი გაივლის კიდევ, მაგრამ მარადიულობის სხივით გაბრწყინებული სახე პოეტისა მაინც არ მიეცება დავიწყებას. გამართლდა პუშკინის სიტყვები:

„Нет, весь я не умру — душа в заветной лире
Мой прах переживет и ташья убежит“.

ის, რასაც პუშკინი ამ ლექსში „სული“-ს სახელს უწოდებს, არის ის, რასაც ჩვენ დღეს პოეტის პიროვნებას ვუწოდებთ. დიდი პუმანისტის პუშკინის პოეტურმა პიროვნებამ თვითმპყრობელურ სინამდვილესთან შროძოლაში შესძლო დაეცვა თავისი თავი და შეენარჩუნებია იგი მომავალ თაობათათვის.



პუშკინი და პოეტი მიხეილ თუმანიშვილი

მიხეილ ბირთველისძე თუმანიშვილი გასული საუკუნის იმ ქართველ მწერალთა რიცხვს უნდა მივაკუთნოთ, რომელთაც ჯერ კიდევ პუშკინის სიცოცხლეშივე სცადეს მისი ნაწერების მშობლიურ ენაზე გადმოთარგმნა. შეიძლება ითქვას, რომ მიხ. თუმანიშვილს ამ მხრივ ვაცილებით მეტი დეაწლი მიუძღვის თავისი დროის სხვა პოეტებთან შედარებით, იგი არ დაკმაყოფილდა პუშკინის წერილი ლექსების გადმოღებით და პირველმა ქართველ მწერლებს შორის სთარგმნა ვენიოსი რუსი პოეტის შედარებით მოწარმული ნაშარბოვები — პოემები „ბაღჩისარაის შადრევანი“ და „კავკასიის ტყვე“.

მიხეილ თუმანიშვილზე ცოტა აღრე პუშკინის ქართული თარგმანები მოგვეცეს ალექსანდრე ჭავჭავაძემ და სოლომონ რაზმაძემ. ამ უკანასკნელმა, როგორც ცნობილია, ერთი ნიმუში თავისი თარგმანისა, სახელდობრ „ღიშანური სიმღერა“, დაბეჭდა კიდევ 1832 წელს, „საქართველოს უწყებათა“ ფურცლებზე.

ამგვარად, პუშკინის ლექსის ქართული თარგმანი პირველად ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე დაბეჭდა საქართველოში.

მიხეილ თუმანიშვილი მეტად დამახასიათებელ დიგურას წარმოადგენს მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში. იგი იყო პოეტი რომანტიკოსი და ამავე დროს პირველ-ქართველი პუბლიცისტი-კრიტიკოსი, რომლის დამსახურებაც თანაბრად საგულგნობთა, როგორც ქართული პრესის, ისე ქართული თეატრის ისტორიაში.

თავისი პოეტური შემოქმედებით იგი ეკუთვნის 30-იანი წლების ეპოქას, — ქართველი პოეტების იმ თაობას, რომლებმაც ნ. ბარათაშვილის მეთაურობით საფუძველი ჩაუყარეს ახალ ქართულ პოეზიის გასულ საუკუნეში.

მ. თუმანიშვილმა ძალიან მცირე პოეტური პროდუქტია დაგვიტოვა. მართალია, თავისი ღირსებით იგი დღეს უკვე აღარ აკმაყოფილებს ჩვენს

განვითარებულს მხატვრულ გემოვნებას, მაგრამ თავისი შინაარსით და ხასიათით, როგორც ვარკვეული ეპოქის შემოქმედებითი დოკუმენტი, იგი მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი მწერლობის ისტორიისათვის.

ასეთივე განსაზღვრულია მ. თუმანიშვილის ლიტერატურული შემკვიდრობა პუბლიცისტიკისა და თეატრალური კრიტიკის სფეროში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერც ერთი ისტორიკოსი ჩვენი თეატრისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისა გვერდს ვერ აუვლის მის რამდენიმე წერილს. მოთავესებულს გასული საუკუნის 50-იან წლებში, ოფიციალურ რუსულ გაზეთ „Kavkaz“-სა და ივ. კერესელიძის ჟურნალ „ცისკარში“.

მის. თუმანიშვილი პროგრესისტი მწერალი იყო, საუკეთესო წარმომადგენელი თავისი დროის მოწინავე ქართული საზოგადოებისა. როგორც პუბლიცისტი, იგი არ შეუშინდა თავისი დროის ფეოდალური წრეების რისხვას და პირველი მიქალმა ბატონ-ყმობის ინსტიტუტის გაუქმებას. მაგრამ ამასაც არ დასჯერდა და მახვილი პუბლიცისტური შეურიგებლობით თავს დაესხა ჩვენი იმდროინდელი ცხოვრების სიდუხჭირეს. სოციალურ უსამართლობას, ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებულ უროვნულ ნილილიზმსა და გადაგვარების ტენდენციებს. თავის გასლიან ფელეტონებში, რომელსაც იგი „მოლაყბის“ ფსევდონიმით ბეჭდავდა „ცისკარში“, მ. თუმანიშვილი დასცინოდა ჩვენი თავად-აზნაურობის რეაქციონურ ნაწილს და მოუწოდებდა ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილს ეროვნული გათვითცნობიერებისა და კულტურული აღორძინებისაკენ. მის. თუმანიშვილმა პირველმა შემოიღო ქართულ პრესაში პუბლიცისტური ფელეტონის ჟანრი და თავისი წერილებით ხელი შეუწყო ჩვენი საზოგადოებრივი აზრის გაღვივებასა და მის შემდგომ განვითარებას.

მის. თუმანიშვილის წერილები პირველ ქართულ თეატრზე აგრეთვე დაუფასებელ დოკუმენტებს წარმოადგენენ, როგორც ქართული დრამატურგიის, ისე თეატრალური ხელოვნების ისტორიის გასათვალისწინებლად.

სამწუხაროდ ამ ნიჭიერი ლიტერატორის მოღვაწეობა ჩვენი მწერლობისა და თეატრალური კულტურის სფეროში მეტად ხანმოკლე და დროგამოშვებითი აღმოჩნდა. მ. თუმანიშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაშივე ჩაითრია პრაქტიკულმა საქმიანობამ, რომელმაც გარდამწყვეტი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში: ამ პრაქტიკულმა მოღვაწეობამ დააშორა იგი მწერლობას, შეიწირა მისი დრო და მოცალეობა და ბოლოს მთელი სიცოცხლეც. ეს იყო ჩვენი უკულმართი სინამდვილის შედეგი, იმ სინამდვილისა, რომელმაც მოხელის მუნდირი ჩააცვა არა მარტო მ. თუმანიშვილს, არამედ მისი მეგობრების უმეტესობას, მათ შორის ქართული პოეზიის უდიდეს სიამაყეს — ნიკ. ბარათაშვილსაც. უნდა ითქვას, რომ მ. თუმანიშვილის ნიჭი და უნარი არც ამ სფეროში დარჩენილა შეუმჩნეველი.

სამოხელეო ასპარეზზე მიხ. თუმანიშვილმა ძალიან მაღალი საფეხურებს მიაღწია. იგი ერთი მთავარ მოღვაწეთაგანი იყო იმ საჯარო რეფორმისა, რომელსაც მეფის რუსეთის მმართველობის საქართველოში, გასული საუკუნის სამოციან წლებიდან მიხ. თუმანიშვილს, როგორც ღრმა ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი მოხელეს, უდიდესი ნდობითა და პატივისცემით ეპყრობოდა ოფიციალური ხელისუფლება.

თავისი სამოხელეო კარიერა მან კოლეჟსკი სეკრეტრობით დაიწყო და გაათავა სამეფისნაცვლო საბჭოს წევრობით 1875 წელს, როდესაც ვარდაიცვალა მეტისმეტად მოქანცული ბევრი შრომისა და გონებრივი ჯაფისაგან.

მიხეილ თუმანიშვილი ეკუთვნოდა იმ გვარს, რომელმაც ჯერ კიდევ ძველ საქართველოში იჩინა თავი სახელმწიფო და სამწერლო მოღვაწეობის ასპარეზზე. თუმანიშვილები ცნობილი იყვნენ, როგორც მეფისა და ბატონიშვილების მდივნები, მრჩეველები, ელჩები და მსაჯულები. ამ გვარიდან მე-18 საუკუნეში გამოვიდნენ ცნობილი მწიგნობრები და მკვლევანები, მათ შორის პოეტი დიმიტრი თუმანიშვილიც. ავტორი თავის დროზე მეტად პოპულიარული ლექსების და სიმღერებისა, როგორც ვიციტ, ერთი მისი ლექსთაგანი — „ახალ აღნაგო სულო“, სთარგმნა თვით პუშკინმა 1829 წელს, თბილისში ყოფნის დროს და შეიტანა თავის „არზრუმს მოგზაურობაში“.

შამა მიხეილ თუმანიშვილისა, ბირთველი, ერთ დროს ეახტანგ ბატონიშვილის მდივანი იყო. მეფის რუსეთის მმართველობის დამკვიდრების შემდეგ იგი ადმინისტრატიულ სამსახურში შევიდა და მსახურობდა ერთ დროს დუშეთში. შემდეგ კი ქ. გორში გოროდნიჩის თანამდებობაზე.

მიხეილ თუმანიშვილმა (დ. 1818 წ.) პირველ დაწყებითი სწავლა გორში მიიღო. შემდეგ კი სწავლობდა თბილისის სახელგანთქმულ „კეთილშობილთა სასწავლებელში“, რომელიც იმ ხანებში გიმნაზიით იქნა გადაკეთებული.

უნდა ითქვას, რომ ამ სასწავლებელმა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში დაახლოვებით იგივე როლი ითამაშა, რაც რუსეთში ცნობილმა ცარსკოე სელოს ლიცეიმ. სადაც იზრდებოდა პუშკინი და მთელი პლეადა შემდეგში სახელოვანი რუსი მწერლებისა. მ. თუმანიშვილის დროს თფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლობდა ნ. ბარათაშვილი და მისი თაობის მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა, რომელთაგან მრავალი თვალსაჩინო მოღვაწე გამოვიდა საქართველოს სამწერლო-საზოგადოებრივ ასპარეზზე.



მიხ. თუმანიშვილი და ნ. ბარათაშვილი ჯერ კიდევ საჯაროებელ-ში დაუახლოვდნენ ურთმანეთს, როგორც ერთი ლიტერატურულ და სა-ზოგადოებრივი ინტერესებით გამსჭვალული ახალგაზრდა მკვლევარ-რობა სასწავლებლის გათავების შემდეგაც გაგძელბამბლსკოშვიან. ბარათაშვილის კერძო მიმოწერიდან და აგრეთვე სხვა დოკუმენტებიდანაც

სასწავლებელში მ. თუმანიშვილს რედაქტორობით გამოდიოდა მოწაფეთა ჟურნალი: „ყვავილი თბილისის გიმნაზიისა“, სადაც საუკეთესო ახალგაზრდა ძალები იღებდნენ მონაწილეობას, მათ შორის ნ. ბარათაშვილი, თითონ მ. თუმანიშვილი, (გრად გორსკის ფსევდონიმით) და სხვები *).

სასწავლებელში მოწაფეები ხარბად ეწაფებოდნენ მსოფლიო ლიტერატურის და თანამედროვე რუსული მწერლობის ნიმუშებს. მათი გულმოდგინე შესწავლის საგანს, უმეტესად საკუთარი ინიციატივის წყალობით, შეადგენდა აგრეთვე მშობლიური ლიტერატურაც. გიმნაზიის ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში (ჟურნალი რუსულ ენაზე გამოდიოდა), გ. გორსკის — მ. თუმანიშვილს მოუთავსებია თარგმანი 1832 წლის ცნობილი შეთქმუ-

*) ეს ხელნაწერი ჟურნალები მიხვილ თუმანიშვილის არქივში აღმოაჩინა მისმა შვილმა გიორგი თუმანიშვილმა და კიდევ გამოაქვეყნა ცნობა ამის შესახებ ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინათ. იგი სწერდა: „მიხვილ თუმანიშვილის ჟღერებში იპოვება სპეციალური ოთხი რვეული ხელნაწერი ჟურნალისა, რუსულ ენაზე „Историческая Тифлисская гимназия“ (1835—1836 წ.). ჟურნალის გამომცემლად იყო მიხვილ თუმანიშვილი, რომელიც მაშინ გიმნაზიაში სწავლიდა. თანამშრომლად ირიცხებოდა, სპეციალურად, ნიკ. ბარათაშვილიც, რომლის გვარიც დაბეჭდილია (?) ჟურნალის ლურჯ ყდაზე. სულ გამოსულა, როგორც ეტყობა, ხუთი ნომერი. ნაბოენია სამამ შობლოდ ოთხი ნომერი — №№ 1, 2, 3 და 5 (სამათში პირველი ნომერი შობლოდ შეადარის დაწერილი და სრული არ არის). მეხუთე რვეულის ბოლოს მოთავსებულია სია იმ ლექსებისა და წერილებისა, რომელიც ჩაყოლებულია ჟურნალში. ყველაზე მეტს სწერდა თვით რედაქტორი, მ. თუმანიშვილი, გრად გორსკის ფსევდონიმით. ნ. ბარათაშვილის ელეთნის შემდეგი წერილები: „წერილი სოფლიდან“, ნაწვევტი ქართულ რომანიდან „ვისრამიანი“ და „რომის პაპის უფლება“. ამ წერილებიდან შობლოდ ერთი ებოვეთ სტენებულ რვეულში: მეორე ნომერში (ივლისი 1835 წ.) ჩართულია ნაწვევტი სარგის თმოველის რომანიდან „ვისრამიანი“; შახრას ტირილი ვისზე, თარგმანი რუსულად, პროზით, მე-5 გვერდზე“ (გ. თ. — ფ. დ. ნიკ. ბარათაშვილის ნაწერები“. იხ. ვაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., № 637).

ამ ამონაწერის შემდეგ, ცხადია, რაღაც გაუგებრობის შედეგად უნდა იქნას მიჩნეული „ლიტერატ. საქართველოს“ გასული წლის მე-19 ნომერში მოთავსებული წერილის ავტორის სიტყვები: „ამჟამად აღმოჩნდა ჟურნალის რამდენიმე ნომერი, რომლებიც ახალ ცნობებს გვაწვდიან არა მარტო ბარათაშვილის, არამედ მისი ლიტერატურული მკვებობის შესახებაც. სულ აღმოჩნდა 4 ნომერი ჟურნალისა...“ ბოლოს: „...მასხადამე, ახლად აღმოჩენილი ხელნაწერი ჟურნალი შეიცავს ახალ ცნობებს ნ. ბარათაშვილის დღემდე უცნობი სამი ნაწერის შესახებ“. აქ უნებლიე შეცდომასთან გვაქვს საშუა. ოცი წლის წინათ აღმოჩენილ დოკუმენტებს რაღა ახალი აღმოჩენა უნდოდა?

ლების ერთ-ერთ ორგანიზატორის სოლომონ დოდაშვილის წერილისა: „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“.

რუსული ენა და ლიტერატურა, ცხადია, სავალდებულოა ყველგან წარმოადგენდა სასწავლებელში. მოწაფეები ვატაკებში უსწავლავდნენ და ხშირად სთარგმნიდნენ კიდევ პუშკინის ნაწარმოებთ^{*)}. მ. თუმანიშვილი, ნ. ბარათაშვილი და სხვა მათი მეგობრები უკვე მოწაფის სკამზე იცნობდნენ უდიდეს რუსი პოეტის შემოქმედებას და ვანიცდიდნენ მის პოეტურ გავლენას. აღსანიშნავია, რომ პუშკინთან და ლერმონტოვთან ერთად ჩვენი ახალგაზრდა პოეტები ეცნობოდნენ რუსულ ენაზე ნათარგმნ უცხოეთის პოეზიის საუკეთესო ნიმუშებსაც — ბაირონის, მიცევეჩის და სხვების ნაწარმოებთ.

მიხ. თუმანიშვილმა თფილისის გიმნაზიის კურსი 1836 წელს დაამთავრა, ერთი წლით გვიან ნ. ბარათაშვილზე, მაგრამ მათი მეგობრობა, როგორც ვთქვით, არ შეწყვეტილა. მათ ხშირი ურთიერთობა და მიმოწერა აქვთ ერთმანეთთან, უკითხავენ და უგზავნიან ერთი მეორეს თავის ახალ ლექსებს და კრიტიკას ამ ლექსებზე, ახალგაზრდებს აახლოვებს საერთო გამოვნება, ლიტერატურული ვატაკებში, საერთო შეხედულებები ცხოვრებასა და პოეზიაზე. ორივენი ვანიცდიან რომანტიულ პოეზიის უდიდეს გავლენას, ორივეს არსება მოუცავს მელანქოლიურ განცდებს, შფოთთვარე სევდიან გრძნობას. მათი სული მიილტვის შორეულ, უცნობ სამყაროსაკენ, მათ გულში კაეშანი დასადგურებულა, მათ იტაკებს ლაყვარდი ცის უსაზღვროება და მთვარით გაშუქებული ღამეების იდუმალი ბინდი.

მიხ. თუმანიშვილის ლექსების უმეტესობა ეკუთვნის 1836 — 38 წლების ხანას. დამახასიათებელია ამ ლექსების შინაგანი განწყობილების საოცარი მსგავსება ბარათაშვილის ლექსებთან, რომელთაგან ზოგი ვაცილებით გვიან არის დაწერილი. აღსანიშნავია ამ მხრივ მ. თუმანიშვილის ლექსები „უღაბნო“, „სალამური“, „ჩონგური“, და სხვა. საკმარისია რამდენიმე სტრიქონის ვახსენება ამ ლექსებიდან, რომ საერთო მოტივები და იდეურ-მხატვრული შემოქმედებითი ნათესაობა მ. თუმანიშვილისა ნ. ბარათაშვილთან ჩვენთვის ნათელი ვახდეს.

„ერღა მეახლოს ტბილი იმედი,

გერღა აყვავდეს მით გული მკერაი“.

(„უღაბნო“).

„იყო დრო... მაგრამ ჰე, მაცდურო ამოებაჲ,

რად დამიღეწე ოქროვანი ხატი ოცნებისა?

რად დამდე ჯაკევი დამონების? რად მიმიზიდავ

იდელვებაში ამა სოფლის დაუღვრომელის“...

(„სალამური“).

*) იხ. ი. მუხნარავია — ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია. ნ. ბარათაშვილის ახსულებსა ღირცხალაეას რედაქციით, გვ. XIV.

„ყოველთა დამბინდებულთ ვერღა იხილონ
გაზაფხულისა დღენნი მამუენნი,
მოგონებათა ვერ აღადგინონ
სიკბატუსა მხიარულ წელნი“.



ერყენული
საქმელოქოთქა

(„ჩონგური“)

მიხ. თუმანიშვილის ლექსები პირველად დაბეჭდა ჟურ. „ცისკარში“ 1858 წელს (№2) „თ“-ს ფსევდონიმით, ხოლო რჩეულ ლექსებისა და სხვა თხზულებათა კრებული გამოსცა მისი სიკვდილის შემდეგ, 1881 წელს, მისმა შვილმა, ჟურნალისტმა გიორგი თუმანიშვილმა. ეს გამოცემა უყურადღებოდ არ დარჩენილა იმ დროინდელ ქართულ პრესაში. მიხეილ თუმანიშვილს, როგორც ნ. ბარათაშვილის პლეადის პოეტს, კლასიკური შეფასება მისცა ილია ჭავჭავაძის ჟურნალმა „ივერიამ“ სპეციალურ რეცენზიაში. *)

„ბევრი ვერ არჩევდა ჩვენის ლიტერატურის იმ ახალ ხანას, — ვკითხულოქ ამ მეტად საგულისხმო წერილში, — რომელიც ბარათაშვილის ლექსებით დაიწყო, მაგრამ ზოგიერთებმა კი შეამჩნიეს ესა, მისცეს მხარი და თავის ნიჭისა და ცოდნის შესაფერი ღვაწლი დასდეს მას.

ნიკ. ბარათაშვილის ერთი ამ მხარის მიმცემთაგანი და „მხარის დამამუენებელი“ ყოფილა თ. მიხეილ თუმანიშვილიც. ამას უწერია თავისი ლექსები ნიკ. ბარათაშვილის დროს და ბევრი უფრო ადრეც“...

ჩვენს ლიტერატურაში ბევრს ნ. ბარათაშვილი მარტოდ მარტო ჰგონია, ბევრსა ჰგონია, რომ ეს პოეტი რაღაც უცნაური მოვლენაა და რაც იმის ლექსებში გრძნობა და აზრია გამოთქმული, საქართველოს ნიადაგზედ არ არის აღმოცენებულიო. ვინც ამას ამბობს წაიკითხოს გრიგოლ ორბელიანის, მიხეილ თუმანიშვილის, ვახტანგ ორბელიანის ლექსები და ამ ყოველად შემეცდარ აზრს აღარ იტყვის. არა, მეოცდაათე და მეორმოცე წლებში რაღაც აწუხებდა ჩვენს საზოგადოებას, ვული რალასაც ეუბნებოდა, რაც ჩვენთვის ჯერედ უცნობია სხვადასხვა გარემოების გამო, რაც ბინდ-ბუნდად არის გამოთქმული ნ. ბარათაშვილის ლექსებში და რალაც მხოლოდ მაშინ ვაეარკვევთ და შევიტყობთ, როდესაც ყოველივე ღირსშესანიშნავს, რაც კი დაწერილია მაშინ, ან თქმულა, დაეიწყების სულარა გადაეშლება და დაუბრკოლებლივ შეგვეძლება ამოკითხვა და გაგონება. ერთი ამ დოკუმენტთაგანი არის თ. მიხ. თუმანიშვილის თხზულებათა კრება. თუმცა ამ ავტორს ბევრი არ უწერია, მაგრამ ამის თხზულებებში თითქმის იგივე აზრი და გრძნობაა გამოთქმული, რაც ნ. ბარათაშვილის ლექსებში, და შესანიშნავი ის არის, რომ მიხ. თუმანიშვილი, თუ ლექსების ქვეშ მოწერილი წელთა რიცხვი არ გვატყუებს მონებრივი მიმბაძავი კი არ არის, — იმას თითქმის წინდაწინვე აქვს გამოთქ-

*) იხ. „ივერია“, 1881 წ., № 7. ეს რეცენზია, გ. თუმანიშვილის ცნობით, ვკუთვნოდა ვანო შიჩაბელს.

მელი იგი, რაც ბარათაშვილს თავის საუკეთესო ლექსების წიგნის დროს უგრძნია“. რეცენზენტი მ. თუმანიშვილის ლექსებში კარბი ნახულობს ალ. ჭავჭავაძის მსგავს მოტივებსაც, პირუთვნელად აფასებს პოეტის შემოქმედების დადებით-უარყოფით მხარეებს და ბოლოსასრულს წიგნი ჩვენი ლიტერატურისათვის ფრიად შესანიშნავს. მსგავსი ამისთანა მწერალს ეკუთვნის, რომელიც ალ. ჭავჭავაძისა და ნიკ. ბარათაშვილის შუა სდგას დროთი და არა ღირსებით“-ო.

როგორც ვთქვით, მიხ. თუმანიშვილის ორიგინალური ლექსები დათარიღებულია 1836 — 38 წლებით. ამავე ხანას ეკუთვნის, როგორც სჩანს, მისი გულმოდგინე მუშაობაც პუშკინის თარგმანებზე. თუ როგორი დიდის მონდომებითა და ინტერესით ეკიდებოდა იგი ამ შრომას, ეს კარგად ეტყობა იმის თარგმანების ხელძმორე რედაქციებსა და შიგ შეტანილ მერმინდელ შესწორებებს. მ. თუმანიშვილის მთარგმნელურ მუშაობაში აღსანიშნავია, როგორც საკუთრივ თარგმანები, ისე გადმოკეთებანი, ეგრეთწოდებული მიბაძვანი. ეს უკანასკნელნი ეკუთვნიან, თუ შეიძლება ასე ითქვას „არ გამოსულ თარგმანების“ კატეგორიას, რასაც მთარგმნელი არ დაუკმაყოფილებია დედანთან ნაკლები მიახლოების გამო, და დარჩენილას მხოლოდ მის მიბაძვათ. მ. თუმანიშვილის მიერ პუშკინიდან ნათარგმნ-გადმოკეთებულ ნაწარმოებებს ეკუთვნიან: 1) „ქსადმი“ (Я помню чудное мгновенье), 2) „ადელს“ (Адели), 3) „დონ-ჟუანი“ — მე-3 და მე-4 სცენა (Каменный гость), 4) „ბაღჩისარაის შადრევანი“ (Бахчисарайский фонтан) და „კავკასიის ტყვე“ (Кавказский пленник). მიბაძვებს ეკუთვნიან: 1) „ღამე“ (Зимний вечер) და 2) „მაჰმადა“ (Пророк)*).

უმეტესობა ამ თარგმანებისა იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალებსა და კრებულებში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეშივე, მაგალითად ლექსი „ქსადმი“ დაიბეჭდა გ. თუმანიშვილის მიერ შედგენილ ლიტერატურულ „ალმანახის“ პირველ წიგნში 1878 წელს, ხოლო „ღამე“ და სცენები „ქვის სტუმრიდან“ — იმავე ალმანახის მეორე წიგნში, რომელიც შემდეგ წელს გამოვიდა.

„ბაჩჩისარაის შადრევანის“ თარგმანი დაბეჭდა ილია ჭავჭავაძემ თავის ჟურნალ „ივერიაში“ 1881 წელს (№1) და იმავე წელსვე პოემა შეტანილი იქნა მიხ. თუმანიშვილის ახლად გამოცემულ რჩეულ ლექსთა კრებულშიც.

როგორი არის გარეგნული ღირსებით, ან რას წარმოადგენენ თავისი პოეტური შინაარსით მ. თუმანიშვილის თარგმანები?

უნდა ითქვას, რომ ამ თარგმანებს კარგად ეტყობათ თავისი ეპოქის პოეტური სტილის გავლენა: მათ საკმაოდ ძლიერი არქაიზმის დალი აქვთ დამჩნეული. ლექსიკა, მეტრი, რითმები ყველა პოეტური ელემენტ

*) გ. თუმანიშვილის ცნობით, მ. თ-ლს ჰქონია აგრეთვე ლექსი — მიბაძვა პუშკინის „Черная шаля-ისა (იხ. თუმანიშვილების ოჯახის არქივი).

ამ თარგმანებისა საქმებით უახლოვდებიან ქართული პუბლიკის 30-იანი წლების ნიმუშებს. ცხადია, ეს არქაიზმი სრულიად დაკარგა და პუშკინის გამჭვირვალე, დაწმენდილსა და სუბუქს ლექსთუკუთაას... მაგრამ ჩვენი პოეტები სთარგმნიდენ პუშკინს ისე, როგორც პუშკინს უკვლოდ და აგრეთვე როგორც შეეფერებოდა მათი დროის გენერაციის სურველ და ენობრივ ნორმებს. აქ ჩვენ არაფერი გვეთქმის. მხედველობაშია მხოლოდ მისაღები ის ვარემოება, რომ პუშკინის თარგმნა ისეთი განსაზღვრული პოეტური შესაძლებლობის ოსტატისთვის, როგორც იყო მის თემანიშვილი, მეტად რთულსა და ხშირად დაუძლეველ ამოცანას წარმოადგენდა. უსათუოდ აღსანიშნავია მაინც ის სიყვარული, პატრიისტემა და გულმოდგინება, რომელსაც ჩვენი მკვლევრები იჩენდნენ დიდი რუსი პოეტის ნაწარმოებთა გადმოღების საქმისადმი. ეს კარგად ეტყობა ჩვენი მთარგმნელის ნამუშევარსაც.

მ. თემანიშვილის ლექსებზე წიგნი ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და თითქმის მიუწვდომელია მასიური მკითხველისათვის. უადვილოდ არ მიგვაჩნია ამიტომ მოვიყვანოთ სანიმუშოდ ტექსტი მის მიერ თარგმნილი ერთი ლექსისა „ადელს“

„ახარე, ადელ,
 იყავი უნაღვლე,
 სხარულთ დღეს
 გაგვირგვინებდეს.
 და შენსა აქვანს
 ეტყოდეს ნანას
 და შენსა არეს
 განანათლებდეს.
 დასატკობელად
 მოსთელხარ სოფლად,
 ეამი თრობისა
 გულსა შიგე,
 დღენი ყრობისა
 სიყვარულს მიე,
 ამ სოფლის უკვარს
 ერთე ვღებოს.
 და ათხოვ ათად,
 იყავი მშენელ
 გამართობილის
 იტელის ჩემის“.

„Играй, Адель,
 Не знай печали,
 Харити, Лель
 Тебя венчали —
 И колыбель
 Твою качали.
 Твою весна
 Тиха, весна:
 Для наслаждения
 Ты рождена.
 Час упоения
 Люби, люби!
 Младые лета
 Отдай любви
 И в шуме света
 Люби, Адель
 Мою свирель“.

დამატებითი დასაძინებელია შინაარსობრივად ლექსები, რომელიც მ. თემანიშვილს აღუჩვენია სთარგმნელად. მათი თემატიკა და იდეური განწყობილება სავსებით უპასუხებდა ჩვენი რომანტიკოსი მკვლევრების პოეტურ ინტერესებსა და შემოქმედებით თავისებურებას. რომანტიკული სიყვარული, მშფოთვარე ღამის ჩვენებები, აღამიანის ვნებისა და შურისძიების

ლევანდები. — აი, ის თემბატური რკალი პუშკინის პოეტისაა, რომელიც იპრობდა ჩვენი მთარგმნელი პოეტის ყურადღებას. ლევანდები დიდი გულმოდგინება გამოუჩენია მ. თუმანიშვილს „ბაჩისარაის შადრევანის“ თარგმანზე. ამ პოემის ქართული თარგმანის ვარიანტის შედარება გვიჩვენებს, რომ ერთსა და იმავე თარგმნელს პოეტი ისევე უბრუნდებოდა და ახალ-ახალი შესწორებები, ხშირად არსებით ცვლილებები შეჰქონდა შიგ. ეს შესწორებები ხშირად ხელახალ თარგმანს უდრიდა.

საქართველოს მუზეუმში დაცული „ბაჩისარაის შადრევანის“ თარგმანის ტექსტი (ხელნაწერი № 2628) ძირითადად განსხვავდება მ. თუმანიშვილის რჩეულ ლექსთა კრებულში შესული თარგმანის ტექსტისაგან. უკანასკნელი წარმოადგენს სრულიად გადაუმავლებელს, გაწმენდილს, ვერსიფიკაციის თვალსაზრისით შედარებით უფრო დახვეწილ ნაწარმოებს.

როგორც პოემის თარგმანის ხელნაწერი ვარიანტის სატიტულო ფურცლის წარწერიდან ირკვევა, „ბაჩისარაის შადრევანი“ მ. თუმანიშვილს უთარგმნია პეტერბურგის 1830 წლის გამოცემიდან. მას უპიგრაფად ახლავს საადის ცნობილი სტრიქონები: „Многие так же как и я, посещали сей фонтан, но иных уже нет, другие странствуют далече“.

ეს ეპიგრაფი 1835 წლის გამოცემის შემდეგ, უკანასკნელ დრომდე, პუშკინის ყველა გამოცემიდან იყო ამოღებული. დამახასიათებელია, რომ საადის სტრიქონები მოხსნილია აგრეთვე მ. თუმანიშვილის თარგმანის შესწორებულ ვარიანტიდანაც, რომელიც მის რჩეულ ლექსების კრებულშია შესული (1881 წ.).

დასასრულლ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ურთი გარემოება, რომელიც საჭიროდ ახასიათებს მიხ. თუმანიშვილს, როგორც გასული საუკუნის 30-იანი წლების პოეტს-რომანტიკოსს და „ივერიის“ თქმით „ნ. ბარათაშვილის მხარის მიმცემ“ მგოსანს. ეს გარემოება არის მ. თუმანიშვილის ცხოველი ინტერესი ბაირონის შემოქმედებისადმი. გიორგი თუმანიშვილის ცნობით ჩვენი პოეტის ერთ-ერთ აღრინდელ ლექსს „უღაბნოს“ ერთ ხელნაწერ რეველში სათაურად ჰქონია „მიზაძე ბაირონისა“. შემდეგ კი ეს ლექსი ავტორს შეუმუშავებია და სხვა რეველში ჩაუწერია პირველი სათაურით. *).

განა ძალიან ნიშნული არ არის ბაირონის ლექსის თარგმნა და მიზაძე ნ. ბარათაშვილის მეგობარი პოეტის შემოქმედებისა და იდეურ-მხატვრული მიდრეკილების გასათვალისწინებლად?

ეს გარემოება ახალ შეჭვა ჰყენს თვით ნ. ბარათაშვილისა და მისი პოეტური თაობის შემოქმედებასაც.

*) იხ. თუმანიშვილების ოჯახში დაცული არქივი. აქვე ვსარგებლობ შემთხვევით, რომ გულითადი მადლობა გადაუხადოს მ. გ. თუმანიშვილის ოჯახს მათს განკარგულებაში არსებული მასალის თავიზიანი მოწოდებისათვის.

იაკობ ბალახაშვილი.



პუშკინის თანამედროვე, დღემდე უცნობი მთარგმნელი

პუშკინის თანამედროვე ქართველ მთარგმნელთა წყებას საქართველოს მუზეუმის ხელთნაწერ № 2684-ით კიდევ ერთი ახალი სახელი ემატება.

ხელნაწერი № 2684 (H ფონდისა) პატარა ზომის ლამაზად შეკრულ ქრესტომატიის სახელს ატარებს. ტექსტი დაწერილია მოთეთრო სქელ ქაღალდზე. ანტოლოგიის შედარებამ სხვადასხვა მწერლების ავტოგრაფებთან გამოარკვია, რომ ეს კრებული გადაწერილია ცნობილი პოეტისა და პუბლიცისტის მიხეილ თუმანიშვილის მიერ 1833 წელს.

ანტოლოგიის მეოთხე განყოფილებაში „პოეზია დიდაქტიურში“ მეოთხე თხზულებად წარმოდგენილია „რომანსი“ („ავდარში ლამით შემოდგომისა“) ხელმოწერილი ამგვარად: „რუს. დ. კორლანოვი“.

დ. კორლანოვის, უფრო სწორად დავით ყორლანაშვილის სახელი, როგორც მთარგმნელისა და საერთოდ როგორც ავტორის, პირველად ამ ქრესტომატიაში გვხვდება.

ისე კი დავით ყორლანაშვილი საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა: სამხედრო პირი, სხვებთან ერთად მომჭმედი „მკლავითა და განკარგულებითა“ ლეკებისა და მთიულების წინააღმდეგ, უახლოესი მეგობარი გრიგოლ ორბელიანისა და სხვა მისი თანამედროვე ქართველ მწერლებისა.

დ. ყორლანაშვილთან მეტად დაახლოვებული იყო აზერბეიჯანელი პოეტი შირზაჯანა მადათოვი.

საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში დაცულია დავით ყორლანაშვილის რამდენიმე პირადი წერილი, რომელიც ეპისტოლარული შემკვიდრობის უბადლო ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს.

დავით ყორლანაშვილის წერილების ოსტატობით მოხიბლული გრიგოლ ორბელიანი 1831 წლის სექტემბერს 26-ს ტულიდან სწერდა მას ლექსად:

„შენი ლექსი ისე მატკობს, მახარებს,
ვით ყიზილბაშს ყალიონი და პალვა!
ვამბობ! ნეტა ბედი როდის მალირსებს,
რომ შენ გრიგოლს, ჩემი დავით ეხილვა“.

ოთხი წლის შემდეგ იგივე გრიგოლ-ორბელიანი კერძო წერილში დავით ყორღანაშვილს სწერდა: „ახ! დავითჯან, რამდენს სიამოვნებას შეძლევენ შენნი წიგნები მარილიანად დაწერილები, რომელიცე ყველგანვე ჩვეულებათა მაქვს, რომ უნდა უბეში მედოს და ვკითხულობ მათგან შენად, მაინამ მაშივა ახალი, მაშინ ძველს *приобщаю по прежним твоим письмам.* და ახალსა ვატარებ უბეში მეორე წიგნის მიღებაჲმდის.“

1839 წელს რამდენიმე ხნის „უქმად ყოფნის“ შემდეგ დ. ყორღანაშვილი კვლავ სამხედრო სამსახურს დაუბრუნდა და გამწესდა „მენჯრელის პოლკში“.

1842 წლის ივნისის თვის დასასრულს დავით ყორღანაშვილმა მიიღო „სტანისლავა ყელზე“, ხოლო 1848 წელს გარდაიცვალა.

მაგრამ დაუბრუნდეთ პუშკინის თარგმანს.

რადგან ანტოლოგიაში წარმოდგენილი მთელი მასალა 1832 წელს არ სცილდება, ეს გარემოება გვაძლევს შესაძლებლობას დ. ყორღანაშვილის თარგმანიც დასახელებულ წელს, ან და უფრო ადრინდელ დროს მივაკუთვნოთ.

დ. ყორღანაშვილის მიერ თარგმნილი პუშკინის ცნობილი ლექსი „რომანსი“ („Под вечер, осенью ненастной“) თარგმნილი აქვთ: დ. მგალობელოვს (იხ. ჟურ. „ციცკარი“ 1857 წ. № 1) და რაფიელ ერისთვის 1878 წლის ნოემბრის მ-ს (იხ. გ. თუმანიშვილის „ალმანახი“ 1879 წ. № 2).

ამ შენიშვნების შემდეგ მოგვყავს თვით ტექსტი ყოველგვარ ცვლილებათა გარეშე:

რომანსი

აღდარში ღამით შემოდგომისა
 მივლიდა ქალი ადვილს უდაბნოს,
 და ცახცახითა მას ეპყრა ხელსა
 და ველემოდა ყვაილისა ნაყოფს.
 მთა და ტყე იყო მიწუნარებული;
 აღარეინ მსჩანდა, არც მომაველი;
 ყოველი იყო მიძინებული
 აჰა! ის ქალი შიშის მზერვითა
 მიმოიხედავს ყურადღებითა.
 იგი მწარისა ოხერით დამზერდა
 უმარკოსა მას თვის ქნილებასა:
 „გძინავს შენ, შეილო! მაძლევ ტანჯვასა;
 არ იცო, ვწუხვარ რა საშეზიდა,
 თვალთა აახელ და შესწოხიეში,
 ვეღარ მოკცერი ჩემთა ძეძლეთა:
 კოცნას ვერ ნახავ, არც ეღირსეში,
 უბედოს დედის განშორებითა.
 დედის მოწოდვას შიშით უბრალოდ
 სირცხვილი მტანჯავს მე საუკუნოდ.

შენ დამავიწყებ მე მარად ვამად;
 მე კი შენ არა ჩენს სატყუარად.
 სხვათი ჩაგაცემს ტანისათვისა,
 და მოგივლიან, ვითა უტყოსა,
 შენ მოიკითხავ შენსა მშობელსა
 ბოლო ვერ პოევენ ვერც სათესავესა.
 ახს უბედურო, მწუბრაის ფიქრით
 დაიქანცები სხვათა შევით შორის.
 და ბოლომდისინ სულის წუხვილით,
 ნაბავ აღერსსა ყოვლისა დედის.
 მარად იქმნები მხოლოდ ლა ტვირთით
 მწყვეველ იქმნები ბედისა შენის.
 ყვედრებას ისმენ განსასტიკებით.
 შეილო შემინდე თვის ჩემის ცოდვით,
 მძინარე შეილო, დამართვეი ნება
 მოგისვავ გულსა უკანასკნელად,
 მე დამნაშავე მაგის მიზეზად
 მექნების დამსჯად მარად წვალებსა
 ვიდრე ვმაწვილურს შენსა მასაკსა
 აქვს სიხარული უმანყო სული,
 გეძინოს ტყლიად ასე ჩემს ბედსა
 არ შევაწუხებს მწარე წუხილი.
 ჯერ ხარ უფიქრო ამ ქვეყანასა".
 მსწრაფლად ტვის უკან გამოანათა
 მოოვარემ ქობი მისის დობლისა,
 ცახცახებითა იწყო მან მისელა
 მოუახლოედა კარებსა მისსა,
 წყარა ჩაჩოქვით დასვა ვმაწვილი,
 სხვის კარებზედა ქობისა მისსა.
 შენით იშორა მას თვისი თვალი,
 სიბნელეს დამის იმალვა ქალი.



ეროვნული
 ბიბლიოთეკა





გერმანული
ბიბლიოთეკა

ქან ჟიურე

დიდი შაკა

გარდაცვლილ მამაკაცს
და ცოცხალ ქალს

ნაწილი პირველი

ის უთანძავეს თქვენს ვიჩქებს, ნიკაბებსა და სამკალს.

წუხელ მოხდა ეს — ყველა მამაკაცის დიდი გამგზავრება. აგვისტოს მნელი ღამე იყო, პურისა და ცხენის ოფლის სუნით გატენილი. ცხენები იქვე სადგურის ეზოში იდგნენ. გუთნის გამწვევი ზორბა ცხენები ხელნებში გაებათ და ისინი გაეებით აკაეებდნენ ქალებითა და ბავშვებით დატვირთულ ორთველებს.

მატარებელი წყნარად წავიდა ღამეში: კომპის ხეებს ნაპერწკლები გადააფურთხა და მთელი სისწრაფით გასწია. ამ დროს ყველა ცხენმა ერთად ამოიბუნეშა.

დღეს დილით, როგორც ყოველთვის, ყასაბი ქალი კარებს მოადგა, რომ სახლის წინ თბრილი დაეგაეა; მეწაღე უკვე იქ იყო. წინა ჯიბეში ხელებ-ჩაწყობილი აქეთ-იქით იცქირებოდა და პაერს ჰყნოსავდა. დრო-გამოშვებით თავს იქნეედა, თითქოს ბუზებს იგერიებდა.

- როზა, — უთხრა ქალს, — ეს ამბავი იცოდია?
- რა ამბავი? — სთქვა როზამ და აწეული ცოცხი პაერში დარჩა. ფეხსაცმლის სახელოსნო და საყასბო ქუჩის ერთ მხარეს იყო, გვერდი-გვერდს. მეწაღემ განზე პატარა ნაბიჯი გადაადგა, თითქოს ცეკვას აპირებდა, და ეს საკმარისი იყო, რომ როზასათან სულ ახლოს მისულიყო.
- ბარომე ნახე? — სთქვა კაცმა.
- რომელია?
- როგორ! თუ რომელი? რა თქმა უნდა, არა ახალგაზრდა, კარგად იცნ, რომ ის სხვებთან ერთად გაემგზავრა: მოხუცი, ჩემი ამხანავი.
- არა.

— აი ეს-ეს არის ეხლა ჩემთან იყო, სწორედ იმის წასვლის შემდეგ გამოვედი გარედ. შემოალო კარი და წამოიძახა: „ოპ!“ მე ულთხარი: „ოპ, ბარომე!“ მან მითხრა: „შენ გაიკეთე ეს ყავა?“ და ჩემთან ერთად ყავა დალია. თურმე ჰუგას ზეგანის მიმართულებით... (ბარომემ შეილის გამგზავრების გამო ვერ დაიძინა და მთელი ღამე გორაკებზე დაეხეტებო-

და...), ასე, თურმე ჰუგას ზეგანის მიმართულებით დაინახა დედამიწის ზედაპირზე სულ ახლად ამოსული კლდე. „ის სულ ახალია! — სთქვა მან; — ამ კლდეზე თითქოს მიწა უთხრიათ, განზრახ ექვეყნებოდნენ ამის გამო, რომ იქ ბევრს გაუვლია, არა ადამიანებსა და ქვეყნის მკაცრად დიდ ჯოგს მაგარი ჩლიქებით; და რაკი მიწა მოცვდა, ქვა გამოჩნდა“. ეს მითხრა ბაროქემ. ამ ქვაზე გაარჩევთ ამოკვეთილ წვეტიანი სამკუთხედს და ისარ-მიწებებულ წრეს.

როზას ფეხი არ მოუცვლია, მხოლოდ მკერდით უკან დაიხია და მეწადეს ოდნავ დაშორებული უცქერის ქათმის თვალებით.

— მაშინებ! — უთხრა ქალმა.

სამრეკლოზე რვაჯერ დარეკეს. არაერთარი ცვლილება დღეს არ ეტყობოდა. მზე, როგორც ყოველ დღით, ალიკის სახლის სახურავის გვერდზე ეშვებოდა.

პირდაპირ ბაყალმა ქალმა გამოსვლისას სკამი და კონსერვების კოლოფები წააქცია. ეტყობოდა ძალიან ეჩქარებოდა, რადგან ასეთ სქელ ქალს..

სული არც კი მოუთქვამს, წყალში ჩაძირული ადამიანივით დაიყვირა:

— როზა! ძია ეან! სუნი არ გეცათ?

სანამ უბასუხებდნენ, ორ-სამჯერ პაერი დაჰყნოსეს.

— რა იყო?

— დაჰყნოსეთ, — სთქვა ბაყალმა ქალმა და ქუჩა გადასჭრა. — მაშ თქვენ სურდო გჭირთ!.. ზევით ავედი, რომ გამეგო რამდენი შაქარი დამრჩა. როგორც კი სარკმელი გავაღე, ეს სუნი კატასავით სახეში მეცა, და ლოყებზე ისეთი ალმური მომედო, რომ ახლაც გაწითლებული ვარ.

— ახლა კი ვგრძნობ. — სთქვა მეწადემ.

— მეც, მეც, — სთქვა როზამ და კიდევ დაიხია მკერდით უკან, რომ შალლიდან დაეხედა მეწაღისა და ბაყალ ქალისთვის.

ეს იყო მატყლისა, ოფლისა და ფხვიერი მიწის სუნი, რომლითაც ცა ივსებოდა.

— ეს რა არის?

— მეც მაგას ეკითხულობ, — სთქვა მეწადემ.

ანაზღად სამივემ ცას შეხედა, რადგან დღეს თითქოს ჩრდილი გადაეკარა: სახურავებს ზემოთ, მზის წინ მტერის დიდი დროშა მოცუოდა.

მოესმათ ხმაური.

თითქოს აღიდებული მდინარეო, კალაპოტიდან ამოვარდნილი, რომელიც ცასა და დედამიწას ეჯახება და ზარებივით გუგუნებს. ახლოვდებოდა ეს ზარები, წყალთა ტლაშუნი. ზედიზედ შალლა ღრუბლებად მისცურავდა მტვერი, ხოლო დღის სინათლე ჯავზისებური ხდებოდა,

ყურძნის წენის ფერი, და ბოლოს ქროლვასავით მოიხმა ქვემლში ჩაქსოვილი კენესა და ჩივილი, როგორც წარსული ღამის წენით ამოხვნიემა.

ერკინული

ძია ეანმა როზასა და ბაყალ ქალს გადახედა, თან დაჰყურებდა წვერს ღვკდა და დაწიწენილ ბალანს იფურთხებოდა.

— ეჰ, წავალ ვნახავ, — სთქვა მან.

— მოიცადეთ, ჩვენი წამოვალთ.

როზამ ცოცხი დააგდო, ბაყალმა ქალმა წელზედა საცვამი შეიბნია. სამივემ ქუჩა გაირა.

მალანიც, სამსახურ მოხდილი, სირბილით დაჰყვა ქუჩას. პერანგზე არაფერი გადაეცვა; ცალი ლოყა გაეპარსა, მოესუფთავებინა, მეორე კო გასაპნული დარჩენოდა. სირბილის დროს თავს მალლა სწევდა და ზევით იტყირებოდა, თითქოს ჰქეპა-ქუხილს გაურბისო.

მთის გზა დაბას ჩაუვლის, იქ მოუხვევს, ონკანის გარშემო ღამაზ რკალს აკეთებს და გასწევს ბარისაკენ, რომელიც ახლა სოცხისაგან თრთის.

მოსახევეში „მუშათა კლუბის“ ყველა მოხუცი შეკრებილიყო. იქვე იყვნენ მოღარე ქალი სისხლიანი თვალებით, ქალები და მათ კალთაში მაგრა ხელჩაჭიდებული ბავშვები. მოხუცმა ბურლმა ფანჯარა გააღო: ავიდა იყო, საღამური პერანგი ეცვა და მკერდზე რუხ ქაღალდზე გაკეთებული მლოგვის ცომი ჰქონდა მიკრული, მაგრამ ფანჯარა მაინც სულ გააღო, ჰაერი ჩაისუნთქა და იქვე დარჩა.

როგორც ეტყობოდა, ხმაური მთებიდან მოდიოდა და უკვე თვით დაბაში შემოჰრილიყო. იქ სენ-ლაზარეს უბანში სახლები მტერისაგან ბოლავდა, თითქოს ირღვევაო.

— კარგია, მე შენ ვეტყვი! — სთქვა მეწაღემ, — რა დრო დაგვიდგა. ყველაფერი ლაბება! ვენახი წახდა, ფოთოლზე ისეთი ლაქაა, თითქოს ბინძური თითი დაადესო. ყველაფერი ხმება.

სხვა სათქმელი წვერ-ულვაშში შერჩა, დაღებულ პირში.

ახლა გარკვევით ისმოდა ზანგალაკებისა და ეფენების ხმა, ფეხთა ბაკუნი დედამიწის პირზე, ცხერისა და ბატკნის ბლავილი.

— ბურლო, ამხე რას იტყვი? — შესძახა მალანმა.

— ცხვარია, — სთქვა ბურლმა. სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, თითქოს ძველი კბილებით თავის მკერდს ტკივილს ფქვავეო. — ცხვარია, მაგრამ არასოდეს ჩემს სიცოცხლეში ასეთი ხმაურობა...

ბუზალაკების მოფრენამ თელას ფოთოლი ისე ააშრილა, თითქოს სეტყვა მოდისო. მერცხალთა ღრუბელმა გზა-აბნეული მტრედები გაიტაცა, თეთრი მკერდებით ცაში აიჭროლა და შიშინდითა და შრიალით გასწია, როგორც ტაფაზე დასხმულმა ერბომ..

— ყველაფერი ღებება, — სთქვა მეწაღემ, — ღურანსში მერქარი თევზებს კვებულდება. თუ თევზს ხელი ახლუ, თითებს ფხაღ მსორო ჩამოსდინდება, როგორც ტალახი.

ეპილოგი

მერძვე ბაბო, რომელიც სწორედ მას წინ იღვინჯა, იყო თანავე შემობრუნდება.

— ეს პაერშია, — ამბობს ის. — გუშინ საღამოს დაინახეთ?

— დაეინახე. შენა?

— მეც. საღვურიდან რომ დაებრუნდი, ვისაგრილებლად კარში გამოტყედი: ყოველივე ამისაგან კანი მეწოდა. მაშინ დაეინახე აი აქედან — აქნამდე რალაც სინათლე. იხვის თათს ჰგავს.

— ჰგავდა დიდ, თითქოს ოქროსგან ჩამოსხმულ, ჭარაქნძას ფოთოლს — სთქვა მეწაღემ.

უკვე მთელი პაერი ირხეოდა და ლამარაკი აღარ შეიძლებოდა.

და დაინახეს შობლოვებული მოხტეკი, ხოლო მას უკან ფარის თავი.

— წმინდაო ღეთისშობილო! — სთქვა მერძვემ.

— შესლილია ეს კაცი! — წამოიძახა ბურღმა.

მცხუნვარე მზე და მტერი, გზაზე სიციხის ბული, რომლის გარღვევაც ძნელია როგორც ადამიანისათვის, ისე პირუტყვისათვის. ეს მზე თითქოს საკვდილიაო.

მეწაღემ ჩაილაპარაკა:

— ოში! ოშმა აიძულა, რომ დაშვებულყვენენ.

უცბად მის ირველივ ყველამ პირი დამეწა, ყველა მიხედა, ბურღიც კი. გულებმა ყრულ და აჩქარებულად დაწყებს ცემა. მოაგონდათ წარსული ღამე, რომელიც მეტის-მეტად იყო გაყენთილი პურის სუნით. დიახ, მეტის-მეტად. რალაც მიზლი გიპყრობს, როდესაც პურის სუნს გრძნობ, ხედავ ამ პატარა ბაგშეებულ ქალების მკლავზე, ხედავ ამ მულამ დატკობის სურვილით შებყრობილ ახალგაზრდა ქალებს, და ყოველივე ამას გრძნობ, თან ხედავ, რომ ბრვე ვაკეცები მიემგზავრებიან და ცხუნების საბრალო ხენეშა ისმის.

ცხვის ფარის წინ კაცი მარტოკა იყო.

მარტოკა. მოხტეკი იყო. მომაკვდავივით დაღლილი: ფეხებს ძლივს მიათრევდა, ხელში კომბალი დამძიმებოდა. მაგრამ მისი სახე პტკაღ ნებისყოფას გამოხატავდა.

თავიდან ფეხებამდე გათეთრებული იყო მტერისაგან. მთლად გათეთრებული ნამგზავრი პირუტყვივით.

ქული კვდაზე გადაიწია და მძიმე მჯიღებით თვალები ამოიწმინდა, და ამ მთლიან სითეთრეზე გამოჩნდა ოფლისაგან ამომწვარი თვალების

ფართო წითელი ორმოები. მტკიცედ გადახედა ყველას ხელებს არ უთქვამს, კინტი არ დაუძრავს, ხელიც არ გაუნძრევია. მთელი გზის მოსახვევს და შაშინ ყველამ დაინახა, რომ მისი თვალებს მტკიცეობა, პირდაპირი ხანით, იქ, გზის სიღრმეში, ვინც იყო, რომ ყველაფერს ზედავდა: მთელს ტანზედაც და მხეს, ხელის სწრაფი მოძრაობით ქვედი ისევ შებღვნი ჩამოაწია და ფეხების თრევით ჩაიარა.

მის უკან არ მოსჩანდა არც შეკაზმული ჯორი, არც დატვირთული ვირები — არა, მას მისდევდა მხოლოდ დიდი, მთლად შავი პირუტყვი, რომელსაც მუცლიდან სისხლი სდიოდა.

პირუტყვი გზის მოსახვევს გააყვია. კლერისტენმა სათვალეები გაიყეთა, წარბები შეკუმხვნა და დააცქერდა.

— დიხ, ეს ყოჩა, — სთქვა მან, — ფარის მეთაური ვერძია!

გარშემო ყველამ თავის დაქნევით დაუდასტურა. დაინახეს ვერძი; რომელიც მტვერში წვრილ ნაკადოდ სისხლს ჰკარგავდა. ხედავდნენ აგრეთვე მტკიცე ნებისუფის ადამიანს, რომელსაც თავისი ნაბიჯები წინ მიემართა. გზის უბედურებისაკენ.

კლერისტენმა ქელი მოიხადა და ხუთივე თათით თავი მოიფხანა, ბურღი ფანჯარაში გადმოიხარა, რომ რაც შეიძლება შორს გაედევნებინა თვალა ვერძისათვის, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა. ოდესღაც თვითონ იყო უფროს მწყემსად, იგი დაიხარა და მღოვცის ცომი ასძვრა შვერდის ბალანზე.

— ეს სიცოცხლის განადგურებაა, — სთქვა, — სიცოცხლის განადგურება!

ბოლოს მღოვცის ცომი გაისწორა, დაიხია და ფანჯარა მაგრა მოაჯახუნა.

მობრევი მწყემსი უკვე შორს იყო, იქ, დაღმართზე. ფარა დინჯად მიჰყვებოდა. ეს იყო თითქმის ერთი სიმაღლის პირუტყვები, გვერდი-გვერდს მიკრულნი, როგორც ტალახის ტალღები. მათ მარჯვლში გახლართული იყო მთის მსხვილი ფუტკრები, მკედარი თუ ცოცხალი ტყვეები; იყო ყვავილებიც, ეკლებიც და ფეხებზე შემოხვეული მთლად მწვანე ბალახი. მსხვილი ვირთხა ბორბიკით დასერილობდა ცხვრების ზურგებზე. საერთო ნიაღვარს გამოეყო ლურჯი ფაშატი ვირი; გაიბრტამას, დიდი თავის რბევით ჩოჩორი მიუახლოვდა, ძუძუს თავი მონახა და კისერგაწედილმა გულიანად დაუწყო წოვბ, თან კუდს აქიცინებდა. ფაშატი ვირი ადამიანებს აღკვეროდა თავისი მშვენიერი ტყის ლოლივით ხავსმოკიდებულ თვალებით. დედა-ვირი ხუნდაბან მოუხვეწრად შეტოკდებოდა ხოლმე, რადგან ჩოჩორი მტკად ჩქარა სწოვდა.

ჯანმრთელი და გულკეთილი პირუტყვები იყვნენ. ჯერ არ დაკოკლებულიყვნენ. მსხვილი გაჯენჯილი თავები უსიცოცხლო თვალე-

მით ჯერ კიდევ მთის სურათებითა და სურნელებით იყო მხოლოანად შეპყრობილი. იქ, წინ ჯერ კიდევ წინამძღოლი ვერძის სურნელება იყო, სიყვარულისა და ატეხილი ცხვრების სურნელება; ხსოვნები ჩოჩენილი მთა. უსიცოცხლო თვალებიანი თავები აღმა-დაღმარებად დასცურავდნენ მთის მოგონებებში. ტკბილად იცოხნებოდნენ მთაზე მონადირე ბალახის გემოთი. ღამის ჭარმა ის-ის იყო ჩაიძინა მატყლიან ყურების ბუდეში. მძინარე კრავები რძესავით თეთრად მოსჩანდნენ ქორფა ბალახზე...

ფარა მიდის ნიაღვრის ხმაურით, მთელ გზას ავსებს და ორივე მხრით სახლების კედლებსა და ბაღების ღობეებს ეხახუნება. ჩოჩორი ძუძუს წოვას თავს ანებებს. გაბრუნდა. კანკალებს. ქვიქვირზე რძე მოწურწურებს. ფაშატი ვირი ჩოჩორს თვალებს ულოკავს, შემდეგ მიბრუნდება, მოშორდება, და ჩოჩორი უკან აედევნება.

მოვიდა მეორე ყოჩი. დაეძებდნენ. არსად მოსჩანდა. ისმოდა მისი ზარის წკარუნნი, მაგრამ ცხვრების ზურგს ზემოთ არაფერი მალდებოდა. მაშინ ფარის გასწვრივ დაუწყეს ძებნა. ბოლოს დაინახეს: ეს იყო ვერძი შავი ხუჭუჭა მატყლით. ფართო მოკაუჭებული რქები ტოტებივით ჰქონდა გაშლილი, რქები ორივე გვერდით მოშავალ ცხვრების ზურგზე დაეშვა და მათთვის მიენდო წასაღებად თავისი მძიმე თავი. ტოტებიანი თავი ირხეოდა ფარის ცოცხალ ტალღაზე, როგორც კუნძი ღურანსზე ჭარიშხლის დროს. კბილებსა და დაშვებულ ტუჩზე მოსჩანდა მიშხმარი სისხლი. გზის მოსახვევმა ყოჩი გაანაპირა. შეეცადა შემაგრებულყო, მაგრამ თავმა მიწისკენ დასძალა. წინა ფეხებით გაიბრძოლა, შემდეგ ჩაიჩოქა. მისი თავი უსიცოცხლოდ ეგდო მიწაზე. უკანა ფეხებით ერთხელ კიდევ გაიბრძოლა და ბოლოს მტვერში კუნძივით დაეცა. რამდენჯერმე მტკივნეულად გასწია ბარკლები. სისხლიან ცომად ქვეულ ლაჯებში ბუზი და ფუტკარი ირეოდა. მუცელზე ეპორწიალებოდა წყვილი წითელი კვერცხი, რომელიც ტანზე მხოლოდ ბაწარივით მსხვილი ძარღვით იყო მიმაგრებული. ბურლი ისევ მოადგა დახურულ ფანჯარას. მოსჩანდა ტუჩებს როგორ აცმატუნებდა:

— სიცოცხლის განადგურებაა! სიცოცხლის განადგურება!

კლერისტენი კი ხმამალა თავის თავს ელაპარაკებოდა. არავის მიმართავდა, საუბრობდა თავისთვის, მხოლოდ იმიტომ, რომ ამოენთხია დიდი მწუხარება, რომელმაც შეიპყრო მას შემდეგ, რაც თავისი ვაჟი-შვილები შორი გზას გაუყვნა.

— ნეტა, ვიცოდე, შემდეგ რა იქნება. — ამბობდა. — ჩვენ ხომ მებრძოლთა ჯიშისანი არა ვართ. ჩემი პატარა წავიდა აედამყოფი, დასუსტებული. უფროსი კი თავისი სათუთი ფეხებით. ამას შინაგანი სნეულება დაუმატეთ და კიდევ ვინ იცის რა... არა, უსამართლობაა!

ასე დარჩა ქუდით ხელში, და დაინახეს ცრემლით დასველებული თვალები, მწვანე და ხავსმოდებული, როგორც ფაშატი ვირის თვალები, ფარას რომ მიჰყვებოდა.

დროგამოშვებით ზარის წკარუნი ან ევენების ^{მკვლევანსა} ^{მკვლევანსა} ^{მკვლევანსა} და გამოჩნდებოდა ან ვირი, ან ფაშატი ჯორი, ან ბებური ცხენი. მათ აღარა ჰქონდათ კეთილშობილი ცხოველის ცეკვისებური სიარული, ისინი მოჩანჩალებდნენ დახეთქილი ჩლიქებით, ბალანში მიწა და ბალახი გაჯდომოდათ, ბარკლები ტალახით ჰქონდათ მოთხუპნული.

ხანდახან შეჩერდებოდნენ სადღაც წინ, შორს, სადაც მწყემსი მიეფარა. შეჩერება ტალღასავით გადაუვლიდა მთელ ფარას, შემდეგ ყველაფერი ისევ დაიძვროდა და პირველი ნაბიჯის გადადგმისათანავე მთელი ფარა ერთად ბლაოდა ტკივილისაგან.

ჯორებისა და ვირების ზარების წკარუნი შორს გზაზე მიწყდა. მხოლოდ ნიაღვრის მომაბეზრებელი ხმაური და ტანჯვის გუგუნე ისმოდა. მაშინ ვილაკამ სთქვა:

— დაუგდეთ ყური!

დააყურეს. იქ, ზევით, ცის სიღრმეში მტკრისაგან სულშებუთული სამრეკლო ცდილობდა დაერეკა შუადღის ზარი.

• • •

ყასაბი ქალი სუფრას შლის. მაგიდაზე თეფშებს მიყრი-მოყრის როგორც მოხედება. ტუჩები პატარა გოგონასავით წაუშვევრია და დროგამოშვებით ქშინავს.

პატარა ბიჭუნა თავის სკამზე აცოცდება.

— დაიკარგე აქედან! — ეუბნება ყასაბი ქალი.

შეეცადა ცარიელი ადგილი წყლიანი დოქითა და ბოთლით დაეფარა.

— დაიკარგე, მოშორდი აქაურობას! გაეთრიე... რაც გინდა, ისა ჰქენი!..

იგი სამზარეულოს ბაკანთან მიდის ჭიქების მოსატანად. დიღხანს ღვას იქ უძრავად, კედლისკენ მიბრუნებული.

— მიირთვი, დედა, — ეუბნება როზა. მაგრამ დედა თავით უარს ანიშნებს და ამბობს:

— ვინ იცის, სად არიან ახლა ისინი?!

გარეთ კი მიდის და მიდის დიდი ფარა.

— ისინი, ალბათ, ძალიან შორს არ არიან, — ამბობს როზა. — ჯერ ტანთ უნდა ჩააცვან, მისცენ ყველა საჭირო ნივთი და თოფი, ვაზნები. შემდეგ თოფის სროლაშიც უნდა გაწაფონ, — ვალდებული ხომ არ არიან, იცოდენ, რის მცოდნეა ის.

— საკმარისია სთქვას, არ ვიციო.

— ეგ არც ისე ადვილია, — ამბობს როზა, — ყველაფერი ის ჩაწერილია ჩვენს კანცელარიაში. ის ხომ ღებულობს მონადირეთა მოწმობას და სხვას. სჯობს არაფერი სთქვას. რასაც სხვა იტყუებოდა, ამასთან ოჯახიანს მაშინვე არ გაუძახებენ. პირველად უბრალოდ უთხრავენ, რომ შემდეგ — ვისაც ბავშვები არა ჰყავს, და ბოლოს — ვისაც სავაჭრო არა აქვს. ჩვენი კი ცოლიანია, ბავშვი ჰყავს, სავაჭრო აქვს, მასსადაცმე... მანამდე კი... აფთიაქარი ამბობს, ყოველთა წმინდათა კვირიაკემდე, ნოემბრამდე, ძალიან რომ დაიგვიანოს... ჩემის აზრით, უფრო ადრეც ყველაფერი ასე თუ ისე მოგვარდება... მიირთვიეთ, დედა!

— არა, — ამბობს დედა, — ლუკმა ველში მეჩხირება. როგორც უნდა ისე მოგვარდეს, ოღონდ მალე გათავდეს.

კლერისტენი იქვე ფარის გვერდით დარჩა. დარდით სივდებოდა. ლოთივით ეწაფებოდა მწუხარებას. შინ რა წამიყვანს? რა უნდა გაეაკეთოს? მარტოდ მარტო ვარ ახლა.

ნამცხვრების გამყიდველ ქალს დაუძახა:

— ამელი, მომეცი პურის ნაჭერი და ჩემს ანგარიშში აღნიშნე.

მაგრამ ქამის დაწყება ვერ გაბედა. იდგა ისე პურიტ ხელში.

ფარა კვლავ მიდიოდა და მიდიოდა, მაგრამ უკვე შენელებული ნაბიჯით. ეს უკვე ავადმყოფი ცხვარი იყო. კაცის გული ვერ გაუძლებდა ფარის გაუთავებელ სიგრძეს, მის ტანჯვას ამ შარავზაზე, სიცოცხლის განადგურებას.

ყოველ მუცლის ქვიშ სისხლი მოსჩანდა. ისმოდა ცხვირის დაცემინება, რომლის შემდეგ თავის ძლიერი განძრევით ცხვარი გაბრუებული რჩებოდა.

— დაეარდება თუ არა, — ჰკითხულობდნენ.

არა, იგი ხელახლა განაგრძობდა გზას გახვევებული ფეხებით.

ფეხებგაშლართული ვერძი ისევ მიწაზე იწვა. სისხლი სდიოდა. სისხლით დასველებული მთელი შატყლი ჩამოშლოდა და ტანზე ჩამოჰკიდებოდა, როგორც ხავსი აუზის ნაპირს. არ ჰკენესოდა, მთელი ძალღონით ჰაერს ჰყლაპავდა. მისი ნესტოების სუნთქვას მტვერში ორი პატარა კვალი გაეგლო.

ახლა მეორე მწყემსი იყო იქ. გზის მოსახვევში გაჩერებული, ცხვარს დაჰყურებდა. ტალღას რომ არ გაეცა. იძულებული გახდა ცხვარი მუხლებით მიმოერეკა. საბე შეიმშრალა; ოფლიაგან წმინდანისებრ წყინავდა. კომბალს დაყრდნობილი სადღაც შორს იტყირებოდა.



ბურღის ლოგინი იქ, ზემოთ, ფანჯარასთან დგას. მოსჩანს: დგება, ხავერდის შარვალს იცვამს, მღოგვის ცომს ისწორებს და ზევიდან პე-

რანგს იბნევს. დაუყოვნებლივ დერეფნის კარები იღება. ბუილი ფეხშიშველა გამოდის. მარცხენა გაშლილი ხელი მკერდზე აქვს მიკეცილი. მარჯვენათი სკამი მოაქვს. მწყემსს მხარზე ხელს აკრავს.

— გამიგონეთ, მეგობარო, — ეუბნება, — სულ ფეხზე დგომას ვერ შეძლებთ, გამომართეთ სკამი. მწყემსი კი ფიჭრით შორს არის სადღაც. ჯდება, კომბალს წინ დაიდებს, ფეხებ-შუა, ხელისგულებს გადააჯვარდინებს და ნიკაპით ზედ დაეყრდნობა, მზის სხივებ-ქვეშ თავს დახრის.

— ისეთი სიგრძე-სივანე აქვს, — ამბობდა დაბრუნებული მეწაღე. — მდინარესავეით მოდის. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჯერ ფარის ნახევარსაც არ გაუვლია. აბა, დაფიქრდი, დილის რვა საათს აქეთ სულ მოდის და მოდის... დაფიქრდი, აი სკამზე ჩაძინებული და ის წინ მიმავალი, სულ მთელ ფარაზე მხოლოდ ორი კაცია, ორი კაცი. დაფიქრდი, ძაღლები არავის დაუნახავს, ცოტა იყო ვირი და ახლა მითხარი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაწყევლილ დროში შევდგით ფეხი?!

კლერისტენიც სადღაც იცქირებოდა, მის გვერდით მიმავალ ცხერებს ზემოთ, ბედის წიგნში, რომელსაც სისხლისა და ტანჯვის ასოებით სწერდა დიდი ფარა თეთრ გზაზე.

— მივედი იქამდე, სადაც ხეები თავდება. მოსჩანს ასის ვაკე, რომელიც დაბლა ეშვება. მთელი მთა ბოლავს, თითქოს ცეცხლი წაუქიდესო. მერე, ქუხილი გესმის?

მთებისკენ ჰქეპა-ქუხილი თითქოს რკინის უროებით ამბისო.

ეტყობოდა, რომ მომავალი ნერბები ეს-ეს არის წვიმიებიდან გამოსულან. წყლისგან დამძიმებულან. პატარა ნაბიჯებით მოდიან, ჰაერში აღვილს თავით იკაფავენ. მათ შუა მოდის კაცი, რომელსაც წყალი წურწურით ჩამოსდის. ხალათის ქვეშ ამოფარებული ბატკანი მოჰყავს.

დამჯდარს გასძახებს.

— ანტუან! ანტუან!

ანტუანი თავს არა სწევს. ჯდომას განაგრძობს, თავის განიერ ქუდქვეშ დამალული; მხოლოდ მარჯვენა ხელით ანიშნებს:

— წადი, წადი...

ვერძი კი ეს-ეს არის მოკვდა. უცბად, თითქოს უბრძანესო, ტოტებიანი თავი ასწია, ამ ტოტებიდან ცას შეხედა — გრძელი დაუსრულებელი შეხედვით. კისერგაწვდილმა საბრალო კენესა ამოუშვა, ბარკლები გაშალა. ფეხები გაჭიმა. გატკლევილი ბუშტის ხმაურით გადმოჰყარა წელები და შედგებულ შავი სისხლი.

ნათურის ანთების დროს ყასაბმა ქალმა სთქვა:

— დედა ამაღამ ჩემთან უნდა დაწვეთ... მარტოდ დარჩენი...

აზრის დამთავრება არ სჭირდებოდა. მსხვილი სველი ტყეებით რძა-
ლმა ცოტა უფრო გრძლად წარმოსთქვა სიტყვა „მარტოდ“.

და დედამ ქალის გვერდით თავის შვილის ადგილზე დადგა. კვლებზე
გამგზავრებულის კვალი დარჩენილიყო. დედა გაიმართა ამ ორმოში, სწო-
რედ შვილის ზომაზე. სიტყვის წარმოუთქმელად, გვერდი-გვერდს
მწოლარე ორი ქალი ყურს უგდებდა დამეში ცხვრის ფარის ხმაურს. ფა-
რა კი სულ მიდიოდა და მიდიოდა, თითქოს მთას უნდოდა ცხვრებისაგან
დაწრეტილიყო.

მოულოდნელად ერთი წუთით სიმშვიდე ჩამოდგა. ორი ქალი დრმა
ძილს მიეცა. შემდეგ უეცრად დედას გაეღვიძა:

- ყური დაუგდე, — სთქვა მან.
- რა იყო? — ჰკითხა როზამ.
- ვილაც ჰკენესის.

ალარ ისმოდა ცხვრის ხმაური, მაგრამ სადღაც თითქოს ბავშვი ჰკენე-
სოდა, თითქოს ვილაც დედას უხმობდა. ეს ხმა ორივე ქალის გულში
ღრმად შეიჭრა. ლოგინიდან წამოხტნენ.

- აიღე სანთელი. მოუკიდე.
- დედა, დახედეთ ერთი, მაწია ხომ არ არის, კიები ხომ არ გაუნდა.
- არა, როზა, არა. ეს დაბლიდან, ქუჩიდან ისმის.
- ამ დროს? — სთქვა როზამ.

მართლაც, ვილაც დედას ეძახის.

— შეე...

— ჰო, ჰო! — ეხმაურება ორი ქალი. და კიბეზე ტიტველი ფეხს
ტლაშუნით ჩარბიან.

— მადროვეთ.

ურდული გაქედვილიყო. როზა ზედ თავის მსუქან ხელისგულს იზა-
ანებს, პერანგ-ქვეშ კი ძუძუები უთრთის.

- აჰა! სანთელს მოეფარე.
- ლამეს ცხვრის სუნი ასდის.
- წვიმა მოდის, დედა?

— არა, ეს მიწაა. ფარის მიერ აყენებული მტვერი წვება.

აი ის, ვინც ტირის, ვინც დედას ეძახის, აი აქ არის ქვაფენილზე —
ეს პატარა თეთრი ლაქა. როზა მის აზლოს მუწლებზე დაეშვა. ბატკანი.
ბატკანი, აკანკალებული, ტალახში ამოსვრილი ბატკანი. დიდთავიანი,
ამ ქვეყნად დაკარგული ბატკანი.

— დედა, გზა-აბნეული ბატკანია.

როზა ხელში აიყვანს. ბატკანი თავის სველ ტურტებს იდაყვში საუღებს.

— მხეცუნა, მხეცუნა, — ნელა დამღერის ყასაბი ქაქაქსა და მხეცუნას გამოსწევს, თითქოს ჰკოცნისო. — მხეცუნა. ერთი ამ სახარაღს შეხედეთ!

— ჯერ კიდევ ძუძუთმწოვარაა, — ამბობს დედა.

როზა შეკრთება, პატარა მხეცუნა მის მოხრილ მკლავის ნაკეცში სუნთქვას.

— შე ვფიქრობ, ასეთის გამოზრდა შეიძლება ბავშვის საწუწნით. — ამბობს ის.

კრავი აღარ ბღავის, სითბოს დაეძვხს, თბილ ტანს ეკრობა. თვალებს ზუჭავს. ისევე ახელს, რომ დარწმუნდეს ხელების სიახლოვეში. ბედნიერების ყრუანტელი ზურგზე გადაღრბენს. თვით როზას ძუძუებს უღიტინებს. ჭალი იცინის.

— გამშრალია, — ეუბნება. — ეჰ, ძუძუ რომ მქონოდა, მოგაწოვებდი, მაგრამ აღარა მაქვს... დედა, ზვალისთვის ზედმეტი ლიტრა რაზე უნდა ავიღოთ.

— წავიდეთ! — ეუბნება დედა, — შინ შევიდეთ, პერანგისამარები ვართ.

— კარგი, — ამბობს ყასაბი ქალი, — მაგრამ წადით, გააღეთ დერეფანი. საყასბოში გატარება არ შეიძლება. იქ ბევრი ხორცია. სასხლის სუნი დგას, შეიძლება შეშინდეს.



ილიონზე კლარამ გზის მოსახვევში მდებარე თავისი პატარა კაფეს კარი გააღო. დატარიელებულ გზაჯვარედინის შუა ადგილას მიტოვებული სკამი იდგა. ფარა უკვე დაშრა, მწყემსი წავიდა, ძალი მსუნაგად ლოკავდა დაეარდნილი ვერძის სიხხლს.

დაახლოვებით დილის ხუთ საათზე წმინდა პატრიკოს ფერმიდან მოზუცი სოტეირონი მოვიდა სარეკვიზიციოდ ცხენი მიჰყავდა.

— კლარა! — დაუძახა. — რამე მაგარი გადამაკვრევენე.

კლარა კარს მოადგა კიჭითა და არყიანი ბოთლით.

— შენ რაღაც ფერდაკარგული ხარ! — უთხრა ჭალმა.

— ასეც უნდა იყოს, — უპასუხა მოზუცმა. — მთელი გზა მკვდარი ცხერით არის მოფენილი.

ცხენი გასცქეროდა განთიადს. თავის იწმინთა, თითქოს ბუზებს იგერიებდო. და თავისთვის ჩუმათ ლაგამში კიხვინებდა.

მწყემსების დასვენება



ვალანსოლში საათმა დაჰკრა — თერთმეტჯერ ყრუდ გაისმა მისი ხმა. ღამის ნიავე კალოს უბერაედა და მთვარისაკენ ბზის მსგავსად უწვიოდა.

შორანის ფერმაში, იქ, ზეგანზე, სხვენის ქალი თავისთავად ძღერის. პატარა თვალის კილოში თოკი დაეწევიბათ. მოხუცმა ევრომმა ქალის სიმღერას ყური დაუგდო. თოკზე დაფიქრდა.

— ოჰ, ეს ქალები! — სთქვა.

შემდეგ მარცხენა გვერდზე გადაბრუნდა, ყური მიუგდო გულს, რომელიც ყურში ისე უბაგუნებდა, თითქოს ქვემოთ, სახლის ქვეშ, თუჯის სატყეპნით სარდაფს ტყეპნიანო.

დაფიქრდა ძუქნა ძალღ დიანაზე, რომელიც დღეს საღამოს შინ არ დაბრუნებულა.

— მე ვთქვი: ფრთხილად, ის აუცილებლად გაიპარება მეთქი. ან ხვადი ძალღი უნდა, ან საღმე მარტო წადირობს.

ბალიშიდან თავს წამოსწევს, ყურს დაუგდებს, გორაკებიდან თითქოს ეგვენების ელარუნი მოისმის.

— ეოზეფი რომ მიდიოდა, დაგვიბარა: ყური უგდეთ ამ ძალღსო, თვალღი გეჭიროთო. და მეორე ღამესვე გაპარვის საშუალება მისცეს.

მარჯვენა მხარზე გადაბრუნდება. ვერ იძინებს. მაგრამ უკვე აღარ ესმის გულისცემა. ძლივს იჭერს ქარის მსუბუქ სტვენას, პურის ძნების სახმობის კუთხეს რომ ეხეთქება, და ზეგანის ნუშის ხეების შრიალს. ამ შრიალით კაცს შეუძლია წარმოიდგინოს, რა თვალუწვდენი სივრცე უჭირავს მაღლობს.

ახლა შორანში ის ერთად-ერთი მამაკაცია. მისი ქალიშვილი მადლენა თვრამეტი წლისაა. არც რძალი იუღლია იმაზე მეტის ხნისა. — აი, ყველანი, ვინც დარჩა ეოზეფის გამგზავრების შემდეგ.

ვინ დააწეება გუთნის სახელურს? სათიბავად წასვლისას თხის რქას ჭამარზე ვინ ჩამოიკიდებს?

აი წევს, ლოგინში გაჭიმული, ჯირკვივით მოუდრეკელი. სივრცეში ხელი შეკუმშვა, თითქოს კავის სახელურს უჭერსო, და თვალწინ გადაეშალა თავისი მიწის ფართო ნაკვეთი: ყანა და ნუშის ხეების ბაღი. ერთ დროს თვითონ დასდევდა უკან თავის ორ წყვილ ცხენს.

უეცრად ზეწარი შორს გადაისროლა. ადგა. შარვლის ჯიბეში ასანთი მოსძებნა და მოუკიდა. დერეფანში გავიდა. რძალს კარებზე დაუკაკუნა.

— იუღია! იუღია!

მსუბუქად ხელისგული დაარტყა კარებს.

საწოლი აჭრიკინდა და აი მოისმა იატაკის ფილებზე ტიტველი ფეხების მსუბუქი ხმა.

ევრომი კარების სახელურს შეაჩერებს.

— ნუ, ნუ ალებ, პერანგისამარა ვარ. გამიგონე. მისდობა ჰქვითხა: ცხენებს საკვები მიეცი.

ასანთი ჰჭრება.

— აჰ, არა! — წამოიძახებს იულია.

— ხომ არ წახვალ იქ?

— დიახ, მივედივარ, — ამბობს ქალი. — აი, ამასაც უნდა შევეჩვიო. საჯინიბოდან რომ დაბრუნდა, იულია მადლენას ოთახთან მივიდა და კარების ჭუჭრუტანიდან ჩურჩულით ჰკითხა:

— მადლენა, გძინავს?

— არა.

— მომისმინე, მადლენა, ეს-ეს არის ცხენებს საკვები მივეცი... რომ აცოდე, რა ხდება დაბლა, ბარში... რა ხდება!.. იქ წალმა-უკულმა დადიან ნათურებით, თანაც ფარის დიდი ხმაურია. დურანსის მახლობლად დიდი კოცონი გააჩაღეს და ალი ისე იწვევს ზევით, ისე იწვევს...

— ჰო, — სთქვა მადლენამ, — ვიცი. ვნახე, ის რომ მოდიოდა. ფარაა. ისე ფართოდ გაიშალა, რომ შიში მიპყრობს. დავინახე, საღამოს პირად რომ მოვიდა, ღამე გაათია იქ, გარდეტის მიდამოებში.

იულისას ერთს წუთს ფიქრები გაიტაცებს. შემდეგ მიმართავს:

— მითხარი, მადლონ, შეიძლება შემოვიდე? რალაც უნდა ვითხრა.

— შემოდი! გინდა გავანათებ? — ეკითხება მადლენა.

— არა! აქ დასანახავი არაფერია! მომეცი ნება შენს გვერდით დავწვე, თორემ ამ ქვებზე ფეხები გამიცივდა. ყური დამიგდე, მადლენ. შენ ჩემზე გულმოსული ხარ?

ძე არავისზე გული არ მომდის პირვალეზულად ამბობს მადლენა

იულია ხელისფათურით ეალერსება პატარა ქალის ტანს.

— დედონ, სიმართლეა, სრული სიმართლე, ჭეშმარიტი სიმართლე, მისთვის არაფერი მითქვამს, არაფერი, ერთი სიტყვაც, შევიძლია დამიჯერო. მოიგონე, როგორ მეგობრულად ვცხოვრობდით მე და შენ ყოველთვის, ერთმანეთს პირში სულს ეუბნებოდით; მოიგონე ჩვენი ბალები პრაში, როდესაც ვაშლის ხის ქვეშ ერთმანეთს ლენტებს ვუცვლიდით. არაფერი არ მითქვამს მისთვის, ერთი სიტყვაც კი. ძალიან გამახარებს იმის გაგება, რომ შენ თხოვდები, ისე, როგორც შენ ჩემთვის გაიხარე, როცა ვითხარი: შენს ძმას მივეყვები-მეთქი. ხომ გახსოვს, მაშინ მე და შენ თივაში დავრჩით და ერთმანეთს ვკოცნიდით. ევხვეოდით... ყურს მივდებ? მე კი არა, მან თვითონ გითვალთვალა, თვითონ დავინახა. ორი დღით ადრე წასვლამდე მითხრა, როდესაც წვეზოდა: თვალყური გეჭიროს, სანამ მე აქ არ ვიქნებიო. გესმის? მითხრა: ორივეს კისერს მოგაგრებთო. მე კიდევ ვნახეო ის გარდეტელ ოლივიესთან, ძალიან ჩაპკროდნენ ერთმანეთსო.

— მართალი არ არის, — სთქვა მადლენამ. — არაფერს ცუდს ჩვენ არ ვშვრებოდით.

— ვიცი, რასაც ნიშნავს ეგ, დელონ, ვიცი. აქ არაფერი ცუდი არ არის, ვიცი. ცუდი განზრახვით არ მოსდის, ასეთი ~~განზრახვით~~ გაუბნები: ჟოზეფი, თუმცა შენ მისი და ხარ, შენზე ისე ჩვეულებრივ, თითქოს მისი ცოლი იყო. ცუდი გულისა არ არის. იქვიანია, მორჩა და გათავდაპე, კარგი, ნუ გეშინია, არ მოგკლავს. სთქვა ეს გამგზავრებით გახელებულმა; დარდიან გულზე გადაჰკრა კიდევ, გული ეწოდა, რომ ყველაფერს უპატრონოდ სტოვებდა, ამას ვარდა...

— ბერე რა, თუ მომკლავს, მით უარესი! — ჩაილაპარაკა მადლენამ სიბნელეში.



გარდეტში, ვაკის მეორე მხარეს, ლედვის ტოტებქვეშ კიდევ ერთი ნათურა. ეტყობა, დელფინამ სრულიად დაჰკარგა მომჭირნეობის უნარი შუალამე სრულდებოდა. მამა-მასი მხნე მოხუცი იყო, ლამაზად მოყვანილი ტუჩებით.

გვიან იყო, ისინი მაინც ისხდნენ იქ, განათებული ლედვის ქვეშ, ალაგებული სუფრის გარშემო: დელფინა, მამა და ახალგაზრდა ოლივიე. არ საუბრობდნენ. მწყემსიც იმათთან იყო, აი ის, ფარას რომ წინ მიუძლოდა. ის-ის იყო ღამის სიბნელიდან გამოვიდა, მთლად გათეთრებული მტვრისაგან, როგორც ვზის პირის კუტი-კალია.

ღამე ისეა დასერილი ვარსკვლავებით, რომ ცის ქსელი მოსჩანს.

— ორმოცი საათი ზედიზედ, — სთქვა მწყემსმა, — ორმოცი საათი შეუწყვეტლად, როგორც ხმლის პირი.

— მეტის-მეტია, — სთქვა ბაბუამ.

— არავის ბრალი არ არის. ბედის ბრალია.

— ვისი ბრალიც არ უნდა იყოს, — სთქვა ბაბუამ, — პირუტყვისათვის ეს ტანჯვა მაინც აუტანელია.

ორივე ჩიბუხს აბოლღებს.

— პირველსავე დღეს დაგვატყდა ეს თავს, — სთქვა მწყემსმა და თვალი სინათლეს მიაჰყრო. — მაღლა მთის საძოვრებზე ვიყავით. მშვენიერი ამინდი დადგა ისეთი, როგორიც არასოდეს არ ყოფილა. პატარძალივით თუარი ყვავილებით მორთული პირმომცინარე ბალახი მრავალი კილომეტრის მანძილზე ბრწყინავდა. ეხედავ, მთის სართულზე, სწორედ ჩემს ქვემოთ, დადის ვიღაც ორი, ლურჯად გამოწყობილი, ბალახებზე, სწორედ მსუყე ბალახზე; დადიან როგორც ის ადამიანები, რომლებსაც ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ. ვთქვი — ეს ეანდაჩმები არიან სენ-ანდრედან-მეთქი. ალფონსს, ალბად, კიდევ მოუვიდა შეტაკება ბოგირის დარაჯ ქალთან-მართლაც. ისინი ალფონსისისკენ მიდიოდნენ. მიდიან მისკენ და შორიდან-

კე ეძახიან- ჩემი ალფონსი გასწევს შესახვედრად. შემდეგ დაეშვე-
ბიან, ისევ ბუსკეს ჭობისკენ გაემართებიან. „ერთი უყურადღებო
— ის ხომ წყნარი კაცია!“ იქიდან დანტონთან მიდიან, შემდეგ ბრსენთან
და ბოლოს გაუხვევენ მეორე ფერდობის საძოვრებისკენ. აქვე უნდა-
მა სიარული ჩვენს ბალახებზე აღიბეჭდა. ალფონსმა თავისი ცხვარი ჩიხ-
ში შერგვა. კედრისკენ წავიდა. ვხედავდი, თავაწეული რომ იდგა თითქოს
ბოთლით წყალსა სვამსო: საყვირს უკრავდა. ძახილმა ბალახებში მო-
მაგნო. შემდეგ გავიგონე: ბუსკეც უკრავდა საყვირს, დანტონიც, არ-
ხენაც. უკვე ყველა უკრავდა საყვირს იქ, პირდაპირ მდებარე ფერ-
დობებზე.

მაშინ, არ ვიცო-რატომ, მთელი სულის ჩაბერვით მეც დაეუქარ საყ-
ვირით. თუმცა კარგი დარი იდგა, მაინც მთელი ძალღონით დაეუქარ საყ-
ვირი, როგორც ძაღლის სიკვდილზე.

შუადღეს გადასცილდა. ოცდამეთოთხმეტე ნაძვის ქვეშ შეკრებილი
ხალხი დაეინახე. ვფიქრობდი: „რა შეგიჯდა, დღეს აქ რომ ამოხვედი.
დაბლა რომ ყოფილიყავი, ახლა ყველაფერი გეცოდინებოდა“.

მაგრამ აი დაბლა ვილაც (შემდეგ გავიგე, რომ იული დარლი იყო)
გამოდის ჩრდილიდან, დგება მზეზე და მიწაში ჩაქდობილი ჩემსკენ უკ-
რავს საყვირს, გაბმულად, სამჯერ, რაც ნიშნავდა: მოდი აქ ახლავეო.
მაშინ ძლიერი სტვენით მთელი ჩემი ფარა ქვევითკენ დაეუშვი ფერდობ-
ზე. ხის ქვეშ ეწყო უკვე შეკრული ბოხჩები, მეგობრებმა მითხრეს: „ჩვენ
მივდივართ“. მე ვუთხარი: „აქ ხომ ძალიან კარგი ბალახია-მეთქი“. „ჰო,
— მიპასუხეს, — მაგრამ ჩვენ ომში მივდივართ“.

ჩიბუხს სწოვს, რათა გული დაიმშვიდოს, დაეიწყებას მისცეს იმ წუ-
თის მოგონება, როდესაც ფეხქვეშ ნიადაგი შეენძრა.

სამაზნი დავრჩით: პერტუელი ანტუანი, იული, რომელზედაც გელა-
პარაკეთ, და მე. სამივე იმდენად მოხუცებულნი, რომ ჯარისკაცად აღარ
ვეარგოდით. იმდენად მოხუცებულნი, როგორც ანტუანი ამბობდა, რომ
ვერ შევძლებდით ჩვენს საპატრონოდ დარჩენილ ფარების მოვლას. სა-
ლამოთი კი ახალგაზრდებმა მხრებზე ტომრები გაიდეს და გზას გაუდ-
გნენ. მარტოდ დავრჩით. მთაზე იმდენი ცხვარი დაგროვდა, რომ ბალახი
აღარ მოსჩანდა. მაშინ ჩვენ სამმა ვიმსჯელეთ.

ეს ახალი ამბავი გულზე ლოდად დაგვაწვა. ყველაფერზე ვიმსჯე-
ლეთ. ერთი ამას ამბობდა, მეორე-იმას. მთელი ღამე მსჯელობაში დაე-
კარგეთ, მთელი დარჩენილი თამბაქო მოეწიეთ. ბოლოს შევეთანხმდით და
ჩემი წინამძღოლობით გზას გავუდგე. არაჩვეულებრივმა ხმაურმა, აღ-
ხათ, ჩვენი მოახლოება გამცნოთ. როდესაც სოფელში შევდიოდით, ქა-
ლები და მოხუცები გზის პირას მწკრივდებოდნენ, რომ ეტყირათ, როგორ
მივდიოდით. ვაკეზე გამოვედით და იქ ვილაც ქალმა კრავით ხელში ჩვენ-
თან ერთად ხუთ კილომეტრზე მეტი გაიარა. გამისწორდა და მითხრა:

„მოხუცო, აქ თავდება ჩემი გზა. ერთ ნაბიჯსაც ვერ გავაღწეო. მაგრამ ფარას ჩამორჩენილი ეს პირუტყვი ხომ მოკვდება, მიწაზე რომ დავსვა. შეჩერდი“. „ვერა“, ვუთხარი და შემდეგ დავუძაბე: „დასვი აქ“. წუთის შემდეგ მოვბრუნდი: კრავი ფერდობზე მოხუცნი მინდორზე ქალი კისრისტებით გარბოდა. მაშინ დავუძაბე: „ქალი! ქალი!“ უკვე ძალიან შორს იყო. ვერ გავაგონე.

ამ წუთიდან თვალები ამეხილა და დავფრქვდი იმ დიდ უბედურებაზე, რომელიც ჩვენსკენ მოდის. გეუბნები, მასპინძელო, ამან ისე ძალიან ჩამაფიქრა, რომ ცეცხლი მომედო. როდესაც ნახშირით გამოვიფიტე, ვთქვი: ხალხის სამოწყალოდ ვართ-მეთქი. — და ღამის სიბნელეში გაიწვდის ქადრის ფოთოლივით ფართო გაშლილ ხელს.

ბარიდან მოისმის ძაღლის ყუფა და ადამიანის ხმა.

— შეძებენ, — ამბობს მწყემსი და თავის სახელს დაიძახებს. თან დაუმატებს: აქა ვარო.

— სად? — ეკითხება ხმა.

— წამოდი სინათლისკენ! — ეძახის მწყემსი.

იმავე წუთში ნათურის სინათლეზე კაცი გამოჩნდა და მიუახლოვდა მათ. პატარა ტანის მოხუცი იყო, თიხასა და თივაში ამოსვრილი. როგორც ეტყობოდა, სადაც მოხვდებოდა, იქ მიეგდებოდა, ოღონდ სულ მოეთქვა.

რუხი ძაღლი ახლდა.

— გამარჯობა იული! — ეუბნება მწყემსი.

„ეკ!“ — ხელს ჩაიქნევს ახალმოსული და სკამზე მოწყვეტილად დაეშვება. ბაბუა დელფინას თვალს ჩაუკრავს. ქალი სახლში შედის და ბრუნდება პურით, ლიტრა ღვინითა და ქიქით.

— წვენი ვაცივდა, — ამბობს ბაბუა. — ამხანაგო, წვენს ვავითბობენ მანამდე კი თავი ამით შეიქცეე.

იულის ქიქის ასაღებად ორივე ხელი სკირდება; ქიქა იმალება მის მსხვილ წითურ ხელებში და იგი სვამს ისე, როგორც წყაროზე წყალს.

— ერთიც გადაქარით!

— დაასხი, თუ შეიძლება.

ამოიღებს რქისტარიან დანას. მოსჭრის დიდ ნაჭერს პურს, ღვინოში დაასველებს და ძაღლს მისცემს.

ბაბუა ხშირ-ხშირად ამოიღებს.

— თამბაქო?

იული ამოიღებს ჩიბუხს. და მერმე უცბათ მაგიდაზე დაადებს. მწყემსს მხარზე ხელ დაადებს.

— შენს სანახავად მოვედი. შენთან მოვედი. ტომას. ტანში ს კვდილი შემიჯდა! ეს სიგიჟეა! მეტი აღარ შეიძლება. უფრო ნელა უნდა ვიაროთ. იფიქრე პირუტყვზე. წინ შენ ჯანმრთელები გყავს. წინ გაშ-

ლილ გზას ხედავ. ჩვენ კი, უბედურების შუა გულში ვართ იხოცებიან და იხოცებიან. ერთს ვერ მივიყვანთ ცოცხალს: ძალიან გვიყვარს მოვითხოვთ მათი აგებულობისაგან. ისინი ამისათვის არ გვხედავენ. ტომას! ჩრდილი და სიგრილე. დასვენება ყველას და წინა დღეების ცხოვრება.

ჭრიჭინები მღერიან. პაერი ზრ იძვრის. არაფერი იძვრის. ვარსკვლავებით გაჭედული ღამეა.

— წინა დღეებზე ფიჭვი საჭირო არ არის, — ამბობს ტომასი, — ჩვენ ძალიანად სისაძაგლეში ჩავეფალით. შენ გგონია, მე ქვისაგან ვარ გაკეთებული? შენ გგონია, მე ვერ ვხედავ იმ თვალებს, რომლებიც გვიტყვიან, როდესაც სოფლებს ჩაუფელით ზოლმე? ვცდილობ ღრმად დავიშალო ქედში. შენ გგონია, მე არ ვიცი... მეც მაქვს ყურები, რომ გავიგონო, ვესმის?

სდუმდება. ჯერ მხოლოდ ჭრიჭინების ხმა ისმის, შემდეგ ღამის სიღრმიდან იწევს ცხვრის ყრუ ჩივილი.

*ული ღრმად ამოიხრებს.

— ასევე გზას გადგომა! — ამბობს იგი. — საქმე ის არის ეჭვებით კი ამის სურვილი.

— ახლა ისეთ მდგომარეობაში არიან, — ამბობს ტომასი. — როგორც წყალი ტუმბოში: ერთი თუ წამოდგა, სხვებიც წამოდგებიან: ერთი თუ წავიდა, სხვებიც თან გაპყვებიან.

კარგად რომ ვათენდა, დაინახეს. რა უზარმაზარი მანძილი ეკირა ფარას. ეაკეს ნაღებივით ჰფარავდა, გორაკებს მოჰფენოდა. დურანსის სილაზე იყო. საიდანაც საგუშაგო კოცონის ბოლი ლურჯ ზოლად ადიოდა.

გორაკის კალთაზე გაჩერებული სამი კაცი უცქეროდა ფარას: იული თავის ადგილზე ბრუნდებოდა. ბაბუა თვალს აყოლებდა მთელ ამ ცოცხალ ნიაღვარს. ტომასი პირდაპირ იცქირებოდა ფარის სულში — ცის სიღრმეში ხედავდა მას.

— მშვიდობით! — სთქვა იულიმ.

— მშვიდობით! — მიუგო ტომასმა.

შემდეგ ბაბუა და ტომასი ბარისაკენ დაეშენენ. განზე, მწვანე მუხის ქვეშ იწვა დიდი ეერი — წინამძღოლი. გარშემო ყუავილები თავის სისხლით შეეღება. რქები ბალახში გახლართოდა. კენესოდა. ენა ქვასავით გამშრალ მიწაზე გადმოჰკიდებოდა. მთლად ბუზით და ფუტკრით იყო დაფარული.

ტომასმა ქედით ბუზები მოუფერია. შემდეგ ყოჩს ფერდები გაუსინჯა. ფეხების სახსრები აუმოდრავა. მსუბუქად მოუსინჯა ჭრილობა ლაგებში. პირუტყვი არ სჩიოდა, ადამიანისათვის მიეპყრო ფართო თვალები.

— მასპინძელო, — უთხრა ტომასმა, — ერთსა გთხოვ, — უკრძი გადამირჩინე. მისი მხნეობის პატრონი. ვიცი, წამოდგება, გაივლის ასს ნაბიჯს, შეიძლება ათასსაც, რა ვიცი! (მე ხომ დანამტკნის მისი ვიცი, სანამდე ეყოფა მხნეობა!). შემდეგ დაეცემა და დაიჩეხება გზის პირას სიყვდილის მოლოდინში. გადამირჩინე, ჯერ კიდევ შესაძლებელია. გადაიყვანე შენს ფერმაში, მოუარე. და როდესაც ცუდი დრო გაივლის, თუ ცოცხალი ვიქნები, დავბრუნდები მაგისტვის.

— კარგი, შემიძლია სთქვა ბაბუამ. — გმადლობ. ძმაო, რომ წასვლის წინ შენი გულშემატკივრობა მიჩვენე.

ტომასმა ქუდი თვალებზე ჩამოიწია.

— ხომ გითხარი, ხალხის სამოწყალოდ ვართ დარჩენილი-მეთქი.

— მომიტომინე, — უთხრა ბაბუამ. — მე წავალ ურიკისთვის. ასე უფრო ადვილად გადავიყვანთ.

ურიკის ფსკერზე მწყემსმა თივა დააფინა. ძველი ტომარა გადაიფარა და ზედ ყოჩი დააწვინა.

— ძირბენა მოხარე, — უთხრა ტომასმა, — და ლაჯები გამობანე. შემდეგ მოამზადე გოგირდისა და ზეთის ზეთის მალამო იმ ადგილებზე წისასმელად, საიდანაც სისხლი დასდის. დღეში ორჯერ წაუსვი. კარგად დიცნობ, მას სიყვარული ისევე სჭირდება, როგორც წამალი. და შეჩორ ჩქარა მომჯობინდება.

ცხვარს შუბლზე ხელი დაადო და მატყლის ძირში ნელა მოფხანა მგებობრული მსუბუქი შეხებით. ვერძმა შეხედა ადამიანს და ტუჩების ათროლებით ვერძების დიდი სიყვარული გამოხატა.

— ნუ გეშინია, — უთხრა მწყემსმა, — კარგ ადამიანთან გტოვებ. ჩემო მშვენიერო არღეზიანელო, მე მივდივარ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს კალთას თვითონ ბედი ეწევა. მართლაც, ეს რომ არ ყოფილიყო. ჩვენ ერთმანეთს სიციცხლის უკანასკნელ წუთამდე არ დავშორდებოდით. მხოლოდ ერთსა გთხოვ: ამ ადამიანთან პატიოსნად იყავი, ბოსელში უწესობას ნუ ჩაიდენ, ბალახის რჩევას ნუ დაიწყებ, ქათმის საბუღარებში ნუ ჩაწეები, და თუ ნერბები გეყოლება, ნუ ატყდები, ნელ-ნელა ლოკე მაროლი. ახლა შენ ამ სახლს ეკუთვნი. ქალებს დაუჯერე და ისე მოიქეც, რომ პატივისცემა დაიმსახურო.

შემდეგ ბაბუას ხელი მაგრა ჩამოართვა.

— მხოლოდ შადლობით გისწორდები, მაგრამ თუ შენი რაიმე მმართვებს...

— ჩემი არაფერი არა გმართებს. — უთხრა ბაბუამ. — უნდა... უნდა დაბრუნდე ფერმაში, მეტი არაფერი. და თუ შენი პატრონი, როდესაც ქიშკარში შეხვალ, ქუდს არ მოგვიხდის, ჩემს მაგიერ უთხარი, რომ ცუდი ვიცი ყოფილა. მშვიდობით.

შუა აღმართზე, რომელზედაც ვერძიანი ურიკით ახვალა შექლი იყო, ბაბუა შეჩერდა. აქ ბარში ცხერის ფარა წასასვლელად დაეკარგა. ტომასი ხელებს წინ და უკან იქნედა, თითქოს უზარტელად დაეძრებოდა. ტომასმა ბაბუასკენ გაიხედა. გამოსამშვიდობებლად ხელი მალა ასწია და ხელამართული ცხერის წინ გაუძღვა აგვისტოს ძლიერ ჭარში. რომელიც მოაქროდა ფართოდ, როგორც მდინარე.

სთარგმნა ფრანგულიდან ირ. ქავთარაძემ

გაგრძელება შემდეგ №-ში.



გალერიან ლუარსაბიძე

რუსთაველის სოფლმხედველობის საკითხისათვის

„ვეფხისტყაოსანი“ XII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ვითარების ენციკლოპედია, საქართველოს იდეოლოგიური ვითარების შარავანდედ-მოსილ ძეგლს წარმოადგენს; მიუწვდომელი ნიმუშის სახეს ინარჩუნებს ეს გაუმეორებელი ფილოსოფიურ-პოეტური პოემა-რომანი.

„ვეფხისტყაოსანი“ XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების, იმდროინდელი საზოგადოების კლასობრივი დინამიკის გენიალურად მომცემ პოემას წარმოადგენს. მაგრამ მისი ფილოსოფიურ-პოეტური, კლასობრივი-იდეოლოგიური შემეცნებითი ღირებულება მხოლოდ საქართველოს ფარგლებით არ ისაზღვრება. ქართველ ხალხს ამ თავისი უდიდესი განძით საპატიო ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურის პანთეონში.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს ისტორიულმა დადგენილებამ რუსთაველის იუბილეს შესახებ მეცნიერულ და კრიტიკულ-ლიტერატურულ ძალებში განსაკუთრებული გამოძახილი გამოავლინა. იწერება და იბეჭდება მონოგრაფიები და კრიტიკული ეტუდები რუსთაველის სოფლმხედველობისა, მისი უდიდესი რეალისტური შემოქმედების შესახებ. ხაზგასასმელია ის მომენტი, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე პრობლემა რუსთაველის ვინაობას, სუფეტის სადაურობისა და გმირთა ზერელე დახასიათების ფარგლებს ძლიერ ცილდებოდა. „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკულ განხილვასა და ავტორის სოფლმხედველობის საკითხს გვერდს უხვევდნენ, რითაც მთავარი ყურადღების გარეშე რჩებოდა.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 20 აგვისტოს ცნობილმა დადგენილებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა და რუსთაველოლოგიაში საკითხის დაყენება მეცნიერული გზით წარმართა. სარბიელზე ახალი მკვლევარებიც გამოვიდნენ თავიანთი კვლევითი არსენალითა და მეთოდებით.

პროფ. ვ. ბერიძის წერილი („რუსთაველის სოფლმხედველობისათვის“) ყურნ. „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაიბეჭდა, პროფ. შ. ნუცუბიძის შრომა — ტფილისის სახ. უნივერსიტეტის შრომებში (I სერია,

1936 წ.), დოკ. კ. კაპანელის წერილი („რუსთაველის ფილოსოფია“) — ჟურნ. „მნათობში“. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალმა გამოცა პოლ. ცინცეჭყეძე-ყაბაძის ეტუდი: „ვეფხის ტყაოსანი“ — სოფლმხედველობა და მხედველობა კონსტრუქტია“.

ჩვენი მიზანია ამ შრომებს მოკლედ შევებოთ და მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები აღვნიშნოთ (ყოველ ახალ შრომას დიდი სიზარულთ ვეგებებით და საზოგადოებრივად სასარგებლოდ ვთვლით, თუ კი ნაშრომი საკითხს ოდნავ მაინც წინ სწევს).

პროფ. ვ. ბერიძე თავის წერილში მიზნად „ვეფხის-ტყაოსანში“ ფატუმის საკითხის გარკვევას ისახავს. რუსთაველის მიერ ეს საკითხი ფილოსოფიურ სიბრტყეზეა დასმული და გადაჭრილი. პროფ. ვ. ბერიძე „ფატუმის საკითხს“ „ვეფხის-ტყაოსანში“ და საერთოდ სევამს და სჭრის არა ფილოსოფიურად, არამედ უბრალო რელიგიური თვალსაზრისით, რაც მართებული არაა. ვ. ბერიძე თავის ამ ნაკლს არა თუ გრძნობს, არამედ პროფ. კ. კეკელიძეს დაჯერებული ტონით მიმართავს: „მე მგონია, ახლა პატივცემული კორნელი უკვე იღარ იქნება „ვეფხის-ტყაოსანის“ ფატალიზმისა და ისიც მძაფრი, უსაშველო, ელინისტური ფატალიზმის მომხრე“ (გვ. 48). კარგი იქნებოდა, ვუკოლ ბერიძეს ეს საკითხი ელინისტურ ფილოსოფიასა და „ვეფხის-ტყაოსანში“ გაერკვია და ერთიმეორისათვის დაეპირისპირებინა. მაგრამ, სამწუხაროდ, პროფესორი არა თუ არკვევს მთელ ელინისტურ ფატალიზმს. არამედ ფატალიზმის საერთოდ ფილოსოფიურ ვაგებდასაც გნურბის.

პროფ. ვ. ბერიძე თავის მოსაზრებებს აკად. ნ. მარის „Витязь барсовой шкуры“ — დან იღებს და მარის შეხედულებას არა ფრთხილად ეპყრობა. პროფ. ბერიძეს აკად. მარის ძლიერ ფრთხილი მოსაზრება მოჰყავს: „Из неоплатонизма по всей вероятности*) грузинского, черпает свой взгляд на загробный мир Нестандареджани“ (56). ნ. მარი რუსთაველის ნეოპლატონიკოსობას დასახელებულ ნაშრომში დიდი სიფრთხილით ეპყრობა და ყველგან ხაზს უსვამს „по всей вероятности“. ე. ი. მარი გადაწყვეტით არ ამბობს, რომ რუსთაველი ნეოპლატონიკოსი იყო. ამ საკითხის შესახებ სასურველი იყო შეკვლევარს მარის უკანასკნელი ნაშრომებისათვისაც გადაეხედა. რასაც ბერიძე ნეოპლატონიზმის შესახებ სწერს: ყველა ეს მოსაზრება უშუალოდ მარიდან აქვს მოტანილი. მარი კი ვარკვეულად არ გვითითებს ამ

*) ხაზი ყველგან ჩვენ მიერ არის გასმული. — ვ. ლ.

მომენტზე. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ბერიძე მარის დიდი მეცნიერული სიფრთხილითა და მოსაზრებებით არა კმაყოფილებულა და დაუმტკიცებლად ძალზე გაბედული დასკვნები გამოქვეყნა: „მარის ბერიძე დეკლარაციულად აცხადებს რუსთველის ნეოპლატონიკოსობას, პროფ. იუსტი აბულაძესაც იმოწმებს, მაგრამ ეს საკმეს როდი შველის. ვ. ბერიძე თავის თავს ალბათ უხერხულ მდგომარეობაში გრძნობს, როცა წერს:

„შენიშვნა: როდესაც ნეოპლატონიზმზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს ქართული ნეოპლატონიზმი, საქართველოს ნიადაგზე და საქართველოს პირობებში გარდაქმნილი და გადაკაზმული, და არა საზოგადოდ ნეოპლატონიზმი“ (54).

პირდაპირ საკვირველია, როგორ შეიძლება „ქართული ნეოპლატონიზმი“ სხვა იყოს და „საზოგადოდ“ ნეოპლატონიზმი სხვა?! შესაძლებელია მხოლოდ მათ შორის ზოგიერთ დეტალში „თავისებურებას“ ჰქონდეს ადგილი, რაც ნეოპლატონიზმის მთავარ პრინციპებს არ ეწინააღმდეგება. ვ. ბერიძე ნეოპლატონიზმს ზოგიერთ დეტალში განსხვავების მიხედვით კი არ იხილავს, ან „ვეფხისტყაოსანში“ ნეოპლატონურ საფუძვლებს კი არ ეძებს, არამედ მთელ გვერდებზე საბუთად ის მოჰყავს, რომ ქართული ქრისტიანობა სხვაა და საზოგადოდ ქრისტიანობა კი სხვა, ქართული ფუტურში სხვაა და რომისა კი — სხვა.

საქიროდ მიგვიჩნია პროფ. შ. ნუცუბიძის შრომაზედაც („რუსთველის სოფლმხედველობისათვის“) შეეჩერდეთ. პროფ. შ. ნუცუბიძის შრომას ჩვენი საზოგადოებრივობა დიდი ინტერესით შეეგება, მაგრამ თუ რამდენად გაუმართლა მან საზოგადოებრივობას ეს მოლოდინი, ამ საკითხს შემდეგ შევხებით. აღნიშნული შრომა იდეალისტური გაგებითაა შესრულებული, ე. წ. ალეთოლოგიური რეალიზმის (მატერიალიზმისა და იდეალიზმის „სინთეზი“) რეციდივების შემცველია. ცნობილია, რომ ახლო წარსულში პროფ. შ. ნუცუბიძე თავისი „აზირებული“ ალეთოლოგიით ცდილობდა მატერიალიზმსა (მარქსი) და იდეალიზმს (პეგელი) შორის წინააღმდეგობანი „მოეხსნა“. ასეთი „ფილოსოფიები“ დღევანდელ ევროპაში მოდაშია.

ნუცუბიძის შრომა „რუსთველის სოფლმხედველობისათვის“ ეკლექტიკურია. რუსთველის სოფლმხედველობის შესახებ პროფ. შ. ნუცუბიძე გარკვეულად არაფერს ამბობს. პროფესორი წერს: „ყველა ამის მიხედვით, უკვე წინასწარი ზოგადი მოსაზრებანი ეკვის ქვეშ აყენებს რუსთველის ან მხოლოდ მანიჭველობას, ან მხოლოდ ნეოპლატონიკობას“ (17), ე. ი. ნუცუბიძის ვაგაბით, რუსთველი ნაწილობრივ მანიჭველია და ნაწილობრივ ნეოპლატონიკოსი.

ახლა გავერკვეთ, თუ რამდენად ლოგიკურად ასაბუთებს თავის ამ დებულებას პროფ. ნუცუბიძე. „ღმერთის იდეის სიმართლეს გულწრფელად, — წერს პროფ. ნუცუბიძე, — განისაზღვრა რუსთველის ნეოპლატონიზმის ფილოსოფია“ (27). რას ნიშნავს ყოველივე ეს? ნეოპლატონიკოსებმა ღმერთი ყოველგვარი მატერიალურისაგან გაწმინდეს და ის წმინდა სულად გამოაცხადეს, ყოველივე მატერიალური კი ბოროტებად. ნეოპლატონიკოსები მატერიალურობას უარყოფდნენ და ბოროტებად აცხადებდნენ მას, რის საფუძველზედაც ნეოპლატონიზმის იმატერიალისტურ თეორიაა წარმოშობილი, რასაც „ვეფხისტყაოსნის“ სოფლმხედველობასთან შეხების წერტილი არა აქვს. ლენინი შენიშნავს: „Идеи Платона и „ноженъка“ (ფილოსოფიური რვეულები, გვ. 307 — 8). ნუცუბიძეც გრძნობს ამ მხარეს და რუსთველზე განაგრძობს: „და ის არ გაჰყვა გზას, დასავლეთის ფილოსოფიის ნაწვენებს, და არ მოგლიჯა ღმერთი ქვეყანას, არ დაუპირისპირა იგი მას“ (27). საერთოდ ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია, რომ სავესტით ასე არ „მოგლიჯა ღმერთი ქვეყანას“ და მას სტოელებმა დაუპირისპირეს, რისთვისაც მათ ღმერთის გამატერიალიზებას უსაყვედურებდნენ.

უმართებულოა ნუცუბიძის დებულება: „ვეროპას დიდი ხანი დასჭირდა, ვიდრე სპინოზას ფილოსოფიამდე, რომ კვლავ ღმერთისა და ბუნების იგივეობის თეზა აღედგინა“ (27). სპინოზამდე „ღმერთისა და ბუნების იგივეობის თეზა“ სტოელების ფილოსოფიურ არსენალს აბასიათებდა, რაზედაც ჰეგელიც გვანიშნებს.

განსაცვიფრებელია, რატომ უგულვებელყოფს პროფ. ნუცუბიძე სტოელებს? ნეოპლატონიზმი ღმერთისა და სულის საკითხში სტოიციზმის წინააღმდეგ იყო მიმართული, ებრძოდა სტოელებს სპირიტუალისტურ მატერიალიზმს და თავის დუალისტურ იმატერიალისტურ დებულებებს აყენებდა.

პროფ. ნუცუბიძე საკითხს შემდეგ უფრო აბუნდოვანებს და მენტორის ტონით განაგრძობს:

„აქ პირველია ღმერთისა და ქვეყნის და მათ შორის ადამიანის დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი რუსთველმა ისევე მაღლა წარმოიდგინა, როგორც პლოტინმა, მან არ მიიღო არც პლოტინის მიერ წარმოდგენილი ღმერთის ქვეყანასთან დამოკიდებულება და არც გზა პოლითეიზმისაკენ, რომელსაც პლოტინის სკოლა იამბლიხოვის სახით დაადგა“ (27).

და დებულებას ასე ამთავრებს: „ღმერთი დაყვანილია ბუნებაზე. აქ გაწყდა კავშირი ქართველ პოეტსა და დასავლურ ფილოსოფიურ სპეკულიაციას შორის“ (29).

გვაკვირებს ფილოსოფიური სისტემების ასე არევა. რუსთველმა ღმერთი თუ ისე მალლა წარმოდგინა, როგორც ნეოპლატონიკოსებმა, ე. ი. ღმერთი ყოველგვარი მატერიალურობისაგან გაწმინდებული რუსთველს. ნეოპლატონიზმის ნიადაგზე „მდგარს“, როგორ შეეძლება „ქვეყანამდღე, ბუნებამდღე დაყვანა, როცა მთელი ბუნება, მატერიალური სამყარო ნეოპლატონიკოსების მიერ უარყოფილია და ბოროტებად არის განსაზღვრული? ან რატომ დასჭირდა რუსთველს ღმერთის ნეოპლატონიკოსებისათვის მალლა წარმოდგენა, თუ მას ისევე ქვეყანამდღე ჩამოიყვანდა? ღმერთი ბუნებამდღე და ქვეყანამდღე სტოელებმა დაიყვანეს, რაზედაც ფილოსოფიის ყველა ისტორიკოსი მიუთითებს. ღმერთს თუ ბუნებამდღე დაიყვან, მაშინ ღმერთის ნეოპლატონურ მალლა წარმოდგენისათვის გზა მოჭრილია.

პროფ. ნუცუბიძე რუსთველის ღმერთის გაგებას ნეოპლატონურს უპირდაპირებს, როცა წერს: „მან მიიღო ეს ამოცანა: ღმერთი სინამდვილემდგე ჩამოიყვანა, სიმბოლოები სინამდვილედ გაიგო, ალევგორიულ მზეს ცოცხალი მზე ამჯობინა, რომელიც ყველაფერს ავსებს და ყველაფერს აშუქებს“ (35). აქ რუსთველის ღმერთის განმარტება, მისი სინამდვილემდგე ჩამობრძანება თვით პროფ. ნუცუბიძის მიერაც სტოელებსა და მოცემული. ნეოპლატონური ღმერთის დამახასიათებელი თვისება სამპიროვნება, მათი დიალექტიკის საფუძველზე, მრავლობის ერთიანობაა, რაც შემდეგ ქრისტიანიზმამაც მიიღო. ფილოსოფიის ისტორიაში ეს ცნობილი ამბავია. ღმერთის სამპიროვნება რუსთველისათვის უცხოა, რასაც ნუცუბიძეც აღიარებს: „სადაც პოეტი სამებას არ ახსენებს“-ო (3) ყველა ამის შემდეგ ვანა შესაძლებელია რუსთველის ღმერთის წარმოდგენაზე ნეოპლატონური გაველენის მიწერა?

ეს ნუცუბიძემაც კარგად იცის. მაგრამ... მას სხვა რამ აინტერესებს. ნუცუბიძე მოწადინებულია რუსთველზე ნეოპლატონიზმის გაველენის გამოგონებით რუსთველი იდეალისტური ფილოსოფიის მარწმუნებში მოაქციოს, რის „დამტკიცებასაც“ იგი გარეგნულად შეეცადა „მაღალ“ ცნებათა კომბინირებითა და ფრაზათა ეონგლიორობით. რუსთველზე პლოტინის ამგვარი „ხევაელენით“ შესაძლებელი ხდება რუსთველის იდეალისტურ აზროვნებასთან დაახლოვება. ნეოკანტიანელები კოგენო, კასიოსი და საერთოდ ჰამბურგის სკოლა პლოტინს კანტთან აახლოვებენ. პლოტინის ჰეგელისა და გონიერების დუალიზმს კანტის ფილოსოფიაში გონებისა და განსჯის დუალიზმის სახით ნახულობენ. როგორც პლოტინი შეგვრძნებებს თანშობილი წესების მიხედვით სჯის, ისე კანტი შეგვრძნებებს თავისი აპრიორული ფორმების მიხედვით აშუქებს. კანტისათვის საგანი შეუცნობელია, პლოტინისათვის კი — ირეალური და ასეთივე შეუცნობელი წყვილია.

ნეოპლატონიზმის გაგებით, მატერია ის არის, რასაც უკვე თავის თავში აღარა აქვს სიკეთის არც ერთი ელემენტი. და ეს არის ბო-

როტების აუცილებლობა. ცნობილი ნეოპლატონური პროკალი ეგვიპტურ კულტს იცნობდა და მარხვის გარეშე აღდევებს ლოცვებსა და ჰიმნების ვალობაზე (თითონაც ქმნიდა ჰიმნებს). ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია ანტიკური ფილოსოფიურმა მოძღვრებამ ქრისტიანულ ეკლესიაში ძლიერი ფესვები გაიდგა. ჰეგელი პლოტინის სახელგანთქმული მოწაფის იამვლიხის შესახებ ამბობს:

„У Ямвлиха мысль выражается в фантазию, интеллектуальный универсум — в некое царство демонов и ангелов с подробной их классификацией, а умозрение — в магию“ (59).

რა აქვს საერთო მატერიის ნეოპლატონურ გაგებასთან, ლოცვებთან და მარხულობასთან, ქრისტიანულ ეკლესიასთან და დემონებისა და ანგელოზების სამეფოსთან რუსთაველის მსოფლმხედველობას? რასაკვირველია, არაფერი.

მოუსმინოთ ისევ ჰეგელს:

„Эта школа отличается, в частности, еще тем, что она признавала спекулятивное мышление действительным божественным бытием и жизнью и поэтому представляет его как мистическое и магическое“.

„Следовательно, в известном смысле неоплатоники действительно заслужили упрек в фантастичности, и мы в самом деле находим, что в жизнеописаниях великих учителей этой школы, Плотина, Порфирия и Ямвлиха, о них, так же как о Пифагоре, рассказывается кое что такое, что вызывает в нас представление о чудотворстве и колдовстве. И далее так как они отстаивали веру в языческих богов, то они утверждали относительно поклонения статуям богов, что в этих статуях действительно присутствует божественное и от них исходит божественная сила“ *).

აი, ნეოპლატონიზმის დამახასიათებელი ზოგიერთი მთავარი მომენტი. მერე რა აქვს ამას საერთო რუსთაველის მსოფლმხედველობასთან? იქნება „გაგვიმარტოს“ პროფ. ნუცუბიძემ. თუმცა უკეთესია შევაწუხოთ კოზმა პრუტკოვი: „თუ სპილოს ვალიაზე წაიკითხავ წარწერას — „კამეჩი“, შენს თვალებს არ დაუჯერო“.

ამგვარად, ნუცუბიძეს რუსთაველის იდეალისტთა ბანაკში მოთავსებით იდეალიზმისათვის სამსახურის გაწევა სურს; არსებითად კი იგი საკითხს ასე სვამს: „დასაველეთში რუსთაველმა მთლიან ქვეყნის პრობლემა დაი-

* Гегель: „Лекции по истории философии“, Мюнхен месამე, გვ. 35 — 44 (XI ტ.).

ნახა, აღმოსავლეთში მან ამ პრობლემის გადასაჭრელი ვხედავო... ან „არც რეფლექტორული რაციონალიზმი დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიწებში აღმოსავლეთისა — არამედ ნათელი მზე და ნათელი სიყვარული. ასეთია რუსთველის ხედვა ორი ქვეყნის მიჯნაზე“.

ახლა შევეხოთ, პროფ. შ. ნუცუბიძის გაგებით, რუსთველის რუსთველი ფილოსოფიურ საკითხებს.

„ასე მთელი ამბის გასწვრივ. — წერს ნუცუბიძე, — მოსჩანს მზე და მისგან მოფენილი სხივები და ეს მეტაფორა კი არაა, არამედ სინათლის სხივებით შეკრული მთლიანი ქვეყანა, სადაც მთავარ სინათლიდან — მზე-ღმერთიდან დაწყებული, სინათლე ეფინება მთელ ქვეყანას ზეციდან დაწყებული იავარდამდე, ყველაფერი იმდენად ცოცხლობს, რამდენად მან მზე-ღმერთის სხივი ეფინება: მოსკოლდება და დასკვნება“ (38 — 39). მაშ ასე, ნუცუბიძის გაგებით, რუსთველის მთელი ფილოსოფია უბრალო მზეა, რომ ანათებს, რის სხივებიც ქვეყანას სინათლეს უგზავნის. ამ „ფილოსოფიამდე“ რუსთველის მსოფლმხედველობა დაყვანილი და საკითხავია, ნუ თუ მართლაც ეს გაუბრალოება ფილოსოფიაა? ნუ თუ მზე რომ ანათებს, იმის აღნიშვნა რუსთველს ფილოსოფიად მიიჩნდა და ეს მოვლენა სხვა ვერ შეამჩნია? ამისთვის რა საჭირო იყო რუსთველის გენიალობა, ფილოსოფიური ერუდიცია და გაუმეორებელი მხატვრული ვირტუოზობა? „ვეფხისტყაოსანში“ მზის სინათლის „ფილოსოფია“ მხოლოდ შ. ნუცუბიძემ აღმოაჩინა!

ყველა წამოყენებულ მოსაზრებაზე შ. ნუცუბიძე უფრო ლოგიკურად ამ მოსაზრებას ანეითარებს. რუსთველს მზე ხშირად ეპითეტად აქვს ნახა, მზესა და მთვარეს ხშირად შეყვარებულებს უწოდებს. მაგალითისათვის ავთანდილის მიმართვა გავიხსენოთ:

„მო, მთვარეო: შემობრალე, ვიღვეი და შენებრ ვმქლედები,
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხელდები, ზოგჯერ
ვწვლდები“.

აქ მზის ფილოსოფია კი არაა წამოყენებული, არამედ ალევგორიულ ფორმაში შეყვარებულთა განცდაა მოცემული. რაც შეეხება იმ ფილოსოფიურ „პრობლემას“, რომ მზე მცენარეებს სიცოცხლეს აძლევს და მის გარეშე ისინი დაქვნიებიან, ეს რუსთველს ფილოსოფიურად კი არა აქვს წამოწეული, არამედ მეტაფორულად. ან იქნებ XII საუკუნეში მცენარეები უმზეოდ რომ ჰქვნიებოდნენ რუსთველს ფილოსოფიად ჩაუთვალეთ და შემდეგ ეს ბუმბერაზი მოაზროვნე პლატონისა, არისტოტელისა და პლოტინის გვერდით დააყენოთ?! „ვეფხისტყაოსანში“ თინათინი ავთანდილს მზედ ჰყავს წარმოდგენილი, ხოლო თავისი თავი მთვარედ, ტარიელს ნესტანდარეჯანი — ვეფხად და ვეფხის ტყავსაც ამიტომ ატარებს, თავისი თავი კი ტარიელს ლომად ჰყავს დასახული. მაშასადამე, ნუცუბიძის

„არგუმენტაციით“ „ვეფხისტყაოსანში“ ლომ-ვეფხისტყაოსანი და ფილოსოფიაა წამოყენებული. პროფ. შ. ნუცუბიძემ კარგად იცის, თუ რა ფილოსოფიაა „მზის“ ფილოსოფია და რად სჭირდება მას „ნუცუბიძის ნაშრომში“ „ვეფხისტყაოსნიდან“ **შექმნილი** „ორიგინალური“ კომენტარით „დამშვენებული“.

„მზესა ეტყვის — მზეო გეტყვი თინათინის ლაწეთა დარად, შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს. თქვენ ანათებთ მთა და ბარად“ „ეს მთა და ბარი ინდოეთიდან მომავალი ცისა და ქვეყნის კონკრეტ სახე უნდა იყოს. ზეცის მთის გვირაბს იქით. რა გვედას მიხედვით, იწყება სინათლის ზეცა, რომელმაც ბნელი არ იცის“ (40).

მაშ, ასე: ნუცუბიძეს „ვეფხისტყაოსანში“ მზის „ფილოსოფიის“ „გამოკვერა“ იშისთვის დასჭირდა, რომ პოემის იდეოლოგია რიგვედას ჰიმნებს დაუტყავშიროს. თუ რა არის რიგვედა, მასობრივმა მკითხველმა არ იცის. ნუცუბიძე მის ნამდვილ არსს ჩქმაღავს და მხოლოდ ინდურ მსოფლმხედველობად ასაძლებს: „რუსთველი გარკვეულად უფრო ახლო დგას ინდურ მსოფლგაგებასთან“ (41). როგორც ცნობილია, რიგვედა წმინდა არიული სამხედრო ჰიმნებია, რომლებიც არიელებმა შექმნეს ინდოეთში ყოფნის დროს ბარბაროსობის პერიოდში. რიგვედას, როგორც პირველ წმინდა არიულ ჰიმნს, საერთოდ ფაშისტები ეთაყვანებოდნენ. რიგვედაში მხოლოდ ანტიმარქსისტს შეუძლიან „დიდი“ და „ღრმა“ ფილოსოფია დაინახოს და შემდგომი ფილოსოფიური აზროვნება არაალობად მიიჩნიოს, ყოველივე რიგვედას ძირებამდე დაიყვანოს. ნუცუბიძე აქ, ცხადია, რუსთველის მსოფლმხედველობის „რიგვედიზაცია“ ახდენს და რუსთველის ალევორიისა და პოეტური განსაზღვრებისადმი არაფრთხილი მოპყრობის გამო რუსთველის მაღალი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა დაბალ. რიგვედას მზის ფილოსოფიამდე დაჰყავს. რიგვედას ჰიმნებს ყველა ინგლისელი და გერმანელი მკვლევარი პირველ არიულ ძეგლად და პირველყოფილ მითიურ მსოფლგაგებად თვლის. ნუცუბიძეს რუსთველი ელინური ფილოსოფიის მწვერვალიდან ამ დაბალ არიულ სოფლგაგებამდე ჩამოჰყავს. რუსთველის სოფლმხედველობისა და სოფლშეგრძნების ამ არიულ რიგვედასთან თუნდაც ნაწილობრივი დაკავშირება მეცნიერული სიმახინჯეა.

როგორც ცნობილია, რიგვედა მონათმფლობელური ფორმაციის დროს შექმნილი მითოლოგიური თქმულებებია. ეს გერმანელების შექმნილია, როდესაც ისინი ინდოეთში ცხოვრობდნენ და არიებად იწოდებოდნენ და ბატონობდნენ ინდოეთში სხვა რასებზე. რიგვედა შეიცავს რელიგიურ და სამხედრო ჰიმნებს. რიგვედა საერთოდ უძველეს არიულ ძეგლს წარმოადგენს (ჩვენს ერამდე ათას წელზე ადრე შექმნილი) და მასთან ვთანაბრება რუსთველისა, რომელმაც პლატონ-არისტოტელისა და ნეოპლატონური ფილისოფიური სკოლები განვლო, შეუძლებელია მარქსისტულ-

ლენინური მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. ნუცუბიძე რომ ჩვეულ „ვეფხისტყაოსანში“ იდეალისტური ფილოსოფიის აპოლოგიის შედეგს აქამოს შესახებ არაფერს ვამბობთ, მაგრამ რუსთველის სოფლმშენებელის რიგვედამდე დაყვანა, ეს რუსთველის სოფლმშენებელობის განმარტებას კვდა. რიგვედის მეცნიერულად სწორი განმარტება ასეთია:

„თუ ჩვენ ავიღებთ რიგვედურ პერიოდს, არიავარტის მხარეში ინდური ეპოსი საზოგადოების გარკვეულ დანაწილებას გვიხატავს, ამასთანავე მხოლოდ ორ შემდეგ ჯგუფად დანაწილებას: პირველი, ე. წ. „არიები“, ე. ი. ბინადარი მიწათმოქმედნი, და „დასაჟ“, რომლებსაც მიეკუთვნებოდნენ მუქი რასის ყველა დაპყრობილი და დამონებული ტომი. დამახასიათებელია, რომ „დასაჟ“-ს, მართალია, ცოტა ვადისხვაფერებული ტერმინით „დასა“ მიეკუთვნებიან საერთოდ მონები, დამოუკიდებლად იმისა, მექკანიანნი თუ თეთრი ტომის არიან ისინი, ლაპარაკობენ ისინი „მლეკების“ (ბარბაროსების) თუ „არიების“ ენაზე, როგორც ეს ნათქვამია „მანუს კანონებში“ (იხ. ვ. ვ. სტრუვე: „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“, მიშულინის წინასიტყვაობა, გვ. 15 — 16).

რიგვედა წმინდა არიული ანუ გერმანელთა ბატონობის დროის ძეგლია ინდოეთში, რითაც თავი მოსწონთ ფაშისტებს.

აი, აქედან ვადმოიღეს გერმანიის ფაშისტებმა ტერმინი „არიულობა“ და რასობრიობის „თეორია“. პროფ. ნუცუბიძე, ახდენს რა „ვეფხისტყაოსნის“ სოფლმშენებელობის რიგვედიზაციას, ამით იგი „ვეფხისტყაოსანს“ ობიექტურად ფაშისტურ „სოფლმშენებელობას“ უახლოვებს.

მონები და მონათმფლობელები — ეს საზოგადოების კლასობრივი დანაწილების პირველი ფორმაა და რიგვედები ამ ფორმაციის იდეოლოგიური ანარეკლია. აქედან რუსთველის რიგვედიზაცია, მონათმფლობელური ფორმაციის იდეოლოგიასთან დაკავშირება, ეს რუსთველის სოფლმშენებელობის დამახინჯებაა.

გარდა ყველა ამ „სიკეთისა“, ნუცუბიძე უგულვებელპყოფს საზოგადოებრივი ფორმაციების განვითარებაში პროგრესულობის პრობლემას. ამ პროგრესულობის პრობლემაზე ლენინი არაერთხელ ამახვილებს ყურადღებას.

საერთოდ ნუცუბიძის მსჯელობა რუსთველის იდეოლოგიის შესახებ „საფიქრებელიას“ და „თუს“ ფარგალს არა ცილდება. აი, მისი მეცნიერული არგუმენტაციის სტილი: „და თუ ეს ასეა, მაშინ საფიქრებელია, რომ იგივე აღმოსავლეთი უფრო ახლო მდგარ პოეტზე, რუსთველზედაც გავლენას მოახდენდა“. ან: „არის თუ არა აღმოსავლეთის გავლენა ერთი და იმავე ხასიათის მატარებელი ძირითადში, რადგან თუ ეს ასე იქნება“ (47) და ა. შ.

ნუცუბიძის ლოგიკას საფუძვლად უდევს „თუ ასეა“, „თუ ეს ასე იქნება“ და „საფიქრებელია“. აქედან, მისი გაგებით, რუსთაველი ნაწილობრივ მანიქველიცაა და ნეობლატონელიც. ქრისტიანულ-მედიკალური მატარებელიც და მამაღიანურისაც, საკულტურული-არაბულისაც და არიულ-რიგვედასთან დაახლოვებულიც.

გარდა ამისა, პროფ. ნუცუბიძის შრომაში მოქალაქეობრივი უფლებებით სარგებლობენ ასეთი „მეცნიერული“ განსაზღვრები: „რაც შეეხება პეტრიწონელს, ის, უეჭველია, იმ თაობას ეკუთვნის აღმოსავლურ აზროვნებაში, სადაც არისტოტელი მიღებული იყო მეთოდოლოგიურად, ე. ი. როგორც აზროვნების ტექნიკის ოსტატი“ (32).

სად გაგონილა აზროვნების ტერიტორიული პრინციპით განსაზღვრა, ხოლო მეთოდოლოგიის აზროვნების ტექნიკად აღიარება!

ეკლექტიზმი. — წერდა პეველი, — რაღაც ძალზე ცუდია, თუ მას იმ აზრით გაეიგებთ, რომ ის ერთი ფილოსოფიური მოძღვრებისაგან ერთ დებულებას არათანმიმდევრულად სესხულობს. მეორე მოძღვრებისაგან — მეორეს, ე. ი. რაღაც სამოსის მსგავსს წარმოადგენს, შეეკრიბოს მატერიის ნაირფერიანი ნაქრებისაგან, ასეთი ეკლექტიზმი ზერელე აგრეგატის გარდა არაფერს არ იძლევა!

ამრიგად, „ქეშმარიტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა“ (ლენინი) პროფ. ნუცუბიძისათვის ნაკლებად არსებობს.

Amicus Plato, sed magis amicus veritas!

დოც. კ. კაპანელი რუსთაველს არა ნეობლატონიზმთან, არამედ პლატონიზმთან აახლოვებს. „პოემა, დაწყებული ფაბულით, — წერს კაპანელი, — წარმოადგენს ფილოსოფიურ ნაწარმოებს, რომლის ფონი პლატონიზმია, ხოლო კომპოზიციური პროცესი — საქართველოს ისტორია კლასთა ბრძოლის სიტუაციებით — ფეოდალებისა და ვაჭრების ყოველდღიური ურთიერთობით“ (184). კაპანელი პლატონის გავლენას „ვეფხისტყაოსანში“ როდი ამტკიცებს, იგი მხოლოდ ავთანდილის თქმას ეყრდნობა: „მე სიტყვასა ერთსა ვკადრებ, პლატონისგან სწავლა თქმულსა“.

მარტო ამ ერთი ბწყარით არ შეიძლება რუსთაველის პლატონიკოსად გამოცხადება. ამისათვის საჭირო იყო „ვეფხისტყაოსანში“ პლატონური ეთიკისა, ესთეტიკისა და საერთოდ შემეცნების თეორიის საფუძვლების აღმოჩენა. თუ დოც. კაპანელი თავისი წერილის დასაწყისში რუსთაველზე უშუალოდ პლატონის გავლენას გადაწყვეტით „ამტკიცებს“, შემდეგ მასზე ნეობლატონიკოსების გავლენასაც სცნობს: „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი იცნობდა უდაოდ პროკლე დიადოხის ნაწერებს, მის ქართულ კომენტარიებსაც“ (194). კაპანელი რუსთაველზე ნეობლატონიზმის გავლენასაც სცნობს. მაგრამ ნეობლატონიზმის საფუძვლებს „ვეფხისტყაოსანში“ არ

უქმებს. გადაუდებელი იყო ნეოპლატონური ეთიკისა, ესპეტერიკისა, კოსმოლოგიის ვარკვევა „ვეფხისტყაოსანში“ ჩაქსოვილ მსოფლმხედველობასთან დაკავშირებით, რასაც დოქ. კაპანელი გვერდს ექვეყნებს.

კ. კაპანელი განაგრძობს: „...პოემის იდეოლოგიკურ-ფილოსოფიურ სინთეტურია. ამ სინთეზში რომ ირანულ-არაბული ნაკადი არის, ცხადია; ამას მოწმობს ტიპების სამოქმედო არე, ავთანდილისა და თინათინის გენეალოგია და სხვ.“ (200). ამ გზით შესაძლებელია განა რუსთველზე ირანულ-არაბული ნაკადის გავლენის აღიარება? კაპანელის რომელ აზრს დავეუჯეროთ? ერთგან წერს: „ფონი პლატონიზმია“, მეორეგან — „სინთეტურია“ და ირანულ-არაბული ნაკადის გავლენას სცნობს. მესამე ადვილას კი ყველა თავის მოსაზრებას ხსნის და ახალ დებულებას აყენებს: „ელინიზმი, ირანო-სასანიდური კულტურა, ფილოსოფიურ და რელიგიური იდეები, გადააფასა, მრავალნაირად განიცადა, სისტემაში მოიყვანა და მოგვეცა მხატვრული ნაწარმოები, რომელშიაც გაშალა თავისი საკუთარი ცხოვრების ფილოსოფია“ (208). საკვირველია, თუ გადააფასა, სისტემაში როგორღა მოიყვანა და თუ სისტემაში მოიყვანა, მაშინ „თავისი საკუთარი“ ცხოვრების ფილოსოფია როგორ მოგვეცა?

ბოლოს კ. ცინცაძის კრიტიკულ ეტუდზე გადავდივართ. კ. ცინცაძე თავის ნაშრომში რუსთველის იდეოლოგიასა და მხატვრულ ხერხებს იხილავს. ავტორი რადიკალურად საწინააღმდეგო დებულებას აყენებს რუსთველის მსოფლმხედველობის შესახებ და ცდილობს მისი სტოელობა დაამტკიცოს, რასაც ძირითადად დამაკმაყოფილებლად ასრულებს, ე. ი. რუსთველზე სტოელოური ფილოსოფიის გავლენას საკმაოდ დამაჯერებლობით არკვევს და მეთოდოლოგიურადაც ძირითადად სწორად ასრულებს. დღემდე უცნობი ავტორი სტოეციზმის წარმოშობის პირობებსა და XII საუკუნის იხილავს და იმ ძირითად საკითხს, თუ რამდენად შესაძლებელი იყო XII საუკუნის საქართველოში სტოეციზმის გავრცელება. ცინცაძის ნაშრომის ღირსებად უმთავრესად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ იგი ზოგად მოსაზრებებს ან დეკლარაციულ ყალბ პათოსს კი არ ემყარება, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობისა და სტოელთა ფილოსოფიის ანალიზის საფუძველზე ყოველ საკითხს კონკრეტულად და საგნობრივად არკვევს. ავტორს კონკრეტულად აქვს განხილული ღმერთის, ფატალიზმის, სიკვდილ-სიცოცხლის, ბრძენი პიროვნების, მეგობრობისა და ჭალის პიროვნების საკითხები „ვეფხისტყაოსანსა“ და სტოელთა ფი-

ლოსოფიაში. ნაშრომი ისეა შეკრული, რომ ყოველი თავის მხრივ ანტიკებს და აღრმავებს ერთსა და იმავე აზრს. ეს ნაშრომს უკვე გარკვეულ თვალსაზრისს იძლევა რუსთაველის იდეოლოგიაში სწორი ორიენტაციისათვის. ვფიქრობთ ამ ნაშრომს რუსთაველის იდეოლოგიაში სხივი შეაქვს.

მაგრამ ვინ იყვნენ სტოელები? ბერძნული ფილოსოფიის ე. წ. ელინური პერიოდის ერთი პირველთაგანი სკოლა ბერძნული კულტურის დაკემის პერიოდში (ჩვენს ერამდე III საუკ.), ეს სკოლა საბერძნეთში სავაქრო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად წარმოიშვა. ეს სკოლა ძველი წყობილების შეცვლასთან დაკავშირებით და ახალი ურთიერთობის დამყარების ნიადაგზე აღმოცენდა. შემეცნების თეორიაში სტოელები მატერიალისტურ შეხედულებას ატარებდნენ. შემეცნების, ქეშმარიტების კრიტერიუმში სტოელები საერთოდ რაციონალიზმისაკენ იხრებოდნენ.

XII საუკუნის საქართველოში სავაქრო კაპიტალი მიმოქცევის სფეროშია... და მისი ფუნქცია მხოლოდ და მხოლოდ იმაშია, რომ საქონელთა გაცვლა-გამოცვლის საქმეში შუამავლობა გასწიოს, რაც ხელს უწყობს ნატურალური მეურნეობის შერყევას და, გასაგებია, კლერიკალურ-ფეოდალური იდეოლოგიისადმი მხოლოდ კრიტიკულად განწყობას.

სავაქრო ბურჟუაზიის ჩასახვა, საქონლის გაცვლა-გამოცვლის გაფართოება სამთავროებად დანაწილებული საქართველოს პოლიტიკურად და ეკონომიურად გაერთიანების ტენდენციებს იწვევს. ამ ნიადაგზე ისტორიულად და სოციალურად კანონზომიერია საქართველოში სტოიციზმის შემოქრა თავისებურ ფორმებში. აღორძინების პერიოდში საქართველოში ძლიერი მონარქია შეიქმნა და წარმოიშვა საერო, ფეოდალურ-ლიბერალური იდეური ატმოსფერო. „ვეფხისტყაოსნის“ შექმნას — ზემოთ აღნიშნულმა სოციალურმა პირობებმა შეუწყვეს ხელი. XII საუკუნეში სავაქრო კაპიტალისა და სავაქრო ურთიერთობის გაშლამ ქართულ ცხოვრებას თავისებური დალი დაასვა. მსოფლიო სავაქრო გზის საქართველოზე გავლის გამო, სავაქრო ურთიერთობა ძლიერ ვითარდება: გენუელმა, პიზელმა და ვენეციელმა მეზღვაურებმა საქართველოს XII — XIII საუკუნიდან დასაველეთ ევროპისაკენ გზა გაუხსნეს, სოვედაგრებმა აღებ-მიცემობა საქართველოსა და აღმოსაველეთს შორის გააჩადეს. საქართველოს ევლინებიან ევროპელი ნეგოციანტები, ფეოდალური პარტიკულარიზმი ძლიერმა ფეოდალურმა მონარქიამ შესცვალა. ამ ნიადაგზე შესაძლებელი გახდა სტოელთა სოფლმხედველობის მომარჯვება მიწინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რადგან საერთოდ სტოიციზმი ეპქართა კლასის გაჩენასთან ერთად ვრცელდებოდა და იგი (სტოიციზმი) მიზნად ისახავდა საზოგადოებრივ-ეკონომიური და პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ცხოვრების ახალი კლასის ინტერესების ნიადაგზე ორგანიზაციას. „ვეფხისტყაოსანი“ იმდროინდელი წოდებრივი სიტუაციის სპეციფიკურობის

გათვალისწინების ნიადაგზე საერთო ხაზებში იძლევა ახალ სოციალიზმობრივი მდგომარეობის დინამიკას და ამ სინამდვილეს სტრუქტურულ იდეოლოგიას უფარდებს. „ვეფხისტყაოსანი“ ალორძინების შესატყვისი იდეოლოგიითაა განათებული, ანტიკლერიკალური ხაზარობითა, სტოიციზმით გააღებული.

რასაკვირველია, ისე დიდია ჩვენი წერილის საგანი, რომ ამ პატარა სტატიით საგანს ძირითადადაც ვერ ამოვწურავთ. მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, რათა უფრო რელიეფურა გახდეს, რომ რუსთველი თავისი იდეოლოგიით სტოიციზმს ენათესავება, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“, მიუხედავად ავტორის ფეოდალურ-კლასობრივი განსაზღვრულობისა, მთავარ და ძირითად მომენტებში სტრუქტურული მსოფლმხედველობის მემკვიდრე უდიდესი მხატვრულ-შემეცნებობით მნიშვნელობის მსოფლიო შედეგებია.

როგორც ცნობილია, სტოელები სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ფეოდალური პარტიკულარიზმის ნაცვლად ძლიერი ცენტრალიზებული, ფეოდალური მონარქიის შექმნა წარმოადგენდა სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლების, წერილი თავადაზნაურობისა და ე. წ. დაბალი ფენების მისწრაფებას. ბრძენი რუსთველი მონარქს დიდ ფეოდალთა წინააღმდეგ განგების მოელენილად სახავს და „განმანათლებელი“ მონარქიის ერთგვარ ჩანასახებს იძლევა. ამაშია პოლიტიკურად რუსთველის ისტორიული პროგრესიულობა. რუსთველის პოლიტიკური იდეალი ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება იყო. ასე ენათესავება რუსთველი სტოელებს, რუსთველის იდეოლოგიური კონცეპცია სტოელურს ებჯინება.

როგორც ვიცით, სტოიციზმის სოციალურ-პოლიტიკური მოძღვრება ერთიანი ბუნებრივი უფლებებისა და სახელმწიფოს წინაშე ყველას თანასწორობას იტევს (მათ შორის მონებისა და ქალებისაც) და კოსმოპოლიტიზმს (აღამიანი მსოფლიოს მოქალაქეა). სტოელთა სოციალური თანასწორობის ფილოსოფიას რუსთველი თავისი ეპოქის მიხედვით ასახიერებს და ბატონისა და ყმის ურთიერთ სიყვარულს აიდეალებს. მაგრამ, როგორც ცინკაძე სამართლიანად შენიშნავს, რუსთველს სტოელური ფილოსოფია გამოყენებული აქვს არისტოკრატიული ჰუმანიზმის ნიადაგზე, რუსთველი სტოიციზმის სოციალური თანასწორობის მოძღვრების გავლენით მხოლოდ მონათა დახმარებას, შეწყალებას, სიყვარულსა და გათავისუფლებას აღიარებს. მათი წოდებრივი თანასწორობისა და უთანასწორობის შესახებ კი სდუმს. ამგვარად „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი თავისი წოდებრივ-კლასობრივი განსაზღვრულობის გამო სტოელთა სოციალური თანასწორობის მოძღვრებას მთლიანად არ იღებს.

სტოელების კოსმოპოლიტიზმი კი რუსთაველს სხვადასხვა პიროვნების ადამიანთა მჭიდრო მეგობრობითა და სხვადასხვა სახელმწიფოს თავისუფალი, თანასწორი ურთიერთ დამოკიდებულებით განსაზღვრული.

ქალის მამაკაცთან უფლებრივი პოლიტიკური და მორალური გათანასწორების პრობლემაც რუსთაველს სტოიციზმის გავლენითა აქვს გადაწყვეტილი, სტოიციზმის მალალი ზნეობრივი პრინციპების ზეგავლენით. რუსთაველს ქალი ვნების გამაგრილებელ წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ ვაჟის თანასწორ სრულყოფილ პიროვნებად. მიუხედავად რუსთაველის სოფლმშენებლობის წოდებრივ-კლასობრივი განსაზღვრულობისა, მისი დროინდელი ტრადიციული არტახებისა, რუსთაველი, სტოელთა გავლენით, ქალისა და ვაჟის პოლიტიკურ და მორალურ თანასწორ უფლებიანობას აღიარებს.

რუსთაველიც ფილოსოფიურ-პოეტური შემოქმედება სტოიციზმის ზნეობრივი პრინციპებითაა განათებული. საზოგადოებრივ და ინტიმურ ცხოვრებაში ზომიერების გრძნობის აპოლოგიას წარმოადგენს. „ვეფხისტყაოსანი“ სტოელური ჰუმანისტური იდეოლოგიითაა გაჯენილი, მაგრამ ისე, რომ რუსთაველის ფილოსოფიურ-პოეტური შესაძლებლობანი ეპიქტეტისა, სენეკას და სხვათა ფილოსოფიურ ნააზრებსა და სენტენციებს ჩრდილავს.

„ვეფხისტყაოსანში“ აღგილი არა აქვს იმ რელიგიურ სპეკულანტურ აზროვნებას, რომელიც ნეოპლატონიზმმა შექმნა. „ვეფხისტყაოსანი“ ამ ქვეყნიური ცხოვრების სიმფონიაა. კოლოსალურია ამ უდიდესი ძეგლის კლასობრივ-შემეცნებითი ფუნქცია.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ცინცაძის კრიტიკული ეტუდი, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, თავისი მეთოდოლოგიური გეგმით და მასალის მეცნიერული დამუშავებით, პრობლემების გაბედული დაყენებითა და ძირითადად სწორად გადაჭრით რუსთაველოლოგიის მნიშვნელოვანი და სერიოზული შენაძენია.



ბრიჯონ რუხაძე

კავკასოზა

პირველწყაროები იოანეს შენახვაზე.

იოანეს შესახებ არსებული მასალა გაბნეულია მე-18 საუკუნისა და მე-19 ს-ის დამდეგის ისტორიულ დოკუმენტებში. რომლებიც თვითმხილველთა და მწერლის თანამედროვეთა მიერაა შედგენილი. აქ იგი როსენებულაა ჭკვიან, განათლებულ და თავდადებულ ბატონიშვილად, რომელსაც ყველა ნდობით ეპყრობა. ამ მხრივ იცნობს მას „ქართლის ცხოვრება“, სადაც ერეკლე მეორისა და გიორგი მეცამეტის ისტორიაა მოთხრობილი, ასეა იგი წარმოდგენილი ბუტკოვის შრომაში „Материалы для новой истории Кавказа (II)“, დავით გიორგის ძისა და მისი ძმების მიერ დაწერილ საქართველოს ისტორიის მასალებში, ე. წ. არქეოლოგიურ კომისიის „აქტებში“, აკად. ბ. ბროსეს შრომებში და, დასასრულ. ასევე იცნობს იოანეს „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, რომელიც პლატონ იოსელიანმა დასწერა.

მთელი ეს მასალა ეხება იოანეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას, მაგრამ არსად არ გვაცნობს მის ლიტერატურულ საქმიანობას. სამაგიეროდ ეს მხარე გაუხსნავთ იმ დროის მწერალ-პოეტებს: იონა ხელაშვილს, პ. ლარაძეს და სხვებს. იოანეს ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა შეიძლება გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე იმ შრომებითა და პირველწყაროებით, რომლებიც თვით ავტორმა დაგვიტოვა. მას ხელი მოწერილი აქვს აქტებსა და სიგელებზე. შენახულა ჩვენი მწერლის ხელწერი და ფაქსიმილე. ყველა მისი შრომა დაცულია ავტოგრაფის სახით.

პირველი, ვინც ჩვენი მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობა გაგვაცნო, იყო ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. მას აღმოუჩენია პირველად „კავკასოზის“ ერთ-ერთი ხელნაწერი. რომლის გარშემოც 1861 წლის თურნ. „ცისკრის“ მე-4 ნომერში მოუთავსებია წერილი (გვ. 523—555), სადაც დ. ბაქრაძე გვევლინება იოანეს პირველ ბიოგრაფად. ეტყობა, იგი იყენებდა დოკუმენტალურ მასალას, სხვათა შორის, დ. ბაქრაძეს ხელთ უნდა ჰქონოდა პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. 1862

წელს დაბეჭდილ „კალმასობას“ წამძღვარებული აქვს ბაქრაძის წინასიტყვაობა; სადაც საფუძვლიანადაა გარჩეული „კალმასობა“ როგორც ლიტერატურული ფაქტი. 1867—68 წლებში ეურ. „ცხარე-წვეთების სახით დაბეჭდა „კალმასობა“, მაგრამ იქ არ მხმარებულა ვაშლიანი მოკვლევა იოანე ბატონიშვილზე.

„კალმასობა“ 1895 წელს მეორედ გამოსცა ცალკე წიგნად ზაქარია კიკინაძემ, რომელმაც წარუმძღვარა მას 1862 წლის გამოცემის წინასიტყვაობა დიმიტრი ბაქრაძისა, ამასთან წიგნს ბოლოსში საკუთარი შენიშვნებიც დაურთო. ზ. კიკინაძე აცხადებს, რომ დ. ბაქრაძემ ბოლოს აზრი შეიცვალა „კალმასობის“ ავტორზე, რადგან „ეხლა ლაპარაკობენ თითქოს „კალმასობა“ იონა ბერს ეკუთვნისო“. თითონ ზაქარია ამბობს, რომ „ამ კილოთი და ენით წერა, როგორც „კალმასობა“ არის ნაწერი, უფრო იონა ბერს ცოდნია“.

უფრო ადრე, 1866, 1894 წლებში, პროფ. ალ. ცაგარელმა თავის შრომაში „Сведения о памятниках Грузинской письменности“, (სამ წიგნად) გამოაქვეყნა მეტად ძვირფასი ნუსხა იმ წიგნებისა, რომლებიც დაცული იყო იოანე ბატონიშვილის ბიბლიოთეკაში და რომლებიც მის შეიღისშვილს, ივანე გრუზინსკის, პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკა-სათვის უჩუქებია.

პროფ. ალ. ცაგარელი „კალმასობის“ ავტორად იოანეს სცნობდა, იგი სცნობდა იოანეს მთელ რიგ შრომებს და, სხვათა შორის, იმ „პროექტსაც“, რომელიც 1799 წელს იოანემ თავის მამას გიორგი მეცამეტეს წარუდგინა. „Сведения“-ში წარმოდგენილია ჩვენი მწერლის ბიოგრაფიულ-ლიტერატურული მიმოხილვა (II, გვ. VII.). ცაგარელი პირველი იყო, რომელმაც მიგვიითთა იოანეს შესახებ რუსეთში დაცულ მასალაზე. მან გამოიყენა დ. ბაქრაძის ზემოთ დასახელებული ცნობებიც.

ამის შემდეგ დასახელებულ უნდა იქნას პროფ. ალ. ხახანაშვილი. მისი „Очерки“-ს მესამე წიგნში არის ცნობები იოანეს მოღვაწეობის შესახებ. ხახანაშვილი ეყრდნობა ბაქრაძისა და პროფ. ალ. ცაგარლის ცნობებს (იხ. „Очерки по истории“, etc. III, გვ. 293, 341). მკვლევარის აზრით, „კალმასობის“ ავტორი შეიძლება იყოს როგორც იოანე ბატონიშვილი, ისე იონა ხელაშვილი.

იოანე ბატონიშვილის ლექსების შესახებ ცნობები გვხვდება პროფ. ე. თაყაიშვილის „Описание рукописей“-ში. ე. თაყაიშვილმაცვე გამოსცა ე. წ. „მცირე უწყებაი“, რომელიც „კალმასობის“ ნაწილს შეიცავს.

1911 წელს გაზ. „სახალხო გაზეთში“ № 282 ს. ცომაიამ მოათავსა ცნობა ლენინგრადში დაცულ „კალმასობის“ ხელნაწერების შესახებ, ხოლო იმავე გაზეთის მე-348 ნომერში ნ. ბარნაბიშვილმა დაბეჭდა წერილი „ბერი იონა ხელაშვილი და მისი მოგზაურობა“, სადაც „კალმასობის“

ავტორად იონა ხელაშვილია აღიარებული. იმავე აზრისაა იონა ხელაშვილის „კალმასობის“ ავტორის შესახებ ნ. დადიანი (იხ. გაზ. „ლომისი“, 1927 წ.).

„კალმასობის“ ავტორისა და, საერთოდ, იონა ხელაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ ცნობები მოცემულია კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ და მეორე ტომში. პირველ ტომში პროფ. კეკელიძე „კალმასობისა“ და მისი ორიგინალური ნაწილის — „მცირე უწყებების“ ავტორად იონა ხელაშვილს აღიარებს. მაგრამ ეს აზრი მან ადრევე შეიცვალა და ეხლა „კალმასობის“ მის მიერ რედაქტირებულ 1936 წლის გამოცემაში იგი ავტორად იონა ხელაშვილს აცხადებს.

1927 წელს ჟურ. „საქართველოს არქივში“ (II) კარიკაშვილმა დაბეჭდა წერილი: „ვინ არის კალმასობის ანუ „ხუმარსწავლად“ წოდებული ქართული ენციკლოპედიის ავტორი (გვ. 29—47, 187). წერილში ვრცელი ცნობებითაა მოცემული „კალმასობის“ ავტორის შესახებ. განსვენებული მკვლევარი ჭეშმარიტებას ლაღატობს, როცა სწერს, ვითომ იონა ხელაშვილის მიწერ-მოწერაში პირდაპირი ცნობა „კალმასობის“ ავტორის შესახებ მას აღმოეჩინოს. საკვირველია, რომ თავის წერილში მას მოჰყავს ზეპირ-ნათქვამი და სადაც მინაწერი ცნობა თვით ჟორდანიასი და პეტრე უმიკაშვილს კი ივიწყებს, რომელსაც ეკუთვნის ნამდვილად „კალმასობის“ ავტორის შესახებ ცნობის აღმოჩენა.

S 1532 ხელნაწერისათვის *), სადაც მოცემულია ცნობა „კალმასობის“ ავტორზე, პეტრე უმიკაშვილს 1883 წელს მიუწერია საკუთარი შენიშვნები. მინაწერს გვერდის მესამედი უკავია (იხ. S 1532, გვ. 97). ნუ თუ დ. კარიკაშვილმა, რომელიც ერთ-ერთი სიძველეთმცოდნეთაგანი იყო. პ. უმიკაშვილის მინაწერი ვერ შეამჩნია და თ. ჟორდანიას ნათქვამი გაახსენდა?

დასასრულ დასახელებულ უნდა იქნას „კალმასობის“ შინაარსის გადმოცემის ცდა, რომელიც ლიტოგრაფიის წესით 1933 წელს გამოსცა ტფილისის დაუსწრებელმა პედ. ინსტიტუტმა და ეკუთვნის გ. ჯავახიშვილს.

ბოლოს, 1936 წ. გამოვიდა პროფ. კ. კეკელიძისა და აღ. ბარამიძის რედაქციით „კალმასობის“ პირველი ტომი. გამოცემის შესავალში ძვირფასი ისტორიულ-ლიტერატურული ცნობებია მოცემული რედაქტორების მიერ.

*) ასე ეწოდება სიმოკლისათვის საქ. მუზეუმის „წერა-კითხვის გამავრცელებლო საზოგადოების“ ხელნაწერთა ფონდს.

იოანეს შრომების გამოცემის გეგმა



არც ერთი თბზულება იოანე ბატონიშვილისა ჯეროვანი გამოცემული არ არის. მისი შრომების ჯეროვანი გამოცემა უნდა ხერხდება.

პირველად „კალმასობა“ 1862 წელს გამოიცა დ. ბაქრაძის რედაქტორობით. იმავე სახით იგი 1895 წელს გამოცა ზაქარია ჭიჭინაძემ. 1867—68 წელს ეურ. „ცისკარში“ დაბეჭდა „კალმასობის“ ზოგიერთი ნაწილი; 1867 წლის „ცისკრის“ დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი „კალმასობის“ ნაწილი ემთხვევა ზ. ჭიჭინაძის გამოცემის 288 გვერდიდან 303 გვერდამდე დაბეჭდილ ნაწილს (აღგლიდან: „ხოლო ხვალისა დღე იოანემ იხილა“ დასასრული: „მან ასწავლა კაცთა ხენა“ და სხვ.).

1868 წლის „ცისკრის“ მარტის ნომერში დაბეჭდილი ნაწილი „კალმასობისა“ ემთხვევა ჭიჭინაძის გამოცემის 355 გვერდიდან 382 გვერდამდე („ხოლო ბუნებით ღვთის მეტყველება“ და სხვ. დასასრული: „მიმავალი უნეთა ანუ ცხენითა“).

იმავე წლის მაისის ნომერში დაბეჭდილი ნაწილი „კალმასობისა“ ემთხვევა ჭიჭინაძის გამოცემის 399 გვერდიდან 421 გვერდამდე ე. ი. ბოლომდე (იწყება აღგლით: „შემდგომად მისა მოიღეს ფლავი“ და სრულდება: „ერთგულებისა მეფისა და მამულისასა“).

ასე რომ ზ. ჭიჭინაძის გამოცემიდან ნაწილი „კალმასობისა“, დაბეჭდილი 288—303, 355—382 და 399—421 გვერდებზე, იქნება მესამე გამოცემა. ხოლო ეს ნაწილი ახალი, 1936 წლის, გამოცემით იქნება მეოთხე გამოცემა.

უკანასკნელი გამოცემა, რომელიც შესრულებულია პროფ. კ. ქველიძისა და აღ. ბარამიძის რედაქტორობით, წარმოადგენს „კალმასობის“ ნახევარს და შეიცავს ნაწილობრივ ძველ გამოცემათა აღდგენას, ნაწილობრივ კი სრულიად ახალ გამოცემას. ამ გამოცემის გვერდები პირველიდან 210-დე ემთხვევა ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემას. მას მოსდევს (გვ. 210—302) „კალმასობის“ ჯერეთ გამოუქვეყნებელი ხელნაწერების მომდევნო ნაწილი. ამგვარად, უკანასკნელ გამოცემაში ძველი წარმოდგენილია ნაწილობრივ მეოთხე გამოცემად, ნაწილობრივ მესამე გამოცემად, ნაწილობრივ კიდევ პირველ გამოცემად. მას შეიძლება ეწოდოს „მცირე გამოცემა“, რადგან აქ გამოტოვებულია ის მეტად დიდი ნაწილი, რომელიც „კალმასობას“ მართლაც ამძიმებს. მარტო ჭიჭინაძის გამოცემიდან ამოვღებულია 176 გვერდი, S 5374 ხელნაწერიდან კი გამოშვებულია 50 გვერდამდე. ასე რომ, მეტად საპატიო მიზეზის გამო, დასახელებული გამოცემა არ არის სრული და ზოგჯერ საკირდებისამებრ უნდა მივიპართოთ ხელნაწერს. მომავალში კი აუცილებლად მთლიანად უნდა გამოიცეს „კალმასობა“.

პროფ. კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის გამოცემიდან ქართულ-ბაქრადისულ გამოცემის მიხედვით (1895 წ. გამოცემა) ამოგდებული შემდეგი გვერდები: 24-დან 26-მდე, 28—32, 49—50, 53—54, 65—79, 110—118, 127—243, 261—287, და 412—419. დამხმარე გვერდების შესაფერი ადგილები ამოგდებულია 1936 წ. გამოცემაში შემდეგი თანმიმდევრობით: გვ. 3, 6, 21, 25, 29, 38, 66, 65, 92, 208. ასე რომ პროფ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის გამოცემაში მარტო ქიქინაძე-ბაქრადის გამოცემის მიხედვით ათი შემთხვევა გვაქვს გამოტოვებისა.

გამოტოვებულია ადგილები S 5374 ხელნაწერის მიხედვითაც. ამ ხელნაწერის მასალა 255 გვერდამდე შესულა 1936 წ. გამოცემის ბოლო ნაწილში. აქედანაც ამოღებულია შემდეგი გვერდების მასალა: 157—163, 181—192, 197—198, 225—331, 233—237, 255—263.

გამოტოვებულს შორის არის შეტად საიეტერესო მსჯელობა პორტინ ლეტერზე, რეფორმატორებზე, ე. წ. „სტაროვერებზე“, გრამატიკასა და სკოლასტიკურ დიალექტიკაზე, რესპუბლიკურ მართვა-გამგეობაზე, მათემატიკაზე და სხვ.

მაგრამ 1936 წ. გამოცემაში აღდგენილიცაა ბევრი ადგილი, რომელიც თავის დროზე არ მოხვდა ან დამახინჯებულ იქნა ბაქრაძე-ქიქინაძის გამოცემაში.

აღდგენილია შემდეგი გვერდები ბაქრაძე-ქიქინაძის გამოცემის მიხედვით: 49, 63, 64, 65, 74, 75, 94, სადაც თანამდე ადგილია გასწორებული. ამავე თანმიმდევრობით აღდგენილი ადგილები შეტანილია 1936 წ. გამოცემის შემდეგ გვერდებში: 21, 27, 28, 29, 36, 38, 94.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოცემა შეტად კარგადაა შესრულებული: გარე კანზე და დასაწყისის ბოლო თავფურცელზე შესაფერიმ ხატვრობაა, საიდანაც ჩანს, რომ მხატვარს (ვინ შეასრულა მხატვრობა?) კარგად გაუგია ძეგლი. იგი რეალისტურად გამოხატავს მოქმედებას, განსაკუთრებით კარგადაა მხატვრობაში წარმოდგენილი იონა ხელაშვილისა და ზურაბ დამბარაშვილის ტიპიური პორტრეტები. ამავე გამოცემაში პირველად ელირსა იონანე ბატონიშვილი თავის თხზულებათა წინ საკუთარ პორტრეტს, თუმცა იონანე ბატონიშვილის სურათი ზაქარია ქიქინაძის გამოცემის დროსაც იყო ცნობილი.

„კალმასობის“ ერთი ნაწილი, ე. წ. „მცირე უწყება“ ქართულ მწერალთათვის“ გამოსცა პროფ. ე. თაყაიშვილმა (იხ. „ძველი საქართველო“, ტ. I, გვ. 1—60), ხოლო მას ამ ძეგლის ავტორად თეიმურაზ ბატონიშვილი მიაჩნია. მასვე დაბეჭდილი აქვს იონანე ბატონიშვილის ზოგიერთი ლექსის აღწერილობა. ერთი ამ ლექსთაგანი მოთავსებულია პროფ. კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომში (გვ. 436).

იოანეს ცხოვრება და მოღვაწეობა.



სანამ იოანე ბატონიშვილის შემოქმედების ლიტერატურულ მხალიზე გადავიდოდეთ, საჭიროა შევეხოთ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

იოანეს სახელდება სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი „აქტებში“ და ოფიციალურ დოკუმენტებში. ხან იგი იწოდება „მწირო მეფის ძე იოანე“-დ, ხან „მეფის ძე კავალერ იოანე გიორგის ძე“-დ, ძალიან ხშირად — „მინისტრი და მეფის ძე იოანე“-დ, ხან კიდევ „ფელდციხმეისტერი იოანე“-დ. ოფიციალურ დოკუმენტებში მას თანამდებობრივი სახელით უწერია ხელი. თანამდებობით კი იგი „ფელდციხმეისტერი“ ყოფილა.

იოანე იყო შვილი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი მეცამეტისა. დედა, ქეთევან დედოფალი, ჭიჭიყის მოურავის თავად პაპუა ანდრონიკაშვილის ასული იყო. პაპა მისი იყო ცნობილი პატარა კახი, ერეკლე მეორე. დაბადებულა იოანე, დიმიტრი ბაქრაძის ცნობით, 1772 წელს, რასაც შემდეგ იმეორებს ყველა მკვლევარი (იხ. „Очерки“, III, 34, ალ. ცაგარლის „Сведения“, I, „კალმასობა“ 1936 წ. გამოცემა). საიდან ამოიღო ბაქრაძემ ეს ცნობა, არ ვიცით, ხოლო მას არღვევს მოგზაურ გულდერშტეტის ცნობა, რომელიც პლატონ იოსელიანს აქვს მოხსენებულ „გიორგი მეცამეტის ცხოვრებაში“ (გვ. 10, 1936 წ. გამოცემა), საიდანაც იოანე 1772 წელს ორი წლისა სჩანს, და „აქტებში“ დატული ერთი ცნობა. საიდანაც იოანე 1772 წელს ერთი წლისა ჩანს.

დედით იოანე 1782 წელს დაობლებულა (იხ. „ცხოვრება“, გვ. 10; „ქართლის ცხოვრება“, ჩუბინაშვილის გამოც., II, გვ. 509; „მასალები საქ. ისტორიისათვის“, შეკრებილი დავით ბატონიშვილისა და მისი ძმების მიერ, გვ. 27 *).

მართალი არ არის პროფ. ალ. ხახანაშვილი, როცა წერს: იოანეს რვა წლისას გარდაეცვალა დედაო (იხ. „Очерки“, III, 341). მაშინ, როცა ქეთევან დედოფალი გარდაიცვალა, იოანე თერთმეტი წლისა თუ არა, ათი წლის ყრმა მაინც იქნებოდა.

ღვიძლი დედიდან იოანეს ჰყავდა შემდეგი და-ძმები: დავით, ბაგრატ, თეიმურაზ, სოფიო, რიფსიმე, გაიანე (იხ. „ცხა“, გვ. 10). ბევრმა მათგანმა გამოიჩინა თავი პოლიტიკურ-ლიტერატურული მოღვაწეობით. ერეკლისა და გიორგი მეცამეტის ოჯახი დიდი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მატარებელი იყო. ამ გარემოში გაზრდილს, იოანე ბატონიშვილს ყრმობიდანვე უნდა მიეღო შესაფერი ფეოდალური სწავლა-აღზრდა. მის ღრმა ენციკლოპედურ განათლებას ერთხმად ადასტურებენ თანამედროვენი. მათ შორის იონა ხელაშვილის ცნობაა ყველაზე უფრო

**) აღნიშნული წიგნების სახელს ქვემოთ აღვნიშნავთ მოკლედ: „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ — „ცხა“, „ქართლის ცხოვრება“ ჩუბინაშვილის გამოცემა — „ქართება“, „მასალები“ და სხვა.

საინტერესო: „თქვენს შორის თეორეტიკა ფილოსოფიისა და პრაქტიკიანიკა კეთილშესახებებისა და ზელოვნებისა მათგან უმეტესად მხატვრობანი და მკურნალობისა (ა ნაწილნი და ფიზიკური მხარეები“ (იხ. საქ. მუზეუმი, საისტორიო ფონდის ე. წ. II ფონდი, № 791, გვ. 2).

იოანემ დიდი მამაცობა გამოიჩინა გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასე, მაგ., 1789 წ. მას მონაწილეობა მიუღია კარელთა წინააღმდეგ ლაშქრობაში. მტერი დასძმია ქიზიყს და „ამ დროს მყოფნი გორს მეფის ძემ იულონ და ძმისწული მისი იოანე განვიდნენ მტკვარს, ეწვივნენ ზედა ველზედ, იქნა უკვე ბრძოლა მუნ, მხნედ იყო მეფის ძე იოანე, იმლივლენ ლეკნი და წარვიდნენ სირცხვილეულნი“ („ქართება“, II, გვ. 512, „მასალები“, 37), ამ დროს იოანე 17—18 წლის ქაბუკი თუ იქნებოდა.

სოლომონ პირველის სიკვდილის შემდეგ იმერეთის სამეფო ტახტის გარშემო დაეა ჰქონდა ორ დავითს: დავით არჩილის ძეს და დავით გიორგის ძეს. ორივე ნათესაურ დამოკიდებულებაში იყო ერეკლე მეორესთან. პირველი დავითი შეიღისშვილი იყო პატარა კახისა. 1789 წ. ერეკლეს დახმარებით დავით არჩილისძე იმერეთის ტახტზე ავიდა სოლომონ მეორის სახელით. 1790 წ. დავით გიორგის ძემ მოახერხა ჯარის შეკრება და თავს დაესხა სოლომონ მეორეს. სოლომონ მეორეს დასახმარებლად ერეკლემ მიაშველა ძისწული იოანე. იოანემ სძლია დავით გიორგის ძეს და შეუნარჩუნა ტახტი სოლომონს („მასალები“, 3940. „ქართება“, 513. БУТКОВ II, 453). 1785 წ. იოანემ მონაწილეობა მიიღო ცნობილი ალაშაშხვანის წინააღმდეგ ბრძოლაში: „დღესა ამას მხნედ იყო მეფის ძე იოანე, ესრედ უკეთუ იგი არ ყოფილიყო მუნ შეიპყრობდენ მეფესაცა არაელის“ („ქართება“, 515, „მასალები“, 44).

1796—1800 წლებში იოანემ დიდი გმირობა გამოიჩინა ომარხან ავარელის წინააღმდეგ ბრძოლაში. ომარხანი, ლეკებისა და ქართველ მეფეებზე უკაცყოფილო ალექსანდრე ბატონიშვილის დახმარებით, წარა-მარა აწყობდა საქართველოზე თავდასხმას. იოანეს სომამაციო სამჯერ იქნა უკუქმეული ომარხან დაღესტნელი.

ყველაზე მეტი გმირობა იოანეს გამოუჩენია 1800 წელს ნიახურის ბრძოლაში, იორზე. ეს ფაქტი აღნიშნულია თვით „კალმასობაში“. გმირი ერეკლე მეორე გარდაცვლილი იყო. მეფე გიორგი მეცამეტე სწული იწვა და გარეშე თუ შინაურ მტერს საუკეთესო მომენტი ჰქონდა ერთხელ კიდევ აეოხრებინა ქართლ-კახეთი, ზღუთ ჩაეგდო ტფილისი. ომარხანი ლეკის ჯარითურთ ალაზანზე დაბანაკდა. მას შეუერთდა ალექსანდრე ბატონიშვილი. იოანემ მამის დავალებით აცნობა ბაგრატს. რომელიც ამ დროს კახეთის გამგედ იყო, შეეკრიბა ჯარი და „ბრძონ ომარხანს“. იოანემ რუსის ჯარის დახმარებით სძლია მტერს. მატთანე ამბობს: „მეფის

ქნიცა იოანე და ბაგრატ შეუდგნენ უკან მხეტრობითა რუსთა და კახელთა, რომელთა არა ჰყავდა უმეტესისა ორი ათასისა მხეტრობა რუსითურთ. ეწივნენ ნიახურსა ზედა... იძლიენენ ლეკი ომბრობითურთ და ალექსანდრეთი" („მასალები“, 57, „ქართუბა“, ВУКРЕКРЕКРЕКРЕК).

ომარხან ავარელთან ბრძოლისას იოანე ბატონიშვილებს უკრებდა ალექსანდრე ბატონიშვილის წინააღმდეგაც. მან პირველ თხოვნისთანავე თანხმობა გაუწუცხადა გენერალ ლაზარევს, რომ მასთან ერთად იქნება ალექსანდრე ბატონიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში. გიორგი მეცამეტე? თავის მხრივ მისწერა ენორინგს: ჩვენ ვებრძვით ომარხანს და ჩვენი შვილები იოანე და ბაგრატ მის წინააღმდეგ ვაგვზავნეთ ქიზიყსო (АКТЫ I, 169). ამ ფაქტს ფრიად გაუხარებია თვით ქვრივი დედოფალი დარეჯან. იოანე თავის მხრივ სწერდა ენორინგს: ვარ ბედნიერი, რომ მივიღე მონაწილეობა ლეკების დამარცხებაში. მათ მხარეზე იმყოფებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი, ალისკანდი და მრავალი დაღესტნელი. მათ წინააღმდეგ გამირობის გამო გენ. ლაზარევმა და გულიაკოვმა მადლობა გამომიცხადეს. ვიქნები თქვენი ქვეშაირი და სხვა (АКТЫ I, 175). რუსის მოხელეებმა დაუფასეს იოანეს ღვაწლი. ვიცე-კანცლერი კურაკინი სწერდა ენორინგს: საჭიროა იოანეს დაჯილდოება წმინდა ანას პირველი კლასის ორდენით.

იმპერატორმა პავლე პირველმა „უბოძა მეფის ძეს იოანეს და ბაგრატს ჯვარი იოანე ნათლისმცემლისა“ („მასალები“, 58).

გიორგი მეცამეტის სამეფო კარზე იოანე დიდი ნდობით იყო აღჭურვილი. დიდ პატივს ცემდნენ მას რუსი მოხელეებიც. კოვალევსკი თავის მოხსენებაში წერს, საქართველოში წესრიგის დასაცავად უნდა მომეცეს გიორგის მეორე შვილი, მეფის ძე იოანეო. იგივე კოვალევსკი დასძენს, რომ არც ერთი ღონისძიება არ ტარდება ჩემს მიერ მეფის ძის იოანესთან წინასწარი თათბირის გარეშე (АКТЫ I, 137). როცა 1799 წ. საქართველოში შემოვიდა ლაზარევის ერთი პოლკი ჯარი, „მეფისძენი დავით და იოანე წინა უძღოდეს მას დარიალის გზით“. (ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 182).

1798 წ. გიორგიმ დააეღა შვილებს — დავითსა და იოანეს ქართლ-კახეთის აღწერა. მათ მოახერხეს მხოლოდ კახეთის მოსახლეობის აღწერა. დღემდე დაცულია ამ აღწერის დავითარი. გიორგი ზშირად აფრთხილებდა თურმე შვილებს დავითს და იოანეს, არ დაახლოვებოდნენ ვანდგომილ ბატონიშვილებს ალექსანდრესა და იულონს: „ვერცა იგი დავით და ვერცა შვილი ჩემი იოანე ნაყოფს კეთილს ვერა იხილვენ მეგობრობითა მათთანა“—ო, იტყოდა თურმე გიორგი („ცხოვრება“, 69).

დავით უფროსი შვილი იყო გიორგისა. ტახტი მას ეკუთვნოდა (თუმცა ესე არ ეწერა ირაკლის ანდერძში). მაგრამ იგი არ იქცეოდა თურმე სურვილისამებრ მამისა. იგი გახდა „ურწმუნო ვოლტერიანელი“ („ცხოვრება“, 14. „მართობი“. № 1 — 2).

იხ. ამის შესახებ ლ. ასათიანის წიგნი „ვოლტერისა და საქართველოში“). თუმცა კი, პლატონ იოსელიანის თქმით, „მეფის ბრძანებით და იოანე იყვნენ გონიერნი, მხნე და საქმის კაცი“ („ცხოვრება“, 69).

გიორგი მეცამეტე ერთგან სწერს კნორინგს: ტფილისის დაცვისათვის სასურველია დავიხმაროთ საყვარელი შვილი იოანეო (АКТИ, I, 130). გენერალი ლაზარევი თავის მხრივ ასე ახასიათებს იოანეს: „ბატონი შვილი იოანე მეტად დარბაისელი კაცია, მაგრამ ისიც ჩამოშორებულია საქმეებს, თუმცა მეფე ყველაზე უფრო ენდობა მას და სხვებზე მეტად იყენებენ საქმეებში“ („Анты“, I, 184).

ლაზარევი ნდობით ეპყრობოდა იოანეს მეფის გარდაცვალების შემდეგ. მას უბრძანებია: „ყოველი განკარგულება და ბრძანება დამტკიცებამდე შემკვიდრისა დავითისა მეფედ იმპერატორისაგან იქნებოდა ბეკედსმულნი სამთა პირთაგან, ე. ი. მეფის ძის იოანესი, ეგნატი მდივნისა თუმანიშვილისა და ჩემისაო“ („ცხოვრება“, 213).

მეფე გიორგი მეცამეტე საპატიო საქმეებს იოანეს ანდობდა. 1800 წელს, 8 თებერვალს მან დაავალა იოანეს გამოეძიებია მამულის გამო აღძრული დავა იკორთის მონასტრისა. „მეფის ძემან იოანემ სრულჰყო ესე საქმე“. იოანეს სამეფო კარზე „ფელციხმეისტრობა“ ეჭირა. ასე აწერს იგი ხელს იმ დოკუმენტებს, რომლებიც „აქტებშია“ დაბეჭდილი. ამას ადასტურებს ერთი სიგელი, რომელიც გიორგი მეცამეტემ იოანე ბატონიშვილს უბოძა: „წყალობითა ლეთისათა ჩვენ, იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვიანმან, სრულიად საქართველოსა და კახეთისა და სხვათა მეფემან გიორგიმ დავადგინეთ ჩვენი ძე იოანე ფელციხმეისტერად, რომელ არს თოფჩიბაზობა და გარწმუნეთ ყოველი ჩვენი არტილერია და მსახურნი, მისნი ოფიცერი და თოფჩანი და რომელნიც სახმრნიეთნი არიან, ტყვია ან წამალით. თუ სხვა რა მომ იარალი ყოველი შენი კითხვით უნდა გარიგდებოდეს და გაგიწესეთ წელიწადში შენის სახელის ჯამაგირი და ულუფა თეთრი, ოთხმოცდა ათი თუმანი“. დოკუმენტზე ხელს აწერს ბეჭდის დასმით მეფე გიორგი. „თვესა იენისსა იც (17) ქრონიკონსა უბე (1798 წ.) (იხ. Hd 3142. „საქ. მუზეუმის საისტორიო ფონდის სიგელგულჯრები“).

„ფელციხმეისტრის“ სახელით აწერს იოანე ხელს იმ პროექტს, რომელიც მან 1799 წ. წარუდგინა გიორგი მეცამეტეს „სახელმწიფო მართვა-გამგეობის მოწესრიგების შესახებ“. (იხ. H 2155). იგი მეტად ძვირფასი დოკუმენტია. ამ პროექტის ზოგიერთ ადგილმა თავი იჩინა „კალმასო-ზაში“. პროექტის ავტორს ორი მიზანი ჰქონია: ეჩვენებინა საქართველოს სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული მდგომარეობა და დაესახა მისი გაუმჯობესების გზები. სხვა საქმეა, რამდენად გაატარეს მისი მითითებანი ცხოვრებაში და ვის შეეძლო განეხორციელებინა პრო-

ეჭტი, მაგრამ მასში რომ იოანე ჭკვიან პროგრესიულ პოლიტიკოსად მოხანს, ეს უოაეოა. იქ ნათქავეა ყოველივე ის, რის თქმაც შეეძლო მე-18 საუკუნის გასულის მოწინავე ქართველ ფეოდალს, ის პროექტი, როგორც იოანე აცხადებს, გიორგი მეცამეტეს მოუწუნებლად „სიკვდილმა უსწრაფაო“, ნაღვლიანად შენიშნავს იგი.

იოანეს აწუხებს საქართველოში შექმნილი შინაგანი და გარეგანი უთანხმოებანი: „თითქმის საქართველო ძველადგანვე შინა გამცემთა კაცთაგან დამდაბლდაო“ (24). საჭიროა მეფემ დასაჯოს ისინი „ანუ დაჭერით, ანუ სიკვდილით, ვინდ მეფის ძე იყოს, ვინდ მონათესავე“ (24). ზოგჯერ საჭიროა, „მეფის დაუდგრომელი დაიკარგოს რუსეთსა შინა-ო (25).

იოანე ურჩევს მეფეს, იყოლიოს მხედრობა მზა სახით, საჭიროა ყოველი ათი კომლიდან გამოყვანილ იქნას ერთი უცოლშვილო ყმაწვილი, რომელიც ხუთ წელს იმსახურებს ჯარში. მეთაურთა ჯგუფი რეგულიარული უნდა იყოს, ქართლ-კახეთში საჭიროა ოთხი სასარდლოს დაარსება. უნდა შეიქმნას ცხენოსანი ჯარი უნდა ჩამოისხას ზარბაზნებიც. კავალერიას უნდა ჰქონდეს თავისი ნიშნები: წმინდა ნინოს სახე, სახე დავით აღმაშენებლისა, წმინდა გიორგისა და სხვა. საჭიროა ფასიანი ჯარის შექმნა. ცხე-სიმაგრეების აშენება, მაგრამ „ომს ნუ დავიწყებთ დიდ ხელწიფეებთან. ომი მათთან ყოველთვის საზიფათოა“.

ასე მოხანს იოანე აღნიშნულ პროექტში.

ეხლა სახელმწიფო წყობილებისა, საფუძვლისა და მეფის მემკვიდრეთა შესახებ. ირაკლი მეორემ ანდერძად დასტოვა, რომ მეფობა ძმებზე გადადიოდეს. საჭიროა თქვენს შემდეგ, — მიმართავს იოანე მამას, — იულონ იყოს მეფედ, იულონის შემდეგ დავით, დავითის შემდეგ ვახტანგ და ესრედ. თავის დროზე, სჩანს, ირაკლის ანდერძს დიდი გაუგებრობა გამოუწვევია. მის ნიძდაგზე დიდმა უთანხმოებამ იჩინა თავი სასახლის წევრთა შორის, ერეკლისა და გიორგის ოჯახი ოცდა ოთხი სულისაგან შესდგებოდა და ყველა, ბალღი ფარნაოზ ბატონიშვილიც კი, ტახტზე ოცნებობდა. მგონი, იოანე ერთად-ერთი იყო, რომელსაც არ გააჩნდა ასეთი ზრახვები. იგი უფრო სხვა მოწოდების კაცი იყო. თავის პროექტში იოანე სთხოვს გიორგის, განახორციელოს ირაკლის ანდერძი, მაგრამ იქვე დასძენს: „არ ინიშნებოდენ მეფეებად უნიკოები“-ო.

როგორ არის შესაძლებელი ქართლ-კახეთ-იმერეთის გაერთიანება? „რომელიც მეფე მოკვდეს უწინ და ვინც დარჩეს, ის გამეფდეს ორივე ქვეყანაში“ (23), — სწერს იოანე.

მეფის კარზე უნდა დაარსდეს ერთგვარი სათათბირო, სადაც სამ-სამი კაცი უნდა იყოს წარმომადგენლად ქართლ-კახეთიდან და სხვა ადგილებიდან. მათ შორის სამი კაცი უნდა იყოს მოქალაქეთაგან, ე. ი. ქალაქის წვრილ ხელოსანთაგან. იქ უნდა ირჩეოდეს ომის, ზავის და ქვეყნის სხვა

საკითხები. საკითხს განსახილველად მეფე უნდა გადასცემდეს სათათბიროს, და, ბოლოს, მეფისა და სათათბიროს ხმრები ერთად უნდა შემოწმდეს. მეფეს უნდა პყავდეს ნაიბები, ე. ი. მოადგილეები. სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველი დარგისთვის საჭიროებს დიარსება. უნდა იყოს, მაგალითად, განათლების, სტამბების და სხვათა სამინისტროები.

იოანე მოითხოვს მოსახლეობის ცენზის მიხედვით დაბეგვრას. მას გადასახადების სამი კატეგორია აქვს მოცემული .იოანე ურჩევს მეფეს, გადასცეს მამულები და ვენახები ვაჭრებს იჯარით. ისინი უფრო კარგად მოუვლიანო. ასევე: თუ სახელმწიფო შესძლებს მადნების დამუშავებას, თითონ მოაწყოს წარმოებაო, თუ არა და იჯარით გაიყოსო. საჭიროა მკსოველთა შოვნა, რადგან მასალა ბევრი მოიპოვებაო სახელმწიფოში. უნდა იყოს „იკონომოსი“. ვაჭრობა-მრეწველობამ ვრთება უნდა ვაშალოს. ვაჭრებს ხელი უნდა შეეწყოს: „ჩვენ თითქმის სომხებიაა და თათრების ვაჭრების ხელის შემხედველი ვართ. და ეს ძლიერება ჩვენა ჩვენი, ოდეს ვაჭარნიცა ძლიერნი იქნებიან“.

როგორც ხდაეთ, იოანე თავისი დროის პროგრესიული იდეების მატარებლად გვევლინება.

სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძვლად იგი მეფეს — ფეოდალურ მანარქიას — და სათათბირო-სამინისტროებს აღიარებს. ეკონომიურ საფუძვლად კი — ფეოდალურ მეურნეობას, კაპიტალიზმბულს ვაჭრობა-მრეწველობის გზით. ეს გზა, ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზა იქნებოდა.

პროექტში სულ ოთხმოცი წინადადებაა წარმოდგენილი. იქ, სხვათა შორის, ლაპარაკია სასკოლო რეფორმაზედაც. იოანე წინადადებას იძლევა სამ ადგილას დაარსდეს უმაღლესი სკოლა: ტფილისსა, გორსა და თელავში. (იხ. პროფ. ა. ცაგარელის „Сводение“; I, XXXVIII, პროფ. კეკელიძე, I, გვ. 89). ამ სკოლებში სწავლა უნდა შესძლებოდეთ მოქალაქეთა და გლეხთა შვილებსაც. მასწავლებლებს გასამრჯელო უნდა მისცემოდეთ სახელმწიფოსაგან. ღარიბები და ობოლნი „ვაიოიზარდონ სახელმწიფო ხარჯით“.

პროექტში დიდად საგულისხმოა პირველი ცნობა ქართული გაზეთის შესახებ: „აგრეთვე იბეჭდებოდეს გაზეთი თვეში ორჯერ. იქედამაც შემოვა შემოსავალი და ხალხნიც შეჩვევიან გაზეთის კითხვასა“ (5). ასე რომ ქართული გაზეთის დაარსების იდეა დაბადებულა არა მე-19 საუკუნის ათიან-ოციან წლებში, არამედ უფრო ადრე, ზუსტად 1799 წელს.

ამას გარდა, იოანე მოითხოვს ფოსტის, დავთარხანის, არქივის, ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავის, აფთიაქის, სამშობიარო-სასწრულო სახლის და სხვა დაწესებულებათა დაარსებას.

ამრიგად პროექტში წარმოდგენილია სახელმწიფოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარე. არ არის დავიწყებული საეკლესიო ცხოვრებაც, რომლისთვისაც იგი მოითხოვს, ე. წ. დიკასტერიის შექმნას. აგრეთვე, რომ „კათალიკოზი ღირებულებისამებრ ინიციატივას შეუძლია შეუძინოს“.

ზოგი რამის განხორციელებას იქიდან რაც პროექტში იყო გამოყენებული, თითონ იოანე ცდილობდა.

იოანეს სურდა სასახლის კარზე ყოფილიყო მშვიდობა-ერთსულოვნება: „შეფეშან კვლად სულგრძელობითა მოინება დამშვიდება ძმათა, ამისათვის უბრძანა კოვალევსკის, კათალიკოზსა და მეფის ძეს იოანეს, დააბოლოონ საქმე ესე მეფესთან მორიგებისა“, ამბობს პ. იოსელიანი („ცხოვრება“, 205).

როცა გიორგი მეცამეტე გარდაიცვალა, სასახლის კარზე კიდევ უფრო გაიზარდა შფოთი: „გაჩნდნენ შეამბოხენი, რომელთაცა ზოგთა უნებდა შემკვიდრე დაეით, ზოგთა არც იულონ და არც სხენანი, ზოგთა უნებდა იქნეს აღრჩევით მეფე, მიუხედევლად პირმშობისა. და ვიეთმე დასაწყენარებლად შფოთისა სურდათ დედოფალი დარეჯან“ („ცხოვრება“, 223). ყველაზე მეტ სიმშვიდეს, წესიერებას იოანე იჩენდა, ის ამშვიდებდა ყველას და მათ შორის აღელვებულ იოანე სარდალსაც. გაჩნდნენ თურმე რესპუბლიკელებიც. იოანემ იგრძნო, რომ ეს კი „ცოტა მეტია“, და ხელი მოაწერა იმ დოკუმენტს, რომლითაც ტახტის სიმტკიცის დამცველებმა ქართლ-კახეთის მოსახლეობას მიმართეს. აქ ისინი მოაგონებდნენ ხალხს. რომ არაა სწორი რესპუბლიკაზე ოცნება: „რესპუბლიკა თავად გაჯიკეთებიათ“. „მოიცადეთ, ნუ აჩქარებულხართ“. „რაც იმპერატორის ნება და ბრძანება მოვა, იმაზე დადგით“ („ცხოვრება“, 224).

როგორც ვიცით, მოვიდა რუსეთის მეფის ბრძანებაც. დაეით გიორგის ძე დანიშნულ იქნა ქართლის გამგედ. ასე დაიჭურა ქართული ფეოდალური მონარქიის ათასწლოვანი ისტორია.

ებლა დაეითს არ ასვენებდნენ ბიძები და ბიძაშვილები. შფოთაედნენ. ეს ერეკლეს ანდერძის დარღვევააო. ტახტი ჩვენ უნდა გვრგებოდეთ. დაეითმა იოანეს სთხოვა, დახმარებოდა შეამბოხეთა განადგურებაში. იოანეს ლმობიერება გამოუჩენია: „განატყვებინა ძმისწულმან მისმან იოვანემ უენოდ“, — ამბობს ისტორიკოსი („მასალები“, 58).

1801 წელს ქართველი მეფისწულები და ზოგიერთი დიდებული პეტერბურგში გადაასახლეს. მათ შორის იოანეც მოჰყვა.

ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით, გარდა ლიტერატურული საქმიანობისა, იოანეს მოღვაწეობის შესახებ რუსეთში. ამისათვის საჭიროა იქ, მოსკოვსა და ლენინგრადში, მასალების ჩხრეკა-ძიება.

ღმირი ბაქრაძის თქმით, „იოანე ბატონიშვილის ცხოვრება არ იყო უქმი რუსეთში. იმან შეისრულა, რაც კი სწავლა აკლდა, და აღმოჩნდა

შეცნიერ კაცად“ („კალმასობა“, კიკინაძის გამოცემა, გვ. 7). იოანეს ახალი ცოდნით უნდა გაემდიდრებინოს თავისი გონება რუსეთში. იოანე ხელაშვილის წერილიდანაც სჩანს: „მეფის ძემან იოანემ განმეძღვრე ფილოსოფია ძუელი. ათინელთა და ახალი გერმანიისა“ - იოანე ხელაშვილი (იხ. S. 288, გვ. 57).

ბუტკოვის ცნობით (II, 539, 541), იოანე რუსეთიდან უგზავნიდა რჩევა-დარიგებას ძმას დავითს. ურჩევდა გაეგზავნა რუსეთის მეფისთვის სასახლის წევრთა და დიდებულთა თხოვნა, რომ მათ სურთ დავითი იყოს საქართველოს მეფედ.

იოანეს ცოლად ჰყოლია ქეთევან ზურაბ წერეთლის ასული. ზურაბი მეფის შემდეგ პირველი კაცი იყო იმერეთში. ამიტომაც, სხვათა შორის, იოანე დიდი ნდობით იყო აღჭურვილი მერთა შორის. რუსეთში გადასახლებამდის მას არა ერთხელ ვხვდებით იმერეთში. 1806 წელს, ერთ-ერთი ამბოხების დროს, მეგრელებსა და იმერლებს მოუთხოვიათ იოანეს რუსეთიდან დაბრუნება და იმერეთ-სამეგრელოში გამეფება („Акты“, III, 175).

იოანე რუსეთში განთქმულ ბიბლიოფილად სჩანს. მისი მემკვიდრეობა იყო ის წიგნები, რომლებიც მწერლის შეილისშვილმა ივანე გრუზინსკიმ თავის დროზე აჩუქა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკას. ამ წიგნების ნუსხა დაბეჭდილი აქვს პროფ. ა. ცაგარელს („Сведения“, I, გვ. XI, III, გვ. 188—238).

სჩანს იოანე წიგნების „დიდი მტერი“ ყოფილა. მას აბრალებდა პეტრე ლარაძე თავისი „დილარიანის“ მითვისებას:

„ენა მეფის ძეს იოანეს, მობრძანდა სანახავად,
იგ მან მიმტაცა, უფროვ შემქენა საზრუნავად“.

შემდეგ ლარაძე ამბობს, თითქოს დილარიანს მისი ხელი მოაწერა იოანემ ამან აიძულა პოეტი, დილარიანი ხელახლა დაეწერა: „პირველ-შთომილი არა სრული, მტაცა, მყო გონებითო ხელი-ო“ (ვსარგებლობ 1903 წლის გამოცემული „დილარიანით“). გამოდის, რომ „არ სრული“ დილარიანი წაუღია იოანეს. შერე და რად უნდოდა იგი იოანეს? ცოტა არ იყოს, საქმის სინამდვილე ბურუსშია გახვეული. ეს როგორც დავით კარიჭაშვილს ჰგონია, „პეტრე ლარიძის ინტრიგანობით“ არ აიხსნება, არც ის შეიძლება, პეტრე ლარიძეს „ჯავღლაგა მწერალი“ ეწოდოს (იხ. „საქართველოს არქივი“, II, 29). საფიქრებელია, რომ იოანემ „არ სრული“, ე. ი. დაუმთავრებელი „დილარიანი“ გამოართვა პეტრეს, დაეკარგა და ენაჭორა ადამიანებმა პეტრე გააგულიანეს: იოანემ კი არ დაპყარგა, მითთვისა შენი „დილარიანი-ო“.

რაც შეეხება იოანეს მიერ იონა ხელაშვილის „კალმასობის“ მითვისების საკითხს, იგი საბოლოოდ მოხსნილია. საერთოდ, იოანე თავის ლი-

ტერატორულ მეშაობაში და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ბატონოსან ადამიანად მოსჩანს.

იოანეს მეუღლეს ქეთევანსაც უყვარდა ლიტერატურა, იგი 1823 წელს გარდაიცვალა. მისგან იოანეს დარჩა ერთი უმცროსი შვილი, დროიად ნიჭიერი ადამიანი, პოეტი და მებრძოლი რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მონაწილე 1812 წლის კახეთის აჯანყებისა.

შენახულა იოანეს სურთი. იგი დაბეჭდილია „აქტებში“ (3, 154) გენერალ პოტოს წიგნში: „Утверждение Русск. Владичества“. (ტომი 12, გვ. 4) და „კალმასობის“ 1936 წ. გამოცემაში. იოანე გარეგნულად მამის გიორგი მეცამეტის მსგავსი ყოფილა: ბრვე, მამაცთვალემა, დაფიქრებელი, ნიჭიერი გამომეტყველებისა. სურათზე ხელს უპყრია წიგნი, ალბათ, ყველაზე საყვარელი ნივთი იოანესათვის ქვეყანაზე.

იოანე ბატონიშვილი გარდაიცვალა 1839 წელს რუსეთში. ამას იმეორებს ყველა მკვლევარი დიმიტრი ბაქრაძიდან დღემდე. მაგრამ მას ეწინააღმდეგება აკად. მარი ბროსეს და დ. კარიჭაშვილის ცნობები. ეს უკანასკნელი ამბობს, რომ იოანე 1830 წელს გარდაიცვალაო (იხ. „საქარ. არქივი“, II, გვ. 40). ხოლო მარი ბროსე ასეთ ცნობას იძლეოდა: „1830, 15 février le tsarévitch Joané, fils du roi Giorgi XII [XII] mort à 67 ans“. მაგრამ ბროსეს ეს ცნობა ეჭვს იწვევს: თუ იოანემ 1830 წ. გარდაიცვალა და, ბროსესეც ცნობით, მაშინ იგი 67 წლისა იყო, გამოდის, რომ ის უფროსი ყოფილა დავითზე, ნამდვილად კი და ერთ ბატონიშვილი, ტახტის მემკვიდრე უფროსი შვილი იყო გიორგი მეცამეტისა, ხოლო მისი დაბადების თარიღი კარგადაა ცნობილი. ეტყობა, დავ. კარიჭაშვილი ბროსეს ამ ცნობას ემყარება. ჩვენ კი გვგონია, რომ დ. ბაქრაძის ცნობა უფრო შეეფერება სინამდვილეს.

იოანეს შრომების შემცველი ხელნაწერები

„დღე და ღამ ათევე წერითა, რათამცა
სარგებლობანი შესძინოთ ერსა“.

იონა ხელნაწერი.

იოანეს თხზულებათა შემცველი ხელნაწერები დაცულია საქმუზეუმის წ.-კ. საზ-ბის (ე. წ. S.) და საისტორიო საზოგადოების (H) ფონდში, აგრეთვე ტფილისის ცენტრ. არქივში. ყველაზე ძვირფასი შრომა იოანე-ბატონიშვილისა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დაბრუნებულ იქნა საქართველოში. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მკვლევარი იქ, მოსკოვისა და ლენინგრადის არქივებში, შეიძლება წააწყდეს იოანეს ჯერ კიდევ უცნობ შრომას, პროფ. ალ. ცაგარლის Свед. ения“-ს წყალობით ვიცით, თუ რას შეიცავდნენ ის წიგნები და ხელნაწერები, რომლებიც წინათ იოანე ბატონიშვილისა უნდა ყოფილიყო.

ამისა და სამუზეუმო მასალის ჩხრეკა-ძიების შედეგად შეგვიძლია აღვა-
დგინო იოანეს თხზულებათა სრული ნუსხა. ზოგჯერ თვით იოანეს ხელ-
ნაწერებში გვხვდება ცნობა მისი შრომების შესახებ. აქ, ცხადია, განზრ-
ხვა არა გვაქვს წარმოვიდგინოთ ამ შრომების აღწერა, არამედ მხოლოდ

იოანეს შრომები ორგვარია: ნათარგმნი და ორიგინალური. პირველი
შრომა, რომელიც თარგმანს წარმოადგენს, დაწერილია 1791 წ. ეწოდე-
ბა მას „სეილანიანი“. იგი გარჩეული აქვს პროფ. ალ. ხახანაშვილს
(„Очерки“, III, გვ. 18) და პროფ. კეკელიძეს (II, გვ. 196 — 197). პირ-
ველ ცნობას მის შესახებ გვაწვდის პროფ. ალ. ცაგარელი („Сведения“,
III, გვ. 212).

1799 წ. იოანემ დასწერა „წინადადებანი საქართველოს მდგომარე-
ობის გასაუმჯობესებლად“ (H №2155). პირველად ცნობა მასზე გვხვდა
პროფ. ალ. ცაგარელის „Сведения“-ში II, (გვ. 8,38; III გვ. 222) ამ
შრომის ზემოთ შევხებით.

1806 წ. იოანეს უთარგმნია „ლოდიკა“ აბატ კონდილიაკისა (იხ.
„Свед“, III, 225) ინახება იგი საქ. მუზეუმში S 1151 ქვეშ.

1807 წ. დაუწერია „მიბაძეა იოანეს კიბისა“.

იოანე ბატონიშვილი განთქმულ ლექსიკოგრაფი იყო. მის შრომებს
ამ დარგში დღესაც დიდი ღირსება აქვთ. როცა ეცნობით მის შრომებს
ამ ხაზით, გაკვირვებას ეძლევიან, როგორ შეასრულა ერთმა კაცმა ამდენ-
ნი სალექსიკოგრაფიო სამუშაო.

ჩვენის აზრით, იოანეს პირველი სალექსიკოგრაფიო შრომა არის
H 22 57-ით აღნიშნული ხელნაწერი. იოანეს აუღია ერთ-ერთი სომხუ-
რი ლექსიკონი, გამოცემული 1788 წ. პეტერბურგს, და ამ წიგნისთვის
სომხურ-რუსული სიტყვების პირდაპირ მიუწერია შესატყვისი ქართული
სიტყვები. ეს შრომა იოანეს 1819 წ. უნდა შეესრულებინოს.

1819 წლის თარიღით დაცული ლექსიკონი შენახულია საქ ცენტრ.
არქივის ხელნაწერთა ფონდში (№ 122) ხელნაწერი ავტოგრაფს წარ-
მოადგენს *).

ლექსიკონს თავფურცელზე შემდეგი მინაწერი აქვს: „მეფის ძის
იოანესაგან ნათარგმნი [ლექსიკონი] რუსულ-სლავიანურ ენისაგან, თვით
მის მიერვე აღწერილნი, ქართულის ასოებითა რუსულიცა წაიკითხების.
სანკტპეტერბურგსა შინა. წელსა ჩყით“ (1819 წ.) ლექსიკონის დასაწყისში
მეორე მინაწერია: „იოანე ბატონიშვილის ნათარგმნი ლექსიკონი და მის
მიერვე ბოძებული ძმისა თვისისა მეფის ძის თეიმურაზისა.“ ამრიგად
ლექსიკონი 1819 წელს დაწერილი ყოფილა, იგი მიეძღვნა თეიმურაზ
ბატონიშვილს. ლექსიკონი შეიცავს 692 გვერდს, თითო გვერდზე საშუა-
ლოდ 23 სიტყვაა განმარტებული. ქართულ-რუსულ-სლავური სიტყვები

*) ყველა ხელნაწერი, რომელსაც ჩვენ აქ განვიხილავთ, „კალმასობის“ ერთი
ხელნაწერის გარდა (S 5375), იოანეს ავტოგრაფს წარმოადგენს.

დაწერილია ქართულად. იგი ანბანზე არ არის დალაგებული. ირველი სიტყვა, რომელიც განმარტებულია იქ, არის „მზე... სოლონი... მამას“ (?). ვარდა ამისა, იოანეს ეკუთვნის: „ლექსიკონი მნიშვნელობის ქართულ სიტყვათა“ (H 2289), უზარმაზარი რუსულ-ქართული ლექსიკონი (H 2328), „გამოკრებილი რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (იხ. ამის შეხახებ A 1091), ლექსიკონი გრამატიკითურთ, დაწერილი 1829 წ. (იხ. „свед“, III, გვ. 208; H 2249), „წინ, დასაბამი ქართული ლექსიკონისა“ (იქვე იხ. საექიმო ლექსიკონი, „свед.“ III, გვ. 236).

1826 წ. იოანეს უთარგმნია „ზნეობითი ფილოსოფია ადამ ფერლუი-სონისა“ („свед.“ III, 226 2202). ეს წიგნი 1804 წ. ითარგმნა რუსულ ენაზე, საიდანაც გადმოუღია იოანეს, „ეს წიგნი, — ამბობს იოანე, — ყოველგან ევროპისა შინა არის მიღებული“. იგი უბოძებია იოანე ერისთავისათვის, რომელიც ფილოსოფიურად განსწავლული ყოფილა.

1829 წ. იოანემ დასწერა ენციკლოპედია: „რომელ არს სხედასხვა სწავლათა შეკრებულებანი“ (H 2196). წიგნი გათვალისწინებული ყოფილა ერობათა სასწავლებლად: „დასრულდა ესე მცირე ნაშრომი იოანეს მიერ სასწავლებლად ყრმებთათვის“, იკითხება ერთგან (157).

წინასიტყვაობაში იოანე აცხადებს, რომ ქართულ ენაზე ასეთი წიგნი არ იშვენებაო, არა იმისგან, რომ უგულვებელყოფილიყო ასეთი წიგნი, არამედ მტრების ხშირად დასხმის გამო ქართველებს დაპყარგვიათ ასეთი წიგნი, ამასთან ძველ დროში სტამბა არ იყო. იქვე ჩამოთვლილია ის შრომები, რომლებიც ჩვენს ავტორს ეკუთვნის: 1) რუსულ-ქართული ლექსიკონი, ექვსი ტომი; 2) „კონდილიაკის ლოლიკა“, 3) „ანგლიური ზნედ-სწავლება“, 4) „საღეთო და საერო თანამდებობის წიგნი“, 5) „ორი ტომი საზოგადო ისტორიისა“, 6) „შემოკლებული დავითნის განმარტება“, 7) „ლოდოს პასტორის განზრახვა“, 8) „არითმეტიკა, ლეომეტრია, შტერომეტრია, ლონგიმეტრია, ტრილონომეტრია, ფორტეფიკაცია, ახტიტექტურა, არტილერია, ტაქტიკა“, 9) „სამეურნალო წიგნი“, 10) „ვიშე-ლეომეტრია, ლოფარიზმა“ (ლოგარიითმები), 11) „ბოდანიკა და ნატურ. ისტორია“, 12) „ვედუქსია“ და სხვანიცა“, 13) „ენციკლოთედურნი წიგნი, ვიდრე სხედასხვა სწავლა 200-მდე“, 14) „დეკონოლოლია“.

იოანეს შრომების ამ ნუსხიდან ბევრი ცნობილია. ზოგი მათგანის ვვალს ვერ მივაგენით ვინ იცის, ეგებ ისინი სადმე არქივებში აწყვიდა მტკერ-მიყრილი.

იოანეს ენციკლოპედიას იცნობდა იონა ხელაშვილი. იოანე ამბობს: „ამა წიგნისა დაბეჭდვასა შინა იღვაწა იერომონახმან იონა ხელაძემ და დასაბეჭდავი ფულიც შემოიტანა“. ეს თხზულება კატეხიზმოს პრინციპზეა აგებული. იქ ხედება ისეთი აზრები, რომლებიც კალმასობაშია წარ-შოდგენილი. ამ საკითხს „კალმასობის“ განხილვისას დაუბრუნდებით. აქ კი ერთ აზრს მოვიყვანთ: „როგორი ქალი უნდა შეირთოს კაცმა?“ პასუ-

ნი: „კეთილგონიერი, მშვიდი და კარგი ზნეობისა, უმჯობეს არს შერთვად გონიერისა ცოლისა, ვიდრეღა მდიდრისა და მშვენიერისა უგუნურისა“ (148).

იმავე წელს, როცა იოანე „ენციკლოპედია“¹ დაუწერია გრამატიკის სახელმძღვანელოები, დაუცავს ისინი H 2249 და 2288 ხელნაწერებს. მეორე წარმოადგენს პირველის გაგრძელებას.

იოანესვე ეკუთვნის ორიგინალური ფილოსოფიური შრომა (H 2177). იგი შეიცავს თავისი დროის ლოგიკის კურსს. განმარტებულია ყველა ის პრინციპი, რომელიც დღესაც ლოგიკას მიეკუთვნება. ერთგან თვით ცნება „ლოლიკა“ მოიხსენება.

ამის შემდეგ დასახელებულ უნდა იქნას: საბუნებისმეტყველო „ენციკლოპედია“ (S 3986), „ისტორიული უბნობა სხვადასხვა ხალხისა“ („Свед“. III, 221), „საყდრის ისტორია, ნაწერი მეფის ძის იოანესაგან“ (იქვე, გვ. 205), „საჭართველოს ისტორია“ (იქვე, 217), „კარაბადინი“ (S 405 და Q 81, ეკუთვნის საქ. მუზეუმის ახალ ფონდს), აგრეთვე მეტად უმნიშვნელო შემოსავალ-გასავლის დაეთარი („Свед“. III, 237).

იოანე ბატონიშვილმა პოეზიაშიც დასტოვა თავისი კვალი. ჩვენ შევკრიფეთ მისი ათიოდე ლექსი, დაცული საქ. მუზეუმში. მათ შორის ვხვდებით ნათარგმნ ლექსებსაც. ასეთია: „ვოლტერის მიერ თქმული, ოდეს კედებოდა და სეინდისად მოვიდა“ (S 3686, გვ. 108).

იოანემ ლექსი მიუძღვნა იონა ხელაშვილსაც. ამ ლექს ეწოდება: „დღეს აღმოცენდა ძირთაგან ხელაანთა მთიები დიდი მამა იონა“. (დაცულია S 1532, 288, 306, 279 H 351, A 986 და Q 81 ხელნაწერებში). პირველად ეს ლექსი მოსე ჯანაშვილმა გამოაქვეყნა (იხ. „Опис. рукоп. Церкви Музея“, გვ. 231), მეორედ პროფ. კ. კეკელიძემ (II, 436). მასში იამბიკური ლექსით შექტებულია ონა ხელაშვილი — „რიტორი და ღვთის მტყველების ჭური ძველთა მამათა შესადარი“.

შემდეგ უნდა დავასახელოთ ლექსები: „სახედ გაქვს ხატი“, „მარგალიტის სადაფთა შინა“, „დისკო, მზისაგან“, „ხესთა ზეო“, „მეფის სძალს ქეთევანს“, „მოვედ დარიავ“, „ოდეს გიხილენ“ („Описание“, ე. თაყაიშვილისა, II, გვ. 371, 372, § ხელნაწერი 368).

ჩვენთვის გამოურკვეველი დარჩა ერთი ცნობა, რომელიც პროფ. ალ. ცაგარელს აქვს მოცემული: „ლექსები, თქმული მეფის ძის გრიგოლისაგან და სხვათა პირთა“. წიგნს აწერია: „მამარემის თქმული ლექსები“ (იხ. „Свед“. III(გვ. 215). აქ მოხსენებული გრიგოლი კარგად ცნობილი პოეტია. თუ ეს კრებული H 2130 ხელნაწერია, რომელიც გრიგოლის მიერ არის შედგენილი, მაშინ ცაგარლის ეს ცნობა ყალბია, რადგან დასახელებული ხელნაწერი (H 2130 შეიცავს გრიგოლ ბატონიშვილისა და ძველი დროის პოეტთა ლექსების კრებულს. აქ არც ერთი ლექსი არ მოიპოვება იოანე ბატონიშვილისა. ან ის კრებული, სადაც

„გრიგოლის შამის იოანეს ლექსები“ იყო, დღეს-დღეობით ცნობად უნდა ჩაითვალოს.

ახლა „კალმასობის“ ხელნაწერებს შევეხებით. სწავნიან, რომ მათგანაც თავიანთი „ბედი“ ჰქონიათ. თითქმის ერთი საუკუნე მკვლევარებმა „კალმასობის“ მეტად ძვირფასი ხელნაწერები, რომლებიც რუსეთში ინახებოდა. ჩვენ გვქონდა ცნობა იოანეს ისეთ ხელნაწერებზე, როგორც არის ფულის საშემოსავლო დაეთარი, ხოლო ძვირფასი განძი „კალმასობის“ სახით უცნობი იყო. თვით პროფ. ალ. ცაგარელმა, ალ. ხაბა-ნაშვილმა და აკად. ნ. მარმა, რომელნიც ყველაზე ახლოს იდგნენ პეტროგრადაში დაცულ ქართულ მასალასთან, სჩანს, არაფერი იცოდნენ „კალმასობის“ რუსეთში არსებულ ხელნაწერების შესახებ. მაგალითად, ალ. ცაგარელი იოანეს შრომების ვრცელ ნუსხას იძლევა, ასახელებს 1862 წელს დ. ბაქრაძის მიერ გამოცემულ „კალმასობას“, მაგრამ არაფერს ამბობს „კალმასობის“ გაგრძელებაზე ან, უკეთ, რუსეთში დაცულ ხელნაწერებზე.

აღვადგინოთ საკითხის ისტორია. „კალმასობა“ იოანეს დაუწერია ორ პატარა და ორ უხარშხარ წიგნად. ისინი დღემდე შენახულან ავტოგრაფის სახით. „კალმასობის“ ხელნაწერები ინახებოდა პეტერბურგს იოანეს სახლში. პირველი ნაწილი „კალმასობისა“ საქართველოში წამოუღია ზურაბ წერეთლის შვილს გრიგოლს. შემდეგ იგი გადასულა გრიგოლის ძმისწულის ნესტორ წერეთლის ოჯახში. 1861 წ. ხელნაწერი უნახავს დ. ბაქრაძეს, დაუწერია მასზე წერილი ეურ. „ცისკარში“ (1861 წ.) და შემდეგ, როცა „კალმასობის“ გამოცემა განუზრახავთ, იგი ორად გაუჭრიათ. პირველი ნაწილი დაიბეჭდა, მაგრამ ხელნაწერი არსად სჩანდა. ყოველ შემთხვევაში, მასზე არაფერი იცოდა „კალმასობის“ ერთ-ერთმა გამომცემელმა ზ. კიკინაძემ. მხოლოდ 1934 წელს აღმოჩნდა ეს დაკარგული ხელნაწერი. იგი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ რუსთველის სახელობის ინსტიტუტში მოიტანა პაპუნა წერეთელმა. შუაზე გაჭრილი ხელნაწერი თავის დროზე შესულა წ-კ საზ-ბის ფონდში და გატარებულია იქ S 5374 ნომრით. ეს უკანასკნელი მოგვიანებით, ასე მეცხრამეტე საუკუნის გასულს გადაუწერიათ, ხოლო, ფურცლების დაკარგვის გამო, არა სჩანს მთლიანად თუ შემოკლებით. იგი დაცულია 5375 ნომრით. პირველი ხელნაწერი რომელიც „რუსთველის ინსტიტუტში“ ინახება, და ეს ხელნაწერები (5374 და 5375) დაზიანებულია. 1936 წლის გამოცემაში წარმოდგენილია რუსთველის ინსტიტუტის ხელნაწერი, რაც აღდგენილია „კალმასობის“ ძველი გამოცემით, და S 5374 უკანასკნელის 255 გვერდამდე. ეს შეეხებოდა 1861 წლიდან. საქართველოში ცნობილ „კალმასობის“ ხელნაწერებს.

როგორც აღენიშნეთ გრიგოლ ზურაბისძე წერეთელს „კალმასობის“ პირველი წიგნი წამოუღია პეტერბურგიდან. დანარჩენი სამი ხელნაწერი იქნა გრუზინსკიმ თავის პაპის სხვა ხელნაწერებთან ერთად პეტერბურგის საჯარო წიგნთსაცავს, სადაც ისინი გატარდა 1886 წლის № 5 და 35 ნომრებით. ამ ხელნაწერების არსებობა პირველად მკითხველს გახვადოებას ამცნო ს. ცომაიაძე, ხოლო ხელნაწერების საქართველოში დაბრუნება 1923 წელს გახდა შესაძლებელი. ესლა ეს ხელნაწერები გატარებულია საქ. მუზეუმის H ფონდში შემდეგი ნომრებითა და თანმიმდევრობით: 2170, 2134, 2153. ამგვარად, მთელი „კალმასობა“ შეიცავს: „რუსთველის ინსტიტუტის“ ხელნაწერს, S 5374, 5375 და H 2170, 2134, 2153 ხელნაწერებს. H 2153 ხელნაწერის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი მშკარად იმეორებს 2170 ხელნაწერის ცალკე აღვლილებს. შესაძლებელია იგი ზართლაც ჩასამატებელი ტექსტი იყოს, როგორც ამას დ. კარიჭაშვილი ფიქრობდა, ან გვემა იყოს „კალმასობისა“, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობენ.

„კალმასობის“ ავტორისა და დაწერილის დროის შესახებ.

აგერ ამდენი ხანია „კალმასობისა“ და მის ავტორზე ვლაპარაკობთ და შეიძლება ვინმეს უადგილოდ ეჩვენოს კითხვა: ვინაა „კალმასობის“ ავტორი? საჭიროდ მიგვაჩნია, აღვადგინოთ აქ ამ საკითხის ისტორია.

„კალმასობის“ პირველ გამომცემელს დ. ბაქრაძეს ძეგლის ავტორად იოანე ბატონიშვილი მიიჩნდა. მაგრამ შემდეგში მან, ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, აზრი შეიცვალა: „მე იქ იქნა ბატონიშვილზე მაქვს საუბარი, მას ვაკუთნებ „კალმასობის“ დაწერას და ახლა კი ლაპარაკობენ, ვითომც კალმასობა იონა ბერს ეკუთვნისო“. (დ. კარიჭაშვილის აზრით, ასეთი მოლაპარაკედ, რომელიც „კალმასობის“ ავტორად იონა ხელაშვილს მიიჩნევდა, იყო თ. ფორდანია“). თითონ ზაქარია „კალმასობის“ გამომცემის თავის ბოლო სიტყვაობაში სწერდა, რომ ასეთი თხზულებების წერა უფრო იონა ბერს სცოდნიაო. პროფ. ალ. ცაგარელი უფრო ადრე 1886 წ., წერდა „სანკტპეტერბურგში ბატონიშვილმა იონანემ დასწერა წიგნი „კალმასობის“ სახელწოდებით“-ო (იხ. „Свед“. I, IX).

პროფ. ალ. ხახანაშვილი „კალმასობის“ ავტორად იონა ხელაშვილს სცნობდა, მაგრამ არ გამოირიცხავდა იოანე ბატონიშვილის ავტორობასაც.

1883 წ. იონა ხელაშვილის მიწერ-მოწერაში პეტრე უმიკაშვილს აღმოუჩნია ცნობა „კალმასობის“ ავტორის შესახებ, მაგრამ რატომღაც არ გამოუქვეყნებია.

შემდეგ „ძველ საქართველოში“ ე. თაყაიშვილმა დაბეჭდა „მცირე უწყება ქართველ მწერალთათვის“, რომელიც „კალმასობის“ ერთ-ერთი ორიგინალური ნაწილია. მის ავტორად გამოქვეყნების ბატონიშვილი მიაჩნდა.

გიგლიძის

1911 წელს „სახალხო გაზეთში“ ივანე ბარნაბიშვილმა დაბეჭდა წერილი იონა ხელაშვილის შესახებ, სადაც მას „კალმასობის“ ავტორად იონა მიაჩნდა. იგი მართალი არ არის, როცა სწერს: „იონანეს მიწერ-მოწერაში მოხსენებულია იონა ხელაშვილის შრომა „კალმასობა“-ი („სახალხო გაზეთი“, 1911, № 348).

პროფ. კ. კეკელიძეს 1923 წელს გამოსულ „ქართული ლიტერატურის ისტორია“-ში ძველისა და, მაშასადამე, „მცირე უწყების“ ავტორად იონა ხელაშვილი მიაჩნია. ხოლო „კალმასობის“ 1936 წლის გამოცემაში იგი იონანე ბატონიშვილს აღიარებს ამ თხუთმეულის ავტორად (პროფ. კეკელიძემ უფრო ადრე გამოიკვალა შეხედულება „კალმასობის“ ავტორზე, იხ. მისი „პერიოდიზაცია“).

1827 წ. თურნ. „ცენტრ. არქივის“ (II) ფურცლებზე დ. კარიკაშვილმა ერთხელ და საბოლოოდ დაამტკიცა, რომ „კალმასობის“ ავტორი იონანე ბატონიშვილია. ჩვენც შეგვეძლო მოგვეყვანა ზოგიერთი დამატებითი საბუთი იონანეს ავტორობის სასარგებლოდ, მაგრამ ამჟამად ეს საკითხი იმდენად გამორკვეულია, რომ მისი ხელახლა მტკიცება ზედმეტად მიგვიჩნია.

ებლა „კალმასობის“ დაწერის შესახებ. თუ თბრობის ხასიათს ვავეწვეთ ანგარიშს უნდა ითქვას, რომ „კალმასობა“ მთელი 30 წლის მანძილზე იწერებოდა. „კალმასობის“ პირველ თავებში საუბარია ისეთი ადამიანებზე, როგორც საიათნოვა, გიორგი მეცამეტე და სხვები. ისინი კი მე-18 საუკუნის გასულს გარდაიცვალნენ. თბრობის ხასიათი ცხადყოფს, რომ პირველი თავების დაწერის დროს ისინი ცოცხალი უნდა ყოფილიყვნენ. ამავე დროს „კალმასობაში“, საუბარია მე-19 საუკუნის ოციანი წლების მოღვაწეებზე. დ. ბაქრაძის აზრით, „კალმასობის“ ამბები 1798 წლიდან იწყება. საერთოდ კი უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ არის გადმოცემული მე-18 საუკუნის ბოლო წლებისა და მე-19 საუკუნის დამდეგის ჩვენი ჭეყნის სინამდვილე.

დაწერის დროის შესახებ თვით იონა ხელაშვილსაც აქვს არაპირდაპირი ცნობა: „12 წელიწადია, — ამბობს იონა ხელაშვილი 1825 წლის ერთ-ერთ წერილში, — სწერს იონანე ბატონიშვილი ჩემ სახელზედა, ე. ი. მალაპარაკებს ყოველსავე სწავლასა, სულიერსა და ხორციელსა“ (იხ. S. 1532, გვ. 97). მაშ იონანეს თავისი შრომის წერა დაუწყია 1813 წელს. როდის დასრულდა იგი? „კალმასობის“ მეოთხე წიგნში სწერია: „დასრულდა წიგნი ესე ხუმაღსწავლა წელსა 1828-სა თვესა იენისსა 30-სა“.

სანკტპეტერბურგსა შინა“ (H 2153, გვ. 35). ამგვარად, თქმულების წყარო ვაგორძელებულია 1828 წლამდე, ე. ი. 15 წელიწადის შემდეგ ვფიქრობთ, რომ „კალმასობის“ წერა უფრო ადრე უნდა დაეწყო ავტორს.

„კალმასობის“ ლიტერატურული ანალიზი.

„კალმასობის“ ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა მხრით. იგი უნდა განდეს საკვლევო ობიექტი ბუნებათმეცნიერებისათვის, მათემატიკისათვის, ისტორიკოსისათვის და სხვათათვის. რადგან მასში წარმოდგენილია ცოდნის ყველა დარგი, რომელიც კი იოანე ბატონიშვილის დროს იყო ცნობილი. დღესაც ალტაცებაში მოვეყვართ იმ დიდ „ენციკლოპედიურ ცოდნას, რომლითაც ასე მდიდარია „კალმასობა“. ესლაც დიდ დახმარება შეუძლია გაგვიწიოს ძეგლმა მეცნიერებათა ისტორიული განვითარების შესასწავლად. მართალია, „კალმასობაში“ მოცემული მეცნიერული შეხედულებანი აღარ შეესაბამებიან ამ მეცნიერებათა დღევანდელ დონეს. მაგრამ რომელი ძველი შეხედულება შეესაბამება დღევანდელ დონეს? ერთი რამ უეჭველია: თანამედროვეობას, რომელმაც კარგად იცის წარსული მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისება, ძველი მთლიანად უნდა მივაწოდოთ. იმ ძეგლებს შორის, რომლებიც ძველმა ლიტერატურამ დაგვიტოვა, „კალმასობა“ ყველას უსწრებს თავისი პროგრესიულობით და „ენციკლოპედიურ“ ცოდნათა ერთობლივობით. „ენციკლოპედიური“ ცოდნის გადმოცემა ამ ძეგლის ერთ-ერთი მიზანია (დ. ბაქრაძე, აღ. ხახანაშვილი, პროფ. კ. კეკელიძე).

უპირველეს ყოვლისა, რას ნიშნავს სიტყვა კალმასობა? „კალმასობა ნიშნავს, — ამბობს დ. ბაქრაძე, — პურისა და ღვინის მოთხოვნას მონასტრისათვის კალობასა და რთველში“. ეს სახელი და მისი ეს განმარტება ვიცით ჭიჭინაძისეულ გამოცემიდან, ხოლო თვით ავტორს თავისი შრომისათვის არსად არ უწოდებია ასეთი სახელი*). იგი არც ხელნაწერებში გვხვდება. ხელნაწერებში წინა თავფურცელზე სხვისი ხელით მიწერილია: „კალმასობა“ იოანე ბატონიშვილისა“. დ. ბაქრაძე, ალბათ, ძველის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამოდიოდა, როცა მას „კალმასობა“ უწოდა. მართლაც, სანამ მწერალი მოქმედებას რუსეთში გადაიტანს, იონა ხელაშვილი, ნაწარმოების მთავარი გმირი, კალმასობს, ე. ი. სოფელ-სოფელ პურსა და ღვინოს აგროვებს და ქვაბთახევის მონასტრისათვის, მწერლის მიზანია იონა ამოგზაუროს, შეახვედროს ავტორისთვის საჭირო საქმეებს და მოვლენებს.

ერთგან ძეგლს ასეთი სახელი აქვს: „იონა იერომონახის მოგზაურობა გინა მიმოსვლა“. ავტორმა იცის, რომ მისი გმირი დაუდევარი მოგზა-

*) სიტყვის კალმასობის ისტორიის შესახებ იხილე ძეგლის 1936 წლის გამოცემაში, გვ. 1.

ურია. ამას თვით იონაც აღიარებს ერთ-ერთ თავის წერილში: „ესე რა ვაშა ჭაბუკობისა ჩემისასა მოვლენ კახეთი, ქართლი და სომხეთი“ (S 288, გვ. 126). მართლაც, იონანემ „კალმასობით“ მამუკანასკნელი საქართველო და სომხეთი, მერე რუსეთში წავიდა. *Библ. Ц. И. М. У. М. У. М. У.*

H 2193-ის მიხედვით, ძველს „ხუმარსწავლა“ ეწოდება (გვ. 35). მაგრამ თხზულების დანიშნულება „ხუმარსწავლა“ არ არის, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. უფრო მართებული იქნება, ძველს მხატვრული „ენციკლოპედია“ ვუწოდოთ, უკეთ, „ქართული ენციკლოპედია“.

რომელი მხარე გინდა ჩვენი ცხოვრებისა, რომ „კალმასობაში“ არ იყოს მიმოხილული. იქ მე-18 საუკუნის დამლევის და მე-19 საუკუნის დამდეგის გმირები არიან ამეტყველებულნი. მათი ენა გასაგებია, თბრობა მარტივი და სინამდვილის დახატვა მართალი.

მწერალი მოვლენების გადმოცემისას მიმართავს საგნობრივ მეთოდს. გერ შეგვახვედრებს საგანს და მერე დაიწყებს მასზე ბაასს. მაგალითად, მოგზაურობის მეორე დღეს იონას და ზურაბს (ზურაბ იონას მზღებელია) ხვდებათ ციციშვილი. იგი ვოლტერიანელი იყო. მასთან იონამ ვოლტერის მოძღვრებასა და ვოლტერიანობაზე დაიწყო ლაპარაკი. ალექსანდრე და ფარნაოზ ბატონიშვილებთან შეხვედრისას იონა გვესაუბრება საქართველოს ტახტის მემკვიდრეობაზე და იმაზე, თუ რამ დააქცია ერეკლისა და გიორგი მეცამეტის ოჯახი. ზონისა და ქუთაისის გზაზე იონას, როცა იგი მზღებლებითურთ ოდიშს მიდიოდა, ქექა-ქუხილმა მოუსწრო. აქ ჩამოვარდება ლაპარაკი იმაზე, „თუ რა არს მები, რაი არს წვიმა“, და იონაც ყველა ამაზე ერეკლ განმარტებას იძლევა.

ბოლო ისტორიული ნაწილი ძველისა შეიცავს პასუხს იმ კითხვებზე; რომლებიც იონასათვის მიუციათ იმ დროის ისტორიულ, რეალურ პირობებს. ასე, მაგალითად, ტრიფილე მღვდელთმთავარი სთხოვს იონას, მოუთხროს ყველა ერის ისტორია. იონაც ასრულებს ამ თხოვნას. იმერეთის დედოფალს ანას, მისივე თხოვნით, იონა მოუთხრობს ქართველ მარტვილობის ისტორიას. რუსეთში ამბროსი მიტროპოლიტს უკითხავს იონასათვის: ვინ იყვნენ „ძველათგანვე მეცნიერნი, ანუ კრიტიკოსნი, ანუ მოშაირენი, ანუ შგალობელნი და ვინ იპოვებიან ეხლა“. იონაც მოუთხრობს მთელი ჩვენი ძველი დროისა და თავის დროის მწერლობის ისტორიას. ამ ნაწილს, სხვათა შორის, უწოდებენ. „მცირე უწყებას ქართველ მწერალთათვის“. ქართლის ცხოვრებას იონა უამბობს მეფის ბე ვახტანგს. მაგრამ გრძელ-გრძელი ამბებისა და მოსაწყენი კითხვა-პასუხების მოსმენისას რომ არ მოვიწყინოთ, თვით ავტორი გვშველის. იგი იონას შეახვედრებს ისეთ გმირს, რომელსაც მოსწრებულნი სიტყვი-პასუხი აქვს და რომელმაც მარილიანი ხუმრობა იცის. ასეთია ზურაბა. იგი მართლაც „ხუმარსწავლების“ განსახიერებაა. მოგზაურობის პირველ დღესვე მისი შეხვედრა იონასთან შემთხვევით არ მომხდარა. ზურაბს

თავიდანვე ავტორმა ერთი მიზანი დაუსახა: გამოიყვანოს იონა უხერხულობიდან, წარმოგვიდგინოს გამასხარავებულად, იხუმროს და გაცინოს იონას საქციელით. ერთ შემთხვევაში იონამ პარდაპირ მოწყობა და ილაპარაკა ღერბებსა და გვირგვინებზე. ვილაკამ იკითხა, რატომ უხერხულეს როგორი გვირგვინი გამოდგებაო. ზურაბმა სიტყვა შეუბრალოდ შევიერი თავის მუტრუკით გამოიყვანეთ და თქვენ უკან მისდევდეთ, რადგან ქისიყელი ყართ“. როცა იონამ სამეგრელოში მონაზონ ქალებს მოპკრა. თვალის, ზურაბმა გაამასხარავე იგი მათთან, რაჟაე, ცხადია, იონა გააჯავრა, მაგრამ დამსწრენი გააცინა. იონასთან შედარებით ზურაბ პროფანია. ზურაბ ნაწარმოებს ბოლომდის არ მიჰყვება. იგი კვდება. ამის შემდეგ იონა რუსეთში მიემგზავრება, სადაც, ცხადია, მისი მიზანი „კალმასობა“ არ იყო.

ჰუმორი, მეტად მახვილი ჰუმორი, — აი ის შინაგანა სიტბო, რომელიც „კალმასობის“ წაკითხვის ინტერესს აძლიერებს. ზოგჯერ ავტორი იონას ისეთ მდგომარეობაში აყენებს და ისეთ რამეს ათქმევინებს, რომ არ შეიძლება ამან ჩვენში სიბრაღელობისა ან სიცილის გრძობა არ აღძრას. ზოგჯერ იონას სწორ ნათქვამს არ იჯერებენ. ზოგჯერ თავშიც წაპკრავენ ჩვენს იონას და არა იშვიათად პანდურით ისტუმრებენ. ასე ნოეპყრენ იონას, მაგალითად, ცნობილი გარსეგან ჰაეკვაძე და გიორგი ავალიშვილი, რომელთაც იონა ბრალს სდებს, საქართველო დააპყრობინეს რუსეთსაო.

ასეთი თანმიმდევრული ჰუმორი არც ერთ ძველი დროის ქართულ ძეგლში არ გვხვდება. ხუმრობა კი, როგორც გართობის ერთი სახე, წარსულში დამოწმებულია არა ერთგან. არჩილი, მაგალითად, ამბობს: ერთ-ერთი ზნეობა საქართველოში არის „ხუმრობა, სიცილი, ხეისი ზნისაც მალ გაცინება“-ო. დიმიტრი ბაგრატიონი ასწერს ხუმრობას, როგორც გართობის ერთ-ერთ საშუალებას (იხ. S 3723, გვ. 155). საბას ლექსიკონში ხუმრობა ასეა განმარტებული: „ხუმრობა წყლიანობა ესე არს სიტყვა კეთილი და გამაცინებელი კაცთა“. „კალმასობისე“ ცნობით, საქართველოს მეფის ირაკლის კარზე სპეციალური ხუმარა პყოლიათ. მას ერქვა ოთარიკა. ოთარიკა შეხვდება ზურაბსა და იონას და მოუყვება მათ, თუ როგორ ართობდა იგი თავისი ხუმრობით შეფე-დიდებულებს.

„კალმასობის“ ერთ-ერთი მიზანი სექტირაცია. იგი მიმართულია უმთავრესად გაბატონებული ფეოდალური არისტოკრატის წინააღმდეგ, არაა დაზოგვილი თვით სამღვდლოებმა. სატირულადაა აღწერილი ის მდგომარეობა, რომელიც შეიქნა საქართველოში ტახტის მემკვიდრის გარშემო და საქართველოს რუსეთთან დაკავშირების გამო. დაგმობა-გაკიცხვა ნაწარმოებში ისევე იონას აქვს მინდობილი. ხშირად ძალიან ხშირად სდევს თხზულებას ეს სატირული სული. იონას არ ეშინია ამ შემთხვევაში ცემა-გვემის, რაც მას მოეწონებდა, როცა

ამა თუ იმ ნაკვლს ანხელს. მისთვის სატირა მიზანია და იცოდა არასოდეს უკან არ დაიხევს. ჩვენ დროში სიმართლეს სად უფრო აცხადებს იონა, — ჩვენი ქვეყნის საქმე წახდა, რადგან ადამიანის ნიჭს კი არ ვქცევთ ვა უფრადლება, არამედ იმას, თუ რა გვარისაა იგი. მეტრეხანს ვხედავთ გმირის სახით არ მოერიდა სამღვდელთადაც. არ არის მისთვის პირობა, რომ თეთრი (ე. ი. ოქრო) არ უყვარდესო. მწერალს და მის გმირებს აწუხებთ ის გარემოება, რომ ქართლში უფრადლება არ ვქცევთ სწავლა-განათლებლას. მეფის კარზე მყოფმა დიდებულებმა და მოხელეებმა წერა-კითხვა არ იციან. ხოლო მას, ვინც წიგნი იცის, ინტრიგებს უწყობენ. ინტრიგების მსხვერპლი გახდა, მთავალითად, გოდერძი ფირალოვი. იონას სიტყვით, „მეფის ქალიშვილობით, სიძეობით, ნათესაობით და მოხელეობით ხომ არ იქნება სწავლა“. მწერალს სასახლეში გამეფებული ინტრიგის მიზეზად მიაჩნია ის, რომ „როგორც რიგია, ისე ვერ იზრდებიან სწავლითა მეფის ძენიცა და თავადნიცა“. ნაწარმოებში ვხვდებით აღზრდილ ლუარსაბებსაც, რომელნიც გაიძახიან: „აჰა, მამასა და პაპასა არა სკოდნით წიგნი, მაგრამ თავისა გუარით მდიდრულად ვერ უცხოვრიათ“. ან მედიდურად აცხადებენ: „რად მინდა წიგნი ვისწავლო და ძეცნიერება“-ო. იონამ ჰკითხა ამ გმირს (ფლორეს ეძახდნენ), ცოდნა რას გაწყენს თავადიშვილსაო. მან უპასუხა: „აჰა, ჩვენი ცოდნა. ეს არის, და აავსო ერთი დიდი ჯიხვის ყანწი ღვინით და დალია“. ჩვენი გმირი და ავტორი არა ერთხელ ანხელს ამ ლუარსაბების საქციელს.

ადამიანთა გარდაქმნის, მათი სწორი მოქმედების საფუძვლად ავტორს სწავლა-განათლება მიაჩნია, მაგრამ მას არა წამს ის სქოლასტიური ცოდნა, აღზრდა-განათლება, რომელიც იმ დროის სკოლებში იყო მიღებული. იგი არ არის იმის მომხრე, რომ ყრმა გაიზარდოს „წყველითა და ცემა-კივილით“. ამ მხრივ იოანე ბატონიშვილის იდეები უფრო პროგრესიულია, ვიდრე საბასი და დავით გურამიშვილისა. ძველში გაკიცხულია დავით რექტორის აღზრდის მეთოდიც. მეტიც: ზოგჯერ კომიკურადაა გამოყვანილი მისი აღზრდა მოწაფეებისა და თელავის სემინარიაში მიღებული „ევზამენიები“. ერთ დღეს იონა დავით რექტორს ეახლა (დავითი იონას მასწავლებელი იყო) და რას ხედავს: ჩაუგდია ღებქვეშ კატა და უმოწყალოდ სცემს, თან ჩასძახის: „ველაჲ იქ ქურდობას?“-ო. „გმადლობ შენ, უფალო, ჩვენი ფეხები მოწაფეობის დროს ამ ყოფაში იყვენენ და ეხლა ეს საბრალო კატა დამოწაფებია და ნეტარ გამოვსენა, რაის სწავლისათვის ასე უწყალოდ სტანჯავს“. მცირე მუსიკის შემდეგ იონამ ჰკითხა დავითს: რათა სცემდით ან რას ასწავლიდით კატასო. რექტორმა მიუგო: თეზე მომპარა და შეკამა და იმისთვის ვცემდი, ქურდობა მოეაშლეინოო. ავტორი არ იძლევა დასკვნას, მაგრამ ნკითხველს იითონ შეუძლია მიხედეს, რომ ავტორი წინააღმდეგია აღზრდის ასე-

თი მეთოდით, თუმცა იგი არსად გვეუბნება, თუ როგორ უნდა იყოს მომავალი სკოლა მისი წარმოდგენით.

„კალმასობაში“ დასმულია აქტიუალური სოციალური პრობლემები. ასე-სიყვარულის ზოგად გაგებაში იოანე ბატონიშვილმა შეხედულებათა ნიადაგზე დგას. ვახტანგ მეექვსის, მამუკა ბაიათაშვილის და გურამიშვილის და სხვა იმდროინდელ მწერალთა კონცეპციით. სიყვარულში უნდა წარმოვიდგინოთ ღვთის სიყვარული ან კოლქმრული სიყვარული. „ვაჟმიჯნურდი ღვთის ლოცვას“-ო, ამბობენ პირდაპირ ისინი. იოანესათვის სიყვარულში დასაშვებია ორი შესაძლებლობა: სიყვარული ღმერთთან და სიყვარული ქალ-ვაჟს შორის.

„რამ არს სიყვარული?“ კითხულობს ერთგან „კალმასობაში“ ღმერთი. „ღმერთი არს სიყვარული“, — უპასუხებს იონა. მწერალს არ ავიწყდება ის სიყვარული, რომელიც სქესთა შორის არსებობს და რბმელიც ცხოვრების ერთ-ერთი ამომძრავებელი სტიმულია. იგი ადამიანს ცხოველმყოფელობას მატებს და ზოგჯერ „ბერს ვახდის ახალგაზრდად“. მანვე იცის, რომ სიყვარულს ბევრი რამ შეუძლია და ამ შემთხვევაში მშობლების შეცადინება უშედეგოა, რათა შვილები თავიანთ ნებაზე დაიყოლიონ. „ევროპიაში ვაზრდილი ხარ, ხომ იცი, კოლქმობა ერთმანეთის ნებაზედ არის“, — აცხადებს ერთგან მწერალი.

როგორი ქალი უნდა შეირთოს კაცმა? აქ იოანე ვადმოგვიძლის ქაცვია მწყემსისებურ თეორიას. მხოლოდ აქ მეტი სიღრმე, მეტი სრულყოფაა მოცემული. მსგავსი აზრები, როგორც წინათაც აღვნიშნეთ, იოანეს „ენციკლოპედიაშიც“ გვხვდება.

„კალმასობაში“ დასმულია აქტიური სოციალური პრობლემები. ასეთია ბატონყმობის საკითხი. ქვეყნის მართვა-გამგეობის მღვდმარეობა, ფეოდალური მონარქიის რღვევის მიზეზები და, ბოლოს, „ქართლის ბედისა“ და რუსეთის მიერ მე-18 საუკუნის გასულს საქართველოს დაპყრობის საკითხი.

ყმობა ღვთის დადგენილად მიაჩნია მწერალს. მონას მართებს ენორჩილებოდეს ბატონს, ხოლო ბატონს ევალება კარგად ეპყრობოდეს ყმას. ხელმწიფობაც ღვთის დადგენილად მიაჩნია: პატრივეც ხელმწიფესა, ვითარცა დადგენილსა ღვთისა მიერო. — აცხადებს იგი. ავტორი სასტიკი წინააღმდეგია ყმებით ვაჟრობისა. როცა მისმა გმირმა იონამ გაიგო, რომ ჭალამ აბაშიძეებში ყმები ჰყავთ დაწყვედული გასასყიდად, წაშობიბა: პოი ღმერთოო. იონას აინტერესებს, სად როგორ ეპყრობიან ყმებს. ოდიშის ერთ-ერთ სოფელში იონამ დაინახა, რომ ბოჭაული ძროხებს მიერეკება. გამორიკვა, რომ ისინი გლეხებს ეკუთვნოდნენ. რა გასაკვირია ეს, — მიუგო იონას იქ მყოფთაგანმა. — შვილებსაც კი უყიდიან აქაური მებატონეები გლეხებს თათრებზეო.

არ ვარგან არც მოხელენი. ისინი მეჭრთამეობა ეწვიან, უსამართლოდ სჯიან და სხვა. ავტორი ჰკიცხავს ცუდ მოხელეებს, ამასთან დარიგებას იძლევა, თუ როგორ უნდა იყოს მოხელე. ქვეყნის მართლებას უნდა იყოს, მეფის ერთგული, ქვეყნის მართლებას უნდა იყოს მწერალმა — ყმებს ავიწროებს ბატონიცა და მოხელეც.

იოანე ისეთ პერიოდში მოღვაწეობდა, როცა ევროპაში რესპუბლიკური იდეები ფეხმომდგარი იყო. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქარიშხალმა ევროპის განაპირა ადგილებსაც შიალწია. ეჭვი არ არის, იოანე, გატაცებული იქნებოდა თავის დროის დემოკრატიული იდეებით. როგორც აღვნიშნეთ, იოანემ ერთგვარი დემოკრატიული მონარქიის იდეა თავის პროექტშიაც წამოაყენა. მას სურს ხალხში შეიტანოს ცოდნა დემოკრატიული მართვა-გამგეობის შესახებ. „რამ არს მმართველობა დემოკრატიური“, — კითხულობს ერთ-ერთი თანამეცაუბრე“. პასუხი: „დემოკრატიური მმართველობა არს იგი, ოდესაც ყოველი უკვე მოქალაქე შეჭონ არს სასამართლოცა შინა მოცემად ხმისა თვისისა და სამართლისა, ე. ი. პაზრისა თვისისა საზოგადოისა“ (იხ. 5374, გვ. 265).

იოანემ იცის, რომ რესპუბლიკური იდეები ახალი სავაჭრო-სამრეწველო კლასის მონაპოვარია და, რომ ვაჭრებს უფრო პატივს სცემენ „რესპუბლიკათა შინა“ (H 2170 გვ. 233), მაგრამ კითხვაზე — „ვითარ სახე მმართველობისა უმჯობეს იქნების ერთათვის“ იოანე უპასუხებს: „ჯერეთ ამაზე უმჯობესი ვერა მოუპოვნიეს, ვითარცა მონარხობითი მმართველობა. რომელიც შეერთებულ ყოფს უფრო მრავალთა სარგებლობასა და უმცირეს შიანთა“. (S 5374, გვ. 265). მაგრამ ამასთან იგი უმატებს: „ხოლო ყოველთა მართველობათა ზედა უმჯობეს არს იგი, ოდესცა ყოველი სარგებლობს სამართლითა თვისითა და არც თუ ვინმე აოიან შეიწროებულნი სხვათაგან“ (იქვე). აქედან სჩანს, რომ იოანე პროგრესიულად მოაზროვნე ფეოდალი იყო, ახლი გზების მაძიებელი.

შთელი ნაწარმოების სიგრძეზე მწერალს თავს დასტრიალებს „ქართლის პედი“. იგი ამბობს, საქართველო რომ მთლიანი ყოფილიყო, მტერი ვერ მოგვერეოდნო. იმის მაგიერ, რომ მეფის შემეციდრეებს ქვეყნის მთლიანობაზე უზრუნავთ. ისინი ერთმანეთს სამარეს უთხრიდნენ. რათა ტახტი ჩაეგდოთ ხელშიო. ქვეყანა დაუღუპავს „რომელთამესა ცბიერობასა, რომელთამესა მლიქვნელობასა, რომელთამესა მატყუარობასა, რომელთამესა დაუნდობლობასა, რომელთამესა ანგარებასა“. ავტორი გულის ტკივილით ავნიშნავს ქართლის სამეფო ტახტის გარშემო შექმნილ ძღვობარეობას. „ოდესა ერთსა, მწუხარე მჯდომი მეფისა მიცვალების გამო, ბერი იონა არა მცირედსა ფიქრსა მოეცეა, ვინაითგან იხილა უფანსმოება შედგეთა ხქესთ შორის, თავადთა და სხუთთა ერთაგანცა და ამასთან მიღება სამეფოისა ტიტლის რუსთაგან, ლტოლვაი მეფის ძეთა

და თავადთა და რომელიმე მიწოდებითა ხელმწიფისაგან ამ დროს იონამ დაინახა ვინმე მელიქი, რომელიც ძირს იტკარებოდა. „აქ ეძებ?“ უკითხა იონამ. „ბაგრატიონის კვალსა, რომ არავენდა დასწრებულ იყოს“.

ეს იყო და ეს. ფეოდალური მონარქია საქართველოში მშვიდობა იყო. რუსეთის თვითმპყრობელი მეფეები მცირე ბრძოლით უღებდნენ ბოლოს მის არსებობას. ქვეყნის მესვეურთა ერთ ნაწილს რაღაც გულთბილი გრძნობა აკავშირებდა რუსეთთან. „ღმერთმან დაცემოდ მოგივლინათ თქვენ შემწედ ჩრდილოით კერძოით მხედარნი“, ლაღდებდა იონანე თავის „კალმასობის“ ფურცლებზე. მერე მწერალს ისღა დარჩენოდა, რომ რუსეთის მეფეთა კარზე ელაპარაკა ქართლის გმირულ წარსულზე, დიდების დღეებზე, ძველ კულტურაზე.

მწერალმა მაინც ვერ დაინახა ცოცხალი შინაგანი ძალა. მან დაინახა მხოლოდ სასახლის ინტრიგები და ერთხელაც არ მოიხსენია თავის „კალმასობაში“ ის დიდი მოძრაობა, რომელიც საქართველოში აჯანყებების სახით დაიწყო მე-19 საუკუნის დამდეგს რუსეთის თვითმპყრობელი მეფეების კოლორიზატორული რეჟიმის წინააღმდეგ.

ნათქვამით არ ამოიწურება „კალმასობა“. ცალკე განხილვის ღირსია ის მდიდარი პოეტიკური მასალა და ფილოსოფიური შეხედულებები, რომლებიც ამ ძეგლშია წარმოდგენილი. მთელ ამ ეპიურ თხრობას, მეცნიერულ სინდისსა და სინამდვილის სწორად გადმოცემას თან ახლავს მწერლის მხატვრული აღლო. ამ მხატვრულობის გადმოცემა შეუძლებელია. ამისთვის თვით უნდა განიცადო ნაწარმოები, უნდა ჩასწვდეს მის სულსა და გულს.

საბას ეპიური ძეგლების შემდეგ არ გვეგულება ძველ ქართულ მწერლობაში ესოდენ მხატვრული ფაქტი, როგორც იონანე ბატონიშვილის „კალმასობა“. აქ მკლე ლექსიკონის ნაცვლად მრავალფეროვანი სიტყვების ზღვაა. აქ ძალიან მოთრეული ამბების ნაცვლად განცილილი სინამდვილეა. აქ მხატვრული შაბლონის ნაცვლად ახალი მხატვრული ხერხების ძიებაა.

წიგნში მრავალი ახალი თქმაა, სხარტად გამოთქმული აზრი — სენტრია, აფორიზმი. „თეთრი [ოქრო] რომ მექნებოდა, მალე გამხსნიდი მე ცოდვისაგან“. აქ ორ სიტყვაშია გამოთქმული მთელი დაცინვა, სატირა ეკლესიის მიმართ, რომლის მესვეურები ოქროზე ახურდავებდნენ ადამიანის სინდისს. „სიმეოლო რაი არს, საკმელი თუ სასმელი“. — ასეთ პასუხს იძლევა ის, ვინც მთელ ცოდნას სქოლასტიკის არტახებში ხევედა.

როგორც ყოველი ნაწარმოები, „კალმასობაც“ არ არის უნაკლო. სუეერი არ არის გაშლილი თანამიმდევრულად. მწერალს უყვარს ერთი და იმავე მოვლენისა და ფაქტის მრავალჯერ განმეორება. მეტიც: ერთი და იმავე წინადადებისა და ცნების არა ერთხელ მოხსენება. განსაკუთ-

რებით ეს ითქმის ძველის მეცნიერულ ნაწილზე. ნაწარმოებში რუსიციზმებიც გვხვდება.

მიუხედავად ყოველივე ამისა, „კალმასობა“ ჩინებული ძველია, მხატვრულობისა და დიდი ერუდიციის შემცველი. არსებობს კითხვები არ ავიწყდება: ართობს მას, ახარებს, აცინებს, ინტერესს უღვიძებს, არა ღლის. მთავარი ძაფი არსად არ წყდება. „კალმასობაში“ მეცნიერებას მეტი აფგალი აქვს დათმობილი, ვიდრე მხატვრულ ლიტერატურას, მაგრამ იქ მეტია მხატვრულობა, ვიდრე მეცნიერება.

„კალმასობის ლიტერატურული წყაროები.“

ესლა ძნელია იმის გამოძიება, თუ რა წყაროებს მიმართავედა ჩვენი მწერალი, როცა „კალმასობას“ სწერდა. ვგულისხმობთ მის მეცნიერულ ნაწილს. ამისთვის საჭიროა მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე რუსულ ენაზე გამოსული წიგნების გაჩხრეკა-შედარება „კალმასობასთან“. ეს ერთი. მეორე: საჭიროა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების შედარება „კალმასობასთან“ და იმ დროის სამეცნიერო ცოდნათა დონის გამოკვლევა.

აქ ჩვენ მივეუბნებთ მხოლოდ ზოგიერთ წყაროზე, რომელიც იოანემ გამოიყენა. უპირველეს ყოვლისა მწერალმა გამოიყენა თავისი სხვა შრომები. მაგალითად, „პროექტიდან“ „კალმასობაში“ შეტანილია საკითხი დიკასტერიის, ე. ი. საეკლესიო მართმსაჯულების ორგანოს შესახებ. ამავე პროექტში ლაპარაკია ეპკრებზე, მათ დაცვასა და უფლებამოვალეობაზე. ესეც განმეორებულია „კალმასობაში“. პროექტიდანვე „კალმასობაში“ გადაუტანია იოანეს მეფის ტახტის მემკვიდრის საკითხი.

„კალმასობაში“ ერთგან იკითხება: „ესე ვითარნი იხილე საკუთარსა ამათ კარაბადინსა შინა“-ო. აქ მოცემულია სხვადასხვა სამედიცინო დარიგება. თუმცა საექიმო წიგნები ანუ „კარაბადინები“ მრავალადაა ცნობილი ძველ ქართულ მწერლობაში, მაგრამ იქნებ, აქ თვით იოანე ბატონიშვილს „კარაბადინი“ იგულისხმება?

იოანეს ხელთ უნდა ჰქონოდა რუსულ ენაზე თარგმნილი ბერძენ ფილოსოფოსთა შრომები. მაგალითად, „კალმასობაში“ ერთგან ნათქვამია: „თვით ფილოსოფოსი იტყვის პოლეტიკა განმარტებს კანონთა კეთილგონიერებისათა და არა თუ ზაკვითისა და მაცთურ ყოფისა ცნობა არს“. უკველია, მწერალს მხედველობაში აქვს ფილოსოფოს პლატონის წიგნი „პოლიტეა“— მოძღვრება სახელმწიფოზე.

მეორეგან მოხსენებულია პროკლეს დიალექტიკა, რომელზედაც იოანე ვეუბნება, რომ სხვა საკითხების განმარტება იხილე „მუნვე დიალექტიკასა შინა“.

ფიზიკაზე ლაპარაკის დროს ავტორი მენიშნავს: „სხებრ იხილეთ ფიზიკასა შინა და წიგნსა ფიზიკურსა გვარსა ელლერისაგან ქმნილსა“.



სტეგანაც განმეორებულა: „მხედველობისა მიზეზნი ხსენებთ ფიზიკასა ელღურისა“.

„კალმასობა“ მდიდარია ეკზეგეტიკური ამბებითაც. ერთხელ უბრუნდება ჩვენი ავტორი სამღვთო წერილს და ზნეობის მოღლის მკითხველს, უამრავი ცნობით, მიუთითებს ძველნი და ახალნი აღთქმის შესაფერ აღვილებზე. მაგრამ უფრო ზშირად იგი კომენტატორებს ასახელებს.

იოანეს „კალმასობის“ ისტორიულ-ლიტერატურული ნაწილისათვის გამოუყენებია არჩილ მეფის თხუზულება „ძველი და ახალი დროის ქელეჩეთა შესახებ“ (გამოცემულია ე. თაყაიშვილის მიერ, იხ. *Опис.*, II, გვ. 138 — 140) და ანტონ კატალიკოზის თხუზულება „წყობილ-სიტყვაობა“. პირველ თხუზულებაში დასახელებულია 13 მწერალ-მოღვაწე. იგივე ცნობები იმავე თანმმდევრობით შესულია „კალმასობის“ ე. წ. „მცირე უწყებაში“. ანტონ პირველის წყობილსიტყვაობიდან იოანეს გადაულია ავტორის სახელის დასახელების ფორმებიც კი.

ქართულ ლექსთგვარებისა და საერთოდ პოეტიკის მასალა ჩვენს მწერალს „ქაშნიკიდან“ ამოუყრებია. მხოლოდ „ქაშნიკი“ არსად არ მოიხსენიება იმ ვაგებით, როგორც მის ავტორს მამუკა ბარათაშვილს ესმოდა. მაგრამ დასახელებულია „ქილილა და დამანა“, რომლითაც სარგებლობდა თვით ქართული პოეტიკის პირველი ავტორი („იციან შენ ქილილა და დამანასა“? მაშ გვარებიც გეცოდინება ქართულის ლექსებისა“).

ქართული ლექსწყობის ვაგებისათვის, ეკვი არ არის, იოანეს უნდა გამოეყენებინა 1802 წელს დაბეჭდილი რუსი ისტორიკოსის ვეგენის შრომა „Историческое изображение Грузии“. ამ წიგნს უნდა იყენებდეს ჩვენი ავტორი, როცა ქართულ ლექსწყობაზე გველაპარაკება.

რაც შეეხება პეტრე ლარაძის „დილარიანს“, „კალმასობის“ ავტორს არ უნდა გამოეყენებინოს იგი, რადგან არც ერთი ახალი სახე ქართული ლექსწყობისა, რომელიც „დილარიანშია“, „კალმასობამ“ არ იცის.

ზემოთქმული ისე არ უნდა ვაგიგოთ, თითქოს იოანე ბატონიშვილი მხოლოდ მიშბაძველია. არა, მის პოეტიკაში მეტია ორიგინალობა.

საქართველოს ისტორიისა და „ქართლის ცხოვრების შესახებ ცნობები იოანეს ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიიდან უნდა ამოეკრიბოს. ერთგან იგი ამბობს: „იამბიკონი ესე ვახუშტის აღწერილ ისტორიაში აკლდენო“. იოანეს მხედველობაში აქვს ლექსი: „როს ნაქარმაგვეს მეფენი“ და სხვა. იგი კიდევ აცხადებს „ეთთარცა ზწერია ქართლის ცხოვრებაში“.

მარტიროლოგია-პაგიოგრაფიის შედგენისას იოანეს გამოუყენებია ანტონ პირველის შრომა „მარტირიკა“.



ი. მეუნარგია — „აღ. ჭავჭავაძე“

ი. მეუნარგიას ნაშრომი „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ ფრანგმეტალურის სახით იქნა აღმოჩენილი მის არქივში, რომელიც სამეგრელოს მეზღვემშია დაცული ქ. ზუგდიდს ამ შრომაში სისრულით ვერ არის მოცემული შწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მხარე. აქ, როგორც სწავს, მხოლოდ სქემაა წარმოდგენილი ავტორის მიერ განზრახულ იმ სქელტანიანი ნაშრომისა, სადაც ვრცლად უნდა გადაშლილიყო ჩვენი ქვეყნის მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ცხოვრება და ამ ფონზე ასახულიყო ჯერ გარსევან ჭავჭავაძის და შემდეგ მისი შვილის, საბელოვანი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრება და პოეტური შემოქმედება.

სხვადასხვა გარემოების გამო იონა მეუნარგიას დასახული მიზნისათვის ვერ მიღწევია. იგი დაკმაყოფილებულა აღ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის არგვლივ საქართველოში არსებული ხელმისაწვდომი მასალის, უმთავრესად პოეტის თქმუდროვეთა მოგონებების გამოყენებით და შესდგომია ბიოგრაფიის წერასაც.

მაგრამ, როგორც სწავს, ავტორის თავისი ნაშრომი დაბეჭდვის ღირსად არ უცენია და შეუნახავს აღმათ, შემდგომი დამუშავებისა და გაფართოვების მიზნით. ეს არის მიზეზი, რომ ამ ნაშრომს დღემდე მკითხველი საზოგადოება და ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსები არ იცნობდნენ.

ამ ნაშრომს ბოლო აკლია. როგორც ეტყობა, ამ ბოლო ნაწილში გარჩეული უნდა ყოფილიყო აღ. ჭავჭავაძის შემოქმედება, სამწუხაროდ, ი. მეუნარგიას არქივში ამ ნაშრომის ბოლო ფურცლები აღარ დარჩენილა. აღმოჩენილი ხელნაწერის უკანასკნელი გვერდის უკანასკნელი აბზაცი ასე იკითხება: „ერთი არაკია: ერთმა ხელმწიფემ დაიბარა ვარსკვლავთმრიცხველები და ბედი აკითხვინაო. ერთმა ვარსკვლავთმრიცხველთაგანმა ხელმწიფეს მოახსენა: მეფეო, თქვენ დიდად ბედნიერო...“ აქ წყდება აბზაცი (ეს აბზაცი ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ ტექსტს სრულიად მოვაკილეთ).

მოუხედავად თავისი დაუთავრებული სახისა, ი. მეუნარგიას ნაშრომები მეტად სინტერესოა თავისი შინაარსით და ზოგიერთი ცნობით. გარდა ამისა, იგი საგულსინათლოა, როგორც პირველი ბიოგრაფიული ნაშრომი აღ. ჭავჭავაძის შესახებ ჩვენს ლიტერატურაში.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ, ი. მეუნარგიას აზრით, ალექსანდრე ჭავჭავაძე 1832 წლის ცნობილი შეთქმულების მონაწილე არ ყოფილა. „ალექსანდრე ჭავჭავაძე არც ზნით და არც პაზრით არ იყო იმათი თანამაზრე“ —ო, სწერს იგი. შეთქმულთა მასალიდან კი ირკვევა, რომ ყოველი შეთქმულთაგანი ცდილობდა ალექსანდრე ჭავჭავაძის შეთქმულებს საქმეში გახვევას და ცენტრალურ ფიგურად გამოეყენა. ი. მეუნარგიას აზრით, „საქმედან აღმოჩნდა, რომ ისინი ხშირად დადიოდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძისთან, იმათ ეჭვი აიღეს ჩვენს პოეტზე...ერთის მათგანის (იშხ სახელის ჩვენება არ გვინდა, რადგანაც ის ჯერ კიდევ ცოცხალი) ჩვენებამ სულ დაარწმუნა ბ. როზენი, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის წინააღმდეგ იყო“.



არ გამოუდგებოთ იმის მტკიცებას, თუ რამდენად მართალია ამ შემთხვევაში მკვლევარი, მაგრამ ისიც კი ცხადია, იმ დროს, როცა ეს პირობები იწერებოდა, ალექსანდრე ქავჭავაძის ავტორიტეტის აღსადგენად ამგვარი დამსჯელი საქიროც იყო. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ის პირი, ვისც ვერ ვხედავთ ცხელი იყო ამ წიგნის დაწერის დროს და ვის ხსენებასაც ის ერთდროულად უნდა გაიკრევს, თუ როდის დაიწერა ეს ნაწყვეტი. ხელნაწილი, მაგრამ, მისი ვარიანტის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „კიდევ ათი წელი და საუკუნეც შესრულდება მას იქეთ, რაც საქართველო შეუტრთდა რუსეთს“-ო, ამჟამადვეს ბიოგრაფიის დაწერის თარიღს. ასე რომ ხელნაწერი დაწერილი უნდა იყოს 1890-იან წლებში.

ვინ იყო ამ წლებში ცოცხალი ის შეთქმულთაგანი, რომელმაც უნდა ალექსანდრე ქავჭავაძის შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ ვინ უნდა იყოს ის პირი, რომლის სახელს ხსენებას მეუნარგია ერთდროულად, რაც იგი ცოცხალი იყო 90-იან წლებში? ჩვენ რატომღაც ეს პირი პოეტო ვ ა ხ ტ ა ნ გ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი გვევინო, რასაც გვაფიქრებინებს პირველყოელისა მის მიერ მიცემული ჩვენებანი (იხ. გ. გოხალიშვილი: „1832 წლის შეთქმულება“, ვახტანგ ორბელიანის ჩვენებანი); მეორე ის, რომ ვახტანგი ცოცხალი იყო 90-იან წლებში (გარდაიცვალა 1890 წლის 29 ნოემბერს). ი. მეუნარგია პირდაპირ დიდი თავყენისმიცემული იყო ვახტანგ ორბელიანისა, როგორც პოეტისა და საზოგადო მოღვაწისა, ამასთან მათ შორის შეგობრულ ურთიერთობასაც ჰქონია ადგილი, რის ნაყოფიც არის ვახტანგ ორბელიანის ლექსი „ნანგრევთა შორის“, მიძღვნილი იონა მეუნარგიასადმი.

ღრმა მოხუცებაში ჰყოფ მეგობარ პოეტის წიგნის, ცხადია, ერთდროულად მისი დიდი პატივისცემელი ი. მეუნარგია.

ნაწყვეტის ტექსტის აღსადგენად საჭიროდ ხანგრძლივი მუშაობა დაგვიტოვდა. გარდა იმისა, რომ იგი ფურცლებად იყო დაშლილი და გაფანტული არქივის სხვადასხვა ნაწილში, საქმეს აძვირებდა ამ ფურცლების გარეგანი სახე. მათი უმეტესობა ნაფლეთობად ტკეულ, ფანქრით ნაწერ ფარატინებს წარმოადგენს. ნაწერიც ზოგან ისე მართალია და გადაშლილი, რომ მისი ამოკითხვა ძალზე გაჭირდა. ეს უნდა ითქვას უმთავრესად მეორე პატარა ვარიანტის შესახებ, რომელიც, ინახება ჩემთან დაცულ არქივის ნაწილში და რომელიც თავდაპირველად დაწვებულ ვარიანტად მიგვანია. მკითხველს ორივეს ვუდგენთ.

არსებობს ი. მეუნარგიას მიერ დაწერილი ალექსანდრე ქავჭავაძის ბიოგრაფიის რუსული ვარიანტიც. უფრო დამსრულებული სახით, წინამდებარე ხელნაწერის მასალაზე დამყარებული, მაგრამ მოკლედ, შეკუმშულად, გაზეთის ფურცლებად დაზუსტებული. იგი ამჟამად მგოსან ი. გ რ ი შ ი შ ვ ი ლ ი ს არქივში ინახება. პატივცემულმა მგოსანმა და მკვლევარმა პირადად გამაცნო დასახელებული რუსული ვარიანტი, რომელიც ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იონა მეუნარგიას ინტერესს ალექსანდრე ქავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისადმი.

ბიოგრაფიის ტექსტში მოხსენებულ პირთა შესახებ საჭირო განმარტებას ავტორი არ იძლევა. ჩვენ ამ განმარტებებს, იქ, სადაც საჭიროა, სქოლიოებში ვიძლევი.

ბიოგრაფიის ტექსტში რაც შეიძლება ვიცავთ ავტორის სტილსა და მართლწერას, ვიცავთ, რამდენადაც ვიცნობთ მისი წერის მანერასა და წინადადებათა აგების წესს. ამ მხრით მისი სხვა შრომისაგან წინამდებარე შრომა საგრძნობლად განირჩევა, რადგან იგი შავად არის დაწერილი. ი. მეუნარგიას მუშაობის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა ერთხელ დაწერილის შესწორება და ხელახლა გადაწერა, გადაეთორება, რასაც ამ შემთხვევაში ვერ გხედავთ.

დასასრულად დიდ მადლობას მოვასხენებთ სამეგრელოს მუზეუმის მფარველ მუშაკს აშ. აკაკი კანტურისას, რომელმაც შესაძლებლობა დაგვძლევს ჩვენს სისწორით აღვედგინა ი. მენარჯიშის ეს პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ტყობი ხელნაწერი.



ქართული ენის
საქართველოს
ხალხური მემკვიდრეობის
სამეგრელოს მუზეუმი

ალექსანდრე ჭავჭავაძე

ცხოვრების აღწერა ჯერ არ შედგენილა ჩვენში. სურათები, ლიტერატურული მოგონება, სილუეტი არც კი გაგონილა. თითქო იღბლად დაპყრობა ჩვენს ლიტერატურას, რუსთველიდამ დაწყებული, შესანიშნავი მწერლებისა და ადამიანთა ვინაობის უცოდინარობა.

ეს ნაკლულევიანება ქართულდს მწერლობისა უნდა გასწორდეს იმ პირობებზე მიანიც, რომელთაც ამ საუკუნეში გადმოუბიჯებით ფეხი, ან ამ საუკუნესთან ერთად დაბადებულან და ოთხმოცი წლის საღმობა თავიანთი მაგარი ზურგით უტარებიათ, ან კიდევ ამ საუკუნეში დაბადებულან, ამავე საუკუნეში უცხოვრიათ და უმოღვაწეიათ და უდროოდ დაკარგვიან ჩვენს ქვეყანას.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ერთი ის შესანიშნავი კაცი იყო, რომლის ხსოვნა ჩვენს მწერლობას ესაჭიროება, მწერლობას მარტო კი არა, ცოტა ჩვენს თანამედროვე ისტორიასაც. მისი ხანგრძლივი სიცოცხლე ნიმუშია, რომლითაც შეიძლება ჩვენს შემდეგ მომავალ თაობათა წარმოიდგინონ თუ რაც იყო მისი დროება.

შორდება ჩვენი ქვეყანა ამ დროებას, რაც უფრო აწყდება იმას ძაფები, რომლითაც მიღანდულია ის ხმ დროსთან, მით უფრო და უფრო საინტერესო იქნება ჩვენთვის, ხალხისათვის ეს დრო, როდესაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი მდგომარეობა გათავდა, ჩვენს პოლიტიკურს ნანგრევებზე ჯერ საფუძველი დაედო და შემდეგ გაშენდა ის ახალი პოლიტიკური წესი, რომლის ქვეშ ვართ ეხლა ჩვენ.

ამ წყობილებასთან შეგვრჩება ჩვენ, ჩვენი ნაციონალური სახე, ენა, ზნეჩვეულება თუ არა, ეს ჩვენს საკუთარს მეკადინეობაზე და მოკრძეული, მაგრამ შეგვრჩება თუ არა ეს სახე, გაქრება თუ არა ჩვენი ეროვნება, რომელსაც ესოდენ ძლიერი სახელმწიფო არ ჰყოლია ჯერ პატრონად, ყოველ შემთხვევაში, ის დრო როდესაც სცხოვრობდა ალ. ჭავჭავაძე, ე. ი. უკანასკნელი წლები ირაკლის მეფობისა, რუსეთის შემოსვლა საქართველში და მათის უფლების დამყარება მეტისმეტად ღირსშესანიშნავია, ან როგორც უკანასკნელი თავი იმ ათასფურცლოვან წიგნისა, რომელშიაც ჩაწერილია უკუნითი-უკუნისამდე ჩვენი ხალხის ისტორია, ან როგორც პირველი თავი მეორე წიგნისა, რომელშიაც უნდა ჩაიწეროს ჩვენი ხალხის განახლებული ცხოვრება.

ვილაც ენამახვილმა, ფრანცუზების მწერალმა თქვა: როდესაც დანტონი ტანთ გაიხლიდა რევოლუცია შიშველი იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძის

ცხოვრების აღწერა, მის დროს, თუ "შეშვლად არა, შეშვლად" მაინც არის დაგვანახებს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ქავჭავაძე დაიბადა პეტერბურგს 1786 წელს. იშვიათს ვისმე ქართველთაგანს ჰქონია ისეთი ბედნიერი ჩამომავლობა და აღზრდა, როგორც ჰქონდა ა. ქავჭავაძეს. მამა მისი, გარსევანი, იყო საქართველოს ელჩად რუსეთში. მან მოაწერა ხელი 1783 წელს (24 ივლისს) გიორგი-ევსკის ტრაქტატს, რომლითაც დაიწყო საქართველოში რუსეთის მფარველობა; შემდეგში, 1798-ს პავლე I-ლის ტახტზე ასვლის დროს, ეს ხელ-ასლა გაიგზავნა რუსეთში მეფე ერეკლესთან და ტახტზე ასვლის მოლოცვის შემდეგ გეორგიევსკის ტრაქტატის დამტკიცება და საქართველოს შემეკიდრედ გეორგის დანიშვნა ითხოვა; დასაბუთდა 1798 წელს გარსევან ქავჭავაძე უკანასკნელად გაიგზავნა მეფე გეორგი-საგან პეტერბურგს და უკანასკნელად ითხოვა რუსეთის მფარველობა.

ამ მოგზაურობის დროს მისი პოლიტიკური მისია განხორციელდა. „18 დეკ. 1800 წელს პავლე პირველმა ხელი მოაწერა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტს“.

სხვა ბიოგრაფიული ცნობა რომ არა იყოსრა გარსევან ქავჭავაძის შესახებ; მართო ეს ისტორიული ფაქტიც საკმაოა, რომ წარმოვიდგინოთ თუ რაგვარ სფეროში იზრდებოდა ჩვენი პოეტი.

სხვა ბიოგრაფიული ცნობა რომ არა იყოს რა გარსევან ქავჭავაძის შემას ჰქონდა ყოველგვარი მისი დროების განათლება, იცოდა რუსული ენა და სასახლეში უპირველესი ადგილი ეკირა. ამასთან ამავე ცნობებით, საქართველოს თავადაზნაურობაში გარსევანი იყო ყოველთაგან პატივ-ცემული და პეტერბურგში გადასახლებულ ქართველობასთან დიდი განწყობილება ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ ირაკლიმ ის პირველ ელჩად აირჩია ისეთ მძიმე საქმეში, როგორც იყო ერთი სამეფოს მეორე სამეფოსათვის დამორჩილება.

დღეა ალექსანდრესი იყო მარიამ ივანეს ასული ავალოვისა. მისი დროის კვალობაზე ესეც განათლებული ქალი იყო, „ვეფხისტყაოსანზე“ და ჩვენს ძველებურს წესზე აღზრდილი.

რუსეთის კარი ამ დროს ეძებდა კარგს განწყობილებას საქართველოსთან. დიდმა იმპერატორიკამ ეკატერინე II-მ ისურვა საქართველოს ელჩის შვილის მონათვლა, გარსევანი ვერც კი ინატრებდა უკეთესს პატივს და ჩვენი პოეტი მონათლეს ეკატერინე II-მ და დიდმა მთავარმა ალექსანდრემ, შემდეგში იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა.

მაყვლისფერი ხაყერდის ბალიში, რომელზედაც ამოიყვანა წმინდა ემბაზიდამ ნათლია იმპერატრიცამ ალექსანდრე ჭავჭავაძე, დღესაც ინახება მის შვილიაშვილებში. უკანასკნელად ამ ბალიშზე მოხატულა განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე II-მ სამეგრელოში, ჭავჭავაძის შვილებში, რომელნიც ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილისშვილის შვილები არიან.*).

ამგვარმა დიდებულმა ნათლიებმა კიდევ უფრო გააუმჯობესეს ის პირობა, რომელშიაც გაიზარდა პოეტი.

როცა ოთხის წლის შეიქნა ალექსანდრე, გარსევეანი დაბრუნდა სახლობით თბილისს. რადგანაც თბილისში იმ დროს სასწავლებელი არ იყო, მამამ თან წამოიყვანა ბავშვის ლალად ერთი ფრანცუზი, რომელიც დიდხანს იყო ალექსანდრეს ოსტატად. აქ დაისწავლა ალექსანდრემ ფრანგული, ნემეცური, რუსული, სპარსული და ქართული. მეტადრე ქართული, რომელიც იმან ასე ზედმიწევნით იცოდა.

საქართველოში ამ დროს არეულობა იყო. ირაკლის მხნეობა მოსტყდა, შტრეები აიშალნენ და შიგ ქართველ თავადიშვილებში და ბატონიშვილებში დიდი უთანხმოება და განხეთქილება ატყდა. პულ ყველაფერი მიიღო და საქართველოს დაცემისაკენ, მებრუნე მოქმედება თავდებოდა და უკანასკნელი ფინალის არეულად ვალობაც იწყებოდა.

ამგვარ დროებაში, რასაკვირველია, შვილის აღზრდისათვის არავის სცალოდა საქართველოში. მხოლოდ ბუდისგან განებმეზრებულნი ალექსანდრე თავის ფრანცუზის მეცნიერებას ისმუნდა და თავისუფალ დროს დასერილობდა პირველად მამა მისისაგან ჩვენში გამოტანილ „ქარეტი“.

სამწუხაროდ სხვა არა ვიცით რა მიანის სიყმაწვილიდამ. თუმცა უმნიშვნელოა, მაგრამ, რადგანაც ჩვენამდის მოუღწევია, მოვიყვანთ აქ ერთს ეპიზოდს იმის სიყმაწვილიდამ. ამბობენ, რომ ერთს რაღაც ღლეობაში, საცა მეფეც ბრძანდებოდა, ალექსანდრეს ბეჭედი დაქარგვია მინდორში, რომელიც ბევრი უძებნიათ თურმე, მაგრამ ვერ უპოვნიათ. მეორე წელს იმავე ღლეობაში და იმავე შეკრებილებაში, ყმაწვილი ალექსანდრე მინდორზე მჯდომარე ათამაშებდა წყებელას და უეცრივ ამ წყებელაზე წამოეცო თურმე ეს ბეჭედი.

ვიმეორებთ, არა ვიცით რა იმის სიყმაწვილიდამ, მაგრამ ის კი შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ საქართველოში ყოფნას უსარგებლოდ არ ჩაუვლია მისთვის, შემდეგში „გოგჩრის ტბის“ ავტორის მაღალ მგრძობიარე და ღრმა შთაბეჭდილების სული ტყუილად არ ხედავდა საქართველოს სამეფოს სულთა-ბრძოლას, რომ სამშობლოს მწუხარებას არ დაეტოვებია მის ნორჩ გულში სამუდამო კვალი...

*) ე. ი. კატერინეს შვილის ნიკოს (დიდი ნიკოდ წოდებული) შვილები: პატარა ნიკო და მია (შემდეგ ობოლენსკიზე გათხოვილი).



ქართული
საქვეყნო ბიბლიოთეკა

საქართველოს
საქართველო

არ ვიცით რამდენ ხანს დარჩა ალექსანდრე საქვეყნო ბიბლიოთეკაში, როცა მფუფ ურკელემ მიელმეორედ გაგზავნა ის რუსეთში პაულე I-ლის ტახტზე ავგლის დოთს.

არ ვიცით აგრეთვე როდის შევიდა ალექსანდრე პაუეების კოოპუსში და როდის ზაათავა იქ სწავლა^{*)}. ვიცით მხოლოდ რომ ამ სასწავლებელში ის სწავლობდა ადლერბერგთან^{**)}, რომელთანაც ის ძლიერ იყო დაახლოებული და სწავლა გაათავა დიდის წარმატებით. სწავლის დასრულების შემდეგ განწესდა პაუად სასახლეში.

ამ დროებში საქართველოში ყველაფერი გათავდა: თბილისი დაიწვა, ირაკლი მოკვდა, გიორგი მოკვდა, მეფის სახლობა რუსეთში გაიგზავნა, საქართველოში რუსეთის მთავრობა დაწესდა და სხვ. ალექსანდრე შორიდან ისმენდა მამულის თავგადასავალს. პეტერბურგში მას ისეთი აღვილი ეჭირა, რომ საქართველოს ყოველგვარ ამბავს ან სასახლის მოხსენებაში კითხულობდა, ან პეტერბურგში გადასასლებულ ქართველ ოჯახებში შეიტყობდა ხოლმე.

როცა ალექსანდრე 26 წლისა შეიქნა, ცოლად შეირთო სარდლის, ივანე ჯამბაკურ-ოორბელიანის ქალი სალომე. ეს იყო 1812 წელს, როცა რუსეთის მოედო ნაპოლეთონ პირველის ცეცხლი. უეჭველია, ალექსანდრე არ რეულა ნაპოლეთონის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგანაც ამჟამად იმას ვხედავთ საქართველოში, კახეთის აჯანყების დასამშვიდებლად გაგზავნილს.

თბილისიდან მოშორებულ, კახეთში ბატონიშვილებმა (ალექსანდრე ბატონიშვილი^{***}) განიზრახეს, ამ დროს რუსეთის ქვეშევრდომობიდან განდგობა და ააჯანყეს კახელები. მთავრობამ ამათი დამშვიდება მიანდო ალექსანდრე ჭავჭავაძეს. ალექსანდრემ ჯერ მოინდომა კახეთის დამშვიდება ტყბლის ქართულით, მაგრამ, რომ ვერა გააწყო-რა, საქმე ძაღოზე და სროლაზე მიდგა.

*) თვით ჭავჭავაძე თავის ჩვენებაში (იხ. გ. გოზალიშვილის „1832 წლის შეთქმულება“ ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩვენებანი) ამბობს, რომ იგი პაუეების კორპუსში 1805 წელს წესდია. 1811 წელს დაუნიშნიათ გენერალ-ლეიტენანტ მარკოზ პაულისის ადიუტანტად. — მაშასადამე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს პაუეების კორპუსში უსწავლია 1805-დან 1810 — 1811 წლებამდე.

**) ალექსანდრე II-ის დროს სასახლის მინისტრი, რომლის ფერებში შესრულებული შატერული დიდი სურათი ამჟამად ინახება სამეგრელოს მუზეუმში.

*) ალექსანდრე ბატონიშვილს შეუნარგია საქართველოს მიტრიდატს უწოდებს.

რასაცვირველია, ამ შებმაში მთავრობის მხარემ გაიძაბა ალექსანდრე სწუნდა, რომ საკუთარ ძმებთან უნდა ეთმა, მაგრამ მთავრობისა და სამხედრო დისციპლინის მონა, ის შეება კახელებს დეკრეტულად საკმე ისე მაინც გაეთაქებია, რომ ბევრი უბედურება არ მომხდარიყვნეს.

ბევრი უბედურება, მართლა არ მომხდარა, მაგრამ თითონ პოეტი ლამის იმსხვერპლა ამ აჯანყებაში. ერთმა გლეხკაცმა ის დასჭრა ფეხში.

ამ ჭრილობას ძლიერ ცუდი შედეგი ეწებოდა პოეტრატების, რომ დროზე არ მიშველებოდათ ქუთათური თურმანიძეებია*). რომელნიც ამ დროშიაც თურმე შეაანიშნავეი ექიმები იყვნენ.

ამ ჭრილობიდან რომ მოარჩა ალექსანდრე წავიდა რუჯეთს და გაყვა ამ ჯარს, რომელიც გაედევნა ვარსკვლავ-მიხდილს ნაპოლეონ I-ლს და 1814 წელს შევიდა პარიზს ძღვეამოსილ კოალიციის ჯართან.

სახლევარგარეთიდან დაბრუნებულ ალექსანდრე ისევ საქართველოში ჩამოვიდა და განაგრძობდა სამხედრო სამსახურს. იმის ცხოვრებაში დიდხანს ისეთი არა მომხდარა რა, რომ მის ცხოვრების აღწერაში ჩააწერიოს.

ხუთმეტი წლის შემდეგ საფრანგეთის ომის გათავებისა, რუსეთსა და ოსმალეთს შორის ასტყდა ომი. ალექსანდრემ ამ ომშიაც მიიღო მონაწილეობა; ის იყო მცირეაზიის ჯარში და აიღო ბაიაზეთი.

მაგრამ ბაიაზეთის მამაცს, ეკატერინეს და ალექსანდრე პირველის ნათლულს, კახეთის დამამშვიდებელს ოთხი წლის შემდეგ და სახელდობრ 1832 წ. ეწია ინეთი განსაცდელი, რომელმაც საშინელი გავლენა იქონია მთელს მის არსებაზე. მას შესწამეს პოლიტიკური ორგულობა, დაიჭირეს, ციხეში ჩასვეს და შემდეგ 4 წლით ვორონეჟში გავზავნეს.

ჩვენ ცოტა დაწერილებით მოვიყვანთ ამ ეპიზოდს ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებრდან.

*) მაშინდელი განთქმული ექიმები ქუთაისში და შიგლ დასავლეთ საქართველოში, თურმანიძეთა პოპულარობა იმდენად უფილა მაშინ, რომ ურთევ არ იქნება ორივეი ცნობაც მოაწოდოთ ამ შინაური ჯანაოზთ, მაგრამ მაინც მაშინდელი დროს ამ დეკრეტის დოქტორობის შესახებ. ცნობა მეტად დამახასიათებელი და მოსწრებელი: სამედიცინოს უკანასკნელი მთავრის დაეთი დადიანის სახლთუბუცეთი და შემდეგ მთავრული უბოცისი ჩოსტომ ჩიქოვანი სამეგრელოში „როსთო ქელად“ (კოპოლი ჩოსტომ) წოდებელი შიტად ენა-მხველი კაცი უფილა. ამეამად ხელთა მაქვს მის მოსწრებულ სიტყვათა პატარა კრებული. სცა ერთი ასეთი ენა-მხველობაც არის: „ჩოსტომმა კოპოლი შიერთო, თააოის მაჩილადის ქალი. დიდი ჭორწილი გათაიხადა. ჭორწილში დაესწრო სამეგრელოს მთავარი დაითი — ალექსანდრე ჭავჭავაძის სიტ—და სხვა წარჩინებულნი როგორც სამეგრელოდან. ისე გარეშე ქვეყნებიდანაც. მეორე დღეს ჩოსტომს შეხდა დადი ნიო დადიანის „სიმონა გლახა“. სიმონამ ჰკითხა: ჩოსტომ კიდევ კოქლობო. ში, სოლოო, თურმანიძე კი არ შიბირთავს, მიჩილადის ქალი შიერთო — უთხრა ჩოსტომმა“. გ. ა. გვიში კი არ მოიყვანია კოქლობიდან, რომ მოვიყვანო.



ამ დროს პირველად შეკრბა თბილისს რუსეთში ხელისუფლებული ყმაწვილ-კაცობა: ო რ ბ ე ლ ი ა ნ ე ბ ი, ე რ ი ს თ ა ვ ე ბ ი ქ ა ვ - ქ ა ვ ა ძ ე ბ ი, ყ ი ფ ი ა ნ ე ბ ი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მდგომარეობა ისე ახლო იყო იმათგან, მისს წარსულში იმდენჯერ სძებიათ იმათ სამშობლოს დამონება და განთავისუფლება, მაშინდელი რუსის ჩინოვნიკების მმართველობა ისე გაუხარებელი იყო ქართველებისათვის, რომ ამ ყმაწვილების უმწიკვლო ვულში დაიბადა ადვილად გასაგები გრძნობა სამშობლოს განთავისუფლებისა.

ხუმბეროდე ყმაწვილ-კაცებმა განიზრახეს მოეკლათ საქართველოს მთავარმმართველი და ყველა ცალკე ნაწილების მითავე რუსები, ჩაეგდოთ ხელში არსენალი, ხაზინა, მეტეხი და ბოლოს საქართველო თავისუფალ სახელმწიფოდ გამოეცხადებინათ. ისინი იკრიბებოდნენ ხან განსვენებულ დიმიტრი ორბელიანთან*), ხან პუბლიასთან**). ამბობენ, რომ იმათი განზრახვა არ გაეგოთ, დაკეტდნენ ოთახს, დააჭობდნენ სანთელს და შიგ ოთახში მოჰყვებოდნენ ჩურჩულს.

ალექსანდრე ჭავჭავაძე არც ხნით და არც პაზრით არ იყო იმათი თანამოაზრე. თუმცა ყველა ეს ყმაწვილ-კაცობა იკრიბებოდა მის უპირველეს თბილისსა სალონში. მაგრამ ვერაფერს მათგანი ვერ ჰხედავდა კრინტი ამოვლო მათ პოლიტიკურ პროექტზე.

ამ ყმაწვილების განზრახვა შეიტყო თბილისის გუბერნატორის ძმამ ფალავანდიშვილმა***)... ფალავანდიშვილმა ეს საიდუმლო შეატყობინა გუბერნატორს და გუბერნატორმა იმ დროის მთავარმმართველს, როზენს****). როზენმა ზარები დარეკა. იმას წარმოუდგა, რომ ეს არის გაწყდა რუსები კავკასიაში და ერთს ღამეს ყველა ეს ყმაწვილ-კაცები დაიჭირეს. რუსების სიყვარულის გარდა მის განკარგულებას ცოტა დამსახურების ბეჭედიც აჩნდა. აქაო და საქართველო მეორეჯერ მოვაგებინე რუსებსო.

როცა ამ ყმაწვილკაცებს ჩამოართვეს ჩვენება და საქმიდამ აღმოჩნდა, რომ ისენი ხშირად დადიოდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძესთან. იმათ ეჭვი აიღეს ჩვენს პოეტზე. ერთის მათგანის (იმის სახელის ჩვენება არ გვინდა, რადგანაც ის ჯერ კიდევ ცოცხალია*****) ჩვენებამ სულ დაარწმუნა მთა-

*) დიმიტრი ვახტანგის ძე- ორბელიანი გარდაიცვალა 1982 წ. იხ. ბ. მეუნარჯია „ცხოვრება და ღვაწლი ო. გრ. ორბელიანისა“, გვ. 114 — 115.

***) პუბლიას ალექსანდრე ორბელიანს ეძახდნენ.

****) იასე ფალავანდიშვილი, შეთქმულების მონაწილე, მისი ძმა ნიკოლოზი იყო — ტფილისის გუბერნატორი. (ხ. ც.).

*****) ცნობილი ზარონ როზენი კავკასიის მთავარმმართველი (ნამესტნიკი).

*****) ამის შესახებ იხ. წინასიტყვაობაში — ვახტანგ ორბელიანი ღწნა იუყს.

ვარშარტობელი ბარონი, რომ ალექსანდრეც რუსეთის წინააღმდეგ იყო. ამ ყმაწვილის ჩვენებიდამ აღმოჩნდა, რომ ერთხელ, როდესაც შეთქმულნი შეკრებილნი იყვნენ ჩვენს პოეტთან და ვახშმია კვარცხელა ალექსანდრეს ხალისიან გულზე სიტყვები ეთქვა.

ბიზლიცისკა

ეს ეჭვი და ეს ჩვენება საკმაო შეიქნა ბარონ როზენისათვის, რომ იმას ბრძანება გაეცა დაეჭირათ ალექსანდრე კავკავაძეც. იმასთან შევიდნენ დააკვირად ეანდარმები. ალექსანდრემ წესისამებრ მისცა მათ თავისი ხმალი და შერე გადავიდა ინტინრების სამშართველოში, საცა ცალკე ოთახში დაამწყვდიეს. ალექსანდრემ აქ რამდენიმე თვე დაჰყო. ის ღრმად შეწუხებული იყო, რომ ასეთი შეურაცყოფით მოექცნენ მას. თუმცა კი აი ჰკარგავედა იმედს, რომ აღრე თუ გვიან, მმართველობა მიხვდებოდა თავის შეცდომას და დაჭერილები, ისევე მზეს იხილავდნენ. ის სწერდა თავის დანაპირობილებით:

„შე იმას ვსტირი, განაწირი, ვაპ თუ ვერ...“

თვარალა ეაში. გულთ მაამი კვლავცა იქმნების“.

ამ დროს თბილისის ქართველობის მდგომარეობა საშინელ სურათს წარმოადგენდა. ოჯახი არ იყო, საცა მწუხარება და ტირილი არ ყოფილიყო. უკეთესი ყმაწვილკაცობა, დედმამის და მამულის იმედნი, რომელნიც შემდეგ დიდი კაცები გახდნენ, დაჭერილნი იყვნენ და ციხეში გასაგზავნად გამზადებულნი.

ბარონ როზენმა ქართველთა ასეთი ორგულობა შეატყობინა პეტერბურგს. საიდამაც გამოგზავნეს საქმის გასარჩევად გენერალი ჩეკვინი (შემდეგში მინისტრი). ამან გაარჩია საქმეები და იმის წარდგენით მმართველობამ გადასწყვიტა გაეგზავნათ რუსეთში ამ შეთქმულების მონაწილენი.

ალექსანდრე გაიგზავნა ევრონეეს. საცა იმან დაჰყო ოთხი წელიწადი. სხვათაშორის, ამ დროს რუსეთში გაგზავნეს მეორე ჩვენი დიდი პოეტი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი (როვას). ბ ა ტ ო ნ ი ს რ ძ ა ლ ი თ ა მ ა რ *) (კალუგას), დ. ი. ყ ი ფ ი ა ნ ი, გ. რ. ე რ ი ს თ ა ვ ი, ვ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი და სხვ.

1837 წელს ალექსანდრე დაბრუნდა ევრონეეიდან. მისმა ყმაწვილს მეგობარმა ადლერბერგმა დიდი შემწეობა აღმოუჩინა. მას ამ დაბრუნებაში, ამ წელს ნიკოლოზ პავლეს-ქემ ნახა ჩვენში პოეტი ერთს პარადზე და მის თავგადასავალზე ელაპარაკა.

ჩქარა მთავრობა მიხვდა თავის შეცდომას: ალექსანდრე ხელახლა განაწესეს სამსახურში. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა სამხრეთ-კავკასიაში ჭირი გაჩნდა, მთავრობამ ის გაგზავნა. მათდა მოსაველედა, აქ ის თითონ

*) თამარ ბავრატოიანი (.)

მიდიოდა ავადმყოფების სანახავად; ბევრს ეგონა ალექსანდრე დაიღუპებოდა ამ დროს, მაგრამ საქართველოსგან საყვარელი პოეტი ჭირმა არ წაიღო.

მას აქეთ ხანში შესული ალექსანდრე დღითიდღე მსვენებდა და სიყვარულს სიყვარულს. მისი ლექსები, თუმცა ბეჭდვა არ იყო მაშინ გახშირებული, ქუჩა-ქუჩა და სოფელ-სოფელ იმღერებოდა, როგორც ოდესმე აბ..... სის (გაურკვეველია) ლექსები. დაბალ ხალხში საყვარელს და განთქმულს პოეტს მაღალ საზოგადოებაშიც დიდი კავშირი ჰქონდა, როგორც ნათესაობით, ისე სამსახურით.

როგორც მაგალითი, საჭიროა ეს უბრალო ამბავიც ითქვას: ერთხელ როდესაც თბილისში თავად-აზნაურობის წინამძღოლის არჩევანი იყო, სხვათაშორის, თავად კონსტანტინე მუხრანისკიმ იყარა კენჭი. ალექსანდრე ჭავჭავაძე მოიწვიეს კენჭის ჩასაგდებად: ალექსანდრე მიუბრუნდა ამ დროს თავად მუხრანისკის ამგვარის სიტყვებით:

— კნიაზო კონსტანტინე, ჩემზე ამბობენ რომ ვითომ მე შენი მტერი ვიყო; რომ დაგიმტკიცო ეს მართალი პაწრია, საქვეყნოდ მომირთმევიდ თქვენთვის ეს ჩემი შავი ხმაო — გამოსწია უჯრის და შავი კენჭი ჩაუგდო. ამგვარი ქცევის შემდეგ მთელმა თავად-აზნაურობამ შავი კენჭი ჩაუყარა მუხრანისკის, რომელიც ამგვარად აურჩეველი დარჩა.

სიკედილის დროს ალექსანდრე იყო მთავარმართებლის რჩევის წევრი და ჰქონდა გენერალ-ლეიტენანტის ჩინი.

მაგრამ სწორად უთქვამს პოეტს: „ერუ და მუხთალი სოფელი მიწყოვ ავისა მქნელიაო“. 6 ნოემბერს 1846 წელს, როცა ალექსანდრე ჭავჭავაძის ჯანმრთელობა საუკეთესო მდგომარეობაში იყო, უცებ ქალაქში ხმა გაისმა ჭავჭავაძე მოკვდაო. მთელი ქალაქი მოაწყდა პოეტის სახლს (ჭავჭავაძის ქუჩაზე, იხლანდელი გოლოვინის პროსპექტის გვერდით, საცა „პარიზის“ ასატუმროა), ყველას უნდოდა შეეტყო ასე უცებ რა დაემართა სიცოცხლით და ჯანმრთელობით საისე პოეტს.

სამწუხაროდ, ქალაქში გავრცელებული ხმა მართალი იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძე იმ დღიას, საათის ათში, გაიშხადა ევრონცოითან *) წასასვლილიად. რაღაც დღეობა იყო და მისალოცავად წასვლა ურჩია მისმა მეუღლიმ.

მშვიდნიერი ყარაბაოული ცხანი შიბა მის „ათინ-ჩაის“ ჭიჩრმა და ალექსანდრე დაიწვია პარიზის თორმით მორთული ჭავჭავაძის ჭიჩით. როცა ის დაღაბლოვდა გოლოვინის პროსპექტს, უეცრივ ერთმა დიდაკაცმა ჩაბლიდან აპანიანი წყალი გამოიტანა და ქუჩაზე გადაღვარა, სწორედ იმ

*) მ. ს. ევრონცოვი, კავკასიის მთავარმართებელი და მაშინდელი რუსეთის იმპერატორის ცნობილი პირი, გენერალ-ფელდმარშალი და დიდი მემამულე.

დროს, როდესაც იმას გაუსწორდა ალექსანდრეს ეტლი. ცხენმა დაფრთხა, წაართვა თავი ქუჩერს. შეშინებულმა ქუჩერმა მოსძახა ალექსანდრეს: „კნიაზო, მე ამის დაჭერა არ შემიძლია, თავს უშველეო“. — ალექსანდრემ იფიქრა ქუჩრის მიშველება, წამოიწია და რომ უნდა მწველიყო ალვირს, მისი გრძელი შინელის მარჯვენა კალთა მოჰყვა ბორბალს და ზედ დაეხვია, ფეხზე წამომდგარი ალექსანდრე ძირს ვადმოავდო. ეს ვადმოვარდნა სასიკვდილო შეიქნა, დაეცა თავით. გრძობამიხდილი ალექსანდრე შეიყვანეს სახლში, საცა ცოტა ხანი იცოცხლა.

ის მოკვდა იმავე ღამეს.

სიკვდილის წინ ვარანცოვმა თავისი მეუღლით ინახულა ავადმყოფი. რამდენიმე დღის შემდეგ თბილისმა დიდის პარტივისცემით დამარბა ის. მთელი მოქალაქობა თავის ამქრებით და ბაირალეებით გაჰყვა მას საუკუნო განსასვენებელთან. გვამი განსვენებულისა დამარბულია კახეთს, შუამთის მონასტერში.



ჭავჭავაძის ცხოვრების აღწერა არ იქნებოდა სრული, რომ ორიოდ სიტყვა არ გვეთქვა მის სახლობაზე, სანამ მისი ნაწერის განხილვაზე გადავიდოდეთ.

მას ჰყავდა ოთხი შვილი. პირველი — ნინო, დაბადებული 1812 წელს, შემდეგში მისთხოვდა რუსეთის შესანიშნავს პოეტს გრიბოედოვს; მეორე — ეკატერინე, დაბადებული 1816 წელს, მისთხოვდა სამეგრელოს უკანასკნელს მთავარს დავით დადიანს და შემდეგ მისის სიკვდილისა დროებით მართავდა სამეგრელოს. მესამე — დავით, დაბადებული 1817 წ. ამ დავითის ქალზე თამარზე დაიწერა ჯვარი საქართველოს უკანასკნელმა ბატონი შვილმა ერეკლემ. მეოთხე — სოფიო დაბადებული 1834 წელს, მისთხოვდა რუსეთში სახალხო განათლების მინისტრად ნამყოფ ბარონიკოლაიას...

გრიბოედოვის ცოლის გარდა სხვას ყველას დარჩა ჩამომავლობა, რომელნიც ეხლა საქართველოს საუკეთესო ოჯახებს შეადგენენ.



ახლა პოეტის ნაწერებზე:

ძნელია ლაპარაკი იმ კაცზე, რომელზედაც ნამდვილი ცნობა არა გაქვს. ამ შემთხვევაში ან აკლებ ამ კაცს მის ღირსებას, ან ისეთ ღირსებას აწერ, რომელიც იმას არ ეკუთვნის. ალექსანდრე ჭავჭავაძეზე საბოლოო პაზრის შედგენა ლიტერატურაში, სანამ მისი ნაწერი ყველა არ დაბეჭდილა და მკითხველ საზოგადოებას არ გაუცენია, უცნობ კაცზე



ლაპარაკსა ჰგავს. ბევრისაგან ვაიგონებ ალექსანდრე ქავჭავაძის თანა პოეტი ამ საუკუნეში არ ყოფილაო, ზოგი ამბობს კიდევ სავარაუდოლოში ერთი რუსთველიაო და მეორე ალექსანდრე ქავჭავაძეაო.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენგან ალექსანდრე ქავჭავაძის სახეანის-ცემა ასე შორს არ მიდის. რასაკვირველია, თუ მუდამ სიყმაწვილეში ყოფნას არ ვისურვებთ, თუ ჩვენ თავს დავინახავთ ღირსეულად, რომ როდისმე მაინც დავეიწყოთ ჩვენი ცოდვების მომტვევებელი „გარემოება“ და გავბედავთ ჩვენი ჭკუის ნაწარმოებს იმავე მასშტაბით დაუწყეთ ზომვა, რა მასშტაბითაც ზომავენ ყოველგვარ ლიტერატურულ ნაწარმოებს სხვა განათლებულ ქვეყნებში.

ამ სასტიკ კრიტიკული მოთხოვნის წინაშე, როდესაც ყოველგვარ „ადგილობრივ გარემოებას“ დავეიწყებთ და პოეტის ნაწერს განვიხილავთ და დავაფასებთ, როგორც პოეტურ ქმნილებას, ალექსანდრე ქავჭავაძის ლექსები ჩვენი დროების საუკეთესო პოეტთა ლექსებზე მალლა ვერ დადგება.

მისი თხზულების პირველ ნაწილში, რომელშიაც ოთხმოცდათვრამეტი ლექსია დაბეჭდილი, ჩვენ ვერც კი მიგვიგნია პოეტის დედა გრძნობისათვის. ამ ლექსებში არც ბარათაშვილის კავშიანი არის, არც ორბელიანის ცად-ალმფრენი ენა და გრძნობა და წმინდა, ნამდვილი ქართული ხმა, არც აკაკის მამულის სიყვარული, არც ილიას ქნარი.

მართალია ლექსები მშვენიერნი არიან, ერთი ერთმანეთზე უკეთესნი, ისინი ასიამოვნებდნენ ყურს, იტყევენ გონებას, ხანდახან ხედებიან გულსაც. მაგრამ ვერ მიიყვანებენ მკითხველს იმ რაღაც გამოუთქმელ მდგომარეობამდე, რომელშიაც მიდის ის გრიგოლ ორბელიანის უბრალო, ურითმოდ დაწერილ „ფსალმუნის“ კითხვაში, რომელშიაც როგორც ექსტაზში იყარგება კაცი შილლერის, ბაირონის, ვიქტორ ჰიუგოს, ლერმონტოვის, ნეკრასოვის და პუშკინის კითხვაში.

ეს გარემოება მით უფრო საკვირველია, რომ ალექსანდრე ქავჭავაძე დიდად შესანიშნავია, როგორც ხელოვანი. ისეთი სიმდიდრე ლექსებისა, ისეთი ძლიერი გამოთქმა, ისეთი მოღბილება ქართულის ენისა, როგორც აქვს ქავჭავაძეს, არც ერთს ჩვენს თანამედროვე პოეტს არა აქვს. უნაზე ზომ ლაპარაკიც არ არის საჭირო. იმაზე უკეთესი მოქართულე არ უნახავს ჩვენს საუკუნეს... ამასთან ქავჭავაძემ, რომელმაც ასე ზედმარწევნით იცოდა რუსული, ფრანგული და ნემეცური ლიტერატურა, რომელმაც ასე ჩინებულად თარგმნა ვოლტერის ბევრი ლექსები, კორნელის სონნა, რა საკვირველია, ლექსების ზომაც იცოდა, იცოდა, რა გვირად უნდოდა კაცის გულთან მუსაიფი და არ უნდა გასჭირე-



მოდა ეს ლაპარაკი, მაგრამ, ჩვენის აზრით, იმან თავიცი ცოცხალი არ მოი-
სპარა საქმეზე და ისე ილაპარაკა, რომ გული უგრძობად შექცეულა.

რატომ? იმიტომ რომ აქ ჩვენ ისტორიულ ნიადაგზე უნდა ვსაუბრობდეთ და იმ გარემოებას უნდა მიუბრუნდეთ, რომელსაც, როგორც ისრა-
ელეების თხას ვაბრალებთ ჩვენ ჩვენს ცოდვას — იმიტომ რომ ალექსან-
დრე ქავჭავაძე ისეთ დროში ცხოვრობდა, რომელშიაც სხვანაირად წერა
შეუძლებელი იყო.

პოლიტიკურად და სამოქალაქოდ დასუსტებულ საქართველოში, ალუ-
ქსანდრეს ყმაწვილობის დროს, სუფევდა ანტონ კათალიკო-
ზის*) ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველური სწავლა და კაცთაგან გაუ-
გონარი და მიუგნებელი ქართული ენა. „ვეფხისტყაოსანი“ განიდევნა
ოჯახებიდან; ქართულ გრამატიკას ლათინური სახე მიეცა და გამოგონილ
იქნა მაღალი სამწერლო ენა, რომელიც ხალხისათვის მიუწვდომელი შე-
ეჭა. ამგვარ მდგომარეობას კიდევ ერთი ახალი, რუსული ენა მიემატა
და მწერლობა სულ აირ-ღაირია.

ამ მდგომარეობაში იყო ჩვენი ლიტერატურა, როდესაც ალექსანდრემ
დასწერა პირველი ლექსი (სამეგრელოს დედოფლისაგან გაგვიგონია —
მამა ჩემმა 15 წლისამ იწყო წერაო). ყველას ადვილად შეუძლია წარმოი-
დგინოს, თუ რა შემავიწროებელი პირობა არის მწერლისათვის ასეთი
მდგომარეობა. ხელ-ფეხი რომ შეუტყრა კაცს, წყალში ჩაავდო და უთხრა
იტყურო, სწორეთ იმას ემგვანება, რომ პოეტს უთხრა ამ პირობაში: აბა
აიღე ქნარი და ემუსაიდვე ჩემს გულსო. ერთი დრო იყო, როცა ფრანგულ
ლიტერატურაში შეუძლებელი იყო გეთქვა „შუადღე“ არისო. უნდა გე-
თქვა: „მეთორმეტემან საათმან დაჰკრა უკანასკნელი ზარი“. ალექსანდრე-

*) ანტონ კათალიკოზი — ვახტანგ მეექვსის ძმის იესეს შვილი, მწერალი, არქიის-
ტი; მის კალამს ეკუთვნის მრავალი ზრომა უმთავრესად სქოლასტიკურ-დოგმატიური
ხასიათისა. ამ ანტონ კათალიკოზის მოღვაწეობის დახასიათების შესახებ ვრცელ და
სინტერესო ცნობას იძლევა ი. მელნარგია გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიის იმ დაფ-
ბიქვად ნაწილში, სადაც იგი არჩევს გრიგოლ ორბელიანის ნაწერებს — „ნახევარი
საუკუნის დაუცხრომელის ზრომით და ღვაწლით — ამბობს მელნარგია — მან (ანტონ-
მა, ს. ც.) შეადგინა ქართულ ენაზე: წყობილსიტყვაობა, ფილოსოფია, რიტორიკა, გრა-
მატიკა, ლოღია, მეტაფიზიკა, ფიზიკა, კატეხიზმი და სხვ... მისი ენა რუსულ-ლა-
თინურზე გამოჭრილი, ნაძალადევი გამოდგა და მაშასადამე ქართულის ენის ხასიათს
მოკლებული, გაუგებარი“... შემდეგ მოყავს ადგილები ანტონის ფილოსოფიური თხზუ-
ლების „სპეკალი“ — დან და სეამს კითხვას: „ბევრი გაიგეთ“... და ამ ენის „გაუგებლობის“
და ხალხიდან მოწვევტილობის საკმაოდ დამტკიცების შემდეგ დასძენს: „მეფე გიორგი,
რომელსაც თვით ზიბა მისი ანტონ კათალიკოზი უკითხავდა, მემკვიდრეობის დროს,
თავის ფილოსოფიას, ენერგიულად იტყოდა: „არა მესმის ეს, ენაყვე წყალს“. ღმერთო
შეეცოდე და მგონია ამ მეფეს მთელი მისი სამეფოც ეხმარებოდა წყლის ნაყვამი-ო“...
დასძენს ზემოთის კილოთი ავტორი.

ანტონი გარდაიცვალა 1788 წ.

საც უნდოდა თუ არ უნდოდა ამგვარი „მაღალ ფრანგული“ ელპარაკა ამ საუკუნის დასწყისში.

არ ვამბობთ, რომ ამგვარი ლაპარაკი მაინც დაემართა მალაღვიწილადევი ყოფილიყო მისთვის. საკმე იმაშია, რომ მისი ენა ბუნებრივად უფრო და ენასთან გრძობაც ფრთა აღკვეცილი დარჩა.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოეტს ვინმემ ენა დაუწუნოს. ვიმეორებთ მისი ენა შეუდარებელია, მაგრამ ენის კილო ყოველთვის როგორღაც დარბაისლურია, ყოველთვის მაღალი, თითქო ვინმე ოთხმოცი წლის სენატორის სიტყვა ვესმის; კალამი ყოველთვის შეკავებულია და განცხრომით სავსე, თითქო მთელი თავის სიცოცხლე პოეტს წითელ მალდით გადაფარებულ სტოლზე ეწეროს.

ამგვარი წერის კილო ჯერ ეამება კაცს, მაგრამ მერე მალე მოსწყინდება. ბ უ ა ლ ო მ *) მცნებად დაუდვა პოეტებს, წერის დროს ყოველთვის ერთიდაიგივე ენა არ ეხმარათ. მეორე ფრანკუზმა მწერალმა ფ ე ნ ე ლ ო ნ მ ა - ** მართლა სთქვა: „მე ისეთი პოეტი მიყვარს, რომელიც მაღალს რასმე დასწერს, მაგრამ ისეთის უბრალოს უნით. ისე ტკბილად, რომ ყოველმა კაცმა იფიქროს მეც შევიძლებდი ასეთი ლექსის დაწერას“.

ეს უბრალო ენა და სიტყბო აკლდა ჩვენს პოეტს. მისი ლექსი გაქედლილია და ჯაჭვსავით აცმული ერთი ერთმანეთზე, ჯაჭვსავით მაგარადა ცივი.

ეს არის პირველი და უმთავრესი ნაკლოვანება ალექსანდრე ჰავკავაძის ლექსებისა, ენა, რომელიც, ჩვენის პაზრით, მონახევრეა ლექსთ წარმატებისა, ვერ არის, ფ ე ნ ე ლ ო ნ ი ს არ იყოს, უბრალო და ტკბილი.

ეს ნაკლულევანება თავის მხრით იმის მიზეზია, რომ მისი მაღალი გრძობა, მისი ლექსის ტექნიკა, მისი ნიჭი იმდენად არ მოქმედება ჩემზე, როგორც შავ. ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ლექსება.

ავიღოთ რომელიც გსურთ ლექსი ჰავკავაძისა „ვარდო-კოკობო“ მაგპოეტი იტყვის:

ვარდო კოკობო, ყოველთა მჯობო, მომხედე კრულსა,

მე შენსა მჭერეტსა, განამეტსა თვალდაურულსა.

მოვედ მეკონე და მიმონე, მეწამლე წყლულსა,

აღთქმა გრძნობითი, წამ-ყოფითი სულ უქმენ გულსა“

ჩინებულია ეს ლექსი, როგორც ფაქტურით, ისე ენის სიმდიდრით, თუ გინდა გრძნობითაც, ეს ერთი ხანა დაამშვენებდა რომელიც გინდა რო-

*) საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი — ნიკოლოზ-დებრიე ბუალო 1636 — 1711.

**) საფრანგეთის ცნობილი მწერალი, ფრანსუა სალ.-ფენელონი 1651 — 1715 წ.

ძანტოული დრამის მონოლოგს, მაგრამ როგორც ლეკოს არ მოიყვანს აღძვრაში, იმიტომ რომ ეს სხვაგვარად არის თქმული და გული კი სხვაგვარ ენას არის დაჩეუული. ძნელია ამ გულისხმობის აწერა ისე, როგორც ძნელია სიყვარულის განმარტება. წაიფიქროთ, ტონის სიმღერას შეიქმსო. აქ ტონი კი არა, სწავლასხვა სიტყვია, რომელიც სხვადასხვაგვარად მოქმედებენ გამგონის გულზე... *)

მარინატი

თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძე

დაიბადა პეტერბურგს 1786 წელს. მამა მისი გარსევან, შესანიშნავი ქართველი დიპლომატი, რომელმაც დაიწყო და ბოლომდის გაიყვანა საქართველოს რუსეთთან შეერთება-დაკავშირება, იყო გაგზავნილი ელჩად პეტერბურგს მეფე ერეკლესაგან 1783 წელს. იმან ჯერ ზელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს, რომლითაც გამოცხადდა საქართველოში რუსეთის მმართველობა და შემდეგ ამავე ტრაქტატის თანახმად მიიღო ელჩობა რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორის კარზე. მეფე ერეკლეს თავის კარის კაცებში ჭავჭავაძეზე უფრო სანდო და თანადანი კაცი სხვა არავინ ეგულებოდა.

მეფე გიორგი სიკვდილის სარეცელზე ეუბნებოდა ლაზარეს „თუ ჭავჭავაძემ ჩამომისწრო სიკვდილს არ ვინაღვლებო“. მართლაც ერთ დროს მედი და უბედობა საქართველოსი ამ კაცის ხელთ იყო.

საქართველოს დაწიოკება მტერ-მოყვარეთაგან, ხალხის სიღარიბე, ბატონისშვილების ერთმანეთთან უთანხმოება, მეფის უფლების დამცირება, დარეჯან დედოფლის განუსჯელი პოლიტიკა, ლეკების შენახვა (მეფე ერეკლე 10 ათას ლეკს ქირაობდა, მეფე გიორგი 7-ს), უზილბაშის თათრის, ლეკის და ვინ გინდა აზიელ ხალხების შიში — ყველა ეს ისეთი მიზეზი იყო, რომლითაც მეფე ერეკლეს და მის მინისტრს ჭავჭავაძეს ხელი მოაწერიეს გეორგიევსკის ტრაქტატზე.

ამ ტრაქტატით საქართველო დარჩა, როგორც ადრე, ცალკე სამეფოდ თავის მეფით და კანონმდებლობით, ხოლო მის მოპასუხედ შეიქნა რუსეთი და მისი ჯარი. საქართველო მოგებაში იყო, მაგრამ სანამ რუსეთი განახორციელებდა თავის აღთქმას, მოხდა ახალი უბედურება — ალა-შაშ-მად ხანმა საქართველო ააოხრა და ომარ-ხანმა და ბატონიშვილებმა დამშეულ წურბელებივით წამოაყვეს თავი.

*) აქ წვდება ეს ნაწარმოები. ცხადია, დაუმთავრებლად. და რომ დაუმთავრებელია ამის შესახებ წინასიტყვობაშიც მოგახსენეთ აქ დამწერი წერტილის შემდეგ დაუმთავრებელი აბზაცის ცტირებით.

გიორგი მეფემ და მისმა ძველმა მინისტრმა ისევ რუსეთის/კალთას მიმართეს ხელი. საიდუმლოდ, ბატონიშვილებსა და დახვეწილ დახვდომილ-კოდნის გარეშე, მეფე გიორგიმ გაგზავნა პეტერბურგში კავშირის და-ორი სხვა თავადიშვილები იმ განზრახვით, რომ ეთხოვნა ხელმწიფისათვის საქართველო სრულიად შეეერთებინა რუსეთისთვის და ემართა, რაკანონითაც იმას ენებებოდა მხოლოდ იმ პირობით, რომ ბაგრატიონებს დარჩენოდათ მეფის ტიტული და ქვეყნის მართვა.

რუსეთმა ეს პირობა მიიღო, მაგრამ სანამ ამ პირობას ხელს მოაწერდნენ პეტერბურგში და თბილისში, მეფე გიორგიც გარდაიცვალა. ამას იქით ჩვენს საქმეზე რუსეთის პოლიტიკა გამოიცვალა. 18 დეკ. 1800 წ. იმპერატორმა პავლემ გამოსცა მანიფესტი, რომლითაც საქართველო სრულიად შეუერთდა რუსეთს.

გარსევანს იმედი გაუცრუვდა. ბაგრატიონებმა საუკუნოდ დაქარგეს საქართველოს ტახტი. ელჩმა მეცადინეობა გასწია გამოებრუნებინა წაგებული საქმე, მოსწერა საქართველოში თავადიშვილებს, გაეგზავნათ თხოვნა ხელმწიფის სახელზე, მაგრამ გვიან-ლა იყო. წარსულის საქმეს არას არგებდა „ბოლოს-ლა თითთა კბენანი“. ყველა უკმაყოფილოთ რუსეთის მთავრობისა დაერთო მეფე გიორგის პარტიაც და ქართველებმა განიზრახეს მიეღოთ ძალით ის, რასაც არ ანებებდნენ ნებით. ქართლ-კახეთში გაიმართა რუსეთის წინააღმდეგ პროპაგანდა. მალე დაბრუნდა რუსეთიდან გარსევან ქავეჭავაძე.

რომ შეიტყვეს იმის დაბრუნება რუსეთიდან, ყაზიბეგზე მიეგებნენ იმას ალაღარები 200 ცხენოსანი კაცით*) და ჩამოიყვანეს ქალაქს, როგორც მთავარი ვინმე.

ზალხში ხმა გავარდა: ქავეჭავაძეს ახალი მინდობილება აქვს ხელმწიფისაგანო და წიგნი წიგნზე ეცემოდა ბატონიშვილებისაგან, რომელნიც შემწეობას სთხოვდნენ.

თუმცა გარსევანი მალავდა, მაგრამ მაინც ბატონიშვილების მომხრე იყო და ბაგრატიონების ხელახლა გაბედნიერებას ლამობდა. ქავეჭავაძემ ამ საგანზე საზღვარგარეთაც გამართა მიწერ-მოწერა, როგორც მოწმობს იმ დროის მთავარმმართველი კავკასიისა კნორინგი.

მოწინააღმდეგეთა დასს არც მთავრობა უყურებდა გულხელდაკრული.

ძველი ქართლის შემკვიდრეობა ხელთა აქვს დღეს მესამე მოდგმას. ცხოვრების ასპარეზზე გაჩნდა მესამე თაობა, შვილისშვილია შვილები.

*) Акты...

რომელნიც ძლიერ დაშორებით თავიანთ... (უნდა ღყოს „წიგნების“, გაურკვეველია. ს. ც.).

კიდევ ათი წელი და საუკუნეც შესრულდება მკაცრად დასჯილ საქართველო შეუერთდა რუსეთს. საუკუნე, ე. ი. სამი თაობა გალაგდა ამ სოფლიდან — წარსულის საუკუნის მოწმენი. ყოველდღე ლაგდებიან ამ საუკუნის მგველენიცა, რომელთაც ძველი ქართლი უნახავთ და მის სამარეში თითო მუტა მიწა მიუყრიათ, ჩაუტანებიათ. რაც უფრო ეშორდებით ჩვენ ამ დროს, უფრო და უფრო აწყდება მას ის ძაფები, რომლითაც მილანდულია იგი ძველ დროებასთან, თუ რამე არ მოუხერხდა ამას — სანამ დრო კიდევ არის — თუ არ გამოვიძიეთ მეტადრე პირველი ნახევარი ამ ასეულისა, ეს საუკუნე, ეს გრძელი და ტვირთმძიმე საუკუნე ისეთივე მკლე და უცნობი საუკუნე იქნება ჩვენთვის, როგორიც არის სხვა საუკუნეები „ქართლის ცხოვრებისა“, თარგამოსიდამ *) დაწყებული ასპინძის ომამდე.

ამის გამო მე ყოველთვის ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, როდესაც ჩემი სამწერლო ეტიუდების საგნად მომხდდება ისეთი პირი, როგორიც არის თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე.

საქართველოს სამეფოში ეშყაბაშად ნამყოფი, რუსეთის იმპერიის გენერალ-მაიორი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ყველა ამ საუკუნის მწერლებზე უფრო საუკუნეთა შემაერთებელი მწერალი და პოლიტიკური მოქმედი. მისი ცხოვრების აღწერა თითონ დაგანახებთ რაა უფრო საინტერესო ჭავჭავაძეში, მწერალი თუ უბრალო, კერძო პირი, თუ საზოგადოდ მომქმედი, მეინახე... **)



*) მთიულტი პირი, ქართლოს, ჰაოსთა და სხვათა წინაპარი.

***) ეს ვარიანტი აქ წყდება, რომლის გავრძელების ნაშთები დასახლებულ არქივში ჯერჯერობით არ ჩანს.

ა. ჯანაშია

„პიკის ქალი“ ქართულად *

პუშკინის შემოქმედებაში პროზას მეტად საპატიო და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. და როდესაც ვეცნობით დიდი პოეტის შემოქმედებას, უნდა გვახსოვდეს მისი შესანიშნავი პროზა. დღემდე ქართულად პუშკინის პროზა ნაკლებად ითარგმნებოდა. რაც ძველად ვადაითარგმნა, დღეს უკვე აღარ გვაკმაყოფილებს. საჭიროა ახალი თარგმანი, რაც შეიძლება უფრო ზუსტი, ორიგინალთან მიახლოებული. მაგრამ ცნობილია, რომ პუშკინის პროზის თარგმნა დიდ სიმძნელეს წარმოადგენს. ამის მიზეზი პუშკინის ენაა.

როდესაც ვლაპარაკობთ პუშკინის პროზის ენაზე. მხედველობაში უნდა ექონიოს ის გარემოება, რომ პუშკინს თავიდან უხდებოდა საკმის დაწყება: ის, რაც რუსულ ლიტერატურაში პუშკინამდე იყო, სრულებით არ აკმაყოფილებდა მწერალს ერთ წერილში პუშკინი სწერს, რომ ყველაზე კარგი პროზა რუსულ ლიტერატურაში კარამზინის აქვსო, და იქვე დასძენს: *Эта еще похвала небольшая* —ო.

პუშკინმა მთლად უარყო კარამზინის რიტორიკული სტილი. პუშკინის პროზის ენას საერთო არაფერი აქვს ადრინდელ მწერალთა ენასთან. „თუ ისტორიულ პარალელებს დავუწყებთ ძებნას, დაეინახავთ, რომ პუშკინის პროზის სინტაქსური აგებულება უფრო ახლია ბარატინსკის და ვრიხოვდოვის პროზაულ ცდებთან, ვიდრე კარამზინის პერიოდებთან“ **).

მაგრამ ეს პარალელებიც, ცხადია, მხოლოდ ისტორიული პარალელები და გზებია, რომლებითაც პუშკინმა მიიღწია თავის ენას, — იმ ენას, რომელიც შემდეგი დროის რუსულ პროზას საფუძვლად დაედო. ეს გზები ჯერჯერობით ნაკლებადაა გამოკვლეული. ცნობილია, რომ პუშკინი ბევრს მუშაობდა თავის პროზაულ თხზულებებზე. ასე, მაგ., „პეტრე დიდის არაზზე“, მუშაობის დროს პუშკინს ხელთ ჰქონდა გოლიკოვის „*Деяния Петра Великого*“ — ოცდაათობიანი თხზულება, დაწერილი მაღალფარდოვანი და ბუნდოვანი ენით. პუშკინი სისტემატურად მუშაობდა ამ წიგნზე. ადგენდა მისი მიხედვით შემოკლებულ ჩანაწერებს. გოლიკოვის მაღალფარდოვანი პერიოდებისა და პუშკინის მოკლე, სწრატი გამოთქმების შედარება ბევრს რამეს აძლევს პუშკინის ენის შეკვლევას.

პუშკინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა გამოშსახველ და ამავე დროს ტყვად ზმნებს. გოლიკოვის რთულ და დაბლანდულ სინტაქსურ კონსტრუქციებს პუშკინი სკვლის მარტივი და ბუნებრივი კონსტრუქციებით.

*) ა. პუშკინი — „პიკის ქალი“, თარგმანი მიქელ პატარიძისა. „სალიტერატურო ვახეთის“ გამოცემა, ტფილისი, 1934 წ.

***) Пospelov — „Из наблюдений над Пушкинской прозой“. ეტრნ. „Лит. учеба“. 1932, № 10.

„პიკის ქალი“ ჭარბულად.

პუშკინის პროზის სტრუქტურა ფრანგული სინტაქსის ნორმებს ემსაბუხება. პროსპერ მერიმე, რომელმაც „პიკის ქალი“ ფრანგულად გადათარგმნა, წერს: „მე გგონია, რომ პუშკინის წინადადება საესტეტიკო ფრანგულად ისმის უფრო ხარბულად, ვიდრე ისმის საფრანგულად“.

რამია ეს მსგავსება?

ენის სინტაქსური კონსტრუქციის გამარტივებაში. ზმნის განსაკუთრებულად ხაზგასმულ ხმარებაში. ამასთანავე ზმნის სტილისტური, გამოსახვეითი ფუნქციები ენიშნება (მაგ., *Петр протестовал, Карл вспахнул, Петр досадовал*), რაც სრულად ახალი იყო იმდროინდელი რუსული პროზისათვის.

ამავე დროს პუშკინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ლექსიკას, გამოთქმათა მაქსიმალურ სიზუსტეს, სიტყვის გამომსახველობას და ყოველი სიტყვის სრულ გამოყენებას. „სიზუსტე და სიმოკლე. — აი პროზის პირველი ღირსება. იგი მოითხოვს აზრებს და აზრებს — უამისოდ ბრწყინვალე გამოთქმა არაფერია“ *).

ასეთია პუშკინის ენა.

სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ ყოველივე ეს უნდა ვითვალისწინოთ მთარგმნელში, რომელიც ხელს მოჰკიდებს პუშკინის პროზის თარგმნას და ჩვენც ამ თვალსაზრისით უნდა მივუღებთ მთარგმნელის ნამუშევარს.

„პიკის ქალი“ პუშკინის ერთ-ერთი გვიანდელი ნაწარმოებია. იგი დაიწერა 1834 წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც უკვე დაწერილი იყო „ბელკინის ამბები“, „დუბროვსკი“ და სხვ. ოცდაათიან წლებში პუშკინი ბევრს მუშაობდა მხატვრულ პროზაზე და პოეტის შემოქმედების ამ პერიოდს ეკუთვნის მისი საუკეთესო პროზაული თხზულებები.

„პიკის ქალი“ რამდენიმე განიხილვა პუშკინის სხვა პროზაულ ნაწარმოებებში. იგი წარმოადგენს სოციალურ-ფსიქოლოგიურ ნოველას, რომელშიაც დიდის ოსტატობითაა შეთავსებული ფსიქოლოგიური სიმბაფრე და სუვეტის დრამატიზმი. მთელი ნოველა სხარტად და მოხერხებულად ეითარდება. სუვეტი მარტივია და მკვეთრად მოხაზული.

ამ ნოველის თარგმნის სიმწელე სწორედ ამ სიმარტივის შენარჩუნებაშია. მთარგმნელმა უნდა გადმოგვეცეს ენისა და თხრობის ის არაყვეულებრივი, კრისტალური გამჭვირვალება, სისადავე და სიმარტივე, რომელიც პუშკინის ნოველას ახასიათებს.

ჩვენი მთარგმნელი როგორც ქვემოთ დაეინახავთ, საკმაოდ იოლად მოჰკიდებია საქმეს. მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუში.

რუსულად:

„Долговременная опытность заслужила ему доверенность товарищей в открытый дом, славный повар, ласковость и веселость приобрели уважение публики. Он приехал в Петербург. Молодежь к нему нахлынула, забывшая беды для карт и предпочитая соблазны Фараона обольщениям волокитства“.

თარგმანი:

„ხანგრძლივი გამოცდილებით მან დაიმსახურა ამხანაგების ნდობა, სტუმართმოყვარეობამ მოუპოვეს (?) საზოგადოების პატივისცემა. როცა ჩამოვიდა პეტერბურგში — ახალგაზრდობა და ეფედეა (?), დაივიწყა ბალები (ვინ დაივიწყა — ახალგაზრდობამ თუ მან?) ბანქოსათვის და ფარაონის ეშმა დაივიწყათ არშეყოფის ეშმი“.

აქ მთლად დამახინჯებულია პუშკინის ტექსტი:

* „Пушкин о слоге“. Соч. „Худож. лит.“, Ленинг. 1935.

1) გამოტოვებულია, თუ რამ მოტოვა ამბანაგების ნდობა „Открытый дом, славный повар, ласковость и веселость“, რაც შეცვლილია „ტურთომოყვარობით“.

2) ჩვენ მიერ ამოწერილი პერიოდი სამი წინადადებისაა: „პირველს მოკვეება მეორე — მოკლე წინადადება, რომელიც მთარგმნელმა გააგრძელა შესამე წინადადებამათან და ამით გაართულა მთელი პერიოდი (იხ. ტექსტი).“

3) სრულიად გაუგებარია გამოთქმა „ახალგაზრდობა დაედეა“.

4) „...Забывая балы для карт и предпочитая соблазны фараона для обольщениям волокитства“.

ნათარგმნია: „დაავიწყა ბალები ბანქოსთვის და ფარაონის ეშხმა დაავიწყათ არშოკობის ეშხი“. აქ პუშკინის მხატვრული და მდიდარი წინადადება ღარიბი და ტაქტალოგიური ფრაზითაა შეცვლილი (забывая, предпочитая თარგმნილია დაავიწყდათი; соблазны, обольщения — „ეშხი“-თ). სხვა რომ არაფერი ითქვას და მხატვრულობას თავი დაეანებოთ, „обольщения და „соблазны“ სრულიად არ ნიშნავს „ეშხს“, ისევე, როგორც „предпочитая“ — „დაავიწყდა“.

ჩვენ სიტყვა-სიტყვით შევადარეთ პუშკინისა და პატარძის ტექსტი, მათ სავსებით ძალიან ცოტა აქვთ.

მოვიყვანოთ სხვა მაგალითი და თვით მკითხველმა შეადაროს (ტექსტში ხაზგასმულია ქართულში გამოტოვებული ან დამახინჯებული ადგილები).

— „Как? Что? — закричали гости.

— Не могу постигнуть, — продолжала Томский. — каким образом бабушка моя не понтирует.

— Да что-ж тут удивительного, — сказал Нарумов,

— Что осьмидесятилетняя старуха не понтирует?..

— Ист! Право ничего!

— О так послушайте!

Надобно знать что бабушка моя“ და სხე.

თარგმანი:

— „რატომ? რა? — ხმამაღლა შეეკითხნენ სტუმრებო.

— რა არის გასაკვირი, რომ ოთხმოცი წლის მოხუცი ქალი არ თამაშობდეს!

— მაშ თქვენ არაფერი იცით?

— არაფერი!

— მაშ მოისმინეთ:

მოგახსენებთ, რომ“ და სხე.

ერთი თვალის გადავლებითაც კი სჩანს ტექსტის განსხვავება. თუ დავუკვირდებით და გვაარჩევთ თარგმანს, ისიც კი, რაც ერთი შეხედვით თითქოს შემცდარი არ არის, შეცდომა აღმოჩნდება. „Старуха“ გადმოთარგმნილია „მოხუცი ქალად“. პუშკინი განგებ „ბებერს“ ხმარობს და არა „მოხუცი ქალს“, რადგან ტომსკი აქ დაცინვით ლაპარაკობს ბებერზე.

„Надобно знать, что“ და სხვა თარგმნილია „მოგახსენებთ“. აქ სრულიად საწინააღმდეგო აზრია „надобно знать“, ე. ი. უნდა ვიცოდეთ, უნდა მოგახსენოთ და არა „მოგახსენებთ“.

ასეთი უყურადღებო თარგმანი სრულიად სველის არა მარტო სიტყვების, არამედ მთელი წინადადების მნიშვნელობას.

პუშკინი სწერს: „Она проиграла на слово герцогу Орлеанскому что-то очень много“.



თარგმანი: „წაუტეო ორღენის დუკას მეტად დიდი თანხა“. ამ გამოტოვებულია „на слово“, რაც სცელის წინადადების მნიშვნელობას პუშკინის რუსულ ტექსტში: *Пришелъ за ней волочился*. მთარგმნელი რატომღაც სწერს: „თუღ ლიწიწიწკ კაიტაკა მისმა სილაპაზემ“. პუშკინი სწერს: „С нею был коротко знаком человек очень замечательный“, ე. ი. მას ახლო იცნობდა ფრიად შესანიშნავი ადამიანი. მთარგმნელი კი თავის ჩვეულებისამებრ „აღრმავებს“: „მას კარგად და ძლიერ ახლო იცნობდა ერთი მეტად შესანიშნავი კაცი“.

სრულიად გაუგებარია, რატომ შეაქვს მთარგმნელს ასეთი ცვლილებები. პუშკინი სწერს: „в полгода она издержала по миллиону“. მთარგმნელს ეცოტაებდა და უმატებს: „ნახევარი წლის განმავლობაში მილიონი დაეხარჯათ“-ო. „Покойный Чавлицкий“ (განსვენებული ჩაღლიცკი) მთარგმნელმა რატომღაც „ნეტარხსენებულ ჩაღლიცკად“ გადააქცია.

„პიკის ქალში“ ბევრია ისეთი გამოთქმა ბანქოს თამაშის კონდექტიდან, რაც პუშკინის თანამედროვეთათვის სრულიად ბუნებრივი და გასაგები იყო, ხოლო თანამედროვე არა მარტო ქართველ, რუს მკითხველსაც გაუქირდება მათი გაგება. ამიტომ საჭირო იყო სათანადო განმარტება (თუნდაც ზოგადი საზისა) და არა ტექსტის სავსებით შეცვლა ამ ადგილებში, როგორც მთარგმნელი მოიქცა.

ჩამოთვლილი მაგალითები ცხადყოფენ თარგმნის სისუსტეს. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ მთარგმნელს არა აქვს აღებული სიტყვების შერჩევისა და თარგმნის რაიმე გარკვეული პრინციპი. ზოგჯერ იგი უთარგმნელად სტოვებს გამოთქმას (მაგ. „კონოგვარდიელი“, „შარლატანი“), ზოგან კი სთარგმნის და ნათარგმნს ბრტყალებში სვამს („ცხენოსანი გვარდიელი“). ხშირია ისეთ ქართულ გამოთქმებს, როგორც „ცირა“—„დევეუშა“-ს შესატყვისად. არის ასეთი წინადადება: „ერთს ხელში ეკავა (?) ფერთს სავსე ლარნაკი, მეორეს შპილკების ყუთი“.

ქართული ენაც ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მაგ., „რა გელაპარაკათ გერმანმა?“ ან „მიბოძეთ კარტი, წამოიძაბა გერმანმა და ერთი მსხვილი მოთამაშის უკან მდგომმა გერმანმა გამოიშვირა ხელი“.

პუშკინს თავების ნუმერაცია რომაული ციფრებით აქვს, თარგმანში — სიტყვითაა (თავი მეხუთე, შეექცე და სხვ.).

სრულიად დამახინჯებულია ეპიგრამების ფრანგული ტექსტები და საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფრანგული სიტყვები თვით ნოველაში. ყველა რუსულ გამოცემაში ფრანგული ტექსტი ყოველთვის თარგმნილია სქოლიოში. მთარგმნელს ეს ზედმეტად ჩაუფლია.

ნოველა თავდება „Заклучение“-თი, რაც ქართულად „დასკენას“ ნიშნავს. ქართულ თარგმანში „დასასრული“ სწერია.

წიგნს არა აქვს არავითარი წინასიტყვაობა და შეიცავს მრავალ კორექტურულ შეცდომას.

ცხადია, ასეთი თარგმანი სრულ წარმოდგენას ვერ შეუტქმნის ქართველ მკითხველს დიდი რუსი პოეტის ნაწარმოებზე. მეტის ყურადღებით და გულწისფროთ უნდა მოვეპყრათ პუშკინის პროზის თარგმანს.



წიგნის გავიანა

პროფ. გრიგოლ წიკიტაძე — „საქართველოს ლიტერატურის ისტორია“.

ტომი II. ტრაგედია. ტფილისის დაუსწრებელი პედაგოგიკური ინსტიტუტის გამოცემა, ტფილისი, 1935 წ.

წიგნი წარმოადგენს ცნობილ ელინისტის პროფ. გრ. წერეთლის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომს (პირველი ტომი გამოვიდა ამ რამდენიმე წლის წინად, ხოლო მესამე ტომი, რომელშიაც განხილული იქნება ბერძნული კომედია, გამოვა ახლო მომავალში). წიგნი შემდეგ თავებს შეიცავს: ტრაგედიის წარმოშობა, მისი კომპოზიცია და განვითარების გარეშე პირობები: პირველი ტრაგიკოსები. ესქილე. მისი ბიოგრაფია. ესქილეს დრამები. სოფოკლეს შემოქმედების საერთო დახასიათება. ევრიპიდეს ბიოგრაფია, მსოფლმხედველობა და შემოქმედება. სატირული დრამა.

წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი სწერს: „უკანასკნელ ხანებში ზომაზე მეტად გამრავლდა ლიტერატურული ტექსტების შემცველი პაპირუსები, რომლებიც აღმოჩენილ იქნა ეგვიპტეში. ყველა მათი გაცნობა ვერ მოხერხდა, რის გამოც ამ ტომში სისრულით არ არის გათვალისწინებული ყველა პაპირუსი, ტრაგიკოსთა ნაწარმოების ახალ ფრაგმენტთა შემცველი. და რომ არ დაგვიანებულიყო წიგნის გამოშვება, შემდეგი მესამე ტომისათვის გადავდეთ ამ ახალი ფრაგმენტების გათვალისწინება: ესენი იქნება მოთავსებული „დამატების“ სახით. აქ იქნება მოხილული ევრიპიდეს „ჰიფსიპილე“, სოფოკლეს სატირული დრამა „კვალის მამიებელი“, ესქილეს სატირული დრამის „მებადურთა“ ნაწილები და სხვა“.

წიგნი შეიცავს 393 გვერდს და ღირს 8 მანეთად.

პროფ. ს. დანელიას — „ნარკვევები XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან“. ტფილისის დაუსწრებელი პედაგოგიკური ინსტიტუტის გამოცემა, 1936 წ.

წიგნი შეიცავს ნარკვევებს რუსული ლიტერატურის ისტორიიდან: I რუსული ლიტერატურა ბატონყმობის გაუქმებამდე (რადიშჩევი, კარამზინი, კრილოვი, გრიბოედოვი; ნოვოლასიცკიში — დ. გენდიჩი და კ. შატუშკოვი, ეუკოვსკი, რილევი, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, სლავოფილები და მედასავლეთეები, ბელინსკი, გერცენი). II. რუსული

ლიტერატურა . ბატონყმობის გაუქმების შემდეგ: 1. დავადასწრული ლიბერალიზმი რუსულ ლიტერატურაში (გრიგოროვიჩი და ტუოკენევი); 2. სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ლიტერატურა (გრიგოროვიჩი, ოსტროვსკი, გრიგორიევი); 3. წვრილ-ბურჟუაზიული მწერლობა. A რევოლუციური გლეხური დემოკრატიისა და ქალაქის რადიკალური წვრილ-ბურჟუაზიის ლიტერატურა: ა) სამოციანი წლების ლიტერატურული კრიტიკის თეორია და პრაქტიკა (ნ. გ. ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და პისარევი); ბ) რევოლუციური გლეხური დემოკრატიის პოეზია (ნეკრასოვი); გ) რევოლუციური გლეხური დემოკრატიის ბელეტრისტიკა (უსპენსკი, სალტიკოვი). B. წვრილ-ბურჟუაზიული ლიტერატურის მემარჯვენე ფრთა (ლ. ტოლსტოი და ფ. დოსტოევსკი). C. წვრილ-ბურჟუაზიული ლიბერალიზმი ლიტერატურაში (ჩეხოვი).

წიგნი წარმოადგენს რუსული ლიტერატურის ისტორიის ქართულად გადმოცემის პირველ ცდას.

ჩვენი ჟურნალის უახლოეს ნომერში დაიბეჭდება ვრცელი რეცენზია ამ წიგნის შესახებ.

„ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ქ ა რ თ უ ლ ი ს ნ ო რ მ ე ბ ი. პირველი წიგნი. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. გვ. 84, ფ. 2 მანეთი.

წიგნში მოთავსებულია სალიტერატურო ქართულის ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპები და უკვე დადგენილი ნორმები: მიმართულებითი და წოდებითი ბრუნვების დაბოლოვებანი, მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან, სადავო საკითხები დროთა პირველსა და მეორე ჯგუფში, სადავო საკითხები დროთა მესამე ჯგუფის წარმოებისას, უცხო სიტყვათა ქართულად გადმოცემის საკითხები, ქართული კომპოზიციების დაწერილობისათვის და სხვა.

ვიულ ვერნი — „ს ა ი დ უ მ ლ ო კ უ ნ შ უ ლ ი“, თარგმანი ნიკო კურდღელაშვილისა, ა. ლენინაშვილის წინასიტყვაობით და რედაქციით. „სახელგამის“ საბავშვო და ახალგაზრდ. ლიტერატურის სექტორი. ფასი 3 მ. 50 კაპ.

ცნობილი ფრანგი რომანისტი, ფანტასტიური რომანის ოსტატის ვიულ ვერნის „საიდუმლო კუნძული“ წარმოადგენს „სახელგამის“ მიერ ადრევე გამოცემულ „80.000 ლიე წყალქვეშ“-ის გაგრძელებას, ახლო მომავალში გამოვა ამ ტრილოგიის მესამე წიგნი — „კაპიტან გრანტის შვილები“. ეს წიგნები დიდი შენაძენია ქართულ საბავშვო ლიტერატურისათვის. იკითხება დიდი ინტერესით და ბევრს ახალს შესძენს მკითხველს ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის დარგიდან.



ა. ს. პუშკინის თხზულებები ქართულ ენაში დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის სიკვდილიდან ასი წლის ბრუნავის შემთხვევაში გამოცემის გამო ამ ბოლო ხანებში ქართულად გამოვიდა მისი თხზულებების რამდენიმე წიგნი. წინათაც გამოსულა რამდენიმე წიგნი. ზოგი მათგანი ბაზარზე აღარ მოიპოვება. დღეს წიგნის ბაზარზე შეიძლება პუშკინის ნაწარმოებთა შემდეგი წიგნების შოვნა:

1. პოემები. თარგმანი ვარლამ რუხაძისა, „ფედერაცია“, 1934 წ. წიგნში მოთავსებულია პოემები: „ბოშები“, „კავკასიის ტყვე“ და „ტყის ძმები“ (რეცენზია ამ წიგნის შესახებ იხ. „მნათობი“, 1934 წ. № 11-12).

2. ლირიკული ლექსები და დრამატული პოემები, თარგმანი პაველ ინჯელიასა. ტფილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა.

3. „ვეგენი ოსეგინი“. თარგმანი გრიგოლ ცეცხლაძისა. სახელგამი, 1935 წ.

4. „სადგურის ზედამხედველი“ (მოთხრობა), თარგმანი ვასო გორგაძისა, 1929 წ.

5. „პიკის ქალი“ (მოთხრობა), თარგმანი მიქელ პატარიძისა. „სალიტერატურო გაზეთის“ გამოცემა.

6. „კაპიტანის ქალიშვილი“ (მოთხრობა), თარგმანი შალვა დადიანისა, „სახელგამი“, 1936 წ.

7. ლექსები თარგ. კონსტ. კიკინაძისა. გამოცემა „ტექნიკა და პროზა“-სი, 1937 წ.



შ ი ნ ა ა რ ს ი

83-
3

ვლ. მაიაკოვსკი — პოემიდან „ლენინი“ თარგმ. შ. პატარიძის

სერგო ორჯონიკიძე

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან	9
ამხანაგ ორჯონიკიძის ხსოვნას	10
ამხანაგ სერგოს ხსოვნას	12
პროლეტარული მგზნებარე რევოლუციონერი (ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის ბიოგრაფია)	15
საქართვე. საბჭოთა მწერლების მიმართუა ამხ. ლავრენტი ბერიასადმი	31
ვეურთღებით მილიონების ძღვევამოსილ ხმას (მწერალთა მიტინგი კონტრრევოლუციონური ტროცკისტული ცენტრის საქმეზე განაჩენის გამოტანის გამო)	35

ა. ს. კუშკინის დაღუპვის ასი წლისთავი

კუშკინის ლექსები

წინასწარმეტყველი — თარგმ. კონსტ. ქიქინაძისა	40
პოეტს — თარგმ. მისივე	42
მონასტერი მყინვარზე — თარგმ. მისივე	43
რათა მშობელი გეხილა მხარე — თარგმ. მისივე	44
დავეხეტები ჭუნის ხმაურში — თარგმ. მისივე	45
ალორძინება — თარგმ. ვალ. ვაფრინდაშვილისა	47
სიმღერა გრძნულ ოლეგზე — თარგმ. მისივე	48
ლექსი დაწერილი უძილობის დროს — თარგმ. მისივე	52
ალბომში — თარგმ. მისივე	53
ზამთრის საღამო — თარგმ. არტ. ახნაზაროვისა	54

ა. პუშკინი — მოცარტი და სალიერი. თარგმ. შალვა ჯორჯი- ლიშვილისა	
შალვა დადიანი — პუშკინი საქართველოში (პუშკინის ლი მოკმედება)	გიგლიძე
ფილიპე მახარაძე — დიდი ხალხის დიდი მწერალი	109
პროფ. სერ. დანელია — ა. პუშკინი	129
ლევან ასათიანი — პუშკინი და პოეტი მ. თუმანიშვილი	157
ი. ბალახაშვილი — პუშკინის უცხოში მთარგმნელი	166

დასავლეთის ლიტერატურა

ჯან ეიონო — დიდი ფარა (რომანი) თარგმ. ირ. ჭავერაძისა	169
--	-----

ლიტერატურის ისტორიიდან

ვ. ლუარსაბიძე — რუსთაველის სოფელმშენებლობის საკით- ხისათვის	188
ტრ. რუხაძე — „კალმასობა“. პირველწყაროები იოანეს შესახებ	202

ლიტერატურული აკჰივი

იონა მეუნარგია — ალექსანდრე ჰევკევაძე (ბიოგრაფიის მასალები)	231
--	-----

ბიბლიოგრაფია

კ. ჯ. — „პიკის ქალი“ ქართულად	248
წიგნის მართიანე	252

